

N3 2017

# საქართველო

1852

თამარ გალიტაშვილი - ლურა ბაწანიძის რომანზა  
გია სიმაშვილი - პატივიცისტის ჩანარიაზი  
ნიკოლას მაჩაგალი - მოტხოვების ვადისტოლი  
სტილი

პოეზია // პროზა // თარგმანი // არტი



2017/3

ყოველთვიური ლიცეიაფერული –  
სამართლის ქურნალი

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
**ბალათერ არაბული**  
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი  
ანდრო ბუაჩიძე  
თამარ გელიტაშვილი  
ელია მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
ქეთევან მერკვილაძე  
თამარ გელიტაშვილი

---

გარეკანზე –  
ლიტველი მხატვრის, ჩურლიონისის  
ნახატი „მეფეთა ზღაპარი“

---

ქურნალი გამოდის  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
თანამდებობის მსარბალი

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

<b>პრიტისა, კუბლიცისტისა</b> თამარ გელიტაშვილი ანდეგრაუნდული ქრონიკე- ბი (ლუკა ბაქანიძის „მესამე ნაპირის“ ინტერპრეტაციი- სათვის)	3	<b>ახალი თარგმანები</b> გევორქ (უორა) სწხიანი ლექსები თარგმნა <b>გივი შაჟნაზარმა</b>	60
<b>გია სიამაშვილი</b> პუბლიცისტის ჩანაწერები	10	ევგენი გრიშკოვეცი ანგელოზის დაკრძალვა მოთხოვნა თარგმნა <b>აკაკი დაუშვილმა</b>	64
<b>პოეზია</b> გიორგი ხულორდავა ლექსები	18	<b>ესეესიური მოზაიკა</b> ნინო ქუთათელაძე აფხაზეთის მონატრება აფხაზურად თარგმნა <b>ირმა კინწურაშვილმა</b>	79
<b>პოეზია</b> ნიკოლას მაჩაბელი ვირჯი, ანუ აღმოსავლეთე- ვროპული მოგზაურობა მოთხოვნა	22	<b>ჩანარეკები</b> გიზო ზარნაძე არაფერი არც შობილა, არც იშვება არაფრიდან	84
<b>პოეზია</b> თამაზ ხარაიშვილი ლექსები	45	<b>არტოვერი</b> ვაჟა ძიგუა კვაჭიზმის აღზევება	93
<b>პოეზია</b> ბესარიონ სოლოლაშვილი „ესე ტაძარი“. ამონარიდები ტრილოგიიდან	51	ალინა ქადაგიშვილი ლიტვა – შორეული და ახლობელი (ქართული სახლი ლიტვაში და მისი დიასახლისი)	100

თამარ გელიტაშვილი



### ანდეგრაუნდული ქრონიკები

ლუკა ბაქანიძის „მესამე ნაპირის“ ინტერპრეტაციისათვის

აქ ვერ შეხვდებით ცისფერყანწელთა „აქტიორულ სულს“, აქ ცხოვრებისეული ნარმოდგენები თეატრალური კოსტიუმების გარეშე იმართება; ამ სამყაროში ყველა ნიღბის გარეშე დაიარება – შიშველი სულითა და გამჭვირვალე ქმედებით. ეს „გალმა“ ნაპირია, ადგილი ლუკა ბაქანიძის, ერთი შეხედვით, სათავგადასავლო ჟანრის ნიგნიდან „მესამე ნაპირი“.

საკუთარ თავსა და საზოგადოებასთან გაუცხოება, ყოვლისმომცველი ნიჰილიზმი და ყოფიერების მოშლა, ცხოვრების დუნე რიტმი და ეგზისტენციალური არსის კრიზისი – ეს მცირე ჩამონათვალია იმ მიზეზთაგან, რომლებიც „მესამე ნაპირის“ პერსონაჟებს აიძულებს, უარი თქვან ჩვეულ ცხოვრებაზე და გამოეყონ გარშემომყოფთ, ზურგი აქციონ მათ დოგმატურ მსოფლმხედველობას და მეორე, მათთვის სრულიად უცხო, მაგრამ მიმზიდველი სამყაროსკენ გაცურონ. იქ, სადაც, უკიდეგანო თავისუფლების მიღმა, თამამად და ხალისით ამსხვრევენ მოსაწყენ, ვინრო სტერეოტიპულ კონსტრუქციებს.

ნაწარმოებში მოქმედების არეალი ორ ნაწილად არის გაყიდვილი – გაღმა და გამოღმა. ამ პირობითობას ჩვენს ყოველდღიურობაში წამოჭრილი ყოფითი თუ ფსიქოლოგიური პრობლემების სიჭარბე ქმნის, რომლის ამოხსნასაც ემსახურება ლუკა ბაქანიძის წიგნი. ამიტომაც მთელი ნარატივი ამ „ორი ნაპირის“ შედარებაშეპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. ეს „ორი ნაპირი“ ადამიანური ყოფის ორი ძირითადი მოდელია, სქემაა ურთიერთსაპირისპირო, ამბივალენტური ქმედებებითა და კარდინალურად განსხვავებული ცნებებით. პირველი (გაღმა), თავისი რაციონალურობით, მიზეზთა მიზეზთაგანია არსობრივი გაუცხოებისა, რა დროსაც ადამიანი ორიენტირების უნარს კარგავს სამყაროში, სადაც ყველაფერი უაზრო და აბსურდულია, მეორე კი (გამოღმა) – ამ რაციონალური აბსურდულობისგან გაქცევის, მისგან თავდახსნის მცდელობა.

რა წარმოშობს ერთ ქვეყანაში, ერთ ქალაქში, თუნდაც ერთ ვიწრო დასახლებულ პუნქტში „გალმა-გამოღმა ნაპირებს“, რომლებიც არქიპელაგებივით ამომართულა ჩვენს უკიდეგანო ოკე-

ანეში, ყოფიერებას რომ ვეძახით და რომელთა მენტალურ ორიენტაციასაც ციებიანივით გაურბის სოციუმი?

ამ კითხვებზე პასუხებასაცემად, ვფიქრობ, ნაწარმოების სიუჟეტური ხაზის სწორხაზოვნებისთვის თვალის მიღევნება დაგვეხმარება.

მაშ ასე... „გაღმა ნაპირი“ ჩვეულებრივ ცხოვრებას ასახავს, სადაც მთავარი პერსონაჟი, ჯიოლენდი ცხოვრობდა ისეთივე ყოველდღიურობით, როგორც ცხოვრობს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი: სიცელქით გამორჩეული გამუდმებულ თავგადასავლებში ეხვეოდა, ემართებოდა გრიპი, რომელსაც უოლოს ჩაითა და აფთიაქის ნამლებით მკურნალობდა; უყვარდა და სწამდა, სწყინდა და უხაროდა... მაგრამ თანდათან ჯიოლენდის სულიერი მდგომარეობა შეიცვალა, მისმა ცნობიერებამ და სამყაროსეულმა აღქმამ ძირეული ტრანსფორმაცია განიცადა. უფრო და უფრო გახუნდნენ და გაფერმკრთალდნენ იმ ადამიანთა ხატები, რომელთა გვერდითაც ცხოვრობდა... და მიხვდა ახალგაზრდა, რომ მისი მშობლიური სამყარო სულაც არ იყო მისი, რომ ის ისეთივე უცხო და მიუღებელი გამხდარიყო, როგორც მოზრდილი გერისთვის მოულოდნელად გამოცხადებული დედინაცვალი.

რა გახდა ჯიოლენდის სულიერი მღელვარებისა და საზოგადოებასთან გაუცხოების მიზეზი?

დასმულ შეკითხვას მეტ-ნაკლებად მაინც რომ ვუპასუხოთ, ორიოდე სიტყვით ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული, ჩვენს თავს დატეხილი მოვლენები გავიხსენოთ.

წიგნში მტკივნეულად არის გადმოცემული ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური რეგრესი, დაცემა-გადაგვარება, 90-იანი წლებიდან რომ დაიწყო და თავის ქვედა ნიშნულს კარგა ხანია, გადააჭარბა. ყველას კარგად ახსოვს

ლამის ყველა კორპუსსა თუ კიბის უჯრედში გახსნილი „ინსტიტუტები“ და „უნივერსიტეტები“ და ამ „განათლების კერებში“ მიმდინარე სასწავლო პროცესები. ლუკა ბაქანიძის მიერ გროტესკულად ასახული ეს „ინსტიტუტები“ და მათი ლექტორები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ერთ გაუკულმართებულ „ფრაგმენტს“ ჩვენი უახლესი წარსულისა. სკეპსისი და იმედგაცრუება მთავარ პერსონაჟს სწორედ ამ პერიოდიდან ეწყება. მან არ იცის, არ ესმის, რას აძლევს ამგვარი „უმაღლესი განათლება“ თავისი აზრსმოკლებული და არაფრისმომცემი ლექციებით.

ძიების პროცესი მეტად მტკივნეული აღმოჩნდა ჯიოლენდისთვის. ქვეყნის კულტურული პროგრესის რყევამ უგემოვნობისა და მარაზმის მორევში ჩაძირა სოციუმი. ქვეყანა, სადაც აღარ არსებობს კრეატიული პრესა, ყვითელი, ბულვარული პერიოდიკის მეხოტბედ ქცეულა და სხვისი პირადი ცხოვრების ქექვით გონებადაჩილუნგებულს ამ უურნალ-გაზეთების რედაქტორები გაუღმერთებია.

„ქრელაჭრულა უურნალი, რომლის ერთ ყდაზე ტიტველა ქალი ახატია და მეორეზე ტიტველა კაცი, შიგნით კი ადგილობრივი ბოიფრენდის ინტერვიუებითა გამოტენილი და სწორედ ამიტომ ეს უურნალი ყველაზე დიდი ტირაჟითა და რეიტინგით გრიმიტობს ჩემს სამშობლოში, იმას კი აღარ უყურებენ – რა ჯანდაბას და როგორ რედაქტორბა“.

მწერლის ირონია აშკარა და შეუფარავია. კულტურას ცვლის მასკულტურა; ლიტერატურა და სელოვნება პრბოს ინტელექტუალებისა გათვლილი, ხალხი უმეცრებისა და სიყალბის ტყვეა, ამ სიყალბის მამალმერთად კი ერთ-ერთი გაურკვეველი ორიენტაციის უურნალის რედაქტორი, ბორია გვევლინება – ჯიოლენდის დეიდის ქმარი – გარეთ „ინტელიგენტი“ საქმოსანი, შინ უზნეო-

ბისა და უმაქნისი ადამიანის სახე. სწორედ ასეთები წარმართავენ ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების რიტმს. ამიტომაც გვიხატავს მწერალი ამ პერსონაჟს გროტესკულად, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ „მესამე ნაპირი“ ერთი დიდი პროტესტია ჩვენს თანამედროვეობაში გამეფებული სულიერი დეკადანსისა.

სიყალბისა და სიცრუის შეგრძნება, ადამიანური საზრისის მოშლა, ეგზისტენციალური პრობლემები – ეს ის ფაქტორებია, რამაც „მესამე ნაპირის“ პერსონაჟთა გარესამყაროსთან გაუცხოება გამოიწვია. ადამიანთა მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობა და არსობრივი სიჩლუნებები ათემევინებს მთავარ პერსონაჟს, რაც არ უნდა ჰქონდებოდები და არა მთავარდები და ოქსფორდები დაამთავრონ, რაც არ უნდა სერთიფიკატები მიიღონ, მაინც აკვარიუმში იცხოვრებენო მთელი ცხოვრება. ისე უჭირს ჯიოლენდს ამ სამყაროში, როგორც წყლით დაცლილ აკვარიუმში ლაუზებდაბერილ თევზს, განწირული რომ აწყდება შუშის კედლებს და უკანასკნელი ძალით ცდილობს თავდახსნას. ჰქონდება ჯიოლენდს, გამჭვირვალე ჰაერი, ანუ სხვა სამყარო – სიწოლელითა და სიალით აღსავსე.

ასე ტოვებს ერთი „გაღმელი“ ბიჭი მშობლიურ ნაპირს და მიდის სრულიად სხვა, უცხო შეგრძნებებითა და მსოფლგანცდით სავსე ნაპირისაკენ, იქ, სადაც ადამიანური ყოფა არ განისაზღვრება უაზრო ვალდებულებებით, სტიგმებითა და კლიმებით, სადაც ყველა დაცლილია ქვენა გრძნობებისგან, სადაც არავინ ითხოვს ბოროტების წილ სიკეთის ქმნადობას და, მორჩილების ნიშნად, მარცხენა ლოყის მიშვერას, სადაც ბოროტება არასუბსტანციურია – არავინ არავის ერჩის, სადაც თავისუფლების უკიდეგანო და პირდაღებული უფსკრულია.

ასე ხდება „გაღმელი“ ჯიოლენდი

„ბიტნიკი“ – „გამოლმა ნაპირის“ მკვიდრი და კონტრკულტურის წარმომადგენელი.

სრულიად სხვა დროში, ტემპსა და დინამიკაში, სხვა განზომილებაში არიან „გამოლმელები“. აქ, ერთი შეხედვით, ვერც კი ხვდები, სად, რომელ ქვეყანაში, დედამიწის რომელ პოლუსზე ხდება მოქმედება; წაშლილია დრო-სივრცული ქრონოტოპიც. არცთუ რომელიმე კონკრეტული პერსონაჟის ეროვნებაა გამოკვეთილი, ვინაიდან ეს პერსონაჟები „ბიტთაობის“ ზოგად სახეს განასახიერებენ. აქ ყველას საკუთარი „სპიდი“ აქვს, ანუ პრობლემა, რამაც ისინი აიძულა „გამოლმა“ გადმოსახლებულიყვნენ. ამ საერთო „სპიდით“ დაავადებულ პროტესტანტებს უსაზღვრო თავისუფლების ნიშნით შემკული „გამოლმა ნაპირი“ აერთიანებს თავისი ნარკოტიკებით, ალკოჰოლით, სლენგებით, ზღვარგადასული სექსუალური ორგიებითა თუ გაუგონარი ბილნიგუანით, მაგრამ არავის ეგონოს, რომ ეს „ნაპირი“ ერთფეროვანია. ეს არის მრავალნახნაგა სამყარო „ანდეგრაუდის ლოთი მხედრებით“ დასახლებული. გოთები, პანკები, მეტალისტები, სადომაზოხისტები, სატანისტები და ათასი სხვა ჯურის მიმდევრები ბინადრობენ „მეორე ნაპირზე“. თვით ბევრისმნახველ ჯიოლენდსაც რომ აკვირვებს მათი ცხოვრების სტილიცა და შემოქმედებითი ფანტაზიებიც. ამიტომაც უწოდებს ყველას და მათ შორის საკუთარ თავსაც „ფსევდობიტნიკებს“. „გამოლმა“ არავის ანუხებს ყოფიერების კანონზომიერებანი, რადგან ზნეობრივი ღირებულებები აღვირახსნილმა ცხოვრებამ ჩაანაცვლა, გონების კარნახი – გაუკულმართებულმა გულისთქმამ... და რა შერჩა სიცარიელის შეგრძნებით „მეორე ნაპირისაკენ“ გადაბარგებულ ჯიოლენდს? ჭუჭყში, ჭაობსა და სიპინძურეში ჩაყურყუმელავება, ჯანსაღი

განსჯის უნარისა და ადამიანური სახის დაკარგვა.

ნიშანდობლივია, რომ მოქმედ პირთა უმეტესობას გაურკევეველი წარმოშობის სახელი თუ მეტსახელი აქვს, ზოგს კი მითოლოგიური პერსონაჟების სახელით მოიხსენიებს ავტორი. ეს, ალბათ, კიდევ ერთი მინიშნებაა იმაზე, რომ სამყარო, მთელი თავისი „გაღმაგამოლმა“ ნაპირებით, ზღაპრული და ილუზიურია. კიდევ ერთი ფაქტი მეტყველებს ამაზე: წიგნს თითქოს რეფრენივით გასდევს მიმართვა გერმანელი მეზღაპრეების, ძმები გრიმებისადმი. მთხრობელი მალიმალ ახსენებს მათ გვარებს და ამ მიმართვის ფორმაში მისი შეფარული ირონია იმალება – ცხოვრება ზღაპარივითაა, მოჩვენებით სიკეთესა და მტკნარ სიყალბეზე აგებული.

ორაზროვანია პროტაგონისტის სახელიც – ჯიოლენდი. „Geo“ – საქართველოს გულისხმობს, „land“ კი – მიწას. „Geoland“ – ქართული მიწა. ასე რომ, ამ წიგნის მთავარი მოქმედი პირის სახელი გარკვეული ქვეტექსტის შემცველია. ჯიოლენდი ზოგადი სახეა ჩვენი ქვეყნისა, ჩვენი თანამედროვეობისა, ამიტომაც ჰქვია ასეთი სახელი – „ქართული მიწა“.

სიმბოლურია, რომ ამ პროფანირებულ ახალგაზრდებს ერთი „მოძღვარი“ ჰყავთ – მამაო, ყოფილი მღვდელი და ამჟამად როკკულუბის მეპატრონე.

„მესამე ნაპირში“ ყველაფერი ყირაზეა. გაღმა გამეფებული ღვთაებრივი რწმენა და სულის პრიმატი გამოლმა ურნმუნოებას, ულმერთობას, ხორციელ ლტოლვასა და ქაოსს გადაუფარავს. ამიტომაც იმ როკკულუბსაც, ამ ზნედაცემული ახალგაზრდების თავშეყრის ადგილს ტაძარს უწოდებს ავტორი, ხოლო ბებერ დრამერ მამაოს – ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარი ხალხის ნომერ პირველ მტერს, რომელიც ზეციდან ჩრდილოეთ ნახევარსფე-

როში ჩამოგდებულ ლუციფერს გვაგონებს თავისი ცხოვრების წესით. პროფანირებულია მისი მრწამსიც – ათასი ჯურის გამოლმელს აქტიურად ეხმარება, მოიპოვონ პური მათი არსობისა – სიგარეტი, ლიმონი, არაყი და ნარკოტიკი (ლიმონი შიმშილის გრძნობას უკლავს მიწისევეშეთში თავშეფარებულ ახალგაზრდებს და ამიტომაც სუბტროპიკული მცენარის ეს ნაყოფი მათი განუყრელი ატრიბუტია).

მითოლოგიური ტატუც აქვს მამაოდყოფილს ზურგზე ამოსვირინგებული: „ყალყზე შემდგარი კენტავრი, თავადაც ტატურებული და საყურეებიანი, ხელში კომბალივით მომარჯვებული ელექტროგიტარით. მოკლედ, სუფთა მამაო, ოლონდ ოთხფეხა – ოცდამეერთე საუკუნის ქირონი, ანდეგრაუნდის გმირთა და უპოვართა აღმზრდელი და მეგობარი“.

ქირონი მითოლოგიური პერსონაჟია – კენტავრის ერთ-ერთი სახეობა. აპოლონისა და არტემიდეს მოსწავლე, თავის მხრივ, მასწავლებელი იყო იასონისა და აქილევსისა. მან ასწავლა აქილევსს ლირაზე დაკვრა. ჯიოლენდსაც „მამაომ“ ასწავლა ტუჩის გარმონზე დაკვრა.

ყოფილი მღვდლის ბარი საკუთარ „სპიდს“ გამოქცეული „გამოლმელების“ „სემინარიაა“. როდესაც უჩინარი პერსონაჟი ეკითხება მამაოს: „რასა ზრდიო, კაცო, ალკაგოლიკებისა და ნარკომანების ბანდააო, ჩემი თვალით მაინც არა ვხედავდეო“, ამაზე „მამაოს“ ეცინება და პასუხობს: „არასოდეს, არც ერთ ეპოქაში არ სდებია ადამიანს ამხელა ბორკილები, გამოქვაბულის ბინაშიც კი არა ყოფილა ასეთი უმწეო, როგორც დღეს არისო; შველა სჭირდებაო ახლა ადამიანს... დღევანდელი ადამიანის მიღმა და გარშემო სიცარიელე იწყებაო... ეგე, რატომ ვზრდი ასეთ როჟებს, ჯიოლენდი რომ არისო“. აღნიშნული სტრიქონები „ბიტნიკთა“

ცხოვრებისეულ სტილს – ყოველგვარი პირობითობის მსხვრევასა და სიცოცხლის საზრისის პოვნის სურვილს ასახავს, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

ასე მოსდებია „გამოლმელების“ რწმენას ჭანგი, „მოძღვრით“ დაწყებული და „მრევლით“ დამთავრებული. სწორედ ადამიანური საზრისის დაკარგვა ათქმევინებს ჯიოლენდსაც: „რა უცნაური ვეშია ცხოვრება – ერთსა და იმავე ცეცხლზე ერთი ლოცულობს, მეორე ნარკოტიკს ხარშავს“. ასე ითესება ყოველნამიერად ამ ახალგაზრდების სულში, რწმენის ნაცვლად, ეჭვი და უიმედობა, სკეპსისი და ნიპილიზმი.

ანდეგრაუნდთა თავშეყრის ადგილია რაშიდას სახლიც, სადაც ნამდვილი სოდომ-გომორის ცოდვა ტრიალებს. რაც კი ქვეყანაზე ცოდვით დაცემა მოუგონია ეშმაკს, ყველა სახეობის ცოდვა აქ იყრის თავს: ლოთობა თუ ნარკომანია, ჰომოსექსუალიზმი თუ პედოფილია, მაზობიზმი თუ ათასი ჯურის უბედურება. რაშიდა სრულიად დედაქალაქის გოთების, პანკების, სადომაზოხისტებისა თუ სატანისტების მთავარი და მაყურადებელია, რომელიც სექსუალურ ორგიებს ჩუმად იღებს და თურქეთში ჰყიდის. არც „ვიაიპი ტუსოვები“ აკლია რაშიდას სოდომ-გომორას. „ჰალ-სტუხმოშვებული პოლიტიკოსებით, დილით ენა-მამული-სარწმუნოებაზე რომ ღრიალებენ ეკრანებიდან და სრულიად ქვეყნის გამოქლიავებული მოსახლეობის გულებს ათრთოლებენ ეროვნულ ამბავში, საღამოს კი რაშიდას სახლში, მავან დაბოლილ თინეიჯერს მიათრევდნენ ოთახში, სულერთია – ბიჭა თუ გოგოს“.

ლუკა ბაქანიძის წიგნის ყდაზე ახალგაზრდა ბიჭის ფოტოა გამოსახული, რომელსაც სახე აქვს ნაშლილი. სწორედ ეს ქვეტექსტი იკითხება ნაწარმოებშიც – ახალგაზრდებს დაუკარგავთ საკუ-

თარი სახე და ამორალური ინსტინქტებისა და ქმედებების ტყვეობაში მოქცეულან. სახე(ლ)დაკარგულ ჯიოლენდს თავისი ნამდვილი სახელიც აღარ ახსოვს, მეგობრების გვარ-სახელებს ვინ დაეძებს: „ამათი ნაღდი სახელებიც კი არ ვიცი, გვარი და მისამართობა კი არა...“, ოღონდ ეგ კია, რომ ჯიოლენდი და მისი მეგობრები მაინც განსხვავდებიან სხვა ანდეგრაუნდელებისგან. ესენი „კარუსელის მარაქის“ სახელით ცნობილი „გამოლმელები“ არიან, მათ კიდევ თავიანთი მიკროსამყარო აქვთ ამ უსახო ნაპირზე და სხვებთან შედარებით არცთუ მთლად ხელიდან არიან წასული. ისინი ერთურთს ეთაყვანებიან და ზრუნავენ ერთმანეთზე. მათ ჯერ კიდევ შერჩენიათ ადამიანური საზრისი და რწმენა. ჯიოლენდს მეგობრები უყვარს და კიდევ ნეი უყვარს წრფელი და ფაქიზი გრძნობით, მისი სიყვარულით საზრდოობს და არსებობს;

ალექსანდერი – ოჯახური უზურპაციის, ფინქოლოგიური ტერორის მსხვერპლია (ამიტომაც გამოვიდა „გამოლმა“). მასაც წმინდა გრძნობით უყვარს რუსი მეძავი, რომლის უმცროსი დის მეურვეობასაც იკისრებს და მის აღზრდას მიჰყოფს ხელს. იმისათვის, რომ გზასაცდენილი ბავშვი ნორმალური ცხოვრების ფარვატერში დააბრუნოს, ბევრ „სიამოვნებაზე“ იტყვის უარს;

მარკო – ოდესდაც კონსერვატორის სტუდენტი და მძიმე სენიორ, „შიდისით“ დაავადებული;

ნეი – თავისი ცხოვრების სტილის მიუხედავად, სიყვარულის ერთგული.

ამ ოთხეულს მუსიკისა და სიყვარულის უდიდესი ნიჭი აერთიანებს.

...და მობეზრდა ჯიოლენდს მეორე ნაპირიც – თავისი თავისუფალი კანონებით, წესებითა თუ ლექსიკით. მას „გამოლმა“ მხარესაც გამოეცალა ფსიქოლოგიური საყრდენი. სამყარო, რო-

მელიც ყველაზე სანდო და თავისიანი ეგონა მთელ გალაკტიკაში, უცბად გაიცრიცა და გაფერმკრთალდა; ერთბაშად შესძაგდა ადგილი, სადაც იდეადა-დაკარგული ადამიანები სახლობდნენ, რომელთაც მთლიანად წაშლოდათ შინაგანი თუ გარეგანი ფორმა...

კვლავ სკეპსისი და უიმედობა... ისევ დაიბნა ბიჭი და ამ სამყაროშიც დაიკარგა. უკვე აღარ იცის, რომელი მხარის წარმომადგენლად ჩათვალოს თავი. მიხვდა ჯიოლენდი, რომ არც აქ, ამ პირობით ქვეყანაში ყოფილა მისი ადგილი, რადგან ქვეყნის „ორივე ნაპირზე“ ადამიანი ნულის ტოლფასია, რომ ალკოჰოლითა და ნარკოტიკით გამშრალ-გამოფიტული მისი სხეული ბევრს ვეღარ გაუძლებდა. ასე გაუცხოვდა მისთვის „გამოლმა ნაპირიც“. ამას ისიც დაერთო, რომ მიწისქეშეთში, მის კუთვნილ ადგილზე თინეიჯერთა ახალი თაობა დაუხვდა, რომლებიც ზუსტად იმეორებდნენ კარუსელის მეგობრების ცხოვრებისეულ მრნამსა და ტემპს, ანუ პრობლემა პრობლემად რჩება, მხოლოდ სახეები იცვლებიან.

ამ ფაქტს, ისევე როგორც კარუსელს, თავისი ქვეტექსტი აქვს: ეს პრობლემა – გუცხოვება საკუთარ საზოგადოებასთან და მისგან გაქცევის მცდელობა თავისუფალი სამყაროსკენ, მუდმივად აქტუალური პრობლემაა. კარუსელიც ხომ დაუსრულებლობის სიმბოლოდ მოიაზრება, რომელიც გამუდმებით ტრიალებს ჩვენი აზვირთებული ცხოვრების მდინარებაში, მხოლოდ მგზავრები ჰყავს ხოლმე სხვადასხვა. ამდენად, „გამოლმა ნაპირზე“ მხოლოდ თაობები იცვლებიან ჯიოლენდის მსგავსი ფსიქოლოგიური პრობლემებითა და ეგზისტენციალური გაუცხოებით. ასე ეძახის სცილასა და ქარიბდას შორის მოქცეულ ჯიოლენდს სხვა სამყარო, ოლონდ არც „გაღმიდან“ და არც „გამოლმიდან“, არამედ სულ სხვა კუნძულიდან, იქიდან, სადაც ადამიანი ფა-

სობს მთელი თავისი არსითა და შემოქმედებით. ეს „მესამე ნაპირია“ – უცხოქვეყანა თავისი ახალი, სრულიად უცხო და ჯერაც შეუცნობელი გამოწვევებითა და მისწრაფებებით. „აღარაა-მეთქი ამ მხარეს ჩემი ადგილი და რატომ არ უნდა წავიდე?!!“ – ამბობს შავბნელ ცხოვრებაგამოვლილი ბიჭი, რომელსაც სულის სინატიფე წრფელმა სიყვარულმა შეუნარჩუნა და სწორედ ამ შემორჩენილი სინატიფის გადასარჩენად მიიჩერის წინ, „მესამე ნაპირისაკენ“.

აქ ვერ შეხვდებით ცხოვრების ნორმალურ რიტმს. აქაურთა ყოფა ერთი დიდი ანომალია. ეს „გამოლმა ნაპირია“, თითქოს ძალზე ნაცნობი, მაგრამ ამავდროულად, ძალზე უცნობი და შორეული, როგორც ოკეანის შუაწელიდან ამომართული ბოროტი არქიპელაგი, რომელიც ხელს უშლის გემების სწორი კურსით მოძრაობას და თავის მახრიბელა მორევში მიათრევს უამრავ გზა-აპნეულ მგზავრს.

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენე სიტყვა „პიტნიკი“: ეს, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის. ლუკა ბაქანიძის „მესამე ნაპირს“ XX საუკუნის ამერიკელი მწერლის, „პიტნიკთა“ მამამთავრის, ჯეპ კერუაკის გავლენა ატყვია, რომლის მწერლური თუ ცხოვრებისეული მრნამსი საზოგადოებრივი პირობითობის მსხვრევასა და სიცოცხლის საზრისის პოვნის სურვილს ემყარება. შეუძლებელია, „მესამე ნაპირის“ კითხვისას არ გაგახსენდეს კერუაკის რომანები: „გზაზე“, „დჟარმის მანანნალები“, „დიდი სური“, „მიწისქვეშელები“ და სხვ.

„პიტნიკები“ „დამსხვრეული თაობის“ წარმომადგენლები იყვნენ, რომელთა იდეებზეც 60-იან წლებში აღმოცენდნენ „ჰიპები“. BEAT – სიტყვა-სიტყვით მსხვრევას, დაცემას ნიშნავს. ისინი ძირითადად მწერლები, პოეტები და მუსიკოსები იყვნენ. ბიტნიკ-

ტთა მოძრაობა 1944 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტიდან დაიწყო და შემდეგ ევროპაშიც, კერძოდ ინგლისში დამკვიდრდა. მისი მთავარი წარმომადგენლები იყვნენ: ჯეპ კერუაკი (რომელსაც ეკუთვნის ტერმინი „ბიტაობა“), ალენ გინსბერგი და უილიამ ბაროუზი. „დამსხვრეულ თაობას“ პროტესტი ჰქონდა და ამერიკელი საზოგადოების მიმართ, ისინი რადიკალ-მემარცხენები იყვნენ, მოსწონდათ მარქსიზმი, ტროცკიზმი, ლენინი; უარს ამბობდნენ ტაბუებზე, უპირისპირდებოდნენ ორგანიზებულ და კორუმპირებულ, მერკანტილურ საზოგადოებას, უარყოფდნენ ერთფეროვნებასა და ზედაპირულობას; აღმერთებდნენ ხეტიალს, მოგზაურობასა და ბუნებაში გაქცევას, ლია ცისქვეშ ღამეების თენებას. სწორედ ბიტნიკებმა წამოიწყეს პირველად ავტოსტოპით მოგზაურობა. **ბიტნიკები** – ეს ნიჭილის-ტურად განწყობილი ახალგაზრდები ბოჭემურ ცხოვრებას ეწეოდნენ და თავისუფალი იყვნენ ყოველგვარი საზოგადოებრივი პირობითობისაგან; უარს ამბობდნენ ტრადიციულ ღირებულებებზე და სურდათ ბუნებრივი, ყოველგვარი სტიგმებისა და ცრურწმენებისაგან თავისუფალი ცხოვრება; მათი შემოქმედება სპონტანური, ავტომატური იყო; გატაცებული იყვნენ ბუდიზმით, ჯაზით, ბიბობითა და სიურრეალისტური პოეზიით.

„მესამე ნაპირის“ პერსონაჟთა ცხოვრებისეული წესი „ბიტნიკთა“ იდენტურია. იმის გათვალისწინებით, რომ წიგნი ჯეპ კერუაკის გარკვეულ გავლენას განიცდის, ლუკა ბაქანიძის წიგნიც სპონტანურ-ალმსარებლობითი ხასიათისაა და, „ბიტნიკთა თაობის მეფის“ მსგავსად, ისეთ სტილს მიეკუთვნება, რომელსაც ერთი ამოსუნთქვით შექმნილს უწოდებენ. მსგავსება ზოგჯერ ნიუანსებშიც იჩენს

თავს. გაღვიძებით დაწყებული („მესამე ნაპირის“ პერსონაჟი ზუსტად ისევე იღვიძებს, როგორც კერუაკის „დიდი სურის“ მთავარი მოქმედი პირი), გაგრძელებული წანწალის, ხეტიალის სიყვარულით, ჯაზით, ნარკოტიკებითა და ალკოჰოლით გატაცებით, პესიმიზმითა და სკეპსისით, დამთავრებული წიგნის ყდაზე გამოსახული სახედაკარგული ახალგაზრდით (ამერიკელი მწერლის ერთ-ერთ წიგნზე გამოსახულია სახედამალული, ანუ სახედაკარგული ჯეპ კერუაკის ფოტო). „ბიტნიკთა მეფის“ პერსონაჟები „მესამე ნაპირის“, ანუ ახალი, შინაარსიანი ცხოვრების საწყისს მთაში, ბუნებაში ეძიებენ: „მოასწარი, თორემ ჩაგითრია!“, „დროზე, თორემ დაიღუპები!“ – ასე მოუწოდებს საკუთარ თავს „დიდი სურის“ მოქმედი პირი ლოთობის, ნარკოტიკების, ალვირახსნილობის ჭაობიდან თავდასალწევად. ანალოგიური სწრაფვა აქვს ჯიოლენდსაც – სწრაფვა ახალი, ხსნის ნაპირისაკენ, მაგრამ განსხვავება მაინც არსებითია – ქართველმა მწერალმა ჩვენი სამწუხარო რეალობა ასახა, საინტერესოდ და საკმაო სიმძაფრით წარმოგვიდგინა ეს გლობალური, ძალზე აქტუალური და მტკიცნეული, მეტიც, ხშირ შემთხვევაში, ტაბუდადებული თემა თანამედროვეობისა. ისე, გავლენას რაც შეეხება, მისგან მწერლები იშვიათად არიან თავისუფალი. ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებით, თავის მხრივ, ჯეპ კერუაკიც, როგორც მწერალი, მარკ ტვენის გავლენას განიცდის.

ლუკა ბაქანიძის ავანგარდულ სტილში შექმნილი ნაწარმოები კიდევ ერთხელ ჩააფიქრებს მყითხველს – საით მიექანებიან საკუთარ „მე“-ში დაკარგული მოზარდები და რას ჰპირდება მათ ქუჩაში გათენებული ხვალინდელი დღე.



გია სიამაშვილი

## პუბლიცისტის ჩანაწერები

## ԱՅԵՎՐՈՒԹՅԱ ՏԱՐԱԾՈԱ

ვიყიდე სარტრის „ცხრაკლიტულის“ ქართული თარგმანი და გამახსენდა 80-იანი წლების გატაცება ფრანგი ეგზისტენციალისტებით. საბჭოთა იდეოლოგია მათ არ სწყალობდა, იშვიათად რუსულ ჟურნალში თუ გადაეყრებოდი რეცენზიას, რომელშიც სოცრეალიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ „სიცოცხლის ფილოსოფიის“ პესიმიზმს, თუმცა, „საჯაროობის“ პოლიტიკის წყალობით, „ბურჟუაზიულ“ ფილოსოფოსთა და მწერალთა თხზულებები თანდათან ნახულობდნენ დღის სინათლეს. გამოცემებიც არ იყო ძვირი და წიგნის მოყვარულთ ოთხმოცი-ანების ბოლოს „ოქროს ხანა“ დაუდგათ.

სარტრის გმირებისთვის ოთხ კე-  
დელში ყოფნა ტანჯვაა, მაგრამ, ამას-  
თანავე ნეტარებაც, როგორც მონაზ-  
ვნური ასკეზა – განერიდე ცხოვრების  
აურზაურს, დარჩი საკუთარ თავთან,  
თუმცა ერთ-ერთი პერსონაჟის, ფრანც  
ჭერლახის (ალტონის „კარჩაკეტილები“)  
თქმით, კარჩაკეტილობა უიღბლო ადა-  
მიანთა ხვედრია, რომლებმაც ცხოვრე-  
ბასთან თამაში წააგეს. როგორც წესი,  
სარტრის გმირებმა არ იციან, როგორ  
იცხოვრონ, რაში გამოიყენონ თავი-  
სუფლება და მიუსაფრობა სტანჯავთ.

თითქოს ურთიერთობის ტვირთს გაურ-  
ბიან და ამასთანავე, მის მოთხოვნილე-  
ბასაც განიკლიან.

„ცხრაკლიტულის“ მოქმედება ერთ  
ოთახში მიმდინარეობს, რომელშიც  
ადამიანები ერთმანეთს მორალურ ტან-  
ჯვას აყენებენ. პიესის გმირი მიდის  
იმ დასკვნამდე, რომ ჯოჯოხეთი არის  
არა გავარვარებული კასრი, რომელშიც  
ცოდვილები იწვიან, არამედ სხვა ადა-  
მიანი და მისგან მოყენებული ტკივილი.  
ჩვეულებრივი ურთიერთობა შესაძლოა  
ჯოჯოხეთად იქცეს, თუ ადამიანებს  
არ ექნებათ განშორების შესაძლებლო-  
ბა. პიესის გმირებს თითქოს მისჯილი  
აქვთ ერთად ყოფნა. ოთახში ძლიერი  
განათებაა და არ არის სარკე. საკუ-  
თარი თავის დანახვა მხოლოდ სხვის  
თვალებშია შესაძლებელი. ასე მონუს-  
სულები უყურებენ ერთმანეთს და არ  
ცდილობენ, განეშორონ, მიუხედავად  
იმისა, რომ ამის საშუალება აქვთ. ორ  
ქალსა და ერთ მამაკაცს სჭირდება ერ-  
თმანეთი. ერთს – საჯაროდ თავის მარ-  
თლებისთვის, მეორეს – ქალური ხიბ-  
ლის გამოსავლენად. ყოველ მათგანს  
თვითდამკვიდრებისთვის სხვა ადამი-  
ანები, პარტნიორები, საბოლოო ჯამში  
მსხვერპლი სჭირდება. სარტრის მიხედ-  
ვით, ცხოვრება სასტიკი თამაშია.

## ლიტერატურა და პრიტიკა

კრიტიკა ლიტერატურასთან ერთად გაჩნდა. პირველივე მკითხველი უკვე კრიტიკოსი იყო. ეპოქათა ცვლილებასთან ერთად იცვლება არა მარტო ენა, არამედ სამყაროს ესთეტიკური ალექსი ფორმებიც და ახალი თაობის მწერალი ან პოეტი თანამედროვეთა ენით და იმ ხატების გამოყენებით ქმნის ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომლებსაც ზემოქმედების ძალა გააჩნია მკითხველებზე. ოღონდ კლასიკაზე ეს არ ვრცელდება, მხატვრული სიტყვის მოყვარული ინგლისელი ისე-თივე სიამოვნებით კითხულობს შექსპირს, როგორც დრამატურგის თანამედროვე. იგივე ითქმის გოეთეზე, რუსთაველზე, ბარათაშვილზე, ვაჟა-ფშაველაზე, გალაკტიონზე. აქ საქმე გვაქვს სიტყვის „მაგის“ ფლობასთან, რასაც ვერ ისწავლი. საშუალო ნიჭის მქონე პოეტსა თუ პროზაიკოსს მართებს თანამედროვეთა ესთეტიკური გემოვნების, რწმენა-ნაწმოდგენების გათვალისწინებით მუშაობა, მაგრამ, თუ მხოლოდ აქტუალურ საკითხზე წერს და არ გააჩნია ლიტერატურული ნიჭი, რაგინდ პოპულარულიც უნდა იყოს, მომდევნო თაობები მისი შემოქმედებით აღარ დაინტერესდებიან.

გოგოლის ან ჩეხოვის ეპოქა უკვე შორეულ წარსულში დარჩა, მაგრამ მათი ნაწარმოებებისადმი ინტერესს ისტატურად შექმნილი ტიპები უზრუნველყოფენ, მათ დღესაც ვხვდებით ცხოვრებაში. ადამიანური თვისებები თაობიდან თაობას გადაეცემა.

ალორძინების მხატვრების შემოქმედებაზე ვკითხულობდი წიგნს. ავტორი აღნიშნავს, შედევრების ერთ-ერთი საიდუმლო იმაშიც მდგომარეობს, რომ ტილოზე წარმოდგენილი პერსონაჟები თითქოს რეალურებიც არიან და არარეალურებიც, მისტიკურები, სიმბოლურები. ლიტერატურული ნაწარმოების ძალაც ამაშია – რა გინდ რეალისტიც უნდა იყოს მწერალი, მის მიერ შექმნილი სამყარო

და გმირები თითქოს რეალურებიც არიან და ირეალურებიც, სიმბოლურები და ამ სიმბოლიზმს რაღაც მაგიური ზემოქმედების ძალა აქვს. ერთი კრიტიკოსი შემოქმედების განმარტებისთვის კ. იუნგის ფსიქოანალიზს იშველიებს. ნიჭიერი მწერალი თუ პოეტი თითქოს აცოცხლებს არაცნობიერში შენაბულ ზოგადსაკაცობრივ არქეტიპებს, ამოაქვს ისინი ზედაპირზე და მხატვრულ სახეებად აქცევს, რის გამოც მკითხველები უსაზღვროდ ემადლიერებიან. წარმოვიდგინოთ, რომ ვიღაც გვახსენებს შორეული წარსულის თითქოს დავინუებულ საამურ მოგონებებს.

მწერლის ოსტატობის კიდევ ერთი კრიტერიუმი ის გახლავთ, რომ მისი ნაწარმოების პერსონაჟებს ცოცხალი, დინამიკური ურთიერთობა აქვთ გარე სამყაროსთან, როგორც მდინარე, რომელიც რელიეფის მიხედვით იცვლის მიმართულებას, ნიადაგის მიხედვით – ფერს, კლიმატის მიხედვით – ტემპერატურას, ასევე ადამიანიც ცხოვრებასთან ცოცხალ ურთიერთობაში მრავალ, ხშირად მის მიერ გაუცნობიერებელ თვისებას ავლენს. ამგვარი ტიპების შექმნის კლასიკურ მაგალითს გვაძლევს დოსტოევსკი.

ჩვენს დროში (არ მიყვარს საკამათო „პოსტმოდერნიზმის“ სმარება) მწერალი თითქოს ჩამოვიდა კვარცხლბეკიდან და მის მიერ შექმნილ გმირებში გაერია. არც რამე დომინანტური იდეის მატარებელია და არც მოძღვარი, ის არის ერთ-ერთი ჩვენგანი, რომელიც ცდილობს, საინტერესოდ მოგვიყენს რაღაც ამბავი. მის ნაწერებს კითხულობენ ისინი, ვისაც მისი ამბები და თხრობის მანერა მოსწონს. მოხდა მწერლისა და მწერლობის „დესაკრალიზაცია“ რაც არ არის ურიგო, მაგრამ ამ მოვლენას ახლავს ნეგატიური მხარეც. მწერლად მიიჩნია თავი ყველამ, ვინც წერა იცის და წერის მოთხოვნილება გააჩნია. არადა, მწერლობას ისეთივე ნიჭი და ოსტატობა სჭირდება, როგორც ნებისმიერ ხელოვნებას: მუსიკას, ცეკ-

ვას, ფერწერას... ლიტერატურაში, ისევე როგორც ზოგადად ხელოვნებაში, არსებობს რაღაც დონე, რომლის გადალახვის შემთხვევაში საქმე გვაქვს მწერალსა და მწერლობასთან. როცა ბელინსკის დოსტოევსკის პირველი ნაწარმოები მიუტანეს და უთხრეს, ახალი გოგოლი გაჩნდაორუსეთში, კრიტიკოსმა უკმეხად მიუგო: „თქვენთან სოკოებივით იზრდებიან გოგოლები!“ მაგრამ, როცა წაიკითხა, დარწმუნდა, რომ ახალი მწერალი დაიბადა. 80-მილიონიან რუსეთში თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ მწერლები.

აკადემიკოსი მ. ნეჩინა ერთ-ერთ ნაშრომში წერდა, რომ უურნალებში ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებებს ეცნობა, რამდენიმე აბზაცის წაკითხვისთანავე ხვდება: უპრალოდ, ენერებოდა კაცს და დაწერა, თუ ვნება აწერინებდა, ანუ არ შეეძლო, არ დაეწერა და ამის მიხედვით წყვეტს, ღირს თუ არა კითხვის გაგრძელება. უნდა აწერინებდეს ვნება, რომელიც გადაეცემა მკითხველს.

ცალკე თემაა თანამედროვე სალიტერატურო ენა. თითქმის აღარ არსებობს „ლიტერატურული სტილი“, მწერალი საგანგებოდ აღარ ზრუნავს სტილზე. ისეთივე ფორმით გამოხატავს აზრებს, როგორც საუბრის დროს – ლიტერატურა „სასაუბრო სტილზე“ გადავიდა. ერთი მხრივ, დაიკარგა „ლიტერატურშინა“, „შტამპები, რაც მისასალმებელია, მაგრამ, ამასთანავე, მოხდა ოსტატობის მკვეთრი დაქვეითება, არა მარტო სტილის, არამედ, ხშირად გრამატიკის იგნორირებაც. მეტყველებისას, როგორც გვინდა, ისე შევგიძლია ვისაუბროთ, მაგრამ თავში არ მოვდის, რომ ჩვენი ეს ნალაპარაკევი საზოგადოებას გავაცნოთ, მხატვრულ ღირებულებად მივიჩნიოთ. დღეს ხშირად ამ „ლაპარაკის“ წიგნად გამოცემა ხდება, რაც „მოდერნისტულ“ მწერლობად არის მიჩნეული და ამ მაკულატურაში იკარგება თითო-ოროლა მარგალიტი.

დათვური სამსახური გაუწიეს მწერ-

ლობას მედიამ და სოციალურმა ქსელებში. ადამიანი ბუნებით ზარმაცია და თუ კითხვის ჩვევაც არ გამოუმუშავებია, წიგნის კითხვას ყურებას და მოსმენას ამჯობინებს. ამიტომაც ჩვენში წიგნის მაღაზიები ერთიმეორის მიყოლებით დაიხურა. დღეისათვის ძირითადად დაგვრჩა „ბიბლუსი“ და აქაც სრული დომხალია. გარდასულ დროთა ქართული მწერლობა, საეჭვო ხარისხის თარგმანები, უშველებელი ზომის თემატური წიგნები მითოლოგიზებულ ისტორიაზე, ქრისტიანობაზე, გმირებზე, სამზარეულოზე, მკურნალობაზე...

როგორც ვიცი, დასავლეთის ქვეყნებშიც „სერიოზული“ ლიტერატურა ვერ უძლებს კონკურენციას ე.წ. „უანრულ“ მწერლობასთან და სულ უფრო ელიტური ხდება, ისევე როგორც მხატვრული შემოქმედების სხვა დარგები. შესაძლოა ო შპენგლერის მიერ ასი წლის წინათ ნაწინასწარმეტყველები „ევროპის დაისი“ ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს.

## პვაზობანა

ერთ პოლიტიკოსს ვუსმენდი, რომელიც ყველა ხელისუფლებას შესანიშნავად მოერგო და გამახსენდა ტალეირანისადმი გამოთქმული საყვედური როიალისტების ღალატთან დაკავშირებით – ტალეირანმა თავი იმით იმართლა, რომ ხელისუფალთ კი ღალატობდა, მაგრამ საფრანგეთისთვის არასოდეს უღალატია... ნაპოლეონმა სიამოვნებით ჩაიყენა სამსახურში, რადგან ასეთ ინფორმატორს და კარის ინტრიგებში ჩახედულ კაცს ძნელად თუ მონახავდა. ასე რომ, პოლიტიკოსობა ნამდვილად პროფესია და თანაც უძველესი, მას განსაკუთრებული ნიჭი და ინტიუიცია სჭირდება. ინტელექტუალები დასკინიან პოლიტიკოსებს, რომლებიც ხან გაუნათლებლობას ამჟღავნებენ, ხან გონებაშეზღუდულობას, მაგრამ ამ ნაკლოვანი მხარეების კომპენსირებას ისინი ინტუიციით და ქვენაგრძნობებით

მანიპულირების მეშვეობით ცდილობენ. აი, რას წერდა აკაკი ბაქრაძე ყვარყვარეზე: „ვერც გაქნილობა, ვერც მოქნილობა, ვერც თაღლითობა ვერ უშველიდა ყვარყვარე თუთაბერის ჯიშსა და რჯულს. ისინი ვერასოდეს ვერ ამოტივტივდებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე, რომ არ არსებობდეს ლიანგის (მასის) უსაშველო დოკუმენტი... ეს იცის ყვარყვარემ და იყენებს კიდეც ამას. „ხალხი თავის მტერია და თუ არ მომწყებსე, უჭიურ საქონელივით ხრამში გადავარდება... თუ შენ გაქს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა.“ შეიცვალა ან ყვარყვარე, ან ლიანგი? შესაძლოა, ლიანგი უფრო ინფორმირებული გახდა, რაც განათლებად ეჩვენება, მაგრამ მისი „გაცურება“ დღესაც ისევე იოლია, როგორც უწინ.

პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლები კი სულ უფრო და უფრო იწვევს სალონური ჭუასუსტობის (salonblodsinn) ასოციაციებს. ეს არის ინტელექტუალური განუვითარებლობის გამოხატულების გარკვეული ხარისხი, რომელიც ხასიათდება ერთგვაროვანი, სტერეოტიპული, კატეგორიული მსჯელობებით და მოკლებულია საკითხის არსები წვდომას. როგორც ჩანს, არც მასებს აინტერესებთ არსი და ამიტომაც არ იწუხებენ თავს ზუსტი განსაზღვრებების ძიებით – რაც ენაზე მოადგებათ, იმას ამბობენ.

P.S. იმედია, თაობათა ცვლასთან ერთად, ეს ვითარება შეიცვლება და პოლიტიკური თაღლითობა აღარ იქნება „სარფიანი ბიზნესი“, ჯერჯერობით კი კვლავ ასეა.

## პეტუალური აზრები

ს. ფრანგის „კერპების დაცემას“ ვკითხულობდი. წინა საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისია. რევოლუციის, პოლიტიკის და პოლოს კულტურის კერპების დაცე-

მაზე გვიამბობს ავტორი. ბევრი რამ მის ნააზრებში აქტუალური მომეჩვენა, განსაკუთრებით „კულტურის კერპების“ დაცემასთან დაკავშირებით. აი, რას წერს ფრანგი:

„გადატანილი ტრავმების შედეგად (იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი, რევოლუცია და სამოქალაქო ომი რუსეთში) მოხდა ერთგვარი სულიერი ძვრა, რომლის შედეგად წარსული ცხოვრების მრავალი რამ გაუფერულდა: ლირიკა და რომანტიკა ფერწერაში, პოეზიაში, მუსიკაში, დახვეწილობა და ეგზალტაცია, ყველაფერი, რაც ახლო წარსულში ასეთ სიამოვნებას გვნიჭებდა, დღეს არა თუ არ გვახარებს, გაღიზიანებასაც კი იწვევს, ვეძებთ და ვერ ვპოულობთ რაღაც უბრალოს, არსობრივს, უეჭველს, „პურს არსობისას“ ხელოვნებაში, რომლისადმიც სულიერ შიმშილს ვგრძნობთ. მეცნიერება? აღარც მეცნიერება ჩვენთვის კერპი. სქელტანიანი ნაშრომები, რომლებიც დიდი ნიჭიერებისა და განსწავლულობის ნაყოფია, სამეცნიერო სკოლები და მიმდინარეობები, აღარ წარმოადგენენ თაყვანისცემის ობიექტებს და თითქოს აღარც გვჭირდება ისინი. უფრო ნათლად ვხედავთ, რამდენი რუტინა და უმეცრებაა შინაარსისგან დაცლილ სიტყვებში, რომლებიც წიგნსაცავებში ინახება. რა მწირია სამეცნიერო ნაშრომებში ცოცხალი აზრი, სიღრმე და სიცხადე. ხანდახან ვფიქრობ, რომ მთელი ეს ეგრეთ წოდებული „მეცნიერება“, რომელსაც ასეთი მოკრძალებით ვეპყრობოდით, მხოლოდ უმეცართა ხელოვნური წვრთნის საშუალება გახლდათ, რომ ნამდვილი მოაზროვნენი ყოველთვის გამოდიან „სწავლულობის“ ფარგლებს გარეთ და ამით გვაძლევენ სულიერ საკვებს, არაფერს საგანგებოდ არ სწავლობენ, უბრალოდ ხედავენ რაღაც ახალს და მნიშვნელოვანს, რის დანახვასაც ვერავითარი მეცნიერება ვერ გასწავლის...“

## საპარლამენტო არჩევნები

ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთა. ჩვენი საზოგადოება მზად არ არის არც მრავალპარტიული პარლამენტისთვის, არც ხელისუფლების დანაწევრებისთვის, არც ეკონომიკის პოლიტიკისგან დამოუკიდებლად აღორძინებისთვის. მრავალპარტიულობასა და ხელისუფლების დანაწევრებას ესაჭიროება სამოქალაქო კულტურა, რომლის პირობებშიც პარტიები საერთო ეროვნულ ინტერესებს გამოხატავენ, თუმცა ამ ინტერესების დაცვის განსხვავებული ხედვა გააჩნიათ, ხოლო თუ პარტიები საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვიან და ამისთვის სჭირდებათ საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრა, ეს ნიშნავს მის პარალიზებას. მართალია, პარლამენტი ერთპარტიული სისტემის პირობებშიც პარალიზებულია, მაგრამ ძალაუფლებრივი ვერტიკალის არსებობა რაღაც გადაწყვეტილებების ოპერატიული მიღების საშუალებას მაინც იძლევა. წარმოვიდგინოთ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც სხვადასხვა პარტიით არიან დაკომპლექტებული! ისინი ვერასოდეს შეთანხმდებიან, რაც პერმანენტულ სახელისუფლებო კრიზისს გამოიწვევს, ამას ვერც დამოუკიდებელი სასამართლო უშველის – რომც წარმოვიდგინოთ ასეთის არსებობა საქართველოში – და ვერც, მით უფრო, პრეზიდენტის ინსტიტუტი...

ერთპარტიული სისტემა, უდავოდ, მანკიერია. მის პირობებში გარდაუვალია ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ნეპოტიზმის, მონოპოლიების, „კრიშების“ არსებობა, სასამართლოს გაკონტროლება და მრავალი სხვა „სიკეთე“. გამოსავალი იქნებოდა რეალური პოლიტიკური სუბიექტების გაჩენაში და არა გაურკვეველი ორიენტაციის პარტიების სახელდახელოდ შექმნაში, რომლებსაც ამომრჩევლები მხოლოდ ლიდერების სახელებით განასხვავებენ ერთმანეთისგან.

მოკლედ, ისევ იმ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ. ერთპარტიული ავტოკრატია გამორიცხავს საშუალო ფენის და მის საფუძველზე რეალური პოლიტიკური სუბიექტების გაჩენას, მრავალპარტიულობა კი გაუთავებელ ინტერესთა შეჯახებით გვემუქრება.

## ზოგირება

ძველი რომაელების თქმით, ხალხს პური და სანახაობა სჭირდება. პური გასაგებია, სანახაობაა უფრო საინტერესო. მასებს აზროვნების, ანალიზის, შინაგანი დიალოგის არც უნარი და არც სურვილი არ გააჩნიათ. ისინი უშუალოდ არიან ჩართული მიმდინარე მოვლენებში და სპონტანურად რეაგირებენ მათზე. სანახაობა სწორედ ამგვარი ცხოვრების ასახვაა, რომლის დროსაც ადამიანი იოლად ახდენს საკუთარი თავის მოქმედ პერსონაჟებთან იდენტიფიცირებას. უფუნქციონ დარჩენილი მასებისთვის სანახაობაზე მოთხოვნილება გაათმაგებულია და მის წარმოებას დიდი მედიანდუსტრია უზრუნველყოფს.

საგულისხმოა, რომ უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში მედიასივრციდან თითქმის მთლიანად ამოვარდა სააზროვნო, შემეცნებითი პროგრამები. მასები გამუდმებით ახალ ამბებს, სანახაობას მოითხოვენ, ხდომილებებს და არა ფიქრსა და განსჯას. ავარია ამერიკის რომელიმე შტატში, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა, გაცილებით უფრო აქტუალური ინფორმაციაა, ვიდრე, ვთქვათ, მხატვრული ან სამეცნიერო ნაშრომის გამოცემა, სპექტაკლის პრემიერა, სამხატვრო გამოფენა. თუ ვინმეს სერიოზულ საკითხებზე სურს საუბარი, ისე უნდა შეფუთოს სათქმელი, რომ მასებისთვის გასაგები და სახალისო მოსასმენი იყოს. რა მიზანს ემსახურება მედიის მასების ცნობიერებაზე მორგება? – მოჩვენებითი საზრისების შექმნას და აგრესიის შესაძლო გამოვლენის წეიტრალიზაციას. წარმოიდგინეთ ასიათასობით

საზრისდაკარგული ადამიანის ქუჩის აქცია – რამდენი სპეცნაზელი და წყლის ჭავლი იქნება საჭირო, თან ხელისუფლების იმიჯიც შეიძლახება. როგორ გინდა, გააგებინო ხალხს, რომ წარმატებული პოლიტიკური პროექტისთვის ხელისუფლების ცვლილება არ არის საკმარისი, რომ საჭიროა მენტალური ცვლილება. კულტურული რევოლუცია, განსხვავებული დამოკიდებულება შრომისადმი, დროისადმი... რომ დემოკატია არ არის „სრულყოფილი სოციალიზმი“, რომლის პირობებშიც ხელისუფლებას ყოველ მოქალაქესა და მის ოჯახზე ზრუნვა ევალება. ამ მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად მასები საინფორმაციო და გასართობი პროგრამების „ლეთარგიულ ძილ-ღვიძილში“ უნდა ამყოფო. ნებისმიერი სარედაქციო პოლიტიკა ორიენტირებულია იმაზე, თუ კიდევ რითი შეიძლება მასების გართობა, რომელი რესურსია გამოუყენებელი. ცხადია, ამ სივრცეში წლობით ჩართული ადამიანი სულიერად იფიტება. ეს იგივეა, გამუდმებით სუროგატებით რომ იკვებებოდე. ვევდები ადამიანებს, რომელთა გაყიდვულ მზერაში აღარაფერი ცოცხალი არ იყით-ხება და ამ დროს საათობით შეუძლიათ იმაზე ლაპარაკი, რაც პრაქტიკულად არ ეხებათ, არადა, ჰეროინით, რომ ეხებათ და აუცილებლად უნდა გააჩნდეთ საკუთარი აზრი, ვთქვათ, იმაზე, თუ ვინ დაიწყო მით სირიაში და რა შეიძლება მას მოჰყვეს. თუ ამაზე იწყებ ფიქრს, შენს რეალურ მდგომარეობას ივინწყებ. რა დროს პირადულია, როდესაც კაცობრიობის მომავალზე გინევს ფიქრი და ზრუნვა.

●  
ორი ტიპის უვიცები არსებობენ. ერთ-მა უწყის საკუთარი უვიცობა, მეორემ არა. პირველი, თავის მხრივ, ასევე ორ კატეგორიად იყოფიან: ვინც ცდილობს შენილბოს უვიცობა და ვინც არ ინილბება და საკუთარ სახეს ინარჩუნებს. ცხადია,

ყველაზე რთული იმათთან ურთიერთობაა, რომლებმაც „არ უწყიან“, როგორც წესი, არავის უსმენენ, ყველაფერზე საკუთარი „ავტორიტეტული“ მოსაზრება გააჩნიათ, ძალიან უყვართ ჭური გება, ქადაგება. თითქოს ლიბრი აქვთ გონებაზე გადაკრული და ყველაფერს განსხვავებულად, თავისებურად ხედავენ. მშვენივრად ახერხებენ თეორიების გარეშე ცხოვრებას, პრაქტიკული საქმიანობისთვის სავსებით ყოფნით ინტუიცია, მიხვედრილობა, მაგრამ მათთან დიდხანს ყოფნა ძალზე მოსაწყენია.



უფროსი თაობის ჰუმანიტარები, რომლებიც არც ბიზნესში წასულან და არც პოლიტიკაში, კინომოყვარულებს მაგონებენ. საბჭოთა „კინოფესტივალი“ ერთიმეორის მიყოლებით გვთავაზობდა ახალ-ახალ ფილმებს, შესვენების დროს წაიხემსებდნენ, ნანახისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს გაუზიარებდნენ ერთმანეთს და მორიგი ფილმის სანახავად ისევ დარბაზში შევიდოდნენ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუდამ ხდებოდა რაღაც ისეთი, რაზეც შეიძლებოდა სჯა-ბაასი. „ფესტივალი“ დასრულდა, მრავალი მაყურებელი კი ისევ იმ დარბაზში ზის და ახალ ფილმს ელოდება. ზოგს ჰეროინი, რომ სსრკ-ს ევროკავშირი ჩაანაცვლებს და გაგრძელდება სერიალები, თან ისე, რომ შესვენებების დროს გაცილებით უფრო მრავალფეროვან მენიუს შესთავაზებენ, ფილმებზე საუბარიც უფრო სახალისო იქნება. აი, ჩვენი ოცნება. ისე, „კინომოყვარულებს“ ცუდი დრო დაუდგათ. გეგმიური ეკონომიკა „ველური“ ბაზრით შეიცვალა, ფილმების, წიგნების, სპექტაკლების კულტურა – შოუბიზნესის ერთჯერადი მოხმარების „კულტურით“. ურთიერთობებმაც ზერელე, ერთჯერადი ხასიათი შეიძინა. რა სულიერი წყაროები რჩება ტრადიციულ კულტურაზე ორიენტირებულ ინტელიგენტს? თუ მატერიალური არსებობისთვის ბრძოლა არ

უწევს, შეუძლია კლასიკა გადაიკითხოს, მონახოს ძველი ფილმები, იმოგზაუროს. მაგრამ, ვაი, რომ უმეტესობას ასე არა აქვს საქმე და ლუკმაპურისთვის უწევთ სულის განბილება.



2015 წლის უურნალ „ცისკრის“ №12-ში აკაკი ბაქრაძის ჩანაწერებს ვკითხულობდი, სადაც საქართველოს 70-იანი წლების პერიოდია ასახული. თითქოს რაღა არ ვიცით იმ წლებზე – სიყალბე, ფარისევლობა, ორმაგი სტანდარტები... მაგრამ, ვფიქრობ, დღემდე არ გვაქვს გააზრებული ის, რომ მთავარი ზიანი, რომელიც „უძრაობამ“ მოგვიტანა, მდგომარეობს ქვეყნისაგან გაუცხოებაში. ათეულობით წლების მანძილზე ხალხი შეეჩინა იმ აზრს, რომ მას არაფერი ეკითხება, რომ მისი ბედი ყოველთვის სადღაც და ვიღაცის მიერ უნდა წყდებოდეს.

აკაკი ბაქრაძის ჩანაწერებში ერთი ასეთი ეპიზოდია: ორგანიზაციის კრებაზე თანამშრომლებს უუბნებიან, რომ ხელფასს ალარ გადაუხდიან; მეორე დღეს ატყობინებენ, რომ დააპატიმრებენ; მესამე დღეს – რომ უნდა ჩამოახრჩონ... მხოლოდ ერთ მონაწილეს უჩნდება კითხვა: ჩამოსახრჩობი თოკები ჩვენ უნდა მოვიტანოთ თუ დაგვირიგებენ. ცხადია, უტრიორებაა, მაგრამ დღესაც საზოგადოებრივი აქტივობა მხოლოდ იმიტირებულია. იმიტირებას ახდენენ პოლიტიკოსები, მედიასაშუალებები, არასამთავრობოები. ვერც ფეოდალურ საქართველოში გავხდებოდით მოქალაქეები, ვერც ცარისტულ რუსეთში და ვერც სსრკ-ში. ვინც თეორიულად მაინც იცის, როგორი უნდა იყოს მოქალაქე, ისიც იმ სოციო-ულტურის შესაბამისად ცხოვრობს, რომელიც ძირითადი ნიშნებით საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა. ეს არის ერთგვარი სინთეზი ტრადიციულისა და საბჭოთა მოდერნულობისა. არც ფეოდალიზმი და არც საბჭოთა მმართველობა არ გულისხმობდა სამოქალაქო ცხოვ-

რებასა და მოსახლეობის რამენაირ მონაწილეობას მმართველობაში, თუნდაც ადგილობრივი მმართველობის დონეზე. მმართველთა დანიშვნა ხდებოდა ზემოდან, ასეა დღესაც – თვითმმართველობა იმიტაციას წარმოადგენს. შესაბამისად, ვერც სასამართლო იქნება დამოუკიდებელი და ვერც ადამიანის უფლებები დაცული. ხელისუფლება კი არა, ცნობიერებაა შესაცვლელი, რასაც, რა თქმა უნდა, ქვეყანაზე და არა მხოლოდ საკუთარ თავზე მოფიქრალი მმართველები უნდა უწყობდნენ ხელს.

საგულისხმოა ის, რომ სოციალურ ქსელებში რუსეთის მოქალაქეების მიერ გამართულ დისკუსიებში „დერჟავის“ ინტერესების დამცველებად ხშირად ეთნიკურად არარუსები გამოდიან. ძერჟინსკისა და ორჯონიკიძის ძალადობასთან დაკავშირებით ლენინი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა, ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენლები ხშირად მეტ თავგამოდებას იჩინენ, უფრო დიდი „დერჟიმორდები“ არიან, ვიდრე თავად რუსებით. ახლაც ასეა, განსაკუთრებით უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით, ეთნიკური რუსები უფრო თავშეკავებულები არიან მოვლენათა შეფასებაში, ვიდრე ფედერაციის ზოგიერთი უმცირესობის წარმომადგენები. შესაძლოა, რუსეთის დაშლის საფრთხეს ხედავენ და თუ ეს მოხდა, მათ მწვავედ დაუდგებათ იდენტობის პრობლემა, რუსეთის ახალ საზღვრებში უცხოტომელებად იგრძნობენ თავს, ხოლო ისტორიულ სამშობლოსთან არაფერი აკავშირებთ, ამიტომაც „დერჟავა“ ერთადერთი სამშობლო, რომელსაც თევალის ჩინივით უნდა უფრთხილდებოდნენ და მისი ნებისმიერი მოქმედების გამართლებას ცდილობდნენ.

## გამოხმიანება

სოციალურ ქსელში შერაბ მამარდაშვილის პიროვნების შესახებ გამართულ-

მა პოლემიკამ გამოხმიანების სურვილი გამიჩინა. ცნობილია, რომ არსებობს განსხვავებული მსოფლხედველობითი ნარატივები. XIX საუკუნეში ჩვენში შემოსულ განმანათლებლურ იდეებს დახვდა ტრადიციული კულტურა, რომლის-თვისაც უცხო იყო ახალი ევროპის ერი – სახელმწიფოს იდეა. დასავლეთში რეფორმაციით დაწყებულმა ბრძოლამ ინდივიდი მოსწყვიტა როგორც ფეოდალურ თემს, ასევე ეთნიკურ ფესვებს. ადამიანის ეთნიკური წარმომავლობა უმნიშვნელო გახდა, განვითარდა ინდივიდუალიზმი. ჩვენთან ეს არ მომხდარა, ბატონყმობაც პატრინყმული იყო, ფეოდალიზმი შენარჩუნდა ტომობრივი ერთობა და სოლიდარობა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ბურჟუაზიული რეფორმების ხანმოკლე და მახინჯი ფორმები ვერ შეცვლიდა კულტურულ ტიას. შემდეგ დამყარდა საბჭოთა წყობა, რომელშიც იოლად შენარჩუნდებოდა კოლექტივისტური თემური კულტურა. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაც, რა თქმა უნდა, ეროვნული (ეთნიკური გაგებული) ნიშნით წარიმართა. ერი, როგორც ერთიანი ეთნიკური სუბიექტი, დაუპირისპირდა დამპყრობელს. გამარჯვების შემდეგ კი, ცხადია, ხმა მისცა იმ ძალას, რომელიც ყველაზე რადიკალური იყო ამ ბრძოლაში. ეროვნულ ხელისუფლებასთან თუნდაც იდეოლოგიური დაპირისპირება ღალატად და მტრის წისქვილზე წყლის დასხმად აღიქმებოდა.

მერაბ მამარდაშვილის დაპირისპირება ეროვნულ ხელისუფლებასთან იმ, როგორც მოგვიანებით გახდა აშკარა, უტოპიურ იდეას ეფუძნებოდა, რომლის თანახმად, შესაძლებელი იყო ტრადიციული, კოლექტივისტური კულტურის, საბჭოთა რეჟიმგამოვლილი ხალხის დასავლეურ დემოკრატიული ღირებულებებისკენ სწრაფი შემობრუნება. ამის შეუძლებლობას ეროვნული ხელისუფლება

აცნობიერებდა და ამიტომაც მართვის სისტემაში არაფერი შეცვლილა კადრების გარდა. თვითმმართველობის კულტურა ვერც დღეს შევიძინეთ და მაშინ საიდან უნდა გაჩენილიყო. ძალაუფლების დანაწევრება, რასაც მაშინდელი ოპოზიცია ითხოვდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისგან, ასევე უტოპია იყო. აბა, დავანაწევროთ დღეს ხელისუფლება, გავხადოთ რეალურად დამოუკიდებელი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, პრეზიდენტის ინსტიტუტი. სამართლებრივი კულტურის არარსებობა გამოიწვევს სამთავრობო კრიზისს. ამდენად, მერაბ მამარდაშვილი არც კრემლის აგენტი ყოფილა და არც ერის მტერი. ის, უბრალოდ, პოლიტიკოსი არ იყო და, როგორც სხვა თავისუფლად მოაზროვნე მედასავლეთეს, საბჭოთა სისტემის უარმყოფელს, სჯეროდა, რომ რეჟიმის დამხობა იძლეოდა ქვეყნის დასავლური ვექტორით სწრაფი განვითარების შანსს. ცხადია, ამ ვექტორის მიმდევრები ვერ დაინახა ხელისუფლებაში მოსულ ეროვნულ ძალებში და დაუპირისპირდა მათ. გავიდა ოცდახუთი წელი და ეს დასავლური ვექტორი კვლავ მხოლოდ კეთილი სურვილების სახით არსებობს: მაპი, ნატო, სამეზობლო პოლიტიკა, ვიზალიბერალიზაცია... როგორც ვხედავთ, კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი იმისათვის, რომ რაღაც საშუალო, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანას მაინც დავემსგავსოთ, თუ ეს მართლა ჩვენი სერიოზული არჩევანია, რაშიც ამ პოლო დროს ეჭვი მეპარება. კიდევ ბევრის თქმა შემეძლო მ. მამარდაშვილზე, რადგან პირადად ვიცნობდი და მის ლექციებზეც დავდიოდი. მის კრიტიკოსებს კი აკვატებული, პოპულისტური იდეების გამეორების ნაცვლად ვურჩევდი ფილოსოფოსის ნააზრევის ყუდრადლებით წაკითხვას.



## გიორგი ხულორდავა

კარგა ხანია, ეს განაჩენი  
ჩაკლული სულის სიმძიმედ მაწევს,  
როგორც წასვლის და არა დარჩენის,  
თხოვნის და არა დასტურის მაცნე.

დიახ, ასეა! დახუჭავს უცებ  
ყველა ღვთაება მოკვდავის თვალებს  
და ვიღაც ხსოვნის მენამულ ფურცელს  
გულის სიღრმეში გულდაგულ ავლებს.

ყველაზე მეტად რაც არ დაგვშორდა,  
არ ჩაგვითვლია არასდროს ხატად,  
ძველ სასთუმალთან სძინავს ბავშვობას,  
როგორც ბავშვისთვის მოყოლილ ზღაპარს.

როცა გვშორდება, ვუჩივით მერე  
ტკივილის რვეულს, მწარე გვერდებით,  
თურმე ამაოდ, ამაოდ ვწერეთ,  
კი გვიყვარს, მაგრამ მაინც ვბერდებით!..

### ავტოპორტრეტი

მიყუჩებული ტკივილი (ბარე ხუთი თუ ექვსი)  
და ხასიათი, როგორც  
უხასიათო ლექსი.  
ხსოვნაში უნდა ვლექო – გამძლე და ვერც მთლად კაუი  
ჩემი ტკივილის ექო, შეყოვნებული გზაში.  
როგორც წაცნობი იდეა ანდა უცნობი როლი,  
არა ასე და იმდენად,  
არც უპირველეს ყოვლის.

არა ამდენი ნათლით (ყველა რომ ასე ელტვის) –  
იმ ჩემი წილი მადლით, იმ ჩემი წილი ბელტით.  
ჩემი ვნებით და ლხინით,  
ჩემი ბოლმით და ჯავრით  
(სანთლით დაეძებს ღიმილს უწუთისოფლო მგზავრი),  
იმ ჩემი წილი „ცალფა ოცნების“ ბოლოს სტიქსით,  
ომეგას პლუს ალფა,  
ზეტს გამოკლებულ იქსით.

...სარკეში ვხედავ კაი ხნის დაყადალებულ მზერას,  
იმან იკითხოს საწყალმა, მე სხვა კაცი ვარ, მე რა!



ვერც გამაკვირვა  
ბოლო მინორმა  
(გულმა ის ლამე  
რომ ვერ ათია),  
შენი თითებით გადაინომრა  
ცხოვრების მთელი ქრესტომათია.

ახლა შენს სულში  
ჩამდგარ მშვენებას  
თოვლივით რაღაც შეაკრთობს ხოლმე,  
თოვს და არ ვიცი,  
რა ეშველება  
იმ ჩემს წარსულში  
დარჩენილ თოვლებს.



შემომრჩი ხსოვნად,  
როგორც სიმწვანე  
ტყეს შემორჩება, ბოლო მადლივით,  
ვინც კი ათასში  
ერთხელ ვიწამე,  
აღმოჩნდა ცრუზე ოდნავ ნამდვილი.

და გალმა, როგორც  
სიჩუმის ტევრი,  
მაღლდება ცამდე ცოდვის აურა,  
ვიქცევი, როგორც  
იქცევა ბევრი,  
ვინც კი შეაკრთო – ოდნავ – ხმაურმა.

იმედად დამრჩა,  
შენი თვალების  
ნაცნობი ელვა ხსოვნისთვის ვლექო,

რომ ხმა შევუწყო  
აკანკალებით  
იმ უშენობის უშორეს ექოს.

ჩამომექცევა, ალბათ,  
ჭერივით,  
რასაც ვმალავდი – მხოლოდ შენამდე,  
სანამ ტყუილში  
გამომიჭერენ,  
ერთი სიცრუეც გამიფერადე.

და შიშნარევი  
დროის მახვილით  
დავდგები, ბარემ, ბოლო აღაპზე,  
როცა სიჩუმის  
ამოძახილი  
ნატვრის პეშვებსაც ცრემლით აღავსებს.



დავრჩი ჩამოკრულ  
სიმის იმედად,  
სიმის გაწყვეტაც ჩემი ბრალია,  
ვინც არასოდეს  
არ გაგვიმეტა,  
მან გაგვიმეტა, თურმე, ძალიან.

ჩამოილია  
ხსოვნად ნადენი  
სინათლე, ჩრდილი რომ არ ებურვის,  
ვინ დააგროვა  
სიტყვა ამდენი,  
უთქმელობისთვის გამეტებული.

## ვრაგმენტი დღიურიდან

გადაშლილია გულის ზეგანი,  
გულის კორტოხი, მზვარე თუ ტევრი  
და უნებლიერ მოგონებანი –  
უნებლიერზე ძალიან ბევრი.

და სადაც ველი ხსოვნის ავსებას,  
ტკივილით დიდხანს ვრჩები იქავე,  
ხოლო დუმილის ძველი არსება,  
საკუთარ თავსაც ველარ იკავებს.

ვერ გამაკვირვებ ახლა ვერაფრით  
(ყველა „არა“-ზე გითხარი: „კი“-თქო)  
ისე ეცემა ფანტელი, თითქოს  
ჩამოუშვია ფრთები სერაფიმს.

და დღეცისმარე ზრახვას პინიერს  
ვახშობ, საკუთარ „მე“-ს თუ ვერევი,  
არყოფნისაკენ გადავიწიე  
და ფერი გამყვა ყოფიერების.

ბოლო ხმიადსაც, ალბათ, მიცხობენ  
და ცხვება ჩემთვის ბოლო უარიც  
და რა ხანია, მიდის სიცოცხლე,  
როგორც ზედმეტი რეპერტუარი.

და დარჩენილიც წლებმა შებინდა,  
იქ, სადაც მუქი ცისფერს ერევა,  
წვეთავს ყინულის ლოლუებიდან  
ზამთრის შავ-თეთრი მეხსიერება.

...შენ კი, ვინ იცის, აწყობ ჩემოდანს  
(მე აქ დარჩენას თუ კვლავ ვუგალობ)  
და კარგად იცი, რომ უჩემოდაც  
მატარებელი გავა უბრალოდ.

გავა და თითქოს წარსულს წაიღებს,  
სიმუნჯეს რელსის გაღმა-გამოლმა,  
მე კი დამრჩება გზა არსაითკენ,  
დიდი ხნის წინათ სხვაც რომ გამოჰყა.

და ღმერთმა იცის, ასე თუ ისე,  
სად შეყოვნდება წუთი მრავალი,  
რომ ან წარსული მომიგრეხს კისერს,  
ან, ბოლო-ბოლო, თვით მომავალი.

## ნიკოლას მაჩაბელი

### ვირჯი, ანუ აღმოსავლეთევროპული მოგზაურობა

●  
მე ახლა დუნაის სანაპიროზე ვზივარ, მჭადს და ყველს შევექცევი, ხო, ატამიც მელოდება და პეჩენიებიც. რამ-ხელა ყოფილა ეს შობილა დუნაი, ასეთი ფართო მდინარე ერთი რიგაში მახსენდება დაუგავა და დიუსელდორფში – რაინი. ჩემ წინ ტონიბით წყალია, მასიური, დიდი მდინარეა, ყველა და ყველაფერი მის გარშემო ტრიალებს.

ვირჯი, შენი წერილის კითხვა მაშინვე დავიწყე, როგორც კი თვითმფრინავი ცაში აიჭრა, მშიერი ძალივით დავეწავე და ყველაფერი, რაც კი გენერა, ვიგრძენი.

სადღაც მაქვს წაკითხული, როცა უკვე ალარაფრის გჯერა, როცა უკვე ალარაფერს ელი, სწორედ მაშინ დაგატყდება თავს სიყვარულიო. მე სულ ეს მეფიქრება, როცა ჩვენზე ვფიქრობ.

წარმოგიდგენია? მთელი გზა გელაპარაკები, შენთან ერთად ცხოვრების გეგმებსა და ოცნებებს ვაწყობ. წარმოგიდგენია? რაც აქ, მდინარის პირას, დავჯექი, დარწმუნებული ვარ და გულში გეუბნები: შენ ახლა აქ რომ იყო, ჩემ გვერდით, ყველაფერი გაგისწორდება – უმოქმედობა, ტურისტობა, სიახლეები, მდინარის გრილი სანაპირო, ჩემ წინ

ახლა კატერმა რომ ჩაიარა, იმის უკან მოყოლებულ შეფებსაც შეამჩნევდი, იმ სამ სკუტერსაც გაადევნებდი თვალს და მოხეტიალე იტალიელ ფოტოგრაფსაც. შენ აქ ხარ, ჩემთან, არანაირი დრო არ არსებობს. შენ მიხვდები ამას, შენ ახლა აქ ხარ, მხოლოდ აქ და სხვაგან არსად, სამარადისოდ. იქაც კი არ ხარ, სადაც ხარ ახლა, მგონი ოფისში, მგონი გზაზე. არ ვიცი, ეგ საეჭვოა, ასიანი კი არის ის, რომ შენ აქ ხარ, ჩემ გვერდით, დუნაის ნაპირას, მოკრული ხარ ჩემს მელავზე და შენი დაბუშტული სახით შემომცერი.

შენთვის პირადად მინდოდა რამდენიმეჯერ იმის თქმა, რომ მე შენ დიდი ხანი გელოდი, შენზე ლექსებსა და სიმღერებს ვწერდი. ჰო, ჰო, შენზე – ბავშვობაში, თინეიჯერობისას, ჭაბუკობისას. ნახე ჩემი ადრინდელი დღიურები და რვეულები – ყოველთვის ვეძებდი იმას, ვინც გამიგებდა, ვინც ჩემს გულსა და სულს შეერწყმებოდა, ვინც ჩემს სხეულს შეაკრთობდა – „ერთადერთს“ ველოდი. ახლა კი, რაც შენ შეგხვდი, ხარ კი შენ ის? ეს კითხვა არ გამჩენია.

ვირჯი, ახლა მთელი ეს ორი კვირა შენ დაგელაპარაკები ასე, შენ მოგიყვები ჩემს აღმოსავლეთევროპულ ტურნეზე. ბუდაპეშტში ჩამოსვლისთანავე მივ-

ხვდი, რომ ჩემი ქუჩა თბილისში, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე – ბუდაპეშტის ქუჩა, ბევრად მეტია, ვიდრე ეს ქალაქი – ბუდაპეშტი. ჩამოსვლისთანავე ვიგრძენი, რომ უნგრელები ისე რა ევროპელობდნენ.

აეროპორტიდან ქალაქის ცენტრისკენ მეტროთი რომ გამოვემართე და ვაგონები დავინახე, გული შემინუხდა – ჩვენ უფრო კარგი მეტრო გვაქვს თბილისში, ვირჯ, ვიფიქრე, ხალხი აქ რას ჩამოდის ან ტურისტულად, ან საშობინგოდ-მეტქი. ცენტრში ცოტა ამოვისუნთქე, აქ მთელი ავსტრია-უნგრეთის ისტორია იყითხება – ევროპული ხანა, ევროპული არქიტექტურა, ლამაზი ქუჩები, ყველაზე მეტად კი დუნაიმ გაასწორა, იმხელაა, იმხელაა, ღორმუცელა დრაკონივით გადაჭიმულა ჩემ წინ, ამასთან შედარებით ჩვენი მტკვარი არაფერია. ხო, დუნაი მართლა შთამბეჭდავია.

თუმცა, overall, როგორც შენ იტყვი, ბარსას, სევილიას, კრაკოვის, ბერლინისა და პარიზის შემდეგ ბუდაპეშტი რა ქალაქია, დიდი არაფერი, ორი დღეც საკმარისია, მე თუ მკითხავ, ერთგვარი სატრანზიტო არტერიაა, დუნაი ასრულებს, მოკლედ, გადამწყვეტ როლს.

ახლა მოდი, სულ ორი წუთი ვითა-მაშოთ. დუნაის პირას რომ დავჯექი, თვალით გავზომე სიგრძე, სიგანე და რა თქმა უნდა, სილრმესაც მივადექი, მერე იმასაც, რომ შეიძლება გადახტე კაცი და ჩაგყლაპოს ამ ღორმა წყალმა. ჩემს სკამეიკასთან მსხვილი რკინის დაბალი ბოძი დგას, რომელზეც რკინის ბაგირია მობმული. ეს ბაგირი კატერების სადგომ ფორანს აკავებს, დუნაიზე ისეთი ძლიერი ქარია, რკინის ბაგირსაც ათამაშებს და კატერების ფორანსაც. მოდი, არც დუნაიში გადავხტეთ და არც ნაპირზე დავრჩეთ, ნელ-ნელა მოვეკიდები ამ რკინის ბაგირს, გავცდები სანაპიროს და მდინარის თავზე დავეკიდები. მარწიოს დუნაის ქარმა, მაქა-

ნაოს. სიგიურა, მაგრამ ვიცინი, დუნაის ქარი იღლიებში, კისერზე მიღიტინებს და გხედავ – ნაპირზე შენც შენებურად ბავშვურად ხითხითებ.

### ბუდაპეშტი

ძლივს გავიყვანე დრო. ბოლოს რომ გელაპარაკებოდი დუნაის ნაპირიდან, იმის მერე ოთხი-ხუთი საათი გავიდა, მთელი ბუდაპეშტი მოვიარე, ასე მგონია. ვიყავი მთავარ ბაზილიკასთან, შიგნითაც შევედი და დავჯექი კათოლიკურ გრძელ სკამეიკაზე. აი, ჩვენი მშობლების თაობას რომ ჰქონდა სკოლაში მერხები, აი, ეგეთი დასაჯდომია. შევედი და დავჯექი. ისეთი დაღლილი ვიყავი, კათოლიკე მლოცველივით წინ წავიწიე და თავი მერხზე დავდე, ვითვლი ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... და ასე მინდა ავიდე რაღაც რიცხვამდე, რომ მეყვინთება.

წინა ორი დღე, შენზე უკეთ არავინ იცის, როგორი გადარჩენა დღეები მქონდა, წესიერად არ მიძინია. ჩამოვედი თუ არა, დავდივარ უნგრეთის დედაქალაქში. აქ ისეთი მზე დააჭირა, ღრუბელი საერთოდ არ ჩანს დიდ ცაზე. დიდი ცა იმიტომაა, რომ ვაკვირდები – ქალაქში ხუთ-ექვსსართულიან სახლებზე უფრო მაღალი შენობები არაა, შესაბამისად დიდი, ფართო, ხილვადი ქალაქია. ეკლესიაში რომ ვიყავი და თავი მერხზე მედო, ის გამახსენდა, შენ რომ შემამჩნიე პირველად აუდიტორიაში შემოსვლისას. ჯერ მე შეგამჩნიე, რომ შემოკუსკუსდი თვალებდახრილი. „ძლივს სილამაზე-თქო“, – ასე გავიფიქრე, მერე კი შენ შემამჩნიე – თავი ჩარგული მქონდა ხელებში, მაშინაც მეძინებოდა.

ბაზილიკაში ყოფნისას გამიკვირდა და გამიხარდა, რომ რამდენიმე მლოცველიც შემოვიდა, მერე იმას დავაკვირდი, რომ ტურისტებიც დიდი სიფრთხილით და მოწინებით იქცეოდნენ.

მერე, ვირჯ, ძ უცნაური და სასა-ცილოა, როგორ იქცევიან სხვადასხვა-რჯულის ადამიანები-ტურისტები ეკ-ლესიაში. შევამჩნიე იაპონელი მაღალი, იშვიათი სიგამზდრის სასიამოვნო ქალი, შემოვიდა და იცი, რა გულიანად ილი-მოდა? იცი, როგორ უხაროდა, რომ ამ ყველაფერს ნახულობდა? კულტურული ინდივიდი იყო-მეთქი. ესენი იმიტომ იკ-ლავენ თავს იმდენი მუშაობით, ბოლოს რომ ასე დატკბნენ ევროპული კულტუ-რით-მეთქი. გავიხედე და შემოვიდა აშ-კარად ამერიკელი კაცი – შორტებით, აწითლებული სახით – მერხზე წამოჯ-და, ხელები განზე გაშალა და ფეხი შე-მოდო. აი, ასე მეგონა, ძროხების სუნი დადგებოდა, სუფთა ამჩემფეხება ტეხა-სელი კოვბოი იყო, ერთი ქუდი არ ეხუ-რა და დეზებს არ აწკარუნებდა, თან – რაღაც იმპერიალისტური, ზევიდან ყუ-რება რომ დასთამაშებს. ნუ, მოვიდნენ გერმანელებიც, რაღაცები იბუხუნეს და წავიდნენ, მაგათი აღარაფერი აღარ მესმის. აი, აი, ყველაზე დამახასიათე-ბელი იყო ბრიტანელი წყვილი ორი შვი-ლით. ბიჭს კალიასკა მოჰქონდა, დედას კი ორი შვილი ჩაეკრა, მოლელილი ეცვა და რამდენი ბავშვებთან დაიხარა, იმ-დენი დავინახე სავსე დიდი ძუძუები, ბავშვებთან იხრებოდა და სამი-ოთხი წლის გოგო-ბიჭს ბრიტანული ინგლი-სურით უხსნიდა, ეს რა სცენა იყო, ეს რა მხატვრობა იყო, ის რა სცენა იყო. აშკარად კაი ხელოვნებათმცოდნე, ხე-ლოვნებამოყვარული ქალი იყო, ცდი-ლობდა, პატარებისთვის თავიდანვე ეს-წავლებინა და ჩაენერგა რაღაც „სხვე-ბი“. პატარები ვერაფერს იგებდნენ და ამ დროს გამახსენდი შენ. არა რა, ეს ფილიპინელები საერთოდ სხვა თემაა, შემოცვიდნენ და გულმხურვალედ არ დაიწყეს ლოცვა. რომის პაპზე უფრო კათოლიკები გეგონებოდა. უცნაურია, ისე ევროპიდან წასულმა კათოლიციზ-მმა ფილიპინელებში, ლათინოამერიკა-ში მონახა გულები, ევროპაში კი ისე

დაძველდა, სუნიც აღარ ასდის.

ჰო, ტაძარში, მერხზე ძილისას ისე-თი სასიამოვნო ხის სუნი იდგა, აი, ამ ხის მერხების. ვნატრობდი: ნეტა, ვი-ცოდე, რომელი ხის მერქნისგან დაამ-ზადეს ეს სკამეიკები-მეთქი.

ბაზილიკის მერე ბუდას ციხესიმაგ-რეზე ავედი ბუდაპეშტის ფუნიკულიო-რით. სანამ ფუნიკულიორამდე მიხვალ, დიდი „ჯაჭვის ხიდი“ უნდა გადალახო, ძ დავიღალე, მთელ დუნაის კვეთ, მეო-რე ნაპირას გადადიხარ და თან თაკა-რა მზის ქვეშ, კიდევ უფრო დამღლე-ლი იყო რიგი ფუნიკულიორის ბილეთის ასაღებად. დიდი არაფერი ეს ფუნიკუ-ლიორი, ლამაზი კია, მაგრამ არც ისე გრძელი და დიდი, როგორც ჩვენი მთაწ-მინდის. ჩვენი იმშელაა, 700-800 მეტ-რამდე აჟყავხარ ჩვენს ფუნიკულიორს, ეს კიდე რაღაც 100 მეტრზეც არ ავი-და. ჩვენი მთაწმინდის ფუნიკულიორი ისეთი რომანტიკულია, გახსოვს? სულ იმაზე ვფიქრობდი, მე რომ მოგიტაცე ლექციის მერე. ჯერ რომ დავიკარგეთ, ბოლოს კი, როგორც იქნა, ავედით და ქალაქს გადმოყვურებდით. ზურგიდან გეხვეოდი, გადარბენაზე პონჩიკის ყიდ-ვაც ძლივს მოვასწარით. შენ დამცინო-დი თუ როგორ ველაპარაკებოდი პონ-ჩიკის შეკვეთისას გამყიდველს.

მე მოვიარე ბუდას ციხესიმაგრე, გადმოვხედე ქალაქს და ჩამოვედი, ახ-ლა ქვევით, ბალში ვზივარ და ვწერ ამ ყველაფერს. ჩემს ფეხებთან სამი ლონ-დონელია გაშხლართული – ორი გოგო, ერთ ბიჭი. უნდა ნახო ამათი კუდაბზი-კობა და სნობიზმის მომენტები, გული-ანად ვხალისობ – პირდაღებული, გასი-ვებული სინითლეები...

ბუდაპეშტი



მეორე დღეა, უშენოდ ვარ, ვირჯ, მეორე დღეა.

ახლა Fisherman House-ზე ამოვედი, ბუდაპეშტის რიგით მეორე ტურისტუ-

ლი ატრაქციაა. აქედან ქალაქი კარგად ჩანს, მეორე სანაპირო, პარლამენტი და იშტვანის ბაზილიკა. ამ მეთევზის კოშკურაში ამოვედი, დიდი არაფერი, ტიპური ციხეა, ეკლესიაში ფასიანი ყოფილა შესვლა, ვერ ვიტან, როცა რელიგიურ ადგილებს, რწმენის ადგილებს ყიდიან, ამიტომ, რა თქმა უნდა, არ შევედი. ასე მოვიქცი ბარსელონაშიც საგრადა ფამილიასთან და ბერლინშიც ბერლინის დომზე – არც ერთი შიგნიდან არ მოვინახულე. როგორც ჩანს, შიგნიდან უმნიშვნელოებია ეს ტაძრები. აი, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ხომ ყველაზე ცნობილი ტაძარია მთელ მსოფლიოში, არ დამავიწყდება, შესვლაც უფასო იყო და კათოლიკე მრევლიც დამიხვდა, რომელსაც შევუერთდი. ფრანგმა სტიქაროსანმა ბიჭმა ხელში ფრანგული ალილოს ტექსტი მომაჩერა და მითხრა, აჰევიო. იმის მერე კიდევ უფრო შემიყვარდა ყველაფერი ფრანგული, ბუდაპეშტშიც რომ ფრანგულზე ვლაპარაკობ. ჰა, ჰა, მოდი, შენს იტალიურზე ვილაპარაკებ. აქ, ამ ქონგურებს რომ დავუარე, ყველგან ხალხის ტევა არ იყო, ყველა სურათს იღებს, ყვირიან, მე კი ისეთი ქონგურის შერჩევა მინდოდა, სადაც სიგრილეც იქნებოდა და ცოტა ხალხიც და აი, ერთ-ერთ ქონგურზე წრიულ სვეტებში ორი იტალიული ბიჭი ზის, ხმამაღლა საუბრობენ იტალიურად, ეს ორი იტალიელი ამ წრიული შუა საუკუნეების ფორმის ისტორიულ ადგილას, თან ჩაზმანულნი, River Island-ები და Springfield-ები – ორი თანამედროვე მიქელანჯელო და ლეონარდო და ვინჩი. დავჯექი აქ მათი შემყურე, ისინი კი მალე წავიდნენ, სანამ მე ნიავით დავტკბი და წერა დავწნე. აქედან თუთის ხეების ფონზე ვუყურებ ბუდაპეშტს.

ვირჯ, ჩემს მასპინძლებზე არ მითქვამს არაფერი. ბიჭი, ზოლტანი, ერთი ჩვეულებრივი მშრომელი უნგრელია, მის სახელსა და გვარშიც მიხვდები, რომ უნგრელები mix ხალხია, ჩვენსავით ხან ვინ იპყრობდა, ხან ვინ. მისი სახელი

ზოლტანი თურქულიდან მოდის – სულტანიდან. როცა ორი საუკუნე ჰქონდათ ოტომანებს დაბყრობილი უნგრეთი, მაშინ შემოსულა ეს სახელი. გვარი კი, არ გაინტერესებს? გვარად შტაინერია. ეს გვარი – უკვე ავსტრიელებმა რომ დაგვიპყრესო, თავად კი ატილას ენაზე საუბრობს. აი, ასეთია ზოლტანი. ზოლტანი თავის შეყვარებულთან ერთად ცხოვრობს, მას ემეში ჰქვია, ერთი სათვალიანი გოგოა. აი, პროფესია რომ ამართლებს გარეგნობას, ასეთი გოგონაა. მოკლედ, მასწავლებელია. ემეში და ზოლტანი შემხვდნენ გუშინ „ჯაჭვის ხიდზე“ (ამ „ჯაჭვის ხიდზე“ სულ ქუთაისი მახსენდება), წამიყვანეს თავიანთ სახლში, ბუდაპეშტიდან მატარებლით ათი წუთის სავალ გზაზე ქალაქ Vac-ში და იქ დავრჩი. კარგად მეძინა, მხოლოდ შენ მენატრებოდი, შენზე ვფიქრობდი და იმ წერილზე, რომელიც მომწერე...

ამ ქონგურის ქვებზე მწერი დაფრინავს. რაც აქ ვარ, დამტრიალებენ ეს მწერები, სადაც უნდა ვიყო, მასხდებიან. ვეუბნები „ჰაი“-ს თითოეულ მათგანს და თუ ძ არ შემანუხეს, ვანებებ თავს.

ვირჯ, აქ გოგოები და ბიჭები თავისუფლად დაიარებიან მოკლე შორტებით, ტოპიკებით, ტატუებით, საყურეებით, ძ მსიმოვნებს ამათი თავისუფლება. ბუდაპეშტი უჩვეულოდ მზიანი დამიხვდა, ზოლტანმა მითხრა ასეთი ცხელი ზაფხული ბუდაპეშტში წლებია არ ყოფილაო, ისიც მითხრა, ალბათ, შენ ჩამოგვიტანე მზე თბილისიდანო, თბილისის მზე.

გუშინ, როცა Spar-ის დიდ სუპერმარკეტი ვიყიდეთ რაღაცები და სამივე სახლში მივდიოდით – მე, ზოლტანი და ემეში – გზად ტყის ბილიკზე ფისო შეგვხდა. ემეში ეცა და დაუწყო ფერება, მიიხურა გულზე, ფისომაც შეფერა, ემეშს წამოყვანა უნდოდა, ზოლტანმა კი არაო, მაგის ადგილი სახლში არ გვაქვსო. მოკლედ, ემეშმა: ცოტა ხანი დავრჩები, მოვეფერებიო და მე და

ზოლტანი ბილიკს გამოვუყევით, გავაგრძელეთ გზა სახლამდე. ტყეში გზაზე ზოლტანი სულ იმას წუხდა, ნეტა, ემეშმა ის ფისო სახლში არ წამოათრიოსო. მივდიოდით ორნი Vac-ში მწვანე, დაბურულ ტყეში, აქა-იქ ლამაზი დაჩები, მზე ჩადიოდა, ზოლტანი ისევ ემეშზე წუხდა და მის კატაზე, მე კი მახსოვს, დაღლილს, უძილოს, ბარგაკიდებულს როგორ მანვებოდა შენთან არყოფნის სევდა, ჩვენი ამბის სევდა, ჩვენი სიყვარულის მელოდია, მივდიოდით ორნი სიმწვანეში, ტყის ბილიკზე...

ვაცი

●  
4:20 წუთზე ადგება ბიჭი, ბარგს მოიკიდებს და დაადგება გზას. გამთენიოსას ჯერ კიდევ ყველაფერი ნაცრისფერია, ადამიანის ხმა საერთოდ არ ისმის, მათი ხმა, თითქოს, გუგულების ხმამ ჩაანაცვლა, გუ-გუ, გუ-გუ – ისმის Vac-ის ცარიელ ქუჩებში.

გრძელ გზაზე მგზავრმა შემოუხვია და ნატრობს ეს მოგზაური ბიჭი, ვინმე სულიერი გამოჩნდეს, არავინ არ ჩანს, მის გულში კი ანთიხარ შენ, ჩემო ვირჯი, ნათებასავით, ნათელივით რომ შემოიჭერი მის ცხოვრებაში.

ბურგუნდიის ქუჩაზე გამოუხვია, მოხუცთა თავშესაფარი უკან მოიტოვა და ჩუმ ნაცრისფერ გზაზე მიდის. ხეებიდან გუგულების ხმა არ ჩერდება, გუ-გუ, გუ-გუ, ერთი-ორი ხის ძირშიც ჩამოსკუპებულა და გარშემო ფუსფუსებენ. აი, თურმე როგორები ყოფილან ეს ჩიტები, სხვისი შვილების გამტაცებლები...

ვირჯი, დილით წამოვედი Vac-იდან. ზოლტანმა და ემეშმა ისე მეგობრულად გამომაცილეს, ვერ წარმოიდგენ. გუშინ ლამე შინ დაპრუნებულს ზოლტანმა თავისი გაკეთებული ქათმის საუზმე დამახვედრა, ბევრი ხახვითა და ნივრით. უცნაური გემო ჰქონდა, გემრიელად ვჭამდი, მერე კი უნდა გენახე,

ეს ახალი გემო უცნაურად დატრიალდა პირში და ვაითუ აქ ვარწყიო-მეთქი, გადავრჩი – არაფერი რევოლუციური არ მომხდარა ჩემს თავსა და კუჭზე.

ღამე კი, ღამე, ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასეთი წყვილის სტუმარი ვიქებოდი. ფეხბურთის ყურების მერე წავიდნენ თავიანთ ოთახში და მესმის, ემეში წიგნს უკითხავს ზოლტანს. ისმოდა ზოლტანის კომენტარები, მერე მათი ნაზი საუბარი და განხილვა, კისკისი. ისე გამიხარდა რომ ამ უნგრელებში რაღაც პოეტური და ჩვენებური აღმოვაჩინე. ვფიქრობდი, შანდორ პეტეფის ლექსებს ხომ არ უკითხავს-მეთქი ემეში ზოლტანს. ასე იყო ბოლო ღამე უნგრეთში.

დავუბრუნდეთ ბიჭს, რომელიც გამთენისას გზას დაადგა. სადგურს მივუახლოვდი და დავმშვიდდი, ჩემთან ერთად მოვიდნენ კონდუქტორები და ერთად ჩავსხედით მატარებელში. ეს დღეები, რაც Vac-იდან ბუდაპეშტში და პირიქით მატარებლით დავდიოდი, სულ იმას ვფიქრობდი, როგორ კომფორტულად აქვთ მოწყობილი ტრანსპორტი. ყველაზე მთავარი, რაზეც გავამახვილე ყურადღება, იყო მატარებლის გაჩერება სადგურებში. აი, ჩვენთან მეტროში, გინდა მატარებლები რეგიონებში რომ ჩერდებიან, დიდად ატორმუზებენ. დიდი დატორმუზების შემდეგ შენ, ანუ მგზავრი ჯერ წინ იწევი, მერე კი დიდი დარტყმით უკან გადავარდები. ეს შეგრძნება ისე გამჯდარი გაქვს, რომ გგონია, ყველგან ასე უნდა იყოს. აქ კი მატარებლებით მგზავრობისას უმნიშვნელოდ შეყენდება ვაგონი და შენც არ მომიკვდე – არც უკან იწევი, არც არაფერი ზედმეტი, მე კი მგონია, ისევ უნდა გადავვარდე. ნურას უკაცრავად, ვრჩები ასე გაბანძებული და ეს უკან-გადაგდების გამჯდარი შეგრძნება ისე მაშტოთებს, რომ ლამისაა ძალით გადავვარდე ზურგზე.

ევროპელი მძლოლები, ალბათ, განე-

რილი სიჩქარით დადიან, ტორმუზსაც ძლიერად არ ხმარობდნ, არსად მიეჩქარებათ, იციან დრო და ადგილი, მგზავრისთვისაც შეუმჩნეველია ყველაფერი, ამიტომ გრძნობ თავს ყველაზე მეტად უსაფრთხოდ, არანაირი დისკომფორტი, არანაირი შიში, თითქოს საკუთარ სახლში ხარ. ჩვენთან კი, საქართველოში, მძლოლებს ნერვები არ ჰყოფნით, არც შესაბამისი ანაზღაურება აქვთ, არც ამათნაირი უნიფორმა, არც ამათნაირად სუფთად და მოხდენილად არ დაიარებიან, ჩვენთან არც ისე პოპულარულია ეს პროფესია, აქ კი პატივსაცემი. მოკლედ, დაკვირვებული ტიპი აუცილებლად შეამჩნევს ევროპული მატარებლების შეუმჩნეველ გაჩერებას სადგურებში.

ბუდაპეშტში რომ ჩავედი, მერე და-იწყო ექშენი. ერთი საათი მქონდა და ფეხით დავწნები ავტობუსების სადგურისაკენ, რომელსაც ნეგლეგტი ჰქვია და საიდანაც ჩემი ავტობუსი RegionJet წამიყვანდა ვენაში ბრატისლავას გავლით. რუკაზე პატარათი ჩანს ეს გზა ნეგლეგტამდე და მგონია, ადვილად მივაღწევ, გზად იშტვანის ბაზილიკა უნდა გავიარო და უიუტის ქუჩას და-ვადგე, მგონია, რომ ადვილად მივაღ, მე ხომ კარგი ფეხით მოსიარულე და გზების გამგნები ვარ, თან წინ ერთი საათია.

მივსეირნობ დილის ბუდაპეშტში, 5:45 წუთია, ავტობუსი 6:45 წუთზე გადის. შევატყვე, რომ ბუდაპეშტში ორდღიანი ხეტიალის შემდეგ ფეხები მტკიცა, მარჯვენა ფეხზე ვგრძნობ და-სივებას, მარცხენაზე კი ტერფის მობრეცას, ვხვდები, რომ დროებითი ტკი-ვილია და რომ გამივლის დასვენების მერე. მოკლედ, აი, გამოჩნდა კიდეც იშტვანის ნაცნობი ბაზილიკა, ქუჩები, ბუდაპეშტის ფუნიკულიორი. უი, ამ ქუჩაზეც ხომ ვიყავი და გავერთე ასე ქუჩების გადამღერებით. დავხედე სა-ათს და 6:20 წუთია უკვე, მე კი მთავარ

უიუტის ქუჩაზეც კი არ გავსულვარ. დავიწყე სირბილი, ზურგჩანთა უკან მაქვს მოგდებული. ორივე ფეხი მტკი-ვა, ნეგლეგეტამდე ოცი წუთი მაქვს დარჩენილი, მივრბივარ და ვიღლები. ვფიქრობ, რატომ გავწვალდე და გა-დავდივარ მეორე მხარეს ტაქსის გასა-ჩერებლად. შენც არ მომიკვდე – ყველა ტაქსი დაკავებულია, მერე კი ცარიელი გამოჩნდა. ხელს ვუქნევ და არ მიჩე-რებს. გაგიუდები, ჩვენთან ხუთი-ექვსი მოყენდება ერთი ხელის დაქნევაზე, აქ კი თურმე მხოლოდ გამოძახებით ან სპეციალური ადგილებიდან შეგიძლია ტაქსით იმგზავრო. ამ დაკვირვებით მორიგი შედარება შეგვიძლია გავაკე-თოთ: ქვეყანაში, სადაც ერთ მგზავრზე ხუთი ტაქსი მოდის, ე.ი. ხალხი უმუშე-ვარია და ქვეყანა რიგზე ვერაა, გონზე ვერაა, ხოლო ქვეყანაში, სადაც ტაქსი უნდა ეძებო, ე.ი. მოთხოვნადია სერვი-სი და დასაქმებულიც მეტია.

გამიგრძელდა მსჯელობა, არადა, ჩვენ ექშენში ვართ, არ მიჩერებენ ტაქ-სები და მე ისევ ფეხით გავრბივარ. სა-ათს დავხედე და ამ ტაქსების სისტე-მის გარკვევაში ათი წუთიც გასულა და 6:36 წუთია, არადა, 6:45 წუთზე გადის ავტობუსი. მივრბივარ და გამოჩნდა უიუტის ქუჩა – დიდი მაგისტრალია, დიდი სამანქანო ხიდი გადადის ზედ, აქეთ ბუდაპეშტის საფეხბურთო სტა-დიონია და შორს კი, იქით, პორიზონ-ტზე მოჩანს ნეგლეგეტი. პირველივე შემხვედრს ვეკითხები: „მივალ იქამდე ხუთ წუთში?“ „No, no may be 15-10 min-utes“, წარმოუდგენელია, გავრბივარ, ფეხები მტკიცა, დავიგვიანე, ოფლი მას-ხამს, ვფიქრობ, მთელი დღის გნრიგი უნდა შევცვალო, სხვა გზა არაა, ფული დამეხარჯება, თან d. წარმოიდგინეთ, ვენაშიც მატარებელს უნდა მოვხტომო-დი, იმასაც ვერ მივუსწრებ.

მოკლედ, ვირჯი, მივრბივარ და ღმერთს შევჩივი, მეღადავები, ღმერ-თო? ახლა ეს იქნებოდა? ეს დაწყევლი-

ლი ტაქსები, ჩემი ფეხები? რა უბედურებაა, ოფლში ვიღვრები, სულ დამის-ველდა ზედა, თვალებს ვხუჭავ და თავს ვაგულიანებ ბოლო ძალებით: გაიქეცი, მიდი, ფორესტ, გაიქეცი.

მივაღწიე ნეგლეგტს და RegionJet-ის დახლს ვხედავ, უკვე 6:48 წუთია, გამასწრო, ვერ მივუსწარი, ყველაფერი აირია. აი, ასე იყო, ვირჯ, გადავალ, იქ მაინც მივალ-მეთქი, გავარკვევ შემდეგი როდის გადის. მინისქემა გადასასვლელით გადავედი და რას ვხედავ – მოშორებით დგას ავტობუსი, ნეტა, ეს შემდგომია? ამის ბილეთი არ მაქვს. ნეტა, რა ელირება? მივირბინე. ხშირი სუნთქვით ვეკითხები ვარდისფერებში ჩაცმულ მსუქან ჩეხ გოგონას, დავიგვიანე, ვეუბნები, ხელით მანიშნებს, ბილეთიო. მივეცი და იქს, იქს! ეგ არის! დამელოდნენ, მთელი სტუდენტებით სავსე ავტობუსი მე მელოდებოდა. ეს ახალგაზრდები ბუს თვალებით მიყურებენ, მე კი თვალებს ძირს ვხრი, ყველა ქინძზე მკიდია, ფეხები მტკივა, სველი ვარ, ვიხდი ზედას და 27 ნომერ სკამზე ვიშლელართები. თვალებს სანამ დავხუჭავდი, გულ-მკერდს დავცეკეროდი, სადაც ჩემი ხის ჯვარი ჩამოკონ-ნიალდა, ჩემი ოფლით გალუმპულიყო და თითქოს ეს სიმბოლური ნიშანი იყო ღმერთის –

„გაგეკაიფე“, – თითქოს მითხრა ხის ჯვრიდან ისესომ და მე თვალები მივხუჭე. ბუდაპეშტი-ბრატისლავა-ვენა ავ-ტობუსი დაიძრა.

უნგრეთის მაგისტრალები

●  
ჩემი ის შემთხვევა, რომ მაგვიან-დებოდა ნეგლეგტის ავტოსადგურზე, მხოლოდ დასაწყისი იყო. ყველაფრის მიზეზი და თავი კი, ალბათ, ის გახდა, რომ ორშაბათი იყო. ორშაბათს არას-დროს არ უნდა დაგეგმო მნიშვნელოვანი საქმეები, მოგზაურობაზე ხომ ლა-პარაკიც ზედმეტია. გზაზე იმდენი რამ

შემემთხვა, რომ მეგონა მესიზმრებოდა. ბუდაპეშტი-ბრატისლავა-ვენის ავტო-ბუსში გამოვიძინესავით და დაახლოე-ბით ერთ საათში კრუასანი და კაპუ-ჩინოც გეახელით, რომელიც ზედმეტად წესების მოყვარულმა ვარდისფერუნი-ფორმიანმა ჩემა გოგონამ მომართვა. საერთოდ, თავიდან უხეშად და ცუდად დამიხვდა, ვაი-ფაიც არ იყო ბუსში, მა-შინ, როცა ეწერა, რომ უნდა ყოფილი-ყო. ერთი სიტყვით, გავახილე თვალე-ბი და დავიწყე პრეტენზიები საკუთარ თავში, ფიქრებში, ეს მინდა, ის მინდა, ეს ალბათ, უფრო იმის ბრალი იყო, რომ ფეხები მტკიოდა, ერთზე, მარჯვენაზე, საერთოდ, წყალივით ბუშტუკი გამოე-ბერა, მეშინია, არ გამისკდეს, ფეხები მტკიოდა და თან ისეთი ოფლის სუნი ამდიოდა, ახალი სუფთა სურნელება უკეტი მოვიცვი, იქნებ, რამენაირად გამსვლოდა ოფლის სუნი.


ამ ფიქრებში ვარ, რომ ავტობუსი შუა მაგისტრალზე გაჩერდა, წინ დიდი საცობია, ამასობაში სატვირთო მან-ქანებმა ნელ-ნელა ყანებისკენ დაიწყეს გადაწევა და ჩვენ გვერდით დიდ-მა სასწრაფომ და ხუთამდე სახანძრომ ჩაიარა, პოლიცია უკან მისდევდა, ნუ, ავარია იყო, რა. საერთოდ, ცოტა უც-ნაური და გასაკვირია, ევროპელების მანქანის ტარებას, გზის დათმობასა და სიფრთხილეს რომ უყურებ, წარმოიდ-გინო, რომ ევროპაში უამრავი ავარია ხდება, მეტიც, უამრავი დაღუპულია ამ ავარიათა სტატისტიკაში. მოკლედ, ასე გაჩერდა ორი საათით ავტობუსი, მე კი ყველაფერი ერთმანეთზე მაქვს აგებული. ყველაფერი დაწყობილია: ბრატის-ლავაში უნდა ვიყოთ 10:30-ზე და იქი-დან ვენაში 11:55-ზე. ვენაში არ ვრჩები, ვენას ამ ეტაპზე მხოლოდ სატრანზი-ტოდ ვიყენებ, ვენაში ორი საათი მაქვს დრო, რომ ავტობუსების სადგომიდან ვენის HB, ანუ ჰაუზტბანკოფში მივიდე და იქიდან უკვე მარიბორისკენ მატა-რებელში ჩავჯდე.

ვირჯ, ვერ წარმოიდგენ, როგორ გა-ინტელა ეს დრო, თან WiFi არაა, თან ვერ ვნახულობ შენს მონერილს, თან ვფიქ-რობ, რამდენი ზედმეტი თანხა დამე-ხარჯება ამ გაუთვალისწინებლობის გა-მო. უნგრეთი-სლოვაკეთის საზღვარზე მომხდარმა ამ ავარიამ ისე მანერვიუ-ლა, მგონი ერთი თეთრი ლერი დაემატა ჩემს ჭაბუკ თმას. არადა, რეალურად, პანიკიორები არიან, ორი საათი ამხელა ორკილომეტრიანი საცობის შექმნად არ ლირდა ეს ავარია. საბედნიეროდ, მან-ქანა არ აფეთქებულა, მაგრამ გაზის დიდი, ოთხბალონიანი სატვირთო მან-ქანა გართხმულიყო შუა გზაზე, იქვე, ყანაში კი გადაჩეხილიყო დაბალი სა-დისტრიბუციო მანქანა.

10:30 გახდა, ჩვენ კი ისევ საზღვარ-ზე ვართ, ვწუჟვარ, რომ მოვიდა ჩემი ბოროტი ვარდისფერუნიფორმიანი ჩეხი გამცილებელი, ის ქერათმიანი გასივე-ბული და მეუბნება, დავრეკე და თქვე-ნი ბილეთი გადაცვალეს, ბრატისლავა-ში ჩასვლისთანავე შემდგომ ავტობუსს გაყვებით ვენაში, ზედმეტი თანხის გა-რეშეო. აუ, როგორ გამიხარდა, პირი დავაძე. წარმოიდგინეთ, ამ გამცილე-ბელმა ყველაფერი განსაზღვრა, ისიც კი შემატყო, რომ ვნერვიულობდი და ყველაფერი ჩემი ჩარევის და კითხვის

გარეშე მოაგვარა, აი, ეს მესმის, ევრო-პა! აი, ასეთი ზრუნვა დასაფასებელია. რაც მთავარია, ფულის ხარჯვა არ მო-მიწევდა, მხოლოდ ერთი საათი მომაკ-ლდა ვენაში ყოფნის, ამიტომ ვენაში ჩასვლისთანავე ეგრევე ჰაუფტბანკო-ფისკენ უნდა გავქცეულიყავი.

ვირჯ, ბრატისლავაში როგორცვე შევედით, დავიწყე ფიქრი იმაზე, შენ ამ ქუჩაზე თუ გადასულხარ? ან ამ ქუჩაზე თუ გისეირნია? ამ კაფეში თუ მოჰკარი თვალი ვინმე ბიჭს? ოი, ვირჯ, ჩემი ფიქ-რების ოუპანტო ვირჯ, ბრატისლავაში ჩასვლისთანავე ეგრევე ვენის ავტობუს-ში გადავჯეი, სადაც საშინელი ინეტი დამიხვდა, მაგრამ მაინც შევძელი შენი მაილის წაკითხვა. უკეთ გავხდი, დავ-მშვიდდი. ავტობუსი რომ დაიძრა, მში-ოდა უკვე მთელი დღის ნამგზავრს და ახალი ვენისკენ მიმავალი ავტობუსის გამცილებელს, ამჯერად ბიჭს, ვეუბ-ნები კრუასანი და წვენი მინდა-მეთქი, ევრო და ოცდაათი ცენტიო. ამოვილე საფულიდან ორმოცდაათი ევრო, წვრი-ლი ევროები არ მქონდა, უნდა გენახა ამ ბიჭის სახე! არა, არა, მაგის ხურდა არ მაქვსო, მხოლოდ ხუთი ევრო მაქ-ვსო და ცხვირნინ ამიფრიალა ხუთევ-როიანი. აი, მაშინ კი გულში მოვკვდი სიცილით-მეთქი: ის ფილმი, „ევროტუ-



რი“ პროსტა ფილმი კი არაა, ყველაზე მაგარი ფილმია, რაც კი გადაუღიათ ევროპაში მოგზაურობაზე. ბრატისლავაში ლამის დარჩენა გადავწყვიტე – თუ ასეთი იაფობაა, შენც ჩამოგიყვან და სახლსაც აქ ვიყიდით-მეთქი, თუმცა მერე ისევ გადავთქვი, რა ბრატისლავა, თბილისი! თბილისი!

ბრატისლავადან ვენაში ორმოც წუთში ჩავედით. მოვიტოვე უკან უნგრეთის და სლოვაკეთის მწველი, ავარიული მზე. ჩამოვედი ვენაში და ვიღიმი, ჰო, აი, დებილივით ვიღიმი. წარმოიდგინე, რამხელა გავლენა აქვს ლიტერატურას ადამიანის აზროვნებაზე, წარმოიდგინე, რომ მე აქ ლიტერატურამ მომიყვანა. როგორც ტურაშვილმა თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში: წიგნები თარგმნეთ სხვა ენებზე და რომ წაიკითხავენ, ხალხი უფრო ჩამოვა საქართველოში, წიგნების გამოცემა და თარგმნა ტურიზმიაო. მართალია, იმის მერე სულ ვრწმუნდები დათოს სიტყვებში.

მოკლედ, ჩამოვედი ვენაში და ცრის, წვრილად წვიმს, მაგრილებს, მე კი დებილივით ვიღიმი და მახსენდება არტურ შნიცლერი, მახსენდება მისი ნოველები, წვიმა იმ კაცთან, რომელიც ცოლს დასტირის, მახსენდება ლეიტენანტი გუსტლის ვენური ლამე, ვფიქრობ ელისაზე და ა.შ. უდავოა კი, ვენაში არტურ შნიცლერმა მომიყვანა. არტურ შნიცლერამდე კუბრიკმა მომიყვანა მისი 1999 წლის ფილმით „ფართოდ დახუჭული თვალები“, მეოცე საუკუნის დასაწყისის ვენური აშლილობა, არტურ შნიცლერის საოცარი ნოველა როგორ გარდასახა კუბრიკმა 90-იანი წლების ნიუ-იორკში, შენ არ იცი. ამ ყველა-ფერმა კი შენთან მომიყვანა, ვირჯი, ეს გზაა შენამდე.

მოკლედ, ვენაში ახლად ჩასულმა მთელი შნიცლერი გავიხსენე და გავიქეცი HB-სკენ, თავიდანვე შევამჩნიე, ერთ-ორ ადგილობრივ ავსტრიელს რომ ვკითხე გზა HB-მდე, თავიდანვე ვიგ-

რძენი, რომ ეს სხვა ხალხია, ეს ნამდვილად სხვა ხალხია. ესენი გერმანელები არ არიან, გერმანულად ლაპარაკობენ, მაგრამ გერმანელობისა არაფერი სცხიათ, უფრო რაღაც დახვეწილი, საკუთარ თავში დარწმუნებული, უფრო სალმიანი, მეგობრული, დამხმარე, კეთილი და high კლასის ხალხია – გავრბოდი HB-სკენ და თან ამას ვფიქრობდი. შეიძლება ეს განსხვავება ისევ ისტორიამ განაპირობა. თუ ავსტრია-უნგრეთის დიდი იმპერია საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. ამასთან შედარებით, წმინდა გერმანული იმპერია ან სამეფო არასდროს არსებულა, მხოლოდ პატარა მოქიშე და დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოები, დაშლილობა და შეუთავსებლობა, სანამ ბისმარქი არ გამოჩნდა და არ გააერთიანა ეს ტომები. ავსტრია კი ერთიანი იმპერიული სამეფო, დიდებული მიწა იყო, ამიტომ არიან ავსტრიელები უფრო საკუთარ თავში დარწმუნებულნი, უფრო რეალურნი. ისტორია ბევრს შვრება, მეგობრებო, იმაზე მეტს, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

ვირჯი, შეგახსენებ, ვენაში თავიდან არ დავრჩი, მხოლოდ გავლით, აი, უკან გზაზე კი ვენაში ორ ლამეს გავატარებ...

ვენა-მარიბორის მატარებელი დაიძრა, მე გათანგული ვარ, წარმოიდგინე მთელი დღე, დილით 4:20 წუთზე ამ-დგარი მგზავრი. გახსოვს?

Vac – Budapest

Budapest – Bratislava

Bratislava – Vienna

Vienna – Graz

Graz – Maribor

ვენიდან გრაცისკენ მიმავალ ცუგში ავსტრიელი სკოლის მოსწავლე ბიჭები დამეგზავრნენ. ჯერ ვიფიქრე, ახლა ამათ უცხოელზე, ანუ ჩემზე თუ იკაითქს, ამათი ნერვები არ მაქვს, გადავჯდები-მეთქი და თან მომესმა ეგრევე, როცა რაღაც ჩამიბურდლუნეს და ინგლისურად ვუპასუხე, გადახედეს ერთმანეთს და და-

ინყეს „Spannien, Spannien“, ანუ ესპანელი ვეგონე. დასხდნენ – ორი წინ, ერთი გვერდით და ერთმანეთს ეხუმრებიან. მე ყურებს ვძაბავ, თან ვიხსენებ გერმანულს და თან ვაკვირდები, რა აქვთ სასაუბრო, როგორ განსხვავდება ავსტრიული გერმანული გერმანული გერმანულისგან და ამ პატარა განსხვავებულობებით ვხალისობ...

მოკლედ, ვირჯ, ჩემმა ავსტრიელ-მა ბიჭებმა იმდენი ითამაშეს, იხუმრეს, პოზიტივი მოაფრქვიეს, რომ გამამხიარულეს, თან მაქსიმალურად ცდილობდნენ ჩემს მათ თამაშებში ჩართვას და შიგადაშიგ ინგლისურ სიტყვებს ურევ-დნენ, ენერგია შემმატეს, მოკლედ, არ ვიცი, ისევ შნიცლერის ბრალი იყო თუ რა, მაგრამ ამ სამმა ავსტრიელმა ბიჭუნამ ვაგონი რომ დატოვა ერთ-ერთ სადგურში, თითქოს დაცვარიელდი, თუმცა მოწყენის და უარაფრობის დღე არ იყო ეს, ეს იყო მთელი ექშენის დღე და აი ისიც, მომდევნო დაბრკოლება, მორიგი ექშენია – გრაცშიც დააგვიანა მატარებელმა. მოკლედ, ამ ოშაბათს ყველა ყველგან იგვიანებდა. შესაბამისად, ორ წუთში უნდა მიმეგნო პლატფორმისთვის, საიდანაც მარიბორისკენ გადიოდა ცუგი, ჩამოვხტი გრაცში და ვაკვირდები პლატფორმებს ეკრანზე, სად დგას №5 მატარებელი, აი ისიც – მეექვსე პლატფორმა, უნდა ჩავიდე მინისქეშა გადასასვლელში და ისე უნდა მივაღწიო, ერთი წუთი მაქს დრო. გავრბივარ, შორსაა ეს მინისქეშა გადასასვლელი, ჩავედი, მეფეთებიან მესამე თუ მეოთხე ბაქანზე ჩამომდგარი მატარებლის მგზავრები, ერთი სიტყვით, ბარიკადებია. ავრბივარ მეექვსე ბაქნის კიბეებზე და რას ვხედავ, ჩემს თვალ-წინ შე მატარებელი მიდის, ვუყურებ, ვუყურებ და ისე ლამაზად მიდის, სხვა გზა ალარ მრჩება – ვიღიმი, ისე ლამაზად გამასწრო, ისე რომანტიკულად, ალარაფრად ჩავთვალე რამდენიმე საათით გადადებული ჩასვლა მარიბორში.

ვირჯ, აი ასე იყო ჩემი ერთი დღე, მთელი დღე გზაში, ოთხი ქვეყნის გადალახვა, სხვადასხვა ქალაქი, შენთან მაილობა, შენზე ფიქრი, შენთან ერთად დაკვირვება ყველაფერზე.

ახლა მარიბორში ვარ, აქ სამოცამდე ახალგაზრდაა, მე ჰოლანდიელ ისტორიკოსთან კარსტთან ერთად მოვხვდი ოთახში. კარზე კაკუნის ხმა გაისმა, უნდა გავაღო. აი, ისიც, ჩემი რუმმე-ითი. ჰოლანდიელი კარსტ ვან მეელენი ჩემზე ოდნავ დაბალი ბიჭია, წინ ოდნავ გამელოტებული ქერა თმით, მგავს ყველაფერში – ისტორიკოსია, ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის, უყვარს წიგნები, ჩამოუტანია ერთი სქელტანიანი და ჩემ წინ კითხულობს. რაღაცით მგავს, რაღაცით. მე ისევ ლიტერატურაში ვიძირები, გახსოვს, ვირჯ? ჰესეს „დამსვენებელში“ ერთ-ერთი ქვეთავი – „ჰოლანდიელი“, ჰმ, ჰმ U should read it.

მარიბორი



ვირჯ, როგორც იქნა, მოვიცალე შენთვის, ბევრი რამ დამიგროვდა მოსაყოლი. მოკლედ, აი, ისევ შენთან ვარ, წვით და წერით. ახლა ავტობუსი ლუბლიანისკენ მიექანება. კონფერენციის პირველმა დღეებში ჩაიარა და მე უკვე შემექმნა წარმოდგენა მონაწილეებზე სხვადასხვა ქვეყნიდან. თითოეული მათგანის დანახვაზე უკვე ჩემი ტვინი რეაგირებს შესაბამისად, თუ თავიდან მხოლოდ გარეგნულ მახასიათებლებზე და ჩემს სტერეოტიპულ ამბებზე ვაგებდი თითოეულ მათგანს, ახლა უკვე, მათთან გასაუბრების და კონტაქტის შემდეგ, შემიძლია სხვა დასკვნები გამოვიტანო.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გასაუბრება ადამიანთან, უცნობ პიროვნებასთან, ხსნის ყველანაირი სახის დაბულობას და მოლოდინებს თქვენ შორის. გასაუბრება ერთგვარი ანგიდეპრესანტია ქსენოფონბისათვის. ასე

მაგალითად, ერთი ბიჭი, რომელიც რატომლაც უარყოფითად მივიღე კანის ფერის გამო, მისი მუსლიმური სახის გამო და იმანაც შეამჩნია, რომ რაღაც ქრისტიანული, არც ევროპული და არც აზიური, რაღაც შუანა იდეოლოგიის პირმშო ვიყავი, შენიშნა რა პატრიოტული ან უფრო დამრტყმელი, ისიც, მოკლედ, შორიდან მივლიდა. უცნაურია, რატომ დავიწყე საუბარი ამ ბიჭზე, მისი სახელიც კი არ ვიცი, მაშინ, როცა სხვებთან უფრო ბევრი ვიკონტაქტე და რაღაც ამბებიც გადამხდა. ეს ბიჭი უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც იდეა, შენ კი იცი, მე როგორი სენტიმენტალური ვარ იდეების მიმართ, როგორი შოვინისტური, მე და ეს ბიჭი მესამე თუ მეოთხე დღეს გვერდიგვერდ აღმოვჩნდით და ასეთი საუბარი გაიმართა.

— What's up, man? — გადმოდგა ნაპიჯი, მივხვდი, რასაც მეკითხებოდა, მაგრამ გავეკაიფე.

— What's up? (ვეგულისხმობ ვოკაფის აპლიკაციას) No, man, I use Viber and Facebook, I don't have What's up app. მიხვდება, ილიმის, ყავისფერ სახეს, არაბულ სახეს მიკრეჭს.

— U r from? და იმართება საუბარი, დაძაბულობა გვეხსნება. განსაკუთრებით კომფორტულად კი მაშინ ვგრძნობ თავს, როცა ვეუბნები, რომ მისი ქვეყნიდან, დამავიწყდა მეთქვა — ლიბანელი არაბია, მისი ქვეყნის შვილი ჯიბრან ხალილ ჯიბრანი ჩემი ერთ-ერთი სულის კორექტორია, მოკლედ, ვახსენებ ჯიბრანს და ველი, რომ იმედგაცრუბა მელის — როგორც წესი, ასეთ კონფერენციებზე მონაწილეებმა არ იციან ხოლმე საკუთარი ქვეყნის კულტურა და მპასუხობს, რომ კი! იცის! ჩემმა ლიბანელმა არა მარტო იცის ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, არამედ მის სახლმუზეუმშიცაა ნამყოფი ლიბანის მთიან რეგიონში. მასაც აქვს წაკითხული „წინასწარმეტყველი“ და ვსაუბრობთ ჯიბ-

რანზე. გაოცებული ვარ, ეს ვირთხა, ეს შორეული, დაბლვერილი ბიჭი ისეთ თემებს გადმომილაგებს, რაც მე მათბობს ხოლმე, როცა ჯიბრანზე ვფიქრობ, როცა კი მისი „წინასწარმეტყველი“ მახსენდება, როცა წარმოვიდგენ, როგორ ინარჩუნებს უძველესი არაბი თავის ქრისტეს ლიბანის მაღალ მთებში, გარშემორტყმული, დაბრმავებული თურქული არმიით ან სხვა მუსლიმური იმპერიული სისხლნებურვილით.

ვირჯ, პირველი ამბავი ესაა, თუ როგორ ვმტრობდით მე და ლიბანელი და თურმე როგორი ახლობლები ვყოფილვართ ერთმანეთისთვის. ასეა, ეს მაგალითი კიდევ უფრო მარწმუნებს თვალების იმპეცილობაში და კიდევ უფრო მარწმუნებს, რამხელა ძალა აქვს ენას, ღიმილს, გაკაიფებას, იუმორს, დისტანციას, სიახლოვეს თუნდაც ფიზიკურად...

კიდევ მინდა გითხრა სერბ ბიჭზე, ჩემი ნემანია, ეს უკვე ის შემთხვევაა, თავიდანვე რომ შენია. ახლაც მეღიბება ამ ადამიანზე. სერბი ნემანია უნდა აღგინერო, დაბალი ბიჭი, არამოსული, ოდნავ კუნთიანი, აი, დებილი სახის გამომეტყველებით, სოფელში რო ერთი გიუ ჰყავთ, აი, მასეთი გარეგნობისაა, მაგრამ ტიპია — შოკი, შინაგანად ისეთია, რომ ვერც წარმოვიდგენდი, სერბი თუ შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო. ვირჯ, თან სოფლელია, ჩემთვის დ საინტერესოა ევროპელი სოფლელი, რაღაც ჭ ქალაქის რაღაც მახლობელი სოფლიდანაა და ბალის კრეფაში ეხმარება ხოლმე მშობლებს არდადეგებზე. ნემანია აშკარად ებრაული სახელია, მოკლედ, მე და ნემანია დავძმობილდით. ერთმანეთს ვუგებთ და ერთმანეთს ვასწავლით ქართულ და სერბულ სიტყვებს, ვლადაობთ გოგოებზე, ნემანია დრამზე უკრავს, მუსიკის შეგრძნება აქვს ამ სოფლელ სერბს, მეც კომფორტულად ვარ, აინტერესებს, ქართულად როგორაა „pussy“, ვეუბნები „მუტელი“ და იწყებს გამოთქმას:

- Muteli?
  - yes, yes it is.
  - it's like Moteli? a little hotel?
  - yes, sounds like“
  - იცინის, იკრიჭება
  - Let's go 2 Muteli, - ვხარხარებთ.
  - And how is it in Serbian language?
  - Pichka
- „პიტკა?“, ჰმ, ვფიქრობ, ადვილია, სპირჩასავით ულერს, „ს“ უნდა მოაშორო და ეგაა. მოკლედ, თუ მოვიწყენთ ან ვხედავთ რომ უაზრო სიტუაციაა, ერთმანეთს ვახსენებთ, რომ არსებობს ჯადოსნური სიტყვები „Muteli“ და „Pichka“, ერთმანეთს ვეძახით ამ სიტყვებს და წარმოიდგინე, სამოც კაცში ისმის:
- Hei, Mutelo! და მერე აქედან
  - Hei, Pichko!

წემანია მთლად ასეთი პახაპნიც არაა, ისეთი პროვინციული სიცოცხლის სუნი დაპკრავს, ახლავე მოგიყვები. ფურცელზე სულ ხატავს პატარა სახლს, გვერდით – ერთ ხეს და ცაზე – ჩიტებს.

და ეს სახლი, ეს გარემო ჩემთვის სამოთხესავითაა, მყუდროა, მაოცნებებს მისი ეს ნახატი, თითქოს ჩემთვის ხატავს. თითქოს მეუბნება ამ გზით ღმერთი, რომ: ხო, დროა – მე ვირჯისთან ერთად ერთ სახლში, ერთი ხე და ჩიტები, ჰო, ვთვლი, რომ წემანია, ჩემი ებრაულსახელიანი სერბი ძმობილი ღმერთის გამოგზავნილია. ერთხელაც მაისურზე ხატვისას წემანია მოდის და მახატავს სახლს, ხეს და ჩიტებს...

და გოგოები!

ოჳ, ყველა მოგზაურისთვის და ყველა მოგზაურის ჩანაწერების მკითხველისთვის მნიშვნელოვანია გოგოები, ვირჯი, შენთვის კიდევ უფრო ორმაგად მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ თავადაც გიყვარს ნაშებზე ყურება და გაინტერესებს, მე აქ ვინმეს ვუყურებ თუ არა, ვინ შეიძლება მომენტონს ან მოვენონ, შენი ჩუმი, შენი გაუბედავი ეჭვიანობით მენაბები და ამ ყველაფერს ყო-

ველ შენს წერილში ვგრძნობ.

ვირჯი, მინდა გითხრა, რომ სლოვენიელი გოგოები ლამაზები არიან, შენც იცი, მეც მომენტონენ, ისიც იცი, რომ მონაწილეები სხვადასხვა ქვეყნიდან რუსები, უკრაინელები, გერმანელები და ა.შ. გარს მახვევია, მაგრამ მათთან არაფერი არ ხდება და არც მიმაჩნია საინტერესოდ, ეს არც ფლირტია, წმინდა წყლის ფიქციაა, უბრალო, ელემენტარული მოთხოვნილებაა, გაეცნო მონაწილეებს.

არავინ არ მომენტონა სილამაზით და არც სულიერად, გულწრფელად გეუბნები. არავინ არ ღირს აღსანიშნად, ერთის გარდა, და მინდა მოგიყვე ამ ერთის შესახებ, ვირჯ, თან შენ ყველაფერს ძ კარგად გაიგებ, გაერთობი.

ის ახლა ორი სკამით უკან წევს ავტობუსის უკანა რიგებში. ორ სკამზე გაშელართულა, ხუჭუჭა, ყავისფერი თმა აქვს, შავი, შავი კანი, ჯინსი ამოუცვამს, დიდი წითელი ტუჩები და მაიმუნის განზე გახლეჩილი ცხვირი, დიდი თვალები და მოხდენილი წარბები, აი ასეთია ფიზიკურად ჩემი ზიმბაბველი – მუჩანიარო დხპილვარუ.

მუჩას რომ შევხვდი, ქუჩას დავადექით ერთად. მე რაღაცები მქონდა საყიდელი ქალაქის ცენტრში, მას კი ბანკიდან ფული უნდა გამოეტანა, დავემზავრეთ ერთმანეთს, თორემ მასთან მისვლას არც ვაპირებდი, ვერ გავხდებოდი ამ სასწაულის მოწმე, რაც ეს გოგოა. მუჩამ ლაპარაკი დაინყო და რა დაინყო, დაინყო სწრაფი ლაპარაკი, ინტრიგები, გამოწვევები, კბენები. ოი, რა აფრიკული პანტერასავით გოგოა, ამერიკულ ფილმებში რომ არიან ნიუ-იორკელი, ბრონქსელი ან ბრუკლინელი შავკანიანები, აი, ისეთი მანერებით ლაპარაკობს. ზიმბაბვედანაა, მაგრამ ალუირში სწავლობს. მომყვება ეს ზიმბაბველი და ხალხი შემოგვცერის – მე, ასეთ უჩვეულო ფითქინა კავკასიოლს და ამას – ასეთ შავ უჩვეულო აფ-

რიკელს. მეღადავება და მიწვევს მუჩა, თან როგორი პირდაპირია, უნდა ნახო, პირი დამალებინა.

— „ჩვენი ბავშვი რა ფერის იქნება? ღმერთო, შენი ფერის?“ — იჯღანება, თან მეპრანჭება, უსაყვარლესია, თან ეს ამერიკული ნიგააქცენტი, ხელების ქნევა, იოო, ვეუბნები, რომ ჩემი ერთერთი ნოველა ლიტერატურულ ჟურნალში დაბეჭდეს და უნდა ნახო.

— What? — ჩერდება, თეთრ კბილებს მიჩენს, R u a writer? Now, my goooooood, on my gooooood — და ადგილზე ხტის, ცეკვავს, კივის, — ააა, U should write smth about me, 4 me pleeeeassse, თან თამაშობს, თან ნამდვილია, თან საყვარელია, შეშლილია და ვირჯ, წარმოიდგინე, როგორი ლამაზია ჩემი მუჩა. მივდივართ ისევ და ვთხოვ, რამე ლექსი მითხრას თავის ენაზე. ვერ ბედავს, ო, არა, უარზეა, მოკლედ, დავიყოლიებ და მარიბორის შუა ქუჩაზე, იქ, სადაც, „შავი ჭირის“ შუა საუკუნეების ევროპული მონუმენტი დგას, მუჩა დგება და ჰყვება:

— „Cvrbigo imee na tua tua se sa kirobiCu amara ke be be ku ruiCa eRRRkrima pua“, — ზიმბაბვურ ენაზე მიკითხავს ლექსს, ასრულებს მოყოლას და სულში მაქრიალებს, არ ვიმჩნევ, მარა პირი დალებული მაქვს, მგონია, რომ სულ საწყისს დავუბრუნდი ამის მოსმენით, მივუახლოვდი მაინც ადამიანობის პირველ ნიშას. შუა აფრიკული ტექსტი ისე ჟღერდა, რომ რა ვიცი! როგორ გითხრა! აღვფრთოვანდი!

მუჩა თეთრი თვალებით და თეთრი კბილებით მიყურებს, მერე კი მთხოვს, ქართულად ვუთხრა რამე, რამე ქართული ლექსი და ვინ? ვინ? რა ვუთხრა? რა წავუკითხო? რა ვუთხრა, ვირჯ, ჩემს ზიმბაბველს, რომელმაც თავის პანტერულ ენაზე შემაკრთო? და აი მეც ვყვები ბოხი ხმით, სევდით:

გაგონდება თუ არა  
კარალეთის დღეები  
მთების ლურჯი კამარა  
უცხო სამოთხეები  
კიდევ შეგრჩა თუ არა  
მხიარული თვალები  
თუ დრომ გადაუარა  
და ჩაუქრო ალები?

ვამბობ ამ ლექსს და კარალეთზე ვფიქრობ, სადაა კარალეთი, რაა კარალეთი? კარალეთი ხომ არც ის სოფელია და არც ის ასოები, რაც წერია, კარალეთი ხომ სულ სხვა სივრცეა, ისიც არაა, რაც ისმის, კარალეთი შენ ხარ, ვირჯ, კარალეთი შენ გვერდით ყოფნაა, შენთან ყოფნაა, შენში ყოფნაა, შენს ცხელ საშოში ყოფნაა.

აი, ასეთი საოცრებაა ჩემი აფრიკული მუჩა. მერე მომიყვა თავისი სახლის შესახებ. მეუბნება, წარმოიდგინეო სიმინდის ყანები, ველები და ჩამწკრივებული სახლები, ჩვენი სახლი სულ ბოლოამ და ვცხოვრობთ ოთხი და და ერთი დედაცო, როგორი რომანტიკულია, ვირჯ, ნახე, ჩემი მუჩა, ჩემი პანტერა უმამაცესი გამოხედვით.

აი, ახლა გაიღვიძა, წამოჯდა, ფანჯარასთან ზის და უყურებს სლოვენიის მინდვრებს. ლიუბლიანას ვუახლოვდებით, მუჩა გზას უყურებს, მზე ანათებს მის შავ სახეს, ის კი ჩუმია. მამჩნევს, რომ ვწერ და ელიმება. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორი ბედნიერი ვარ, რომ მუჩა ვნახე: ხომ მოგეწონა, ვირჯ? იმედია, გაერთე ამ ეგზოტიკური ამბით. იცოდე, ვირჯი, შენ თუ გამაბრაზებ, შენ თუ გადამაგდებ, თავს დავადებ და მუჩასთან წავალ ზიმბაბვეში, იმ სახლში ჩავუსახლდები, სიმინდის მინდვრებთან რომაა სულ ბოლო, მის სამ დასთან და დედასთან ერთად ვიცხოვრებ და ვიფიქრებ შენზე, ჩემს ერთადერთ სიყვარულზე, ჩემ ყველაზე ტკბილ და ახლობელ სიყვარულზე.

ლუბლიანასთან

●

ვუყურებ მწვანე ველებს, ტყეებს, ჩემ ნინ ავტობუსის ფანჯარაში მიქრიან, როგორც კომპიუტერულ თამაშში, მიდის შენი პიტერ პენი, ენატრები შენს ბიჭს, მთელი დღე ვგრძნობ უკაყაფილებას, რაღაც მარილს, რომელიც მენატრება, მთელი დღეა არ დაგკონტაქტებივარ, ინეტი არსად არაა, ვიყავით ბლედში. ბლედის ტბა და ბლედის დასახლება, რომელიც სლოვენის ჩრდილო დასავლეთით მთებში, ალპებში მდებარეობს, ძ ლამაზი იყო.

ბლედში ციხესიმაგრეზე ავედით და იქიდან გადმოვხედეთ მიდამოს. ვირჯ, უცნაურია, მაგრამ სლოვენია ძ ლამაზი და მშვიდი ქვეყანაა საცხოვრებლად, თან ძ პატარა, მაგრამ აქ თითქოს არაფერი არ ხდება, თითქოს ეს მხარე მოწყვეტილია სამყაროს, თითქოს აქ ისვენებს გლობალური სული, აბალანსებს მსოფლიო ამბებს, აქ არც მიგრანტები მოდიან, არც ხალხი გარბის აქედან, თითქოს მსოფლიოს ცივილიზაციებმაც გვერდით ჩაუარესო ამ ქვეყანას, ქვეყნის კულტურა და მუზეუმები მინიმალისტურია. აქ ვერც პიტლერზე და ებრაელების გენოციდზე ნახავ რამეს, ვერც სტალინურ რეპრესიებზე. აქ მგონი არც რომაელები და არც ბერძნები არ ყოფილან, არც მაკედონელს გაუვლია აქ და ატილამაც კი ვერ მოალწია. უცნაურია, არა?

მაგრამ ქვეყნის ინფრასტრუქტურა, მთელი ეს მოწყობა, მატარებლების სისტემა, შოპინგცენტრები გერმანული სისტემითაა მოწყობილი, არა რა, ეს ევროკავშირი მაინც გერმანული ჩუმი იმპერიაა, იმიტომაც გავიდა ბრიტანეთი. ვუყურებ მწვანე მინდვრებს, ავტობუსი მიდის, მე კი შენი მარილი მაკლია, ვირჯ, შენი ხმის გაგონება მინდა, შენი გამოგზავნილი მაილის ნახვა მინდა, პოსტელში რომ მივალთ ლიუბლიანაში, ეგრევე ვეცემი ვაი-ფაის და პედს.

შენზე ფიქრში ამიდგა, როგორც ყო-

ველთვის. ჰო, აქ იმასაც დავაკვირდი, რომ ეს გოგოები ხომ ლამაზები და კაები არაან, მაგრამ მათ დანახვაზე არ ვიღგზნები, რატომ? რა ვი, ისედაც შეიშვლები დადიან, მოკლე შორტებით, ტოპებით, მათი ფეხები ვისიბლე არის, შესაბამისად, უფრო იმას ვამჩნევ, ვის რამხელა ხორცი აქვს ფეხზე, მუცელზე, და ეს სულაც არაა ალმგზნები. ეგ კი არა, იმ დღეს ფართიზე მუჩამ შემჭამა ცეკვა უნდა გასწავლოო და კაი-მეთქი, შენ იდექიო და მიყურე, მე რას გავაკეთებო. გამიყვანა მოგუგუნე ბრბოს შუაში, დამიწყო ცეკვა და ტრაკი მომადო ყვერებთან, როგორც აფრიკულ ცეკვებშია, დაიწყო ქნევა, ოე, ოე-მეთქი: რაებს შვრება, გამიკვირდა, შემრცხვა, ეს კიდე ყვერებს ეხახუნება. მოკლედ, ბევრი დამცინა ამ პანტერამ, აფრიკელმა.

ევროპაში ყველა მოღელილია, შესაბამისად, ალარ ალიგზნებიან, ამიტომ სჭირდებათ ალმგზნები საშუალებები, სწორედ ამიტომაა ამდენი სექსშოპი, ამდენი ინსტრუმენტი თუ საგანი გამოგონებული, წყვილს შორის რომ იყვნენ – სიგიურა, უსიყვარულობაა.

მუჩამ მიყვებოდა: ალუირში, თურმე, ქუჩაში სიარულისას შეიძლება მოსეირნე არაბმა ბიჭებმა ხელი წამოგარტყან ტრაკზე, ძუძუზე, არავინ არ ისჯება პოლიციის მხრიდან. მარტო უცხოელებს კი არა, თურმე თავიანთ ქალებსაც ასე ექცევიან, სწორედ ამიტომ უნდა იაროს იქ ქალმა ქმართან ერთად, და გინდა ფარულად მაინც მოხვდეს ტრაკზე ხელი, არ უნდა თქვას და ქმარმაც ვერ უნდა შეამჩნიოს, თორე ატყდება ერთი ამბავი. მოკლედ, არაბულ სამყაროში ერთგვარი სპარინგია, გამოდისარ ქუჩაში და ჲა, რომელ ქალს წამოარტყა, რომლის ქმარი გაიხედება იქით ან რომელია, საერთოდ, მამაკაცის გარეშე და საით წაუთაქო – ყლეობაა. საშოპინგოდ რომ მივდივარ, მეგობარი გოგო უნდა გავიყოლო, თორემ შეიძლება გასახდელში გამყიდველი კაცი შემოვი-

დეს და ტრაკსა და ძუძუებზე დაგინყოს  
თომარიო, u see!

არც ევროპის მოლელილობა ვარგა და  
არც მუსლიმური დაფარული და აკრძა-  
ლული სტილი, ხო! შეა! ოქროს შუალედი,  
ჰმ, ვითომ ქართულა? შენ ხომ, ვირჯი,  
ჩემი ქართული, აჭარელი დედოფალი ხარ,  
მზე თვალებში მანათებს, ნათება მაქვს  
სახეზე, გილიმი შორიდან, გეხუტები, გი-  
ლიმი, ჩემო მანათობელო ვირჯი.

ლიუბლიანა

წარმოიდგინე: ეს აფრიკული პანტერა  
პირს მიტრიალებს სახესთან, შუბლზე  
მაკოცა, თავზე მისვამს ხელს, მე კი-  
დე გაშეშებული ვარ, ურეაქციო, უმოძ-  
რაო, ერთი სული მაქვს, როდის მორ-  
ჩება თავის სისულელებს, რომელიც  
რატომლაც უბრალო ლექსის მოყოლას  
მოჰყვა. არ მინდა, გული ვატკინი მუ-  
ჩას, შენ გახსოვს, ვირჯ, როგორი კარ-  
გი განწყობით ვუყურებდი ზიმბაბველს,  
ახლა კი ნეგატივი მისახლდება.

ჰა, გავცე ქველმოქმედება და ვიტ-  
ყნაურო ამ სულელ არსებასთან, აზრი?  
სიამოვნება არა, მულამი არა, სიყვარუ-  
ლი არა, მეტიც – შეიძლება უფრო მეტი  
პრობლემები, თან ხო გაგიგონია? „If  
u go 2 black, u will never get back“. მოკლედ,  
კი, მუჩა დამშანტაჟებლად გადაიქცევა,  
ათას ცილს დამწამებს, ამ ყველაფერს  
ვერსიების სახით განვიხილავ, მუჩა კიდე  
აგრძელებს თავის ფლირტაბებს, აღარც  
ვუსმენ, ბოდიალობს რაღაცებს, მე კი  
შენთან ვარ, ჩემი სიყვარული შენ მიმართ  
მეტია, ვიდრე მთელი ეს ცდუნებები, ვიდ-  
რე მთელი ეს ეშმა ჩემში, რომელიც მე-  
უბნება: „შენს ადგილას ვირჯი? ჰაჰაჰაჰა,  
რა იცი, რას იზამდა? მერე მოგატყუებს  
და ეგ არის? ჰაჰაჰაჰა“ – მეუბნება ჩემში  
რაღაც, ყურები მეუბნება თუ თვალები,  
არ ვიცი, ენაც არ მოძრაობს, თვალებ-  
საც ვხეჭავ და ყურებსაც ვახშობ, შორს  
ვაგდებ ამ აზრებს, „მე ასეთი დავრჩები  
თუ გამიძლებს, დროო“. შენს სიყვარულს  
ვყავარ მოცული.

მოკლედ, მუჩამ იბოდიალა და გა-  
ვაპუნდულე, შენი ნერვები არ მაქვს-  
მეტები. სხვა გზა არ დამიტოვა, უხემო-  
ბას მივმართე. ტკბილად მეძინა, ვფიქ-  
რობდი, ვირჯ, ჩვენზე, ჩვენს სახლზე  
ლისის ტბაზე, ჩვენ ერთად ცხოვრება-  
ზე, ჩვენს სიყვარულზე.

გათენდა და ოთახში კაკუნია, მხვრი-  
ნავი ჰოლანდიელი აღებს და ღამენათევი  
სანოლს უბრუნდება, წუხელ გვიან მო-  
ვიდა, ლიუბლიანას პარები მოიარა, მე  
კი ჯერ მუჩას ვიტანდი, მერე დავიძინე.

და აი, გამთენისას მხვრინავი ჰოლანდიელი ალბს კარს და ისევ მუჩა შემოდის კარში, ო, ღმერთო ჩემო, აი, ეს უკვე ზედმეტია, ველოდები, რას გააკეთებს, რა უნდა. მოდის ჩემს ლოგინთან და მიჯდება გვერდით, სახე მაქვს ეს-ესაა ვიყვირებ, ისევ თავისებურად, მოძალადის, ოდნავ შანტაჟის ტონით – შენ ძ დაბნეული ხარო, ამიტომ ჩამოყალიბდიო, რა გინდაო? – ისევ იმავეს მომეორებს, ჩამოყალიბებული ვარ-მეთქი, ჩვენ შორის არაფერია და არ ვარ ამ შენს ამბავში თანაზიარი-მეთქი, რაღაც ასეთი ვუთხარი ინგლისურად. დგება პანტერა და ფურცელს დებს ჩემს მაგიდაზე, სადაც ჯერ ზიმბაბვურად, შემდეგ კი ინგლისურად წერია ის, რასაც ახლა მე ქართულად დავწერ:

სინათლე ჩემს გულში,  
ჩემი ანგელოზი ზეციდან  
ყველაზე ღრმად,  
იქ, სამოთხეში,  
დგას და უჭირავს ჩემი გული  
მაგ შენს ხელისგულზე.

ო, ღმერთო, ან ძ მგრძნობიარეა, ან მორიგი თრიქია. გადის, ძლივს ამოვისუნთქავ, მივარდები აიპედს და შენს მონაწერს ვისმენ:

„ახლა გავიღვიძე და მმ, უნდა ავ-დგე, წავიდე (ამთენარებ) თერთმეტზე ვხვდებით და რუკები მაქვს და მივდი-ვართ კახეთში“.

შემდეგ ვისმენ ამ ხმოვან ფოსტას:  
„სულელო, სულელო, რა სულელი ხარ, თმა უნდა გავიშრო ახლა“.

გისმენ შორს და ვხედავ, როგორ მეპარება სიხარული, ბედნიერება, როგორ მეპარება ღიმილი, როგორ იღვიძებენ ფანტაზიები, როგორ წარმოგიდგენ ახალგაღვიძებულს, მთქნარებას, თვალების მოფშენტას, შენი ტუჩების ცმაცუნს, შენ ის ხარ, ვინც ასე ძ მჭირდებოდა, ვმთლიანდები, ვუსმენ შენს ხმოვან ფოსტებს და ყველაფერი მავინ-

ყდება, ყველაფერი გარშემო ქრება. სანოლიდან ვხტები და ვბზრიალებ.  
ლიუბლიანა



ვირჯ, ამბავი ამბავს ენაცვლება, ჩემი მოგზაურობა ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება.

გუშინ პირანში ვიყავით, სლოვენიის ზღვის სანაპირო ზოლზე ტურისტული ქალაქია, იტალიელები და გერმანელები დადიოდნენ სულ. პირანი ისეთი ქალაქია, შენ რომ მოგეწონება, იტალიური სტილის სახლები, ფერდობზე გაშენებული ვაზი, მდიდრების დაჩები, ძველებური ტიპის სახლები, ვიწრო, ვიწრო ქუჩები, ქალაქის თავზე – ერთი ეკლესია, ადრიატიკის ზღვა, მოლივლივე თეთრი მარგალიტებივით გემები ჩალაგებული, სხვადასხვა აფრებით. დავდიოდი თაკარა მზის ქვეშ, ადრიატიკის მზე დამცინდა ზევიდან, მე კი პირდაღებული ვუვლიდი ქალაქს.

უკან რომ წამოვედით მარიბორში, ავტობუსში დავიძინებ-მეთქი, ვიფიქრე, თავი მტკიოდა და ისევ მუჩა დამიჯდა გვერდით! ოლონდ ეს არა, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი, უფრო მეგობრულად ლაპარაკობდა, ისე, როგორც თავიდან, როცა მომწონდა, რაც ის იყო ჩემთვის. მუჩა მეუბნება, დაწერე რამე ნოველა აქ ყოფნისას? არა-მეთქი, მე მჯერა, რომ შენი ნოველები ითარგმნება ინგლისურ ენაზე და ერთ დღესაც ზიმბაბვეში წიგნის მაღაზიის ვიტრინაზე შენს სახელს და გვარს წავაწყდები და შენს წიგნს ვიყიდიო. საყვარელი! მოკლედ, პანტერა შეცვლილი მანერებით. აღარც პასუხს მთხოვდა აბსურდზე, რატომ არ გინდა მომეფერო, აღარც ტუჩებს მიტრიალებდა სახესთან უხერსულად, თან ვფიქრობდი, მორიგი თრიქი ხო არაა-მეთქი და მახეს მიგებს, მოკლედ, ჩემი შებმა აქვს საბოლოოდ განზრახული-მეთქი, თან ვფიქრობდი, რომ მიხვდა – სხვა მიყვარს.

მუჩამ მოკლედ ილაქლაქა, მე ყველაფერი დადებითად მივიღე და მერე კალთაში თავი ჩამიდო, დაიძინა. ჩემს კალთაში ხუჭუჭათმიან, შავკანიან გოგოს უდევს თავი და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამერიკულ ფილმში ვარ, ხო, კიდევ ჩემი თოჯინა მახსენდება, ჩემი ბავშვობის საყვარელი თოჯინა, ზანგა. ვფიქრობ, რომ ზანგამ ხორცი შეისხა, ვფიქრობ, ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

მარიბორში რომ ჩამოვედით, თავი უკვე ძ მტკიოდა, ყველა გასართობად წავიდა, მე კი შინ დავრჩი, დაიძინებ-მეთქი, თავი მტკივა, სახე დამწვარი მაქვს, წითელი ვარ შუბლზე, ვიძინებ და რაღაც შხამივით ვგრძნობ სხეულში, მეშინია, არავინ არაა, თან უცნაურად წამაკანკალებს ხოლმე, ტუჩებსაც უცნაურად ვბრეც, გული მიფრიალებს... ასე ცუდად ვიყავი ლამის ორ საათამდე, სანამ გული არ ამერია. გავვარდი ტუ-ალეტში და ვარწყიე, თან ვფიქრობდი მზეზე, იმ მზეზე, პირანის სანაპიროზე რომ დამჩხაოდა თავზე, კაშკაშა, აპრი-ალებულ ადრიატიკის მზეზე, როგორ მახარებდა და როგორ დამისრულა. ნუ-თუ ყველაფერი ასე სრულდება? ნუთუ, ვირჯი, შენი ნათებაც და შენი სიხარულიც გულისრევად გადაიქცევა, სიბინძურედ, სინაგვედ, ღალატად?

გულის რევის შემდეგ თავის ტკი-ვილიც გამიქრა და გულის ფრიალიც, მკრთალად, ალაგ-ალაგ, სურათ-ხატებად ვხედავდი ისევ გემებს, სანაპიროს, ზღვას და შენ, ვირჯი...

მარიბორი

●  
ვირჯი, არ მოგინერია თითქმის საუკუნეა, რა დავაშავე? რა მოხდა? რატომ მამყოფებ ასეთ მდგომარეობაში? შენ ხომ იცი, მე როგორი ვარ, ნუთუ არ შეგეძლო, მოგეწერა ამხელა დღის განმავლობაში, დავიჯერო, ვერ მოახერხე? ვირჯი, მე შენი მჯერა, მე ჩვენი სიყვარულისაც მჯერა და იმისაც, რომ ახლა

რაც უნდა ხდებოდეს, შენ ჩემთან ხარ, შენ გიყვარვარ, შენი ჩუმი, ჩურჩულა ტუჩებით ღალადებ ჩემზე და შენს პატარა, დაჭმუჭნილ მოკუმშულ ხელებში ინახავ ჩვენს სიყვარულს, შენს დაღლილ და დაბნედილ თვალებში მხედავ მე და გენატრები.

დილაადრიანად ისევ მუჩა დამადგა თავზე, მხვრინავი ჰოლანდიელი წავიდა თუ არა, თითქოს ზიმბაბველი კართან იცდიდა, ხუთ წუთში შემოტანტალდა, წითელი ერთიანი ბეწვის კაბა ეცვა, ძ სექსუალურად გამოიყურებოდა, შემოვიდა და ჰოლანდიელის საწოლზე წაიპლაკვა, ძველებური გამოწვევებით არა, მაგრამ მაინც შეინიშნებოდა მასში პროვოკაციული, ერთი-ორჯერ როცა გადაიხარა და ტრაკი დააყენა ძალურ პოზაზე.

თუმცა დავმშვიდდი კიდევ უფრო და მუჩაც დამშვიდდა, მგონი, ისე ძ აღარ ვუნდივარ, მით უმეტეს, რომ ვუთხარი – „I am in love with Virgi!“

– „Who the fuck is Virgin?! I am not Virgin“ – იყო პირველი რეაქცია, მერე კი ვთქვი, რომ ვირჯი ჩემი სიყვარულია, უნდა გენახა ამ ზიმბაბველი კათოლიკე აფრიკელის რეაქცია.

– „იპაა!“ ბუნებრივი რეაქცია, არანაირი ხელოვნურობა, მკერდიდან ამოსდის.

მუჩა მეკითხება – ადამიანები ადამიანებს რომ ჭამდნენ, გაგიგიაო? კოცნით შექმას გულისხმობს? არ მითხრათ, რომ ისე მოვენონე, კოცნით შექმას მიპირებს! არა, ნამდვილად შექმას გულისხმობს. ოპაა, ესდა მაკლდა, სადღაც ავსტრალიასთან შეიძლება კანიბალები იყვნენ, მაგრამ სამხრეთ აფრიკისკენ ზიმბაბვეში არა მგონია. თუმცა ვატყობ, მაინც შიში მეპარება, მუჩას დავცინი, რა სისულელეა-მეთქი, მაგრამ უკვე წარმოვიდგინე და შიშისგან შემაკანკალა, როგორ შემოდის მუჩა ღამე ჩემს ოთახში და მძინარეს ცოცხლად შექმას მიპირებს, დანით მჩეხავს,

ნაწილ-ნაწილ მასახიჩრებს, თან ამ ყველაფრის მოწმე ვარ, ეს არც სიზმარია, არც ფანტაზიაა, ტვინში ხორციელდება. მერე თემა შეცვალა, ნაცნობი იაზვობით დამიწყო დაკითხვა: როგორი გოგოებისთვის მიკოცნია; იმიტომ არ ვეხები, რომ შავკანიანია? მიდი და გააგებინე ახლა ამას, რომ რასიზმთან არაფერი კავშირი მაქვს და ყველაფრის თავი და თავი ვირჯია, ჩემი შორეული სიყვარული. მოკლედ, ერთგვარ პრესში მამწყვდევს, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი იცვლება. ჩემს საწილზე გადმოსუკვდება და მე მას ისმაელ ლოს შესახებ ვეკითხები, თუ იცის მისი სიმღერები, ოთახში ისმის ისმაელ ლოს სენეგალური ჰანგები. ო, ო, იცის, მერე მაჩვენებს ზიმბაბველ მომღერალ ოლივერ მტუკუძის, მისი ერთი სონგი „ნერია“ უნდა ნახო, რა მაგარი სონგია. ზიმბაბვური ტექსტი, ჰანგი – აფრიკული, გიტარაზე, ო, რა საოცარი მუსიკა. ვმშვიდდები, მუჩას სხვანაირად ვუყურებ, აღარ მეშინია მისი შექმის, ისეთ სონგებს მიზიარებს, თითქოს ვუბრუნდები პირველ საწყისს, აფრიკულს, მერე კი მთხოვს, ჩვენი ვაჩვენო და ვინ თუ არა „კრიმანჭული“.

– „იჰააააა, იუჰუუუ“, – რეაქციები უნდა ნახო. აფრიკული გოგოს, ოცდასამი წლის მუჩას შეკივლებები, კრიმანჭულის ხმაზე გიუდება, მერე ქართულ ცეკვებსაც ვანახებ, და ბოლოს დგება ჩემი ღ-ის დრო, მით უმეტეს, დღეს აღმოვაჩინე, რომ პირველი არხის ეთერში ჩემი ახალი სიმღერა, „ჩემი ტანგო“-ს სტუდიური ჩანაწერი გაუშვიათ, ვანახებ მუჩას ამ ჩანაწერს და!

– aaaah, ou, nouuu, iz iT iuuuuu, o mai gaaaaad, iu ar, ies, ies, uhuuu – ვიფხრინები სიცილით, ისეთ ხმებს გამოსცემს, არა, არ თამაშობს, მართლა გაოცებულია, აი, ასეთი რეაქციებით დამტოვა მუჩამ, რადგან მხვრინავი ჰოლანდიელი დამიბრუნდა ოთახში. ახლა d საინტერესო ექსპერიმენტს ვატარებ და ჩემი

კარსტის შეფასება უნდა ვნახო, როგორი იქნება ამ „ჩემს ტანგოს“ რომ მოვასმენინებ. ბუნებრივია, ჰოლანდიელი ბიჭისგან კივილს არ ველოდები, არც აღფრთოვანებას, მაგრამ იმის იმედი მაქვს, რომ მოეწონება, რამე კაის მეტყვის. ვასმენინებ ჩემს შესრულებულ სიმღერას და პირდაპირ მეკითხება:

– „რამდენად მოთხოვნადია მუსიკალური ბაზარი საქართველოში?“ ოოოიჲ, შენი, კაპიტალი და შენი ბურუუა, ვიცინი გულში – აფრიკელის მოცეკვავე რეაქციები და დინჯი, ვაჭარი ჰოლანდიელის დაკითხვა, რამდენად ვიყიდები. აი, მე სად უნდა ვიყო? მე ისევ შუაში უნდა ვიყო, სხვა გზა არაა, ოქროს შუალედი უნდა გამოვნახო. ოი, როგორ დავიღალე, ვირჯი, დღეს მთელი დღე ნაცრისფერი დღე იყო ჩემთვის. არაფერი – მხოლოდ breakfast, lunch, dinner, შუალედებში კი ძილი, დასვენება, არაფრის კეთება. გამოვედი გუშინდელი ცუდად ყოფნიდან, შენ კი, ვირჯი, შენ მთელი დღე არ გახსოვარ, სად ხარ ასეთ ადგილას, ნეტავ, კარგად მაინც იყო! თუ კარგად ხარ და არაფერი განუხებს, არაფერს დავეძებ. ვუსმენ ოლივერ მტუკუძის ზიმბაბვურ მელოდიას და ვიძინებ.

მარიბორი



მარიბორში გალადინერი, ანუ კონფერენციის დახურვის ცერემონია იყო დასამახსოვრებელი – მონაწილეები სურათებს ვიღებდით, ერთმანეთის-თვის წერილების მიწერის საშუალებაც გვექინდა. მე დამზარა, ვინმესთვის მიმეწერა, სამაგიროდ, ჩემს კონვერტში უამრავი წერილი იდო კარსტისგან, ნემანიასგან, ესპანელი რამონისგან, ნატაშასგან, ჩემი ზიმბაბველი მუჩასგან და იმ ლიბანელისგანაც, რომელსაც ჯიბრან ჰალილ ჯიბრანზე ვესაუბრე. ყველასგან d თბილი წერილები იყო.

მუჩამ საერთოდ გალადინერზე რა გააჩალიჩა, იცი? მოვიდა და მოკლედ, შენ რა დაუპყრობელი ციხესიმაგრე ხარ, უერთგულესი ადამიანი ყოფილხარ და ბედნიერი უნდა იყოს ვინც შენ შეგიყვარდებაო, თან ღირსება, ღირსება გქონიაო, ეს კიდე თანამედროვე სამყაროში არავის აღარ აქვსო, რახან არაფერი გამომივიდა, თან ასე პირდაპირ სცენაზე ვდგავართ, პირდაპირ მიაყარა თავისებურად, ხელს გთხოვთ, ირეალური ქმარი მანიც იყავი ჩემიო, დაიხარა და თავისი ბეჭედი თითზე გამიკეთა, უსაყვარლესი იყო, ავაყენე და ჩავიხუტე.

გალადინერზე დააჯილდოვეს მონაწილეები სასაცილო ნომინაციებში. კარსტმა, ჩემმა მხვრინავმა ჰოლანდიელმა The most funny-ს ტიტული მიიღო და მასხარას ფორმა გადასცეს, ჩემმა სერბმა კი The most drunk-ის და სკაფანდრი მისცეს, რომელსაც აქეთ-იქიდან ჭიქის ჩასადებები აქვს, შლანგებით კი სახეს უერთდება. ასე იყო მარიბორში ყოფნის ჩემი ბოლო დღე. და აი, დღეს, ვირჯ, წამოვედი ვენაში. მატარებელმა მშვიდობით ჩამომიყვანა.

ოთი, შეთ, ჰოლი შეთ, სულ ამას გავიძახოდი, ო, ღმერთო ჩემო, რა ქალაქია – ვენა, ხელის გულზე სატარებელი, გულში ჩასახტებელი. ჩამოსვლისთანავე მოვიარე მთავარი ადგილები და ჩემს მასპინძელსაც დროზე მივაკითხე, სანამ სახლში მივიდოდი, ჰაბსბურგების სასახლის ეზოში დავჯექი და გამოსირებული სახით ვუყრებდი ახლა უკვე ბიბლიოთეკად ქცეულ დიდ სასახლეს, ორ ცხენზე შემომჯდარ ავსტრიელ მეფეს. გარშემო – სულ ტურისტები, რამდენი ფული შემოდის ამ ტურისტული ნაკადიდან, წარმოიდგინე, ქალაქი, სადაც ყველა ენაზე მესმოდა ლაპარაკი – გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული, არაბული, ნამდვილი ბაბილონია ვენა. ქალაქი კი არა, სკულპტურების და ქანდაკებების ხეივანია. ყველაფერი ერთად თავმოყ-

რილი, ვირჯ, H and M, Zara, New Yorker, Bershka, Tommy Hilfiger, McDonalds, Starbucks, ყველაფერი, ყველა ბრენდი, რაც კი მოგდის თავში, ამ ვინრო შუკებშია და იქვე შუა საუკუნეების მითოლოგიური და ბიბლიური სკულპტურები ცოცხლდებიან.

ჯერ ვერ ვარკვევ, რომელია ავსტრიელი და რომელი ტურისტი, მაგრამ Laudengasse-ზე, ანუ იქ, სადაც ვცხოვრობ, მოქალაქეები რომ შევამჩნიე, პირი დამრჩა ღია, მგონი, ყველაზე დახვეწილი გემოვნების ხალხია ავსტრიელები, ისეთი ჩაცმულობით დაირჩებიან, ფილმებიდან გადმომსტარი დუბლიორები გეგონება. აქ ყველა ინდივიდია, ყველა საინტერესოა, ნებისმიერზე შეიძლება მთელ ისტორიათა ჯაჭვი შეკრა. შეიძლება ზოგადადაც ასეა, მაგრამ ეს ამ ქალაქში, ვენაში ხდება თვალნათელი. მოგეხსენება ჩემი ავადმყოფური მიღრეკილება ეკლესიებისადმი და აქ ცენტრში სამი ტაძარი დგას. მიდიხარ ამ ბრენდმაღაზიებს შორის და უცებ იმ შუკაში თავს გამოყოფს დიდთავა ეკლესია, საოცარია. რა თქმა უნდა, შევედი. ერთი ცარიელი იყო, ისეთი, რომ ბუზის გაფრენის ხმაცარ ისმოდა, ვიფიქრე, ამ ეკლესიას მალე დანიშნულებას შეუცვლიან-მეთქი, როგორც ჰოლანდიაშია, გერმანიაშია, ბელგიაში. კარსტმა მითხრა იმდენად ბევრი ეკლესია იყო და იმდენად არ ჰყავდათ მრევლი, ლაიდენსა და უტრეხტში მათი ფუნქციის შეცვლა გადაწყვიტეს კომუნებმაო, ზოგი ახლა დარბაზია, ზოგი ბარი და ა.შ. მნიშვნელობაშეცვლილი ტაძრები=მნიშვნელობაშეცვლილი ღმერთი.

ვენაში მეორე ეკლესიაში იყო ცოტა ხალხი და ჩუმი გალობაც ისმოდა. აი, მესამეში კი ყველაზე ცენტრში – ყველაზე მაღალ კათედრალში – მრევლის ადგილი სპეციალურად გამოეყოთ, გარშემო კი ტურისტები დაიარებოდნენ. ეს იზოლირების სისტემა ერთგვარ

პატივისცემას ბადებდა ტურისტებში და ისინიც მორწმუნებულ რასას, ისე შესცექროდნენ. ამან გამიჩინა იდეა, რომ, იქნებ, მოვიდეს დრო ევროპაში ქრისტეს გამოღვიძებისა, ქრისტეს დაბრუნებისა, იქნებ, ავსტრიელისთვის რჩეული ისევ ქრისტე გახდეს და არა საპრეზიდენტო არჩევნები? პრეზიდენტი ხო ოთხი, ჰა-ჰა რვა წლითაა, ქრისტე კი სამუდამოა, ქრისტე ერთგულია.

ნეტა ერთი, მე რა მანუხებს, მე ძაც მახარებს ეს ეკლესია, ეს გოთიკა, ეს ჩინელები, ეს ტაილანდელები, ეს გერმანელები, ეს რუსები, ეს ამერიკელები, ეს გუმბათი, დიდებული ძველი ბერძნული მითოსების გაცოცხლება ქანდაკებებში. ვზივარ და გნერ, ვირჯ, ვზივარ და გნატრობ, ვირჯი. ნეტა, აქ იყო ჩემთან. ახლა აქ ვხვდები, ამ ორომტრიალში, ამ დიდებულებაში რატომ გაჩნდა მოცარტი, ამ ქუჩების ხმაურში, ცხენების ფლოქვებში, ზარების რეკვების ორომტრიალში რატომ გაჩნდა მოცარტი. აქ მოლიმარი ავსტრიელი ბატონის თვალებში, ახალგაზრდა ვენელის გამოხედვაში, ასაკოვანი წყვილის მოძრაობაში ვხვდები, რატომ გაჩნდა ფრონიდიც. ამ მოძრაობამ, ამ დაუდგრომლობამ, ამ უეცარმა ვნებამ – ყველაზე დიდებული და ყველაზე ლამაზი რამ ააშენო ან მართო, ან გიყვარდეს, ან უერთგულო, ან უყვარდე, შექმნა ეს ამლილობათა ჯაჭვები – მოცარტი, შნიცლერი, ფრონიდი.

მე ისევ ვზივარ და ჩემ წინ მიმავალ შუასაუკუნეების დარ ცხენებში შებმულ ეტლში გხედავ შენ, ფრაუ ვირჯი, შენ გვერდით კი მე, შენი, მუდამ შენი...

## ვენა

ვენაში მივხვდი სიტყვა „კიჩის“ მნიშვნელობას.

რამდენ ქალაქში ვყოფილვარ, რამდენი რამ მინახავს გაბრენდებული,

ავილოთ თუნდაც გაუდი ბარსელონაში ან გოია მადრიდში, მაგრამ ასეთი კიჩი, რაც ვენაში დამხვდა, არა! ეს ყველაზე განსხვავებულია, ეს უკვე კიჩიც აღარაა – თან ისტორიაა, თან დიდებულებაცაა, თან აბსურდში გადადის, გროტესკია, ბაროკოა, უაზრობაცაა, ყველაფერი ასე ერთად მოიყრის თავს ვენაში, ოპერის სახლთან ან თუნდაც ცენტრში – შტეფან კირხესთან.

დღეს მივდიოდი არგენტინაგასეზე და ვფიქრობდი ავსტრიელები არაკატე-გორიული ხალხია-მეთქი. სწორედ ეს ხდის მათ ყველაზე დახვეწილმანერებიან ხალხად. საკუთარ სისტემას კი არ გარგებენ გერმანელებივით და მოგინოდებენ ამ წესებს დაემორჩილო, არა-მედ უფრო შენს მოთხოვნებს არგებენ სიტუაციას, თითქოს, გითვალისწინებენ შეფარვით და არაკატეგორიულად გექცევიან, შესაბამისად, უფრო მეგობრულები და ინოვაციურები არიან.

დილით ჰოფბურგთან რომ ჩავიარე, სასახლის ბალებში ისევ შევამჩნიე უსახლკაროები, რომლებსაც გაზონზე ეძინათ, ისევ შევამჩნიე ძალლების ზონაში მორბენალი ძალლები და მათი პატრონები, ისევ დასკუპაობდნენ დიდი შავი ყვავები და ყველა, ყველა ეს სულიერი ბედნიერი იყო. არ ვიცი, ვენა ასე ყველას როგორ აბედნიერებს, შეიძლება მისი მაღალი ფასები (აქ ხომ ყველაფერი ძვირია) აბედნიერებს ყველას. უსახლკაროებს ყველაზე ტკბილად, ყველაზე ბედნიერად ეძინათ მწვანე გაზონზე, რომელიც ერთ დროს სამეფო ოჯახის სასეირნო ხეივანი იყო. ძალლებიც პატრონებთან ერთად ყველაზე ბედნიერები დარბოდნენ, ყვავებიც კი, ყვავებსაც კი დიდი დონატი ჩაეგდოთ ხელში და ძიგნიდნენ. მითხარი, თუ არაა ვენა ყველაზე დიდი კიჩი-ქალაქი, სხვა რომელ დედაქალაქში შეგიძლია ნახო, შავი ყვავების გუნდი გემრიელ ვარდისფერ დონატს შეექცეოდეს, შეგიძლია მითხრა?

ჰაბსბურგების სამეფო ბალში ტრადიციული ფიქრები დამებადა: ვინ

ვართ ჩვენ, ქართველები და რა გაგვიკეთებია ამ სამყაროში, ერთი ქანდაკებაც კი არ გვაქვს აქ მდგარი რომელიმე მონუმენტის მსგავსი, ერთი სასახლეც კი არ გვაქვს ამხელა, ერთი სამეფო ხეივანიც კი არ გვაქვს და ეს ყველაფერი შთამომავლობითია, თითქოს ევროპა მუდამ წინ იქნება, ჩვენ კი მუდამ მისი მიმდევარი, ხეიბარი, კოჭლი მეგობარი, რომელიც ხან შურით ივსება ევროპაზე და ხანაც ეტროფის მას. გამახსენდა ნიკოლო მიწიშვილის ჩანაწერები. საუკუნის წინათ დაიარება ნიკოლო პარიზში და დაახლოებით ასეთი ფიქრებით ირთობს თავს, მის გონიერაში კი სამშობლო არაფერია თუ არა ბავშვობაში მოსმენილი ლამაზი ზღაპრების სამყარო, უკვე მოზრდილი კი აანალიზებს, აქ, ევროპაში, რომ ის მოატყუეს, წამალი ჩაუყარეს თითქოს და დააბოლეს საქართველოს დიდებულებაზე.

ვენაში ყველაზე მეტად ხვდები უთანასწორობას ჩვენსა და ევროპას შორის. ჰოფბურგის სასახლის ხეივნებში მივსეირნობდი, დავინახე თეთრი, თეთრი ქერათმიანი და-ძმა – ოთხი-ხუთი წლის ბავშვები, ფეხშიშველები გაიქცნენ მწვანე გაზონზე და ერთმა ყირამალა გააკეთა, მეორე ვერტიკალურად დადგა, გაშეშდა, გასწორდა, რალაც ინოვაციური პოზა მიიღო. მაშინვე ქმნადობა ვიგრძენი, მოძრაობა და გავითიქრე, ეს ბავშვები ჯერ მარტო ამ გარემოში გაზრდის შედეგად იქნებიან დიდებულები, მრავალფეროვანი ცხოვრება ექნებათ. ბავშვობა რომ ჰაფსბურგების სასახლის ეზოში დაჭერობანას თამაშით გაქვს გატარებული, ეს პრინც ეუჟენის და კაიზერ ფრანც იოსების მონუმენტები რომ დაგცერიან და ვენის ოპერის სასახლიდან მოცარტისა ან შტრაუსის მუსიკის ხმები გესმის, ცხადია, უფრო შორს წახვალ, უფრო გაფრინდები, აბა, ჩვენი ბავშვები? ან სად თამაშობენ, ან რას შესცერიან, ან რომელი ასეთი სივრცით, გაშლილ, სამეფო ხეივნებში ირთობენ თავს, მეცინება...

გახსოვს „Windows on the world“-ში რომ ამბობს ფრედი, მეცოდებიან ჩემი შვილები, რომ გაიზრდებიან და მიხვდებიან, რომ ვერ იქნებიან ისინი, ვინც უნდათ, რომ ყოფილიყვნენ. მე ვარიაცია დამებადა: მეცოდებიან ჩვენი შვილები რომ ჩამოვლენ ევროპაში და იმედგაცრუებულნი, სამშობლოზე გულაყრნილნი დაბრუნდებიან-მეოქი...

სულელები დაიწყებენ ჩვენს მთებზე, ჩვენს ღვინოზე, დადიანის სასახლეზე საუბარს, კარგი რა, ხალხო, კარგი რა! მოიხსენით ეს თეთრდოლბანდიანობა, მოიშორეთ ეს სელჩუკიანობა.

ახლა ამ ყველაფერს ბელვედერის ეზოში ვწერ, დიდი ხეების ჩრდილში სკამეიკაზე ვზივარ და ჩემ გვერდით იტალიელი ბავშვები ლრიანცელობენ. ფეხბურთელები ჩანან, რვა-ცხრა წლის იტალიელი ბიჭუნები, დაბლები, ჯიჯგვები, ბუხბუხუნები. მესმის ხმები „ფრანჩესკოო, პაპა, პაააპააა, კვატრო, ჩინკვეე, ფრანჩესკოოო, ბრუუნო“. ათამდე ბავშვია, სამი-ოთხი კი მამები ან მწვრთნელი. „ბრუუნოოო, ბრუუნოო-ო“, ო, რა ამბავი აქვთ ატეხილი, უნდა ნახო. შენი თვალით ვუყურებ და ვირთობ თავს, შენ შენი იტალიური სამყარო მოგაგონდებოდა, მე კი პაზოლინის ფილმები, მე კი დე სიკა, მასტროიანის ბამბიინი, ბამბიინი მახსენდება, ვისკონტის როკო და მისი ძმები მახსენდება, იტალიური კინოა ჩემ გვერდით...

აი ასე, ეტორე სკოლას „ველოსიპედის გამტაცებლები“ XXI საუკუნეში ბელვედერის სასახლეს სტუმრობენ და ერთმანეთს ისევ ისე იტალიურად რაღაცებს ესვრიან, მოუსვენრობენ, ბლავიან, ფრანჩესკოო, ბრუუნოო...

ბელვედერი – ეს სხვა თემაა. იქიდან გამოსული ჯერ ხმას ვერ ვიღებ და ვერც სხვა რამეებზე ვფიქრობ. ვნახე მსოფლიო ტოპნახატები, თითქმის ყველა ცნობილი მხატვარია წარმოდგენილი. ვის არ ნახავ – მუნქი, კლოდ მონე, ედუარდ მანე, კურბე, ბექმენი, შილე,

კოკოშკა, მაგრამ ჩემი განსაკუთრებული ყურადღება სამმა ნაწარმმა დაიმსახურა და აი ისინიც...

1. ნუმერო უნო. სკულპტურებს მუზეუმებში დიდად არასდროს ვწყალობდი, არ მივიჩნევდი მნიშვნელოვნად, აქაც ასე იყო, რომ ერთ-ერთს მივუახლოვდი და ლამის ხელი შემახო, ლამის დამეკრიჭა, თითქოს თვალებით შემთხოვდა რაღაცას და გამაფრთხილა კიდეც. ო, როგორ შემაურულა მის დანახვაზე, ენა პირში ჩამივარდა, ხისფერი ქვის მონუმენტი იყო ადამიანისხელა, მეტრი და ორმოცი, შემდგარი კვარცხლბეჭერები. გულგახეთქილი გონზე რომ მოვედი, დავაკვირდი ავტორს – ჯუზეპე ჯულიანო, მონაფე ლუკა. ააა! ლუკას სახარება, ეს ის ლუკა? ო, ღმერთო, დამიფარე, ჯანდაბა, რა მაგარია! მიმოვიხედე გარშემო და რას ვხედავ – ოთხ ერთმანეთისხელა სკულპტურას შორის არ ვარ? თითოეულთან ცალ-ცალკე მივედი, ამ ჩვენს ჯულიანოს ოთხივე – ლუკა, მარკოზი, მათე და იოანე არ გამოუქანდაკებია? ოთხივე დაგცექრის და გაკრთობს, ეს-ესაა ხელს შეგახებენ, ეს-ესაა ხელებს მხრებზე მოგაჭდობენ და შეგაჯანჯლარებენ. გამოვიქეცი, გამოვიქეცი, ვირჯი, და ბორიალ-ბორიალით მივადექი კლიმტის „Kiss“-ს, „კოცნას“, ეს ნაწარმი დიდი არაფერი წარმომედგინა, მაგრამ მართალი ყოფილხარ – ლაივში ამის ნახვა ლირდა!

ჩვენს ტრაპსამეულში მეორე ადგილს კლიმტის „კოცნა“ იკავებს, დიდი ტილოა, კაცი და ქალი არარეალურ სამყაროში. კლიმტის პერსონაჟები ფიქრებში, ფანტაზიებში, ოცნებაში წარმოშობილ სურათ-ხატებს ჰქვანან. კაცს მთელი ძალით ჩაუკრავს ქალი, ასე მგონია, ისე ძლიერ ჰყავს ჩაკრული, ისე ჭყლეტს, როგორც მე შენ, გახსოვს? რამდენჯერ გითქვამს შეწუხებული სახით „გამჭყლოტე“, ასეთი შეწუხებული სახე აქვს ამ ქალს, გარდა ამისა, არის სევდაც, სიყვარულის სევდა, იმ სიყვარულის, რომელიც უადგილო ადგილებში იბადება და თავისუფლად

ამოსუნთქვა ვერ მოუხერხებია... ქალის უკან გამოშვერილი ორი ფეხი გვაფიქრებინებს, რომ ქალი დაჩოქილია, მისი ხელი ნაზად ეხება კაცის დიდ ხელს. ორივენი სანახევროდ ფერადი ყვავილების, ფერადი მიწის ადგილას დგანან, ოქროსფერი უკანა ფონი კი რაღაც უფსკრულის, რაღაც უკიდეგანო სივრცის, არარსებულის აურას ქმნის, და შენ ამის წინაშე მდგარი ნატრობ, არ გადავარდნენ, ამ ფერადი მიწის შვილები, ფერადი კლდის პირად მდგარნი, ოი, ვირჯი, რომ იცოდე, როგორ გვგავდნენ...

და 3! ნაღვლიანი სახით მოვშორდი შენი კლიმტის კოცნას, სურათიც არ გადამაღებინეს მომსახურე ქალებმა, ერთი განსაკუთრებით გასტოლბებულიყო, გავიარე ზალები და რას ვხედავ, ჩემი ნაპოლეონი, ჩემი ნაპო, ის ტილო, რომელიც მთელი ცხოვრება მეჩეხებოდა, უაკ-ლუი დავიდის ნახატი, სადაც იმპერატორი სანბერნარდოს ბრძოლაში მიდის. ლუვრში რომ ვიყავი, იქ ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევის რამდენიმე ტილო ვნახე, ვეძებდი და ვეძებდი ამასაც, მაგრამ იქ არ დამიხვდა. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ ბელვედერში ინახებოდა. ჩავესვენე ამ ნახატის წინ სავარძელში და განცხრომით შევცექროდი ჩემს ბონაპარტს, ჩემს კორსიკელ ბიჭუნას. ნაპოლეონს სულ ჩემს თავთან ვაიგივებდი, არ ვიცი, რატომ, ვფიქრობდი ყოველთვის, მე მმართველი რომ გავმხდარიყავი, ალბათ, ნაპოლეონის მსგავსი ვიქებოდი-მეთქი, რატომ? რა ვიცი, ნაპოლეონი წერილებს წერს, გახსოვს, როგორ უყვარს ქოზეფინა? მერდნობიარეა, კეთილი დამპყრობელია, გაგიგონია კეთილი დამპყრობელი? როგორი ექსპორტიორია, მთელი იდეების, მთელი საფრანგეთის, მთელი რომანტიზმის ექსპორტიორია. მოდიან დამთვალიერებლები და ყოვნდებიან მისი უდიდებულესობა მუსიკ ნაპოს წინაშე. ერთ-ერთმა გიდმა აუხსნა ტურისტებს, რომ არა ეს კაცი, ვენა ვენა არ იქნებოდაო, მისმა დაპყრობამ განაპირობა

შემდგომი სამეცნ ძლიერი ოჯახის ჩამოყალიბება, ერთგვარი ფრანგული სკოლა, ფრანგული მმართველობა და მყარდა ვენაში, ასე გახდა იმპერიული ავსტრიაო...

ნაპოლეონს ერთ ხელზე ხელთათმანი გახდილი აქვს და მაღლა აწეული, მეორე ხელით კი ცხენის სადაცე უჭირავს, ცხენს დაწილებული და შეშლილი სახე აქვს, აი, იცი, როგორი სახე? „შეშლილი სახით კიოდა ქუჩა“, აი, ასეთი ცხენია. ბონაპარტის თმა წინ აქვს აჩეჩილი, წვრილი ტუჩები და სწორი ცხვირი აქვს, პატარა თვალებით გვიყურებს. ყველაზე მთავარი და ალბათ, განმსაზღვრელი მისი ალმისფერი მოსასხამია, რომელიც ერთგვარი წითელი დიდი ღრუბელივითაა მთელს ნახატზე. ეს ჰაერში, ცაში აფრიალებული მოსასხამი ჰგავს გასროლილი თოფის დაყენებულ ბოლს, ჰგავს სისხლს, კაცი რომ დაეცემა და მიწას მორწყავს სიწილით. ბევრ რამეს ჰგავს ეს ალმისფერი მოსასხამი, უაკლუი დავიდის იდეა კიდე სხვა იქნებოდა, ნაპოლეონის კიდევ უფრო სხვა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ალმისფერი მოსასხამი ფანტაზიების სავანეა...

ასეთი შოკირებული გამოვედი ბელვედერიდან. მზემ ზენიტს მიაღწია, ახლა აქ ჩრდილში ვისვენებ, ვფიქრობ შინ დაბრუნებაზე, ჩემ გვერდით კი ისევ ის იტალიელების გუნდი ყაყანებს, ერთერთი ბავშვი საერთოდ ჩემს კალთაში აღმოჩნდა, თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ, გაოცებული სახით მიყურებს, ხვანცალებენ, ისე დახტიან. კაცები მიღმიან, ჩემი პაზოლინის კაცები, ჩემი ფერობედოელი დავაუკაცებული ბიჭები და მესმის ბავშვების ხმა – მაღონნააა! მაღონნააა! იტალიელებისნაირად ქრისტე ევროპაში ვერავინ იწამა, ამ დროს კი კარლსკირხეს ზარები იწყებენ რეკვას, რეკვენ და რეკვენ...

ვენა

•  
ყოველთვის ყველაფრის მიუხედავად ყველაზე მეტად მახარებდა თბილისის

დანახვა, ვირჯი, ეს ჩემი ქალაქი, ეს ჩემი დედაქალაქი, ქალბატონი თბილისი, პატარა ყვითელ ნათურებად ანთებული, გირლიანდებივითაა მორთული და აგერ მთაწმინდა, მოციმციმე ანძა, ღრუბლებს კვეთს თვითმფრინავი, გადაიარა ყველანაირმა შიშმა, დალლილობამ, მოლოდინმა, დასრულდა ჩემი აღმოსავლეთევროპული ტურნე, ვბრუნდები შინ, ვბრუნდები შენთან...

მთელი სიცოცხლე მემახსოვრება ეს ქალაქები, ის ადამიანები, ვისაც შევხვდი: ნემანია, კარსტი, მუჩა, მემახსოვრება ზოლტანი და ემეში, არ დამავიწყდება კამილა და ერთად გატარებული ორი საღამო ვენაში ლაუდენგასეზე, ჩვენი ჩუმი სიმღერა აივანზე წითელი ღვინის ბოკლებით ხელში, ვენის მთვარე და ავსტრიული სახლების სახურავები, ევრო 2016-ის მატჩები ავსტრიული ლუდით ხელში, ყველა ჩემში ჩასახლდა, მე ახლა მათ დავატარებ, თითქოს მათ გამანაყოფიერეს და მე ფეხმძიმედ ვარ. რაც თვითმფრინავში ვარ, მუცელი მტკიცა, ერთი სული მაქვს, როდის ჩავყლაპავ თბილისურ ჰაერს და მერე ყველაფერი კარგად იქნება. ჩემი ქალაქის ჰავა განმკურნავს, ტანზე მომევლება, ხელს შემომზვევს მხრებზე, ტერფებზე, მომევლება, მიშველის, თბილისი თავისი ბავშვური და ანცი ნათურებით, აკიაფებული მთაწმინდით და ყველაფერი, ყველაფერი გაივლის, უშენობა გაივლის...

აი, ისიც, გამოჩნდა ყველაზე ლამაზი, ვირჯი,

ჩემო ვირჯი, ჩემო ულამაზესო სიყვარულო, აი, მე ვბრუნდები, ახლა რაღა იქნება? ახლა რა მოხდება? თავგადასავლების მთელი ტომეული გველოდება, ეს მოგზაურობა კი მხოლოდ მცირე ეპილოგია. ვირჯი, შენთან მოვედი, შენს კალთებთან, შენს პატარა დაფეხვილ თოთებთან, ფეხის თითუნებთან, ჩემო...

თბილისის თავზე. ილუმინატორთან

თამაზ ხარაიშვილი



შეგონება

მე ჯერ მოკვდები ღმერთების თვალწინ  
და მერე ჩემთვის, ჩუმად და მარტო.  
თამაზ ბაძალუა

დაბადებამდე ნათქვამი იყო:  
„გზარავდეთ ჩემი აჩრდილის შიში“,  
ამ ცისქვეშეთში არაფრად, თანაც  
არჩადენილი ცოდვისთვის იშვი“

რადგან ცხოვრებაც არაფრად არ ღირს,  
გათქვირულ თეძოს აგლეჯ კორსეტებს;  
აკოცებ ყველას, ბილნსა და ულირსს,  
ვინც შერყვნილ ბაგეს გამოიმეტებს.

მოილოდინებ... მაგრამ იმედი  
მტვრიან შარაგზას მოსდევს ჩანჩალით;  
რაღა ჰქინა? ღვინო უნდა გადაჲურა,  
ღვინო ცივია, ხახა – გამშრალი.

ყურს ვერ აცდუნებს ბერის ბუტბუტი,  
გონება ებრძვის ლოცვების ექსტაზს.  
რაღა ჰქინა? სული უნდა წარწყმიდო,  
მიუგდო ვიღაც ლოთსა და მეძავს.

ასეა, ძმაო, თვით ბედისწერა  
დაატრიალებს ცხოვრებას მრუდად;  
სანამ მოკვდები ღმერთების თვალწინ,  
ჯერ საკუთარ თავს მოუკვდე უნდა.

## 30 ქანის კულტი

დიდხანს კვდებოდა, სული და ხორცი  
ვერ გაიყარა მშვიდობიანად.  
ზოგჯერ სიცოცხლე მოუთმენლობდა,  
ზოგჯერ სიკვდილმა დაიგვიანა.  
იგი ხელჯოხით მიდის ნაპირთან  
და ფეხაკრეფით ერთვის მდინარეს,  
კვდება წელ-წელა, კვდება თანდათან  
თუ საუკუნოდ თავს იმძინარებს?!  
წუთისოფლიდან ისე გავიდა,  
როგორც ხომალდი გადის პორტიდან.  
რომ არ შებმოდა სიკვდილს სიკვდილით,  
გულს ჭილყვავით დაუკორტნიდა.

## შეხვედრა

სუროთ შესუდრულ წნელის ღობეში  
გახლართულიყო ტოტი ძახველის;  
უცებ კენჭივით მოხვდა ფანჯარას  
ჩემი ძახილი – შენი სახელი.  
ოდნავზე მეტად გაკვირვებული  
მხრით მიებჯინე კარის ლავგარდანს.  
და ეს შეხვედრა ჩვეულებრივი  
არც ერთ შეხვედრას მაინც არ ჰგავდა.  
...იდგა, ვით დარდი მიტოვებული,  
პატარა სახლი წყავის ჩეროთი.  
მოხვედი, მხარზე ხელი დამადე  
და სიყვარულით შემომცქეროდი.  
მერე ბჭისკარი ფართოდ გააღე,  
ააპირქვავე გულის ფიალა.  
თქვი: „ჩემს ეზოში დღემუდამ წვიმდა  
ცამ შენი მოსვლით გადიცრიალა“.

## ცხოვრება თეატრის

გაჩენის დღიდან თვალს ვერ ვუსწორებ  
იღბალის მქსოველს და ბედის მჩხიბავს.  
სადაც მომწვდება დაუნდობელი,  
ფეხვეშ გამიგებს, მცელავს და მთიბავს.  
დღე-ღამესავით მორიგეობენ  
მაცილს ეშმა ცვლის, ეშმას – მაცილი,  
ობლის კვერივით გამინანილეს,  
ქვებუდანების გავხდი საცილო.  
კვლავინდებურად ბარიერთან ვარ,  
უნდა შევება სულთამხუთავებს,

უთანასწორო ომში ძლეული  
თრთის და ცახცახებს გრძნობა ხუთივე.  
მზადდება სცენა ფინალისათვის,  
მონაწილენი დავლურს უვლიან.  
საბედისწერო წერტილსაც დასვამს  
ცხოვრების მკაცრი დრამატურგია.

## წვიმისა გამო

გაკვესა ელვამ – ცივმა სინათლემ –  
და სქელი ნისლი დაგუბდა მდორე,  
უნდა გაწვიმდეს მტრების ჯინაზე  
და შევუერთდეთ წვეთების მორევს.  
ჩვენ წვიმა გვიყვარს და მინა სველი  
გვამშვიდებს, როგორც მოხვევა ხელის.  
ჩვენ გვინდა მუდამ ქროდე, ზეფირო,  
მხრებზე ნოტიო ნისლი გვეფინოს.  
ამ გამოუცნობ სილამაზეში  
მოგვწონს ცხოვრება ესევითარი.  
წვიმას წააგავს ჩვენი ფიქრები –  
განუწყვეტელი, დაუმშვიდარი.

## ნოსტალგია

იმ ძველ სახლში ძველებური სიჩუმეა,  
იმ ძველ სახლში სურნელია ფიცრის.  
ბუხრის პირას მინავლებულ ნაღვერდალთან  
სევდიანი მოგონება იცდის.  
სარკმლის მინა იმეორებს სანთლის ლიცლიცს,  
ქარი არხევს ძველი ფარდის ნახევს.  
ღამეს ფერი გაცრეცია, როგორც  
სულთმობრძავში ჭირისუფლის სახეს.  
მტვერი ადევს შანდალსა და წიგნებს,  
მტვერი ადევს აბრეშუმს და ხავერდს.  
სიმყუდროვეს უჩინარი ყბებით  
აპეზარი ჭრიჭინები ხრავენ...



გელოდი, დიდხანს გელოდი  
და თამაშივით მართობდა  
წვიმა, რომელიც არ წვიმდა,  
თოვლი, რომელიც არ თოვდა.  
მოშარიშურე ნიავი  
სურვილის ხანდარს აქრობდა.  
ამოძრავებას ველოდი

ქარის, რომელიც არ ქროდა.  
დრო ჩერდებოდა, ოხრავდა,  
სანაც ყიუინით გარბოდა.  
სულ ჭრიალებდა წინკარი  
სახლის, რომელიც არ მქონდა.  
ვერ ჩამოვუგდე ვერავის  
სიტყვა ცხოვრების ავ-კარგზე.  
ამაოდ ვიყავ მძებნელი  
დარდის, რომელიც დავკარგე.  
სულ აღმა-დაღმა ვიარე  
ამ წუთისოფლის შარაზე.  
თურმე „რა ვქნისა“ ყოფილა  
ციხე, რომელშიც ჩამრაზეს.

## პრეაცია

არ მოგასვენებს ამაღამც ფიქრი,  
იწყება შენი ციება, ელდა.  
როდი გეძინა, ძველ სამელნესთან  
თავმიდებული კალამი თვლემდა.  
სანამ შანდალში ელვარე ზეთი  
ჩაილევა და ჩაიშრითება,  
შენს სტრიქონებზე, როგორც ხის ტოტზე,  
ჩამოისვენეს რითმის ჩიტებმა.  
ახლა ნაკლებად გაინტერესებს,  
რა ხდება შენი სარკმელის მიღმა.  
იწყება სულის დიდი სერობა  
და მაგიური სიტყვების მირქმა.

## მამის ხსოვნას

ვატან ქარებს დანაბარებს,  
ტყემლის ყვავილების ბწკარებს,  
წყაროს – ჩუმად მოწანწკარეს.  
დილის სილბოს, ცვარნამნარევს.  
სხვა რა გითხრა? გაზაფხულდა,  
მზეა შინ და მზეა გარეთ:

დრო გაჩერდა, დრო არ მიდის,  
უამი დადგა ერთობ ფლიდი,  
  
„გაბატონდა კაიაფა,  
მოძმის სისხლი გაიაფდა“.

...სამშვიდობოს გაღწეული,  
ცხადლივ ვხედავ, რასაც ცდილობ,

მე ვერაფრით შემეწევი,  
ცოდვილი ვარ და ვცოდვილობ.  
...ეს ჩვენება არ მცილდება,  
სითბოს აფრქვევს, არ ცივდება:  
ხელთ გიპყრია მთვარის შუქი,  
ვინაც გიყვარს, ყველას ჩუქნი.

## არხოტის რვეულიდან

1

ამღის თავს ღრუბელი შეყრილა,  
ამღაში ამაღამ იწვიმებს.  
ხატის ტყე არ უნდა გაგვევლო,  
დიაცის დანახვა იწყინეს.  
თივაში ვიწექით გულალმა,  
თივაში მარტოკა ვესახლეთ.  
იმ დარდმა კვლავ ხელი დამრია,  
მახსოვდა ვიღაცა... მესამე.  
დაღამდა, არხოტის გადაღმას  
ელვა და ქუხილი ეწვია.  
ავთვალმა წამართვა ის გოგო,  
თივაში მკლავზე რომ მეწვინა.

2

წყარომდე სულ ცოტა დარჩა,  
მიღიხარ, წაბიჯებს ითვლი.  
აქა-იქ ყვავილი მოჩანს,  
აქა-იქ – ხავსი და ფითრი.  
ახედავ შეპოლილ კლდეებს  
და დაღმართს ჩაირბენ უცებ.  
თითქოსდა მდინარის ტალღა  
მიაფრენს შალშავის ფურცელს.

ვიწროა თავანი ზეცის,  
ვერ იტევს მზესა და მთვარეს,  
წამოსულთ – ქისტეთის მხრიდან,  
მიმავალთ – არხოტის მხარეს.



სულ სხვანაირი თენდება ღამე,  
შორდება სარკმელს ხელები ბინდის  
და გაცრეცილი ოცნების ხსოვნა  
წაწვიმარივით ამძიმებს სინდისს.

...ვერ გამოვტაცეთ სიმშვიდე, ვერა,  
იმ მოგონებებს, ბნელსა და ბებერს,  
თუმცა ჩვენ ძალზე ხშირად ვმარტოობთ,  
ვნახულობთ სიზმრებს განსაცვიფრებელს.

უსინანულოდ ვემშვიდობებით  
ოცნებებს, ტლანქს და საოცრად დამღლელს,  
და მერე თავის სანუგეშებლად  
დავარქემევთ ძალზე მიმზიდველ სახელს.

საწუთოო ყრუა, ყრუა და გვისმენს,  
ჭრისა და კერავს ტყუილს და მართალს.  
...გრძნობა, ძალლივით შემოჩვეული,  
მუხლზე ეცემა საყვარელ ქალთან.

## დიდთოვლობა

ათოვს ქვეყანას და თოვლისდარად  
გათეთრებია სულიც და ხორციც.  
ეზოში ყველა ბუჩქი და კუნძი  
იზრდება, როგორც სამარის ბორცვი.

გულდაფოტრილი კედლის ფიცრები  
ჰგვანან სიცოცხლეგამონაწურებს.  
შეშა ჩაიწვა, დარჩა ნაცარი,  
მინავლებული ღველფი ტკაცუნებს.

მიყუჩებულა არე, მიდამო,  
აღარც მტრებს ველით, აღარც – კეთილებს  
და გვენატრება ცა მთვარიანი  
ამ სითეთრეში გამოკეტილებს.

## ბესარიონ სოლოლაშვილი

### ესე ტაქარი ამონარიდები ტრილოგიიდან

#### თეთრონის მძვანელი

ერთხელ, იწყო საუბარი ერისთავმა, მეფე ბაგრატის ნების გამორთმევით, ქუთათისიდან სხვილოს ვიდოდი მშობლების მოსახილველად.

როს გადმოვლახ ლიხი და გავივაკე, მტვრიან შარაზე ჩემ კერძო მავალი პაპა და მისი ბადიში დავლანდე, დაბებკილ-დაძენძილნი. ვითარ მომეახლნენ, განმაკვირვა მოხუცის სახემ: უწმინდესი თეთრი წვერი ეფინა მკერდამდე, ამგვარივე თმა სცემდა მხრებსა ზედა მოხუცებულს მას. შატბერდის ეკლესიაში დახატულ წმინდანს მიაგავდა ხის სამლებიანი. მე იმ უამს ოციოდე წლისა გახლდით, თოთხმეტიოდე წლისა იქნებოდა ყრმა, პაპის გვერდით მომავალი, საულვაშეზე ოდნავი ღინდლი შეფარვით დასტყუბოდა ფეხშიშველა მავალს, ოლონდ ეგ იყო, პაპისგან გამორჩეულობით, სახეზე სიდუხჭირე დაჰფუნოდა და დიდ ვაშკარანნამოკიდებულს.

უკვე სახმელის მიღების უამი იდგა, ამიტომაც პურის გასატეხად მინდორზე განცალკევებით მდგარი უხვერდილ-მფენი დიდი მუხის ქვეშ მივიწვიე და-სავლისკენ მიმავალნი. ამო გამოდ-

გა ჩემთვისაც და მწუელი მზის ქუეშე მავალი სტუმრებისთვისაც მუხის ჩრდილქუეშე თავშეფარება. შვებით დაჯდა მოხუცი, ყრმამ რა გაჭირვებით ჩამოიხსნა ზურგიდან დიდი ვაშკარანი, ნამის უმაღლ პირალმა განერთხო მოლზე. მეც შევისვენე, მერმე კი ლურჯი სუფრა გავშალე და ცხენს მოკიდებული საგზალი დავაგე. მოხუცი უტყვად მიმზერდა და როცა სუფრა გაშლილი იყო, თავის პატარა თოფრაკიდან მცირე რამ კოკურა ამოდგა და სუფრის შუაში ჩადო: ძამის ხეობის წითელი ღვინოაო, კეთილი ადამიანისაგან ჩუენ უპოვარ მგზავრთათვის ნაჩუქარი. მერე სამი პანაწკინტელა ყანწი მიუწყო კოკურას, ისინიც თავის დაძუელებული თოფრაკიდან აღმოღებული.

პირჯვარი გარდავისახეთ და ღვთის სადიდებლის შესმით შევუდექით მცირე რამ მგზავრული სახმელის მიღებას. არ მასვენებდა თანამეპურეთა ამბის შეტყობის ეგზომი წადილი, ამიტომაც შევეკითხე: საით გაგიწევიათ, პაპაჩემო? თან შვილიშვილის უშველებელ ვაშკარანს ვკიდე თვალი. ალბათ, მთელი თუის ნუზლით აქვთ გატენილი და ერთი კოკურა ღვინო ძლივს გაიმეტეს. ეს ხალხი უმეტეს უპოვართა სიძუნნის მა-

**ტარებელნი იქნებიან უცილოდ-მეთქი.**

დაახანა მოხუცმა პასუხი, მანაც შეუფარავად გასინჯა სამოსი ჩემი და მერე ჩემის ცხენის აღკაზმულობას დააცეკერდა. ისე, რომ მზერა არ მოუწყვეტია ბიზანტიელი ოსტატების მიერ ნაკეთები ოქროთი დავარაყებული ვერცხლის უნაგირისთვის, მიპასუხა:

ყველაფრით დიდებული ჩანხარ და ბოგანო პაპად ვერ გამოგადგებიო. აშკარად ჩანდა სიტყვას ბაზზე მიგდებდა. შვილიშვილი კი უტყვად იჯდა, მხოლოდ სახმელს ყლაპავდა და თან ზედამდგომელის მზერით მიცეკერდა. ჩამელრუბლა სახე: ჩემის ცუდობის საბუთის არმქონე რაისად არ მენდობი-მეთქი. თვალები დახარა მოხუცმა და ნალვლიანის ნარევი ხმით მიმძრახა: ჭაბუკო დიდებულო, ვერა გავიგე რა ამ სოფლისა, ვისაც მივამცნე ჩვენისა ზრახვის შესახებ, ყოველმან დაგვცინა და სულელად შეგვრაცხა. თუმც არაფრის მქონებელი ვარ, გარნა მეც მაქუს ლირსებაი კაცისა. ისე, გიორგინმინდელები ვართ და დასავლისკენ მივდივართ ტაო-კლარჯეთში. მერე კულავ დახანდა და დაამატა, შეიძლება, უფრო შორსაც.

რამოდენიმე ჟამის გასვლის შემდგომ ძამის ხეობის ღვინომ გააქრო უნდობლობა. ღვინოს ზნე სჭირს ასეთი: თუ კარგ გუნებაზე მყოფმა დაიწყე სმა, კეთილდად შეიტკბობ და სიყუარულს აგიგიზგიზებს, ხოლო ცუდ გუნებაზე მყოფ ჩხებს დაგაწყებინებს უცილოდ. მესამე ყანნის შემდეგ, როცა დავლოცე მათი სავალი და ვუთხარ, სულის საოხად სალოცავების მომლოცველებს მიაგავხართ-მეთქი, მშვენიერმა პაპამ მითხრა: თეთრონის დასაჭერად დავდივართო აღმა-დაღმა მე და ჩემი შვილიშვილი. განმიკვირდა ფრიად, ვერარას მივხვდი. ცოტათი რომ გამეაზრებინა მოხუცის ნათქვამი, დროის მოსაგებად ვკითხე: საიდგან მოდიხართ-მეთქი. აღმოსავლიდანო, მომიგო ბადიშმა. გამეღლიმა და ტკბილად ვუთხარ: შესაშური

მოგზაურნი ყოფილხართ, რამეთუ აღმოსავლიდან დასავლისკენ მიდიხართ, მზეს მიჰყებით-მეთქი.

ყოველთვის ასე არაა, ყმაწვილური ხმის სიმტკიცით მომიგო პაპის მდევარმა: ჩუენ ხან აღმოსავლიდან დასავლისკენ მივდივართ და ხანაც დასავლიდან აღმოსავლისკენ მივიღტვით. დავლილი გუაქვს მისრითი, არაბთა ქუეყანა, ბიზანტიონი, ელადა და ჰერომი, ლათინთა ქუეყანაი. მერმე კულავ უკულმაც გაგვივლია ეს ქუეყანანი და კვლავაც სხუანი.

რაოდენი ჟამია, ბერიკაცო, რაც თეთრონს დაეძებთ, ამდენი ქუეყნის დავლას წინ და უკულმა ბევრუამეული დასჭირდებოდა უთუოდ, დავინტერესდი ფრიად.

მე პაპაჩემს დავყვებოდი, ის კი თავის პაპას. ხუთი წლისაც არ იქნებოდა ეს ჩემი ბადიში, როს გამოვიყვანე სახლითგან. მას მერე ასე დავდივართ აღთასა და ბალთას, ქუეყნიდან ქუეყანაში, ხრამებსა და ლრანტებში, უდაბნოებსა და სავანებში, წვიმასა და ავდარში, ქარსა და ქარაშოტში, ცივ თოვლსა და ზაფხულის მტვრიან გზებზე, ტყესა და ეკალბარდებში, გაზაფხულის ხას-ხასა მოლსა და შემოდგომის ყვითელფოთლებში.

უმეტესი ხარისხით განმაცვიფრა მოხუცის ნათქვამა. დია განკვირვებული ვიყავ ამ კაცის სიჯიუტითა და კერპობით, გულგაუტეხლობითა და წადილის აღსრულების დიდი რწმენით. ასეთი რამ არასოდეს მენახა.

ძიების ამ მრავალუამეულსა შინანუთუ აროდეს მოგიხილავს თეთრონი იგი? გამოძიებით მივაპყარ ამ უცნაურ მოხუცს თუალნი ჩემნი.

ორ-სამჯერ დამილანდავს ბრწყინვალებით სხივებსა შინა შთასმული ჩემის სიცოცხლის უმთავრესი განზრახვით ნანატრი უულამაზესი ბედაური. ფოთლოვანი ტყისპირას მშვიდად მძოვი მწვანე ბალახისა, აღახუნა ბაგენი მოხუცმა,

ფაფარზე მზე ედგა, ცისარტყელასებრი შარავანდით იყო მოსილი, უცხო ნათელ-სა სცემდა მდელოს და ტყისპირს. ვგო-ნებ, ჰაეროვანი, სუმბულს მინამგუანი ფრთხიც ადგა, რაიც ძლიერ ამშვენებდა. მიწაზე ფეხდაუკარებლად ნელა მივუახ-ლოვდი, რამდენსაც მივიწევდი, მით ისიც ნელ-ნელა მშორდებოდა. ნათლად შევიგ-რძენ, რომ ასე არაფერი გამომდიოდა, ამიტომაც მთელის ძალით გავქანდი მის დასაჭერად. თეთრონმა ერთი კი შემომ-ხედა და ტყეს მისცა თავი. თავდაუზო-გავად შევვარდი ბუჩქებში, მეკანრებო-და სხეული, სისხლი დამდიოდა, ორჯერ წავიქეცი კიდეც და ასე ვირბინე, სანამ ხეთა ტევრებსა შინა მთლად არ დავკარ-გე მისი კვალი. სასო წამერთვა, ძალის ნიშატიც აღარ გამარინდა, მკვდარივით მოკბრუნდი უკან, ზურგში დანით და-კოდილს მინამგუანი, ბარბაცით ვადგამ-დი ფეხებს. გზაზე გამოსულს ადგილზე ქვადქცეულმა პაპამან ჩემმან მკითხა:

რა დაგემართა, შვილო, საპყრობით ხომ არ შეგიძყროთ რაიმე ზნემ?

პასუხის გაცემის თავი და სურვილი სრულებით გამქრობოდა. ჩრდილში, ყვავილებამოსულ ბალახებზე დამანვი-ნა ბერიკაცმა ამ ქუეყნის ვერა გამგები, წყალღვინო მასვა. გრილმა ნიავმა და ცივმა სასმელმა თანდათანობით დამაბ-რუნა ამქუეყნად.

რატომ გაიქეციო გზიდან ასე შეპ-ყრობილივით? კვლავ გამიმეორა კით-ხვა პაპამან ჩემმან, ანუ ამ ყმანუილის პაპისა პაპამან.

თეთრონი ბალახობდა ტყისპირას და მის დასაჭერად-მეთქი. პაპამ ჯერ თვი-თონ გარდაისახა, მერე კი მე გადამწე-რა პირჯვარი: მე არარა დამილანდავ-სო, შვილო. ერთი მსგეფსის მანძილზე არ მოვცილებივართ იმ ადგილს, ეგებ, კიდევ გამოჩნდესო თეთრონი. ბოლოს, როცა არავითარი ნიშანი აღარა და აღარ გამოჩნდა, იმედგადანურულებმა დავტოვეთ იქაურობა.

მეორედ ჩემმა ბადიშმა იხილა ფრთი-

ანი ულაყი. ისიც გამოეკიდა და ისიც ხელცარიელი მობრუნდა ჩემსავით.

მესამედ მე და შვილიშვილმა, ორი-ვემ, ვიხილეთ, ორივენი ქარზე უსწრა-ფეს კატის მაღლული ნაბიჯებით მივე-ტიეთ ქათქათა წეროსფერ მერანს, წინ მე დავუდექი, უკან ეს ყმანვილი, ვერ-სად ვერ გაგვექცეოდა ჩუენი გუარის ამდენი ხნის ნანდაური იგავმიუწვდო-მელი რაში. თავი ასწია საყვარელმა და როს ნახა, რომ გასაქცევი არსად ჰქონ-და, დაჲკრა ფეხი მიწას და ზე აიჭრა. პირგალებულები შევცეროდით ცაში წეროსავით მიმცურავ რაშს და... ორი-ვემ ტირილი დავიწყეთ.

რამოდენიმე უამს უტყვად ვიქმენ, არა-რა ვიცოდი, რა მიმერახა. დავემშვიდობე თანამესუფრეებს და ვარქვი: ქუთათისს ჩასულებმა უცილოდ მოიძიეთ ამირახო-რი ბაგრატ მეფისა და სთხოვეთო თეთ-რი ცხენი. მერწმუნე, მოხუცო, იმისთანა დარახტულ მერანს მოგცემთ, რომ სულ ცეცხლსა და ნაპერნკლებს აფრქვევდეს. ამას რომ ვეზრახებოდი, ცხად იყო ჩემ-თვის, რომ სხვილოდან მობრუნებული უეჭველად ჩავუსწრებდი ფეხით მავალთ ქუთათისს.

ჭაბუკო, ჩუენ თეთრონს ვეძებთ და არა თეთრ ცხენს, ღირსეული ადამია-ნის სიამაყით მარქვა ბერიკაცმა. არღა-რა ვიცოდი, რა მეთქუა ან ღირდა კი რაიმეს თქმა. ესლა მოვახერხე:

პაპავ ჩემო, ბავშვობიდან თეთრონის მაძიებელმან და ვერ მპოვნელმან, განა რა მოივაჭრე-მეთქი ამ წუთის სოფელში?

ბავშვობაში მეც, ჩემი ბადიშმივით, ფეხშიშველი დავდიოდი, ახლა კი ხის ხამლები მაცვია, მომიგო წმინდანივით თეთრწვერა მოხუცმა. დავემშვიდობე და სხვილოსაკენ გამოვწიე, ვფიქრობდი. ვერ შემემცნებინა, რისთვის არ კმარობს კა-ცი იმ ბუნებასა, რაიც უფალმა მიუპოძა; რატომ ეძიებს ზემდგომელობასა მიბოძე-ბულზე; განა საკმარისი არა არს, რაიცა აქუს მოპოვებული? გარნა აქუთ კაცთ სულსა შინა ზნე რამ მიმალული და

ვერსაჩინარი, უფლისა მიერ მიმადლებულის ვერ კმა ყოფისა და გარდამეტებულის ფლობისა.

რატომ დაეძებდა ბერიკაცი ნიადაგ თეთრონს?

## ვარსპვლავთცვენა

მირკანის შუა რიცხვებში მოპრუნდა ბერო შურტყელი თავის ულამაზეს კესანეთი სხვილოს.

თავთუხობისთვის ერთს შშვენიერ ღამეს, ოდეს მიძინებულ კესანეს სიზმრების საუფლოში უნდა შეებიჯებინა, ბერომ გამოალუიძა: ადექი, სულო ჩემო, ახლა არ არს უამი ძილისა, არამედ არს უამი განსაციფრებელი მშენიერების ჭურეტისა. გავიდეთ გარეთ და აპხედეთ ზეცას. აპხედა ასულმა ცას და ლამის შეჰყვირა, ვარსკულავები ცვიოდნენ ციდან. გადასერავდა ცარგუალს ვარსკულავი და ლამაზად იფერფლებოდა შორეთში, ხამსამის უმალ მოსწყდებოდა მეორე ვარსკულავიც, სტოვებდა გაპრენყინებულ კუალს და ისიც შთაინთქმეოდა დასალიერზე, მერმე მესამე, მეოთხე, მეხუთე და სწყდებოდნენ ცას ვარსკულავნი უსამანოდ. შიშით შეხედა კესანემ ბეროს. მიეხუტა ათროლებული.

ნუ გეშინის, ძვირფასო, ეს ლამე ვარსკულავთა მხიარულების ღამეა, უიშვიათესად სახილველი კაცთაგან. ვარსკულავთა ცვევნას ბეღნიერება მოაქუს მჭურეტელთათვის. ავიდეთ მთასა ზედა, დაე, მნათობნი გვაცვიოდნენ თავზე.

ნელინელიად ვიდოდნენ ახლად შეულლებულნი აღმართზე. ვარსკულავნი კი ცვიოდნენ საოცრად უხუად და ბევრნი. ავიდნენ რა მთის თავანზე, უფრორე ნათლად ჩანდა ყოველი. ვარსკულავნი გადიქროლებდნენ აღმოსავლიდან დასავლისაკენ, ზოგნი კი ჩრდილოდან სამხრისაკენ და დასავლიდან აღმოსავლიდაც, გზაში ხვდებოდნენ ურთიერთს.

ასეთი სახილველი, მართლაც რომ, არ ეხილა დიაცს, არამედ წაკითხულ ჰქონდა სახარებასა შინა, ქრისტეს შობის უამს როგორ გამოეყო ვარსკულავებს მოკაშაშე ერთი მნათობი და ივლტოდა ჩრდილოს მხრიდან სამხრისაკენ, მოგუთა გზის საჩურენებლად, გარნა ზეცას არ მოსწყვეტია უფლის შობის მაუნყებელი. ახლა კი აზნაურის ქალი თუალებითა თვისითა ხედვიდა ამ სასწაულს.

არღარა უწყოდა დიაცმა, შეშინებოდა თუ დამტკარიყო ამ სახილველით, ისევ მაგრად მიეკრა ბეროს, მის მფარველსა და სასოს. ვაუმა მოლზე დასვა ქალი და ეს წარუთქუა: პირალმა ვუმზიროთო ამ ღუთის სასწაულს, ჩუენთვის მოვლენილს და ოდეს განრთხმულს მკერდზე თავი დაადო კესანემ, ტკბილად დაუნყო ჩურჩული სასურველს:

შეჰქმნა ღმერთმან ცანი ცათანი და თქუა ღმერთმან, იქმნენით მნათობნი სამყაროისა შინა ცისასა მნათობად ქუეყანისა; განსაყოფელად შორის დღისა, და შორის ლამისა; და იყუნენ სასწაულებად, უამებად და დღეებად და წელიწადებად და იყუნენ განმანათლებელ სამყაროსა ცისასა, რათა ნათობდენ ქუეყანასა ზედა; და იქმნა ეგრეთ და შეჰქმნა ღმერთმან ორნი მნათობნი დიდნი: მნათობი დიდი მფლობელად დღისა; და მნათობი უმრნემესი მფლობელად ლამისა; და ვარსკულავები და დასხნა იგინი ღმერთმან სამყაროსა ცისასა: რათა ნათობდენ ქუეყანასა ზედა და მთავრობდენ დღესა და ლამესა: და განვალებდენ შორის ნათლისა და შორის ბერელისა: და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ არს.

ჩუენგან შორს, ძალუმად შორს არს უძრავ ვარსკულავთა ცაი, უუძველესი და უუზენაესი, ციური სამეუფეო, ვითარ ხატება ღმრთის უამად უცულელობისა.

ყვავილებივით ცვიოდნენ ზეციდან ვარსკულავნი და თავზე ეყრებოდნენ ცარგუალის პირალმა მჭურეტი ბედნი-

ერ ქალ-ვაჟს. თავჭერილი და კეთილად ზრდილი იყო ჭკუიანი კესანე, გარნა ეს მიურქუა ბეროს:

მოზრდილნი ასე იძრახებოდნენ, როცა ცას ვარსკულავი წყდება, ვიღაც კუდებაო, სევდიანი ხმით წაიჩურჩულა ქალმა.

ეგ მუცელომეზლაპრეთა გამოგონილი ჭორია უმეცარი ხალხის დასაშინებლად, ამბორით დაამშვიდა ხუროთმოძლუარმა ცოლი, მე კი ბალლობაში ასე მეტყოდაო დედა: როცა ვარსკულავი წყდება ზეცას, მოასწარი და მის გამცურევამდე ჩაითქუიო რამე, ღმერთი უცილოდ აგისრულებსო ნაოცნებარს. ხედავ, ქებისა და გალობის ლირსო, თავათ ციდან ჩამოსულო, რამდენი რამის ჩათქმა შეგვიძლია? ჩუენდა ბედნიერებად გვამზერინებს უფალი ამ ულამაზეს სასწაულს.

პატარა ცელქი გოგოსავით ატიტინ-და კესანე: ამდენი ვარსკულავი რომ ცვივა ზეციდან, ვინდა შობსო ახალ ვარსკულავებს. განა ჟამი არ დააცარიელებს მსრბოლავ ვარსკულავთაგან ზეცასა?

კულავ ეამბორა ჭაბუკი ასულს, მშუენიერი ასპიროზიაო ვარსკულავთა მშობელი. არ მოისუენა ცოლმა: ვარსკულავნი თუ განიყოფებიან მამრებად და დიაცებად? როგორ არაო, მიუზრახა ბერომ და ამის განრჩევა უადვილესია, ლამაზი ვარსკულავნი დიაცებია, დანარჩენნი კი მამრებიო. ისევ არ მოისუენა ქალმა, ახლა თვითონ ეამბორა ქმარს: ვარსკულავები თუ ჭორაობენო? დაიბნა ხუროთმოძლუარი, არ იცოდა, რა ეპასუხნა, გაიცინა და აბა, რა ვიციო. ალბათ, ჭორიკნობენო, დაასკუნა კესანემ, მაშ, რას აკეთებენო ერთმანეთთან სტუმრობის ჟამს?

ცოლ-ქმარი მხურვალე გზნებით ეკვროდა ერთმანეთს, თავზე კი ვარსკულავნი აცვიოდათ.

უცებ მოილრუბლა ქალი: ჩუენი სიყუარულის მფარველი ცისფერი ვარ-

სკულავი ხომ არ მოსწყდებაო ზეცას? არა, არასდროს, დაამშვიდა ბერომ და აკანკალებულ ქალს ბაგეებზე დაეწაფა.

იმ ლამეს ცოლ-ქმარი თანაეყუნენ ერთურთს ზეციური ალერსით. მერმე კი მიერულათ და მხოლოდ აღმოსავლიდან შემოპარულმა სინათლის ჟინ-ჟღლილმა გამოაღუიდა ჩახუტებულები.

წყრომით შეხვდა შინ მობრუნებულებს ბედიშა – სად განქარდითო ნისლეულივით ამ ლამეს, ამაოდ დავშვრიოთ თქუენს ძებნაში, მთლად გადავატრიალე ყოველივე, ტახტის ქუეშაც შევიხედეო და ვერ დაგლანდეთო ვერსად. გინდათ, გული გამისკდესო დედაბერს. დანაშაულზე წასწრებულ ბალლებივით დახარეს თავი გაპარულებმა.

გაჩენის დღიდან წუალობს კაცი ბედნიერების რაობის შესაცნობელად, გარნა ხელი ცეცარება მუდამ ჟამს, რამეთუ მრავალფა იგი. ბედნიერება ზოგისთვის წამია, სადაგობიდან გამოყოლი და ვარსკულავად აკაშკაშებული; ზოგისთვის კი ჩუეულებრივი, უდარდელობით, ხალისით სავსე, სიცოცხლის შემაგრძნობელი სადაგი დღეებია, მკუიდრად გაგრძელებული.

ქათქათა წეროების ქარავნის მწკრივად წაეწყო ერთმანეთს ცოლ-ქმრის ბედნიერების სადაგი დღენი. სურწყუნისის დასაწყისში დაიბადა ვაჟი. გახარებულმა მამამ ცეცხლოვანი ისარი შესტყორცნა ზეცას. მახარე დაარქუეს ვაჟს.

## პესანე

იატაკზე დავარდნილი კესანე ხამლებს უკოცნიდა ხუროთმოძლუარს ამაღლების ტაძრისას: ნუ მომიძულებ ჩემისა ცუდობისათუის. ნუ განმიშორებ და განმაძუებ შენის საცხოურისიდან, მე ყოულად უღირსს, რამეთუ ძლიერ მწადია განსრულებული ტაძრის ხილუა თუალითა ჩემითა. სულს განმიტანჯაუს დიდითა ტანჯუითა ვერხილუა დარ-

ჩენილი სააქაო ცხოურების ერთადერთი ნუგეშისა ჩემისა.

ნუ ხარ ჩუმად, ხუროთმოძლუარო, მარქუი რამე. მისი კურთხევის მეორე დღესუუ განგეშორები და წარვალ ტაოს. გეფიცები ჩემს გატაცებულ პატარა შუილს, იქ სიკუდილამდე ვილოცებ შენი ბედნიერებისთვის. არ დაგივიწყებ აროდეს.

ვერ გაუძლო ამ ტანჯუას ვაუმა, დაიხარა ნასტაკისელი, ორი თითი ამოსდო ნიკაპის ქუემოდან ქალს და თავი აუნია, თუალებში ჩახედა, უმანკო, იბერიის უძირო ლამის სიღრმის უწუდენი სიმორიდან ამოსცეროდნენ ეგზომ ლამაზი თუალები ქალისა. ეს თუალები კესანეს სული იყო. ღმერთისგან ქმნილი უსაზღურო სამყაროს დამალულ გამოუცნობ იდუმალებათა შემცუელნი. ეგზომ იზიდაუდნენ ისინი მუხარს; შიგ ითრევდნენ და ზემალალი შეგრძნებებით აღაუსებდნენ. უხშირეს წამნამთა ჩრდილი კი ისე ეძახდნენ ხუროთმოძლუარს, ვითარცა მცხუნუარე შუადლის უამს უხმობს კაცს მდელოზე განმარტოებით მდგარი ასწლოვანი უზარმაზარი ხის მაცოცხლებელი ჩრდილი. უყურებდა მხატუარი ქალს და ვერ ინძრეოდა ქალის სახიერებით დატყვევებული. არა, არა, ეს დიაცი არ იყო ამჟეუყნიური, მას ზეციური, არამიწიერი სილამაზე ჰქონდა, ღმერთისგან საჩუქრად მიცემული.

უყურებდა კესანეს მუხარი და გრძნობდა, მას ეს ქალი ძლიერ, ძლიერ უყუარდა, იგი მისი სიყუარულის ბედი იყო სიცოცხლის ბოლომდე და სხუას ვერ შეიყუარებდა ვერასდროს!

ხელი მოჰკიდა მცლავებში და ზე წამოაყენა, ცასა შინა მცურავი წეროსავით მიუწუდომელი ღამისეული სტუმარი, დედა კესარია, რამდენ ხანსაც გინდა იმდენ ხანს დარჩიო, წარუთქუა ხმის თრთოლით ნასტაკისელმა. ამ ამბის შემდეგ მთელ დღეებს მდუმარებდა ვაუი, ხმას აღარ განიღებდა აგრერი-

გად. ვიდოდა ყოველთვის დაფიქრებით სევდიანი, აღარ ეზრახებოდა კესანეს საფერებელი სიტყუებით. შენიშნა ნასტაკისელმა, ქალიც მხოლოდ ხუროთმოძლურებით მიმართავდა, თუ ჰქონდა რამე სათქმელი. ხან გზის ლურჯ ზეცას მიაცერდებოდა ვაუი, ცაში უთეთრესი ღრუბელნი მიცურავდნენ აღმოსავლისკენ, ამ ღრუბლებივით მისცურავდა შორეთს მისგან კესანეს სიყუარულის ბედნიერება.

ერთ წუიმიან უამს საცხოვრისსა შინა შთენილი ნასტაკისელი სახლის ლანძუიდან ფიქრმორეული გაჰყურებდა ტაძარს. წყნარად მოუბრუნდა მდუმარედ მჯდარ კესანეს და ეს წარუთქუა:

დედა კესარია, ბერო შურტყელმანი იწყო შენება, მე ღუთის შეწეუნით კეთილად განვასრულე, გარნა ალბათ, უშენოდ არ აღშენდებოდა იგი. რას ჰყიქრობ ვისი აღშენებულიაო ესე ტაძარი? წამი არ დაუხანებია დიაცს საპასუხოდ: სამთავესი... სამთავესი... სამთავესი... ისეთის სისწრაფით წართქუა დიაცმა, თითქოს ეშინია არავინ ჩამერიოსო წართქუმასა შინა.

ისევ გაჰქედა ხუროთმოძლუარმა ტაძარს, კრინტუძურელად იდგა რაოდენისამე უამს, ბაგეთა მცირე მოძრაობით იმეორებდა დიაცის ნათქუამს: სამთავესი... სამთავესი... მერმე მოუბრუნდა ქალს და უზრახა:

იყოს აგრე. მართლაც, ეგზომ ლამაზად უღერს სიტყუა სამთავისი, სწორედაც შენი სილამაზის დარად და საფერად. დაე, აწიდან ესე ტაძარი იყოს სამთავისად სახელდებული!

აღმური აუვარდა სახეზე დიაცს, თვისის ჩუეულებისამებრ თავი დახარა კრძალულებით.

განსრულდა ტაძარი!

გახარებულმა ყანჩაელმა სხვილოს იწუია მელქისედეკ კათოლიკოსი. თვისის ამალით ჩამოპრძანდა საქართუელოს ეკლესის საჭეთმპყრობელი, ოთ-

ხი ეპისკოპოსის თანხლებით. განიხარეს დიდად სტუმრებმა, რა მოიხილეს მშუქნიერი ტაძარი, აღიუსნენ სიხარულითა დიდითა. განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ მეფის ხუროთმოძლურის ქმნილებას და იმასდა იძრახოდნენ: არა გუეგონა სუეტიცხოვლის შემდგომ ასე თუ გაგვაკვირვებდაო ტაძრის უზადობა. შამადავლე, ან უკუე ბერად ქმნული, თავდახრით ემთხუია ხელზე უწმიდესსა და უნეტარესს. მირკანის მიწურული იდგა. სადაც იყო, ლურჯი იებიც მოედებოდნენ ქართლის მინდურებს. იგრიკის თუის დასარყისში დანიშნა მელქისედეკმა ტაძრის კურთხევა. სამი დღით ადრე ჩამობრძანდა ბაგრატ მეფე სხვილოს. აქედან იწვია მთელი ერი ამიერ და იმიერ, აზნაურნი და უაზნონი სრულიად, ტაძრის წიგნთა გადამწერნი და სპასპეტნი, გლახაკნი და უქონელნი და სხუანიცა უმრავლეს. მელქისედეკს ადრევე დაეგზავნა წვევის წიგნი ბიზანტიონს.

ელინები თუალებდაჭყეტილნი შეჰყურებდნენ სამთავისის შინამოსა და გარეგნობას შორის საოცარ კავშირს, ფასადთა დანაწეურებით გამოტანილს. აკუირვებდათ აკანთოს თამამად ქანდაკებული ფართო ხუეულები, დასავლის კარიბჭესთან ორნამენტს შენიალებულ მცენარეთა აყუავილებული და ხილმსხმიარე შტოები, ვაზთა გრეხილები, სარკმელთა საუცხოო საპირენი, ლამაზი ვარდულები, თაღნართა სიმსუბუქე და ჰაეროუნება, ფრინველთა ფიგურების იგავმიუნუდომელი სისადავე. ხელებს აქეთ-იქით ატრიალებდნენ გაკუირვებულნი ბიზანტიილები და აღტაცებულნი: ზიზილებს და ოქროს გადავაყოლეთო ჩუენი ეკლესიანი და ამით მივიწყებას მივეცითო სიბრძნე, ჭეშმარიტი გენიალობა ხომ ზომიერ სიმარტიუებია უდავოდ. თან წაგუაყოლე ტაძრის ხუროთმოძლურა ანტიოქიასა შინა აგუიშენოსო ამის სადარი ორიოდ ტაძარი და გაგუნურთნასო ქართულ

ხუროთმოძლურულ საიდუმლოებებსა და დაფარულ სილამაზეთა კანონებში, ეხუენებოდნენ ბაგრატ მეოთხეს. მოიკითხეს ნასტაკისელი, აღმოჩნდა, არავინ იყო მისი თუალის დამკურელი. უსწრაფესად დაგზავნა მეფემ მალემ-სრბოლნი სამთავისის ტაძრის ამშენებლის მოსაძიებლად. ქუშამოგდებული ჰუნენი მოაგდეს მალემსრბოლთა, ვერსად ვიპოვნეთო ხუროთმოძლუარი მეფისა, თითქოს ცამ ჩაყლაპაო, გაიძახოდნენ ერთობლივ. მხოლოდ იმედომ განაცხადა: გუშინნინ ღამეს დამიბარაოსტატმა, გონიო მაჩუქა, კარგად გაუფრთხილდიო, რამეთუ ამ გონიოთი სუეტიცხოული აღეშენაო. ამის შემდეგ არც ერთ სულიერს აღარ უნახავს მუხარ ნასტაკისელი. ხალხში ხმა გავარდა: ისე, ვითარცა პირუელი, გორგასალისეული ტაძრის ამშენებელი, ისიც ცოცხლად წაიყუანაო ღმერთმან ცასა შინა, რათა უკეთესი ტაძარი აღარ აღაშენოსო.

დიდაბალი შემოწირულობებით განამშენეს სამთავისი, მეფისა, მარიამ დედოფლისა, დიდებულთა, ეპისკოპოსთა და სტუმართაგან მორთმულით. ოქროითა და ვერცხლით შეჭედილი ხატებით, ჰატიოსანი ქუებით მოოჭუილი სხუადასხუა სიდიდის ჯურებით, მარგალიტებითა და ძუირფასი ქუებით ყდაშემკული ოთხთავებითა და სახარებებით, ოქროგარეული სასანთლეებითა და შანდლებით, ძვირფასი, წმიდად ნაქარგი საფარებლებითა და დაფარნებით, აგრეთვე, მაღალ სამლუდელოთა ოქრომკედით შეკერილი სამოსითა და ოლარებით აელვარდა ტაძარი. და როდესაც დაანთეს უამრავი სანთელ-კელაპტარნი, გაჩახჩახდა და გაბრწყინდა ტაძრის შინამო სრულიად.

თავად მელქისედეკი აკურთხებდა სამთავისს, ოთხ ეპისკოპოსთან ერთად. ამბიონის წინ იდგნენ: მეფე ბაგრატ, დედოფალი მარიამ, მეუფე ყანჩაელი, შამადავლე ერისთავი და სხუანი დიდე-

ბულნი. ანას და გაბრიელს მოეყუანათ პატარა მახარე, ძვირფას სამოსში მოსილი. მერმე იდგნენ ტაძრის საქმეთა ზედამდგომელი თევდორე და ამშენებელნი ტაძრისა: კირითხურო ღუთისავარ, ქუათა მკუეთელი მამისა, მისი ძე იმედო, ხურონი და კალატოზნი, აგრეთუე მომუშაკენი უბრალონი. ტევა არ იყო ტაძარში, გადაჭედილი იყო ეზო ტაძრისა და შემოგარენი.

კესანებ რა თუალი ჰკიდა ოქროცურუილ სამოსში გამოწყობილ პატარა მახარეს თუალთ დაუბნელდა, მიკუნჭა სადღაც კუთხესა შინა, რათა არ დაენახა შუილი, გარნა უხილავი ძაფები მოუსვენრად ეზიდებოდნენ ამბიონისკენ, სად მყოფობდა მისი სიყუარული, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, ცუდად ხდებოდა ქალი, ლამის გული ამოვარდნოდა, პირს უხშირესად ალებდა ჰაერის ჩასაყლაპად.

ამბიონსა ზედა, იმედოს მიერ გამოქანდაკებულ თეთრ ულამაზეს კანკელის წინ მდგარმა კათოლიკოსმა მადლობა შესწირა უფალს ტაძრის კეთილად განსრულებისთვის, მარიამ ღუთისმშობელსა და წმიდა გიორგის შეავედრა ქართული ერი: წმიდა დედაო სრულიად საქართულოისა, უკუდავო ღუთისმშობელო მარიამ, შენ გადააფარეო შენი კალთა შენ წილად ხუდომილ ქუეყანას; წმიდაო გიორგი, შენ წარუძეხი ქართულებს წარმართა და ბარბაროზთა წინააღმდეგ ბრძოლებსა შინა, ქრისტიანობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. მერმე მეფე და მარიამ დედოფალი ახსენა უნმიდესმა და უნეტარესმა, დღეგრძელ ჰყავიო, ღმერთო, ისინი; დალოცა მხედრობა მეფისა, შემდეგ ეს წართქუა ამაღლებულის ხმითა:

ქრისტე ღმერთო, აჯანმრთელე და დღეგრძელ ჰყავ სიცოცხლე მეუფისა ქართლისა ილარიონ ყანჩაელისა და ბერისა შიოშისა, ერობასა შინა შამაღლებულის

ლე ერისთავ ყოფილისა, აკურთხენ და დალოცენ იგინი; შეინყალე და აცხოვნე სული ამა ტაძრის დამწყებ ბერო შურტყელისა, ქიშპ, დრკუ და მარბეველ კაცთაგან სიცოცხლემოსწრაფებულისა; მეოს იყავ და შემწე ტაძრისა განმასრულებლისა, მეფისა ხუროთმოძლუარისა მუხარ ნასტაკისელისა, უცნობის მიზეზითა ჩუენს თუალთაგან მიფარებულისა; მეოს იყავნ ყოველთა ხუროთა, კალატოზთა და ქუათა მკოდუელისათა და მუშაკთა ყოველთა აღმშენებელთა სამთავისისა. უხმოდ სტიროდა შავად მოსილი კესანე თვისის ახლობელ კაცთა კათოლიკოსისაგან ხსენებისას, ჩრდილს შეფარებული ტაძრის ბნელს კუთხეში. მან ხომ ერთმა უწყოდა მიზეზი მუხარ ნასტაკისელის გარდასუენისა. სტიროდა თავის ახლობლებსაც და თავის ქალობის ბედს, ქმარმოკლული და თვისის ნებით შუილის განმაშორებელი დიაცი.

ტაძრის კურთხევის მეორე დღესაც ისევ მოიხილა დედა კესარიამ სამთავისი: საძირკუელთან, მიწაზე მოაფინა ახლად ამოსულნი იანი, მოეფერა უსულო ქუებს, ახლა უკუე მისი ქმრისა და ნასტაკისელის სულებად ქცეულთ, იცრემლა ბეროს საფლავსა ზედა, ახედა გუმბათს, გედის ყელივით ლამაზს და გული მოეწურა, უზადოდ მშუენიერი იყო, მისი სიყუარულით, მუხარის ნაქანდაკები. მძიმედ წავიდა დასავლის კერძო, მერეს დედათა მონასტრისაკენ მიმავალი და სანამ თუალთაგან მიეფარებოდა, ერთხელ კიდევ მოხედა ტაძარს, კულავ იწუმიეს ცრემლებმა მის თუალთაგან, ჩაღუნა თავი და აღარც მოუხედავს უკან. მას შემდეგ კესანეს აღარ დაუდგამს ფერხნი მისი გამზრდელი ქართლის მიწაზე.

შუა ქართლისა შინა კი დარჩა სიყუარულით აღშენებული და დროსთან მებრძოლი ტაძარი სამთავისისა.

## ბოლოთქმა

დაილენა ათი საუკუნე, გამტვერდა ათასი წელიწადი. როდესაც შევცერი სამთავისის დიდებულ ტაძარს, მაურქოლებს: მას უნახავს დიდი დავით აღმაშენებელი, თამარი, რუსთაველი, გიორგი ბრწყინვალე, ლუარსაბ პირველი, გიორგი სააკაძე და სულხან-საბა. მისი სანახებიდან გაიტაცეს ლეკებმა დავით გურამიშვილი. იგი მომსწრეა საქართველოს ბრწყინვალე ხანის და სისხლიანი წვიმებისაც; მონლოლების ჰუნეთა ფეხებით გადათქერილი ქართული მიწისა და შაჰ-აბასის მიერ აწიოკებული სოფელ-ქალაქებისა; ბალებზაგვრილ დედათა შემზარავი კივილის და კვლავ წამომდგარი საქართველოსი.

სამთავისის ტაძრის ბრწყინვალე ხუროთმოძღვრულმა გადაწყვეტამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული არქიტექტურის განვითარებაზე. მეთორმეტე, მეცამეტე საუკუნეების – და შემდგომშიც ძალიან დიდხანს – ქართველთა საამაყო ტაძრების აგებისას ხუროთმოძღვრებს სანიმუშო მაგალითად ჰქონდათ ამ ტაძრის მშვენიერება, განსაკუთრებით აღსავლის ფასადების გამშვენებისას.

სამთავისის მომხიბვლელობა მეოცე საუკუნესაც გადმოსწვდა. მის განმეორებად აიგო საქართველოს მთავარ გამზირზე წმიდა გიორგის ქაშუეთის ტაძარი.

მტერთა მრავალგზის შემოსევებმა და წარმავალი დროის დაუნდობლობამ ბევრჯერ დააზიანა შუა ქართლს მდგარი სამთავისი, მაგრამ იგი, საუკუნეთა

მძლევი, კვლავ აღდგებოდა სახებად სილამაზის მარადიულობისა და უკვდავებისა.

ღმერთო, ამრავლე საქართველოში სამთავისის გენიალური ხუროთმოძღვრისნაირი მაშენებლები. მე მნამს, რომ ტაძართა ეს დედოფალი სამარადუამოდ იდგება ქართულ მიწაზე.

უფალო, შეინყალე და აცხონე ამ ტაძრის შემოქმედნი. ამინ!

და-ცა-ილენენ საუკუნენი,  
ისევ ჩამოდგა თბილი მაისი,  
ქართული გენის გამობრწყინებად  
კვლავაც ამაყად დგას სამთავისი.

მოფრინდებიან მოგონებანი,  
მაინც სიცოცხლე, ალბათა ლირდა,  
და საქართველოს რა ბედიც ჰქონდა,  
იგივე ბედი ტაძარსაც სჭირდა.

ანგრიეს, აღდგა, დაწვეს და აღდგა,  
მედგრად გაუძლო უამთა სიავეს,  
დალლილმა მტრებმა თავი ანებეს  
და მისი ბედი კლდეებს მიანდეს.

ახლა დგას, როგორც ძველი  
ხომალდი,  
ლურჯი ტალღები ზანტად ნანაობს,  
ჩემი სამშობლოს და ტაძრის ბედი  
მარადუამს ასე რატომ ქანაობს.

უამი დაითვლის ათას წელს მერეც,  
აღარ დარჩება ხსოვნა არვისი.  
ქართველი ერის უკვდავ დიდებად  
კვლავაც იდგება ქართლს  
სამთავისი!



გევორქ (ჟორა) სნეჩიანი

### შემინდე შობილს

დღე მიმწუხრისკენ, ჩვეულებრივ, გაირევს სევდას,  
მზე ჩამავალიც ლამაზია, დიდება გამჩენს!..

შეჩვეულ ბალიშს დაყრდნობია სნეული დედა,  
არ ეპუება მოძალებულ სიკვდილის კლანჭებს.

თვალი – გზაზე და ყური – კარზე!.. ზის, შვილებს ელის  
და იმედიან მოლოდინით იყუჩებს ტკივილს.

დღე იწურება... და სამზეო მკრთალდება ველი,  
ალპიურ სივრცეს დასცემია მზის ბოლო სხივი...

შენს სასთუმალთან მუხლმოყრილი ვლოცულობ, დედი,

უსასოოს და შესაბრალისს გიმალავ სახეს...

ნაოჭებს შორის სინანული გატყვია მეტი

და იდუმალი რაღაც ფიქრი გიმულავნებს სამხელს...

თვალს და ხელს შუა ეს რა სწრაფად მეცლები, ვაგლახ!  
ვერაფერს გშველი, უძლურება შემინდე, დედა,  
ნეტავ, ოდესმე უთენია კვლავ შინ თუ გნახავთ  
ჩემს სევდის ბალში წამით თვალს თუ შეგავლებ, ნეტავ?!

როს სული შენი შეერთვება ვარსკვლავეთს ცადა,  
თავად იქცევი გაბრწყინებულ ვარსკვლავად დილის,  
ქვეყნიერებას გადმოხედავ, უკვდავო, ხატად  
და არ მიაკლებ კაცთა მოდგმას დედობრივ ღიმილს...

### შემოდგომის რაჟსოდია

მივდევ უსახურ დღეთა დინებას  
გადაქანცულ და სნეულ სხეულით  
და გაცვეთილი ღრძილებით ვლოდნი  
უკულმართ ყოფას, უამმოთნეული.

მარტვილის გული ხელით მიჭირავს  
და მკერდით ვხვდები დაძრულ ქარიშხალს,  
სისხლის ცრემლი მდის და არც კი ვიცი,  
სწებისგან თავი როგორ დავიხსნა.

სულის წამნამებს ცეცხლი ედება  
და გეენის ალში ვიწვები,  
ზოგჯერ ჯვარსაც ვთმობ და უსასოო  
უჩუმრად ვუტევ კალოს ფინლებით...

დგას შემოდგომა ჩემი ცხოვრების,  
მწუხარ ფიქრების აღალს ვიცილებ,  
მჯერა, საქმესაც მალე მოვრჩები  
და ნაგვალვებზე კვლავაც იწვიმებს...

## მეზე თამარის ძეგლი ახალციხეში

დაბრძანებულა მეფე ქართველთა,  
საუკუნეთა სიღრმეთა მგზავრი –  
თეთრად მოსილი, თეთრი გვირგვინით  
და ხელთუქმნელის ნეტარის შარმით...  
საუკუნეთა სიღრმით მოსულა,  
გრძნეულებით და განგებით უფლის,  
მოუტანია ქართველთ დიდება,  
შარავანდედით უბრწყინავს შუბლი.  
დაბრძანებულა, აწ მეფე თამარს  
დღევანდელი დღის აფიქრებს ბედი! –  
მოწმე ჩავლილი ოქროს ხანაა,  
ხატი – ვარძია უნთია გვერდით...  
დღეს გული უძგერს ჩვენ გვერდით თამარს,  
თამარი გულგრილს არ ტოვებს არვის,  
თეთრად მოსილი, თეთრი გვირგვინით  
საუკუნეთა სიღრმეთა მგზავრი...



ქუთუთოებზე მაწვება თალხი,  
თვალის გუგები ტკივილით ფეთქავს,  
გული საგულეს აღარ მაქვს, ვიცი,  
რომ ამ ღამესაც გავათევ თეთრად.  
ქუჩის ძალლების მშიერი ხროვა  
გზას მიჭრის ღრენით – უკანაც, წინაც...  
სიზმარში მფლეოენ... აქ გადამშეულ  
ქალაქის ყველა მათხოვარს სძინავს.  
ნაგავში პურის ნამცეცებს ვეძებ,  
რომ მივაწვდინო ჩემს საძმო ხროვას,  
ნუთუ, უფალო, ამაზე მეტი

გაუსაძლისი დრო-უამიც მოვა?!.  
მშიერს სიკვდილი ბევრს რას დააკლებს  
ან მკვდრის კვლავ მოკვლა ვინ თქვა, ძმობილო?!.  
ღმერთმანი, დროა მეორედ მოსვლის,  
რომ კვლავ ჯვარს ეცვა, მხოლოდ მობილო.  
ქუთუთოებზე მაწვება თალზი,  
თვალის გუგები ტკივილით ფეთქავს,  
გული საგულეს აღარ მაქვს, ვიცი,  
რომ ამ ღამესაც გავათევ თეთრად.

## შუადღე

ეზოში, ჩრდილში, მიგდებულა  
ლეკვი ქასქასით;  
საპრალოს ქანცი ჩასწურვია გამდნარ ასფალტში...  
მთაწმინდის თავზე გაუშლია  
მარაო არნივს...  
სულ არ ანალვლებს ლეკვის ბედი –  
არც მიწის, არც ცის...  
ცხელა!  
ლაჟვარდში აიჭრება უცებ, მოსხლეტით!  
...ლავად ქცეულა რუსთაველის მთელი პროსპექტი!

## უკუსვლა ლექსად

ვარ დაბნეული,  
ეჭვი მკლავს ასე –  
ჩემს ვტოვებ დაცლილს,  
სხვის ბეღელს ვავსებ.

მაჯაში ძალა  
მარგია რაში –  
სხვის ჭაკს „ვაჭენებ“,  
ნაცვლად ჩემ რაშის!

სილრმეთა მხედი  
ვდევ ფიქრებს მარტივს –  
მკათათვეს მიჯობს  
სიგიჟე მარტის!

სხვის სახლს კრამიტით,  
ჩემს ვხურავ ისლით –  
ამცდარი ჩემს გზას  
გზით მივალ ვისით?!.

ადგილის დედას  
სხვა მხარე მიჯობს,  
რად ვამჯობინე  
გამართულს ღრიფო?!

ჩემსას გავურბი  
თითქოსდა განგებ –  
არ ვგალობ ჩემსას,  
ვიმღერ სხვის ჰანგებს!

ამ ტაძართ მრევლის  
სხვის ნიშით ვხარობ –  
წმინდა წყალს ჩემსას  
სხვა მიჯობს წყარო!

გადავყევ უბრად  
სატანჯველ ურვას –  
თავად სნეული  
სხვის სნებებს ვკურნავ!

რისთვის ჩავთვალე  
რიოში ხვითოდ –  
ადგილის დედას  
სხვა შეცვლის ვითომ?!

## მხატვარ გაიანე ხაჩატურიანს

ტილო – ამგვარი რეალურიც, ირეალურიც,  
ფერთა სიუხვე – სასწაული დღესასწაული!..  
ამქვეყნიურის ტყვე და მეფე იმქვეყნიურის  
და უჩვეულო გატაცებით – ამორძალურით!..

აღუსრულები სატანჯველის სევდა თვალებში,  
ქალწული მხატვრის დედობრივი განცდა-ალერსი!..  
ირეალურის რეალური მწარე ტკივილი  
და ირგვლივ როკვა ბერიკათა – უმსურვალესი!..

ყოფა დუხჭირი, მკვლელიცა და მიმტევებელიც,  
საოცარ ფერთა ალლუმს, ღმერთო, როგორც შეჰვერის!..  
სომხური ხელქმნის ჯადოსნური გამონათება,  
მხილველთა ხიბლის მომგვრელი და დამტყვევებელი!..

სომხურიდან თარგმნა  
გივი შაჰნაზარმა



ევგენი გრიშკოვეცი

### ანგელოზის დაკრძალვა

ევგენი გრიშკოვეცი – პროზაიკოსი, დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი – დაიბადა 1967 წელს კემეროვოში. დაამთავრა კემეროვოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

2004 წელს რომანი „პერანგი“ აღიარებულ იქნა წლის დებიუტად. 2009 წელს მიენიჭა პრემია „ვერცხლის ზოდი“.

მოთხოვთ „ანგელოზის დაკრძალვა“ გამოქვეყნდა უურნალ „ზნამიას“ 2006 წლის მეორე ნომერში.

თამაში გადამწყვეტი არ ყოფილა, არც ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ საყურებლად ყველა შეიკრიბა, ანდრე-იც კი წავიდა. შაბათი დღე იყო და ცუდი ამინდი იდგა. ცივი წვიმები სექტემბრის ნახევრიდან გაიჩა და აგარაკზე წასვლას აღარავინ ცდილობდა. აქ კი, შორისალოს, მოკლე სახელნოდებით – „აუტი“ ახალი კაფე-კლუბი გაიხსნა. ბორიამ ყველას დაურეკა, რომ „აუტში“ შეიარა, დარწმუნდა, იქ კარგი ეკრანი იყო და მატჩის ყურება მოხერხებული იქნებოდა, ჰოდა, კლუბის ცენტრში, ეკრანთან ახლოს მაგიდა შეუკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ საფეხბურთო მატჩი წესით მოსაწყენი უნდა ყოფილიყო, ანდრე ი „აუტში“ წავიდა. სხვა რა უნდა გაეკეთებინა? თანაც კლუბი იქვე იყო.

ანდრეის ფეხბურთი მაინცდამაინც არ უყვარდა, მაგრამ ხმაურიან კომპანიასთან ერთად დალევა, გულშემატკივრობა და ყვირილი სიამოვნებდა,

განსაკუთრებით მსოფლიო ჩემპიონატის ან სხვა მნიშვნელოვანი მატჩისას. ის თამაშს ყურადღებით არ უყურებდა და არც სატურნირო ცხრილს ადევნებდა თვალს, როგორც ბორია და მთელი კომპანია. თუმცა მიწვევებზე ხანდახან თანხმდებოდა, ფეხბურთის ხმაურიან გულშემატკივრებს უერთდებოდა და ცდილობდა, სხვებზე ნაკლებად არ ეგულშემატკივრა. კომპანია სტადიონზე არ დადიოდა. უფრო სწორად, სტადიონზე ხანდახან ვიღაც მიდიოდა, მაგრამ ძირითადად ტელევიზორთან გულშემატკივრობდნენ. ადრე, მკაცრად განერილი გრაფიკის მიხედვით, სახლებში იკრიბებოდნენ, თუმცა ეს ყოველთვის დაკავშირებული იყო ბავშვებისა და ქალების ევაკუაციასთან ან იზოლაციასთან. თანაც სახლში მთელი ხმით ვერ იყვირებ. ასე რომ, როგორც კი ეკრანები დააყინეს და ფეხბურთის ყურება შესაძლებელი გახდა, ბორიამ წესად შე-

მოილო, მატჩების საყურებლად მსგავს ადგილებში შეკრებილიყვნენ. ის ყველა-ფერს ინიშნავდა, ყველას ატყობინებდა და მაგიდებს უკვეთავდა.

ამჯერადაც ყველაფერი ბრწყინვა-ლედ იყო. ფეხბურთი, მოლოდინის სა-წინააღმდეგოდ, კარგი გამოვიდა. ბევ-რი გოლი გავიდა და თერთმეტმეტრი-ანიც დაარტყეს. ანდრეისთვის ნაკლე-ბად ცნობილი გუნდები თამაშობდნენ და სახელგანთქმული ფეხბურთელებიც არ ყოფილან. სამაგიეროდ, მაგიდის გარშემო კარგი, მხიარული კომპანია შეიკრიბა. ბევრი იყვირეს და გუნდმა, რომელსაც გულშემატკივრობდნენ, გაიმარჯვა. სხვა მაგიდებზე, ძირითა-დად, მოწინააღმდეგე გუნდს ქომაგობ-დნენ. ტამის ბოლოს ანგარიში 2:2 იყო. აი, დალეული სასმელის რაოდენობის გამოანგარიშებას კი აზრი არ ჰქონდა. მაგიდაზე ელაგა ლუდიანი კათხები, არაყიანი გრაფინი, დაჭყულეტილი ბუ-ტერბოდები, თეფშებით ორაგულები და შავი მარილიანი ორცხობილას გო-რები. თამბაქოს ბოლი მიიზღაუნებო-და და დარბაზის ჭერსა და კუთხეებში სქელდებოდა.

შესვენებაზე ანდრეი ქუჩაში გავიდა და შემოდგომის გრილი ჰაერი ჩაისუნ-თქა. წვიმას გადაელო, რაც იმას ნიშ-ნავდა, რომ შინ ფეხით დაბრუნდებო-და. მთვრალი იყო და იმასაც გრძნობ-და, სასმელის დამატება კიდევ შეეძლო. ორმოცი წლის ანდრეიმ ლრმად ჩაისუნ-თქა, მოქნილი, მსუქანი სხეულით გა-იზმორა, სიამოვნებით დაიზმუვლა და კომპანიას დაუბრუნდა.

– მეორე ტამისთვის რა ფსონებია?  
– ბორია პროგნოზებსა და ფსონებს იწერდა.

– 4:2 დამთავრდება, – თქვა ანდრე-იმ.

– ბებერო, ძალიან გაბედული ხარ,  
– დაიყვირა ხმაჩხლეჩილმა ბორიამ და შედეგი ჩაიწერა.

უკანასკნელ წუთამდე ანგარიში 3:2

იყო, მაგრამ დამატებით დროში თერ-თმეტმეტრიანი დანიშნეს და ყველაფე-რი ისე დამთავრდა, როგორც ანდრე-იმ იწინასწარმეტყველა. ყვიროდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ. მეზობელ მაგი-დებზე კი ილანძლებოდნენ და ანდრეის კომპანიას ულოცავდნენ. ბორიამ ფუ-ლი წამოკრიფა და ანდრეის მოგებული ჩააბარა. მან კი, თავის მხრივ, მოგება იქვე აღნიშნა. ერთხანს კიდევ ისხდნენ, მერე კი სათითაოდ აორთქლდნენ. მშვენიერია!

როდესაც ანდრეი ქუჩაში გამოვი-და, ხმამაღლა ამოისუნთქა, ქურთუკი არ შეუკრავს და იგრძნო, რომ ძალი-ან მთვრალი იყო. ერთ ადგილას, ასე, ხუთი წამი იდგა, მერე კი სახლისაკენ გასწია, ილიმებოდა და რომელილაც ყველასთვის ხელმისაწვდომ მოტივს ღილინებდა.

ფარნის შუქზე ჩანდა, რომ წვიმის შემდეგ ასფალტი ქარს გაეშრო. აქა-იქ გუბეები იდგა და ბზარებში ჩამკვდა-რი წესტი შავად ლაპლაპებდა. ანდრეი ცდილობდა, ბზარებზე ფეხი არ დაედგა და რატომდაც ბავშვობის დროინდელი ნათქვამი გაახსენდა: „ვინც ბზარს და-აბიჯებს, იმას სამშობლო არ უყვარს“.

– სისულელეა, – ჩაილაპარაკა თა-ვისთვის და გაეცინა.

განათებულ პავილიონს რომ ჩაუარა, გაჩერდა და ვიტრინაში გამოფენილი ნაირ-ნაირი სასმელები შეათვალიერა. რატომძაც რაღაცის ყიდვა მოუწდა და გაიფიქრა, ხომ არ ეყიდა ორი ბოთლი ლუდი და სახლში მისულს სიამოვნებით დაელია.

– ემმაკმა დალახვროს, – აღმოხდა, რადგან უცეპ გაახსენდა, შინ დაპრუ-ნებულს ძალი უნდა გაესეირნებინა. გრაფს, წმინდა სისხლის ერდელტე-რიერს, მის მაგივრად არავინ გაასე-ირნებდა. ცოლი, ტატიანა, საღამოს ძალლთან ერთად არასდროს გადიოდა – ეს მის დილის მოვალეობას შეადგენ-და. ხანგრძლივი წუწუნის, ღიჯინისა და

საოჯახო თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ ვარიასათვის, უფროსი გოგონა-სათვის (იმ დროისთვის მათი ერთა-დერთი შვილისთვის) ძალლი ეყიდათ... ვარიამ დაიფიცა, რომ ძალლს ასეირ-ნებდა და შვიდი წლის წინ ნაცნობისგან ლეკვი შეიძინეს. მაშინ ვარიაც შვიდი წლისა იყო და ძალლის სეირნობას მა-ლევე დაანება თავი, რადგან მეგობრე-ბი ეზოში ლეკვს შეეჩივნენ და მისდამი გულგრილნი გახდნენ. ვარიას გრაფთან ერთად სეირნობა არ უყვარდა, ამას ფორმალურად და მცირე ხნით აკეთებდა. გრაფიც, თავის მხრივ, გოგონას არ მიჰყვებოდა. არც ანდრეის უყვარდა გრაფთან სეირნობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალი ამბების საკვი-რაო შემაჯამებელი გამოშვების გამო-ტოვება უწევდა.

ანდრეიმ შეიგინა, რადგან იძულებული იყო, გრაფის საყვარელი მარშრუტით ეხეტიალა; ეყურებინა, ყველაფერს როგორ ყნოსავდა და როგორ იშვერდა ფქსს, მაგრამ იმავე წამს გაახსენდა, რომ გრაფი უკვე მეოთხე დღეა ავად-მყოფობდა და უკანასკნელი ორი დღე სახლიდან არ გასულა.

წინა კვირას მდინარეზე გაემგზავ-რნენ. გრაფი, რა თქმა უნდა, წყლიდან არ ამოსულა, სანაპიროზე რაღაცას თხრიდა. წამოსვლისას გრაფი მდინა-რეში გააპანეს. მერე, როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, გრაფმა, ჩვეულებისა-მებრ, თავი ფანჯრიდან გადაყო. ციოდა, ის კი სველი იყო. ცოდვა რა დასამალია და ბოლო ხანს მთლად მოუვლელი და გაბანჯვლული დადიოდა. კარგა ხა-ნია ბეწვი არ დაეგლიჯათ (ერდელტე-რიერებს არ პარსავენ, ბეწვს სწორედ რომ აგლეჯენ). გრაფი გაცივდა. უკვე ორშაბათს ახველებდა და აცემინებდა. სამშაბათს საღამოდან ცუდად ჭამდა. მისი დიდი, სველი და მბზინვარე შავი ცხვირი გაშრა და განაცრისფრდა. ოთ-ხშაბათს ძალიან ცუდად გახდა. ბეწვმა

ფერი დაკარგა, ჩაქრა და ჩამოეკიდა. თავის ლეიბზე იწვა, სევდიანად იყურე-ბოდა, თავსაც კი არ წევდა და მხოლოდ მაშინ წამოდგებოდა, თუკი ვინმე შემო-ვიდოდა. მოკლე კუდი, რომელიც სხვა დროს მაღლა იყო აშვერილი და აქეთ-იქით ქანაობდა, ახლა ძირს ჩამოეშ-ვა და ოდნავლა ირხეოდა, სიხარულის გამოსახატავად ძალა აღარ ჰყოფნიდა. გრაფი იწვა, ხმამაღლა სუნთქავდა და ახველებდა. ოთხშაბათ საღამოს ქუჩაში გასვლაზეც კი უარი თქვა.

ანდრეი, რა თქმა უნდა წუხდა, მაგ-რამ ფიქრობდა, რომ გაცივება თა-ვისით გაივლიდა. ოთხშაბათს მთელი დღე საქმეებზე თავქუდმოგლეჯილი დარბოდა, ქალაქში დაეხეტებოდა. ადა-მიანებისა და მათი ქონების დაზღვევა საძნელო და სანერვიულო საქმეა და გრაფს ყურადღება ვერ მიაქცია. ხუთ-შაბათსაც ბევრი საქმე ჰქონდა, მაგ-რამ სადილობისას ტატიანამ დაურეკა და უთხრა, „ჩვენი ბიჭი“ – ასე ეძახდა გრაფს – ძალიან ცუდადააო.

ანდრეიმ ვეტერინარს დაურეკა, მდგომარეობა აუხსნა. მან მოუსმინა, მანუგეშებელი ვერაფერი უთხრა, მაგ-რამ დაპჰირდა, რომ კვირას მივიდოდა. შაბათს, რატომღაც, არ შეეძლო.

ანდრეი შაბათსაც კლიენტებს ხვდე-ბოდა. მერე სახლში დარეკა. ტატიანამ უთხრა, რომ გრაფი უკეთად და ბული-ონიც კი შეჭამა. ანდრეიმ ტანსაცმლის გამოსაცვლელად შინ შეირბინა, გრაფი მასთან შესახვედრად ზლაზვნით გამო-ვიდა და უკანა თათებზე შედგომასაც კი შეეცადა. მერე ანდრეი საჩქაროდ „აუტში“ წავიდა.

მოკლედ, გაახსენდა, რომ ძალის გასეირნება არ მოუწევდა და გაუხარ-და, რისთვისაც საკუთარი თავი გამო-ლანდა. მერე ისიც გაახსენდა, რომ ხვალ გრაფთან ექიმი მოვიდოდა. მან ორი ბოთლი ლუდი იყიდა და შინ წა-ვიდა.

ბოლო ორი კვარტალი თითქმის გა-

ირბინა, რადგან ერთი ბოთლი იქვე, პავილიონში გახსნა, სიარულ-სიარულში დალია და მოშარდვისგან თავს ვეღარ იკავებდა. ის ლიფტში ცეკვავდა, მუხლებში იკეცებოდა და ღმუოდა. მერე საკუთარი ბინის კარს მივარდა და ზარი დარეკა. გასაღების ძებნა რომ დაეწყო, ალბათ, ჩაისველებდა. დაკეტილი კარის ნინ ჩეჩინტკა იცეკვა და როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ვარიამ გაულო, ტუალეტში ფეხზე გაუხდელად გაქანდა.

— ო-ო-ო-ო, ოი, ოი, ოი! — შვების მომგვრელად აღმოხდა. — მადლობა ღმერთს! დიახ, გოგოებო, — თქვა ტუალეტიდან მისაღებში გამოსულმა. — კინალამ ბავშვობა გავიხსენე. ტანია, ოლონდ სცენები არ გვინდა! — აღმოხდა ცოლის დაძაბული სახის დანახვისას. — მე თავიდანვე ვთქვი, რომ დავლევდი. ასე ნუ მიყურებ, — ნამდვილად გაუკვირდა, რადგან ცოლს სანქცირებული, ნინასწარ გამოცხადებული ლოთობის-თვის არასდროს უსაყვედურია.

— გრაფი მოკვდა, — ცივად და მამხილებლად თქვა ვარიამ, მერე გამომწვევად შებრუნდა და წავიდა.

ანდრეი გახევდა.

— როგორ თუ მოკვდა? — იკითხა, როდესაც ტატიანას ტირილისგან დასივებული სახე დაინახა. ქალს თვალებში ცრემლი ედგა, — როდის?

კითხვებზე პასუხი ვერ მიიღო.

— სად არის? — კვლავ იკითხა ანდრეიმ.

ტატიანამ ხელი სასტუმრო ოთახისკენ ან, როგორც ისინი ამბობდნენ, „ზალისკენ“ გაურკვევლად გაიქნია.

— მაშა მეზობლებს გავუყვანე. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ძალლთან ახლოს ვერ მივდივარ... ზენარი გადავაფარე... — ისეთი ხმით ლაპარაკობდა, თითქოს ჰერი არ ჰყოფნიდა და როგორც კი სათქმელი ამოთქვა, ატირდა. — ანდრეი... ჩვენი ბიჭი მოკვდა! ის ჩუმად მოკვდა!

სასიამოვნო სიმთვრალე მაშინვე

შეუსაბამო, უადგილო მოძრაობებად გადაიქცა და ტუჩები მოუდუნდა. ანდრეიმ ფეხსაცმელი გაიხადა, ლუდის ბოთლი, რომელიც ქურთუკიდან ამოს-ჩროდა, იატაკზე, ბატინკების გვერდით დადგა და სასტუმრო ოთახში შეაძიჯა.

იატაკზე, დივანსა და ტელევიზორს შორის, ძველისძველი ლოგინის გადასაფარებელი ეგდო, რომელსაც გადასაფარებლად თხუთმეტი წლის წინათ იყენებდნენ, ახლა კი პიკნიკებსა და აქაურ სამდინარო პლაჟებზე ქვეშაგებად ხმარობდნენ. გადასაფარებლის ქვეშ ძალლის უმოძრაო სხეული იკვეთებოდა.

ანდრეი მიუახლოვდა და ჩაცუცქდა. ტატიანა უკან მიჰყებოდა და ტირილით ლაპარაკობდა:

— დღისით ჭამა, მოილხინა. მერე იწვა და ეძინა. მაშას საძინებელში ვუკითხავდი, ვარია თავისთან იყო... უცებ მესმის... გამოვედი და ის უკვე აქ იწვა... მოცოცდა... რომ შევხედე, გვერდზე გადაგორდა, ფეხები გაჭიმა და ამოისუნთქა... გაბმით ამოისუნთქა... ხმაურით ამოისუნთქა და მორჩა! გათავდა!!! ანდრეი, ის ჩემკენ მოცოცდა, — ტატიანა ქვითინებდა. ანდრეი წამოდგა და ცოლს გადაეხვია, რომელიც ტირილს ვერ იკავებდა.

— არ ვიცი, რა გავაკეთო. მაშა მეზობლებთან გავიყვანე. ჯერ არ დაუნახავს, ჯერ არ იცის. ძალლი აქ წევს... არ შემიძლია! ანდრეი, წაიყვანე, გევედრები, წაიყვანე! ჩემს თავს ვერ ვაპატიებ! ბიჭი დავლუპეთ, ჩვენ დავლუპეთ, — გულამოსკვნით ატირდა, მერე სააბაზანოში გავიდა და წყალი მოუშვა.

ანდრეი კვლავ ჩაცუცქდა, გადასაფარებელი ანია და გვერდზე გადადო. გრაფი რატომღაც დაპატარავებული ეჩვენა. ძალიან დიდი ისედაც არ ყოფილა, აქ კი... ის გვერდზე იწვა, თათები გაეჭიმა და ხანიდან ენა გადმოვარდნოდა. ძალლს თვალები ღია ჰქონდა, ისინი აღარ ელვარებდნენ. ანდრეი ატირდა.

— მაპატიე, მაპატიე, — მომხდარს ვერ იჯერებდა და ტიროდა.

რაღაც უნდა გაეკეთებინა. დაუყოვნებლივ! ძალს მკერდზე ხელი გადაუსვა, გრაფი ჯერ არ გაცივებულიყო. ანდრეიმ კვლავ გადასაფარებელი გადააფარა და სამზარეულოში გავიდა. ტატიანაც იქ იყო და მცირე ხნით ილაპარაკეს. ანდრეი ლმერთს მადლობას სწირავდა, რომ ცოლი არ ადანაშაულებდა, რადგან საკუთარ თავს საშინლად კიცხავდა.

მერე ბორიას დაურეკა. სხვადასხვა საქმეში გამოცდილი და შეუცვლელი ბორია მთვრალი იყო, მისვლას ვერ მოახერხებდა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რისი გაკეთება შეიძლებოდა. არავის არაფრის კარნახი არ შეეძლო. ანდრეი, გრაფი ვისგანაც იყიდეს, იმათაც კი შეეხმიანა. ისინი ქალაქებარეთ ცხოვრობდნენ და მომხდარის შესახებ რომ შეიტყვეს, გულიანად მიუსამძიმრეს და უთხრეს, რომ ორი ძალლი პირდაპირ თავიანთ ნაკეთზე, არყის ხის ქვეშ დამარხეს. ყველანი სთავაზობდნენ, დილამდე მოცადათ და მერე როგორლაც დაეხმარებოდნენ, მაგრამ ტატიანა გრაფის წაყვანას ევედრებოდა; სწორედაც რომ ევედრებოდა.

ანდრეი დაიბნა. საჭესთან ვერ დაჯდებოდა. მეგობრები, რომლებთანაც დარეკა, რადგან შაბათი იყო, ან აგარაკზე იყვნენ, ან ანდრეისავით ნასვამები იყვნენ. ტატიანას კი მეზობლებისგან მაშა უნდა მოეყვანა, რადგან ისინი უქმაყოფილობი იყვნენ: — ასე რატომ ნაღვლობთ; ჰო, მოკვდა ძალლი, გულდასანყვეტია, ყოველდღიურად უამრავი ადამიანი იღუპება. ადამიანები უნდა შეიბრალო, ამათ კი, ძალლის გამო, ასეთი მწუხარება გამართეს. — ტატიანას გოგონასთვის ჯერ არაფრის თქმა და ახსნა არ შეეძლო. არც ის უნდოდა, რომ მაშას მკვდარი გრაფი ენახა.

ანდრეის არაფრის მოფიქრება არ შეეძლო.

ვარია ატირებული თვალებით გამოვიდა და თავისი გამომეტყველებით მომხდარში მშობლები დაადანაშაულა, განსაკუთრებით კი ანდრეი. მერე დივანზე, გრაფის გვერდით ჩუმად ჩამოჯდა, ხელი ისე გადაუსვა, გადასაფარებელი არ აუხდია და თავის ოთახში ხმა-ამოულებლივ წავიდა. ანდრეიმ მეზობელი გააღვიძა და შალითიან პატარა სამხედრო ნიჩაბს ეთხოვა. სიმთვრალე ძლიერ თავის ტკივილსა და დაქანცულობაში გადაიზარდა. ტატიანამ გრაფის ნივთები შეაქუჩა. ის წინკარში, პატარა სკამზე იჯდა, ნივთებს დასცეკროდა და ეტყობოდა, რომ მასში რაღაც შეიცვალა და მეტს აღარ იტირებდა.

ქალის წინ ელავა გრაფის ლეიბი, ორი ჯამი, რომლებიც ტატიანამ რატომლაც გარეცხა. ძალლის საყელო, ორი სატარებელი თასმა, ალიკაპი, რამდენიმე სათამაშო და ცისფერი, წითლით გაწყობილი რეზინის ბურთი. ანდრეიმ ნივთებს დახედა და გაიფიქრა, რომ ძალლის ბენვი თვალში კიდევ დიდხანს მოხვდებოდა როგორც სახლში, ისე მანქანასა და ტანსაცმელზე... ყველგან.

მკვდარი ძალლის მიმართ გამოჩენილი ზიზღის გამო, ანდრეი საკუთარ თავს საყვედურობდა. მან ძალლის გახევებული სხეული იმ გადასაფარებელზე გადაიტანა, რომელიც გრაფს ეფარა. იატაკი გაწმინდა და ჩვარი სანავეში ჩააგდო. სანამ ძალლს გაახვევდა, ანდრეი დაფიქრდა და გრაფის გვერდით დადო მისი საყელო და ნეონის გაქუცული სატარებელი თასმა. ალიკაპიც უნდოდა, მაგრამ გაახსნდა, რომ გრაფს ის არ უყვარდა და დრუნჩზე წამოცმისას თავს ატრიალებდა. სამაგიეროდ, გრაფის საყვარელი სათამაშო, რეზინის დალეჭილყურებიანი კურდლელი დადო. ეს კურდლელი ანდრეიმ გერმანიაში, ძალლების მაღაზიაში იყიდა, როდესაც იქ სადაზღვევო ტექნოლოგიებისა და მომსახურების გამოფენაზე იმყოფებოდა.

ანდრეიმ გაიფიქრა, რომ სწორედ ასე ატანდნენ საფლავში რაღაც-რაღაც ცებს ძველ ადამიანებს, იმას რაც მათ-თვის საჭირო და ძვირფასი იყო. მერე ძალლი და მისი ნივთები გადასაფარებელში გაახვია და შეკრულა თეთრი თოკით გამოსკვნა.

მანამდე კი ტატიანამ გრაფის სხვა ნივთების გადაყრა მოასწრო.

– ნაგვის კონტეინერში ჩაგდება ვერ შევძელი და გვერდზე მივაწყვე. ყველაფერი ახალივითაა. ის ხომ ასეთი ფაქტი იყო, – თქვა ტატიანამ, შეკრულას დანახვისას შეკრთა და უხმო ტირილისგან სახე შეექმუხნა. – ბიჭმა ჩვენთან ერთად იცხოვრა, გავგახარა და გათავდა. ჩვენ კი ვერ დავიცავით, – იგი დაიხარა, შეკრულას შეეხო, თუმცა მაშინვე ხელი აიქნია და წელში გასწორდა. – სად უნდა წაიღო?

– არ ვიცი. სადმე დავმარხავ. მოვიფიქრებ. ნუ ნერვიულობ.

– ოღონდ, არ მითხრა, სადაც დამარხავ, – ქალს ხელები სახესთან ეჭირა. – მაშას მოვიყვან და დასაძინებლად დავწვები. ანდრეი, არ მანერვიულო, გეხვეწები.

– საყვარელო, მალე მოვალ, – ანდრეი ამას უკვე კარის ზღურბლთან მდგარი ამბობდა, ჩაცმული, შეკრულათი ხელში. – ნიჩაპი მომაწოდე, გეთაყვა.

ლიფტში გრაფის ბრჭყალების ნაკვალევი შეამჩნია. ის მოუთმენლობის-გან მუდამ უკანა ფეხებზე დგებოდა, ლიფტის კარს ფხოჭიდა, თანაც ამის გაკეთებას მაშინ იწყებდა, როდესაც მეორე სართულს ჩასცდებოდნენ. ანდრეიმ გაიფიქრა, რომ კიდევ მრავალი რამ გაახსენებს ძალლს. იმის გაფიქრებაც მოასწრო, რომ სახლში რემონტი დაუყოვნებლივ უნდა გააკეთოს, ახალი შპალერი გააკრას და ახალი ავეჯიც შეიძინოს. დივანი აუცილებლად შესაცვლელია, სათაკილოა ასეთი დივანი. გრაფი მათ შინ არყოფნაში დივანზე ადიოდა და იქ არაერთხელ და-

უმაღავს ძვალი. ანდრეი ეზოში გავიდა და დაიბნა. ცხრასართულიანი სახლის ეზოში, რომელშიც ათ წელზე მეტია ცხოვრობდნენ, ყველაფერი მოეწესრიგებინათ – მანქანის სადგომები, მათ შორის ანდრეის მანქანისაც, საბავშვო მოედანი, ორი უბადრუკი ყვავილნარი, სადაც ყვავილები დამჭკნარიყო.

ჩაფიქრდა. მეზობელი ეზოებიც მოვლილი იყო და ანდრეი მიხვდა, საკუთარ უბანს ცუდად იცნობდა. გრაფთან ერთად საბავშვო ბალამდე და სტადიონამდე მიდიოდა, იქ, სადაც ძალლების მოედანი იყო. მაღაზიასთან მისასვლელი გზაც იცოდა. სულ ესაა. და კიდევ, რასაკირველია სკოლა. ვარიას სკოლა იქვე იყო, ხოლო სკოლა, რომელშიც თუითონ სწავლობდა, მოშორებით. ამ უბანში თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა და ისიც კი არ ახსოვდა, ეზოების გავლით თავის სკოლამდე როგორ მისულიყო. მცირე ხანს შედგა, დამძიმებულ შეკვრას ხელი მოუნაცვლა და მოსერხებულად დაიჭირა, ნიჩაპი იღლიაში ამოიდო და სკოლის ეზოსკენ გაემართა. გზა ფარნის ლაქებით იყო განათებული, ადამიანები იშვიათად ხვდებოდნენ. ორი ერთმანეთის მსგავსი მამაკაცი მიყოლებით შეეჩება. წელში მოხრილი ბიჭები ხმაამოულებლივ მოდიოდნენ და ანთებულ სიგარეტებს აციმციმებდნენ. ასეთ ბიჭებს ბავშვობიდანვე უფრთხოდა და ამ სიფრთხილეს დღემდე არ გაუვლია. ბიჭებმა ჩუმად ჩაუარეს. როგორც ჩანს, მოზღვავებული ენერგია სადღაც უკვე დაეხარჯათ. რადგან ისინი მორიდებას არ აპირებდნენ, გზა ანდრეიმ დაუთმო.

ანდრეის ვარიას სკოლის ეზო მოვლილი და მოწესრიგებული დახვდა. „კარგი დირექტორი ჰყავთ“, – გაიფიქრა და თავისი სკოლა და ეზო გაახსენდა, სადაც ბევრი სასეირნო ადგილი იყო: იასამნის ბუჩქები და ჯაგნარი, გავერანებული საფეხბურთო მოედანი, სათბურის ნანგრევები და უამრავი

საიდუმლო ადგილი, სადაც ეწეოდნენ და გოგოებთან ერთად ისხდნენ... აქ კი ვერსად მიაგნებდი მოუასფალტებელ და მოუვლელ მიწის ნაგლეჯსაც კი. „საცოდავი ბავშვები, – და ანდრეიმ კიდევ გაიფიქრა: – ალბათ, აქ თავს ძალიან ცუდად გრძნობენ. საშინელებაა!“ სკოლის ეზო გადაკვეთა და მცირე ხნით სპორტულ მოედანზე გაჩერდა, სადაც რკინის ტურნიკები იდგა და ირგვლივ მიმოიხდა. მიწა მოხრეშილი და კარგად დატყეპნილი იყო. მან გზა განაგრძო. ტელეანძის ნითელი ნათებისკენ მიდიოდა და ახსენდებოდა, რომ ეს ნათება მასში მუდამ სევდასა და მოწყენილობას იწვევდა. ის მიდიოდა, რადგან იქით კინოთეატრი, პატარა საქალაქო პარკი და კიდევ რაღაც ადგილები ეგულებოდა. კინოთატრში დიდი ხანია აღარ ყოფილა და არ იცოდა, ეზოების გავლით იქამდე როგორ მისულიყო. თუმცა ახსოვდა, რომ ტელეანძის მიმართულებით უნდა ევლო. შეკრულა კიდევ უფრო დამძიმდა, ნიჩაბი იღლიოდან უცურდებოდა. მერე ორივე ხელით დაიჭირა და მძიმე ტვირთი გულში ჩაიკა. ასე უფრო მოხერხებულად მოეჩვენა, მაგრამ მცირე ხნით.

გრილოდა, არც სიმყუდროვე იყო და რაც ყველაზე მთავარია, როგორ უნდა ითქვას... ყველაფერი ისე არ ხდებოდა როგორც დღისით. გრძნობდა, რომ ახლა ქუჩაში არ უნდა ყოფილიყო.

სატრანსფორმატორო ქვესადგურს რომ ჩაუარა, ელექტრონერგიის გუგუნი და ზრიალი შემოესმა. ქვესადგურის უკან კარგი ადგილი შენიშვნა: ბუჩქარი და კედელი, მაგრამ ისეთ მნიშვნელოვან თბიექტან, როგორიც ელექტროენერგიის ეს მოზუზუნე ვეება სკაა, გათხრა არ ისურვა. თანაც ქვესადგურის გვერდით ბნელოდა. უახლოესი ფარნის ნათურა, როგორც ჩანს, გადაიწვა. „ხ-ო-ო, აქედან ელექტროენერგია ყველა ფარნამდე მიდის, აქ კი ბნელა. ცხოვრებაც ასეა...“ – გაიფიქრა და ჩა-

იცინა. საბავშვო ბალთან რომ ჩაიარა, შეეცადა, გალავანს იქით გამეფებულ სიბნელეში რაიმე გაერჩია. გზაზე ფარანი ანათებდა, გალავანს მიღმა კი კუნაპეტი სიბნელე იდგა. იქ ილანდებოდნენ პატარა სახლები, ხის ბორცვები, ქვიშის სოკოები.

– რას იყურები, ძა? – ხმა სიბნელიდან გაისმა. – ჩვენ ხომ არ გვეძებ? – რამდენიმე უჩინარმა ბიჭმა და ერთმა თუ ორმა გოგონამ გაიცინეს.

როგორც ჩანს, საბავშვო ბალის ვერანდაზე, ახალგაზრდების კომპანიას მოეკალათებინა. ანდრეი მათ ვერ ხედავდა, თავად კი ფარნით იყო განათებული.

– შენ რა, მამილო, განძის დასამარხავად მოხვედი? მოდი, ყველაფერი ჩვენ დაგვიტოვე, – დაიყვირა მეორე უჩინარმა ბიჭმა, რასაც ისევ სიცილი მოჰყვა.

– საით, ძვირფასო? – გაისმა უხეში ხმა. – სად გარბიხარ, განძი გაგვიყავი, – კვლავ გაიცინეს.

ანდრეი სწრაფად მიდიოდა. გამოდევნების არ ეშინოდა, რადგან ბიჭები მთლად ახალგაზრდები ჩანდნენ და უფრო გოგონებთან იწონებდნენ თავს. „შესაძლოა, ცუდი ბიჭები არ არიან და უპრალოდ, ზამთრის დადგომამდე ლამეს ქუჩაში ათენებენ“, – მსჯელობდა ის. თავადაც ბევრჯერ მჯდარა საბავშვო ბალებსა და სკვერებში. ანდრეიმ ცხადად წარმოიდგინა, როგორ გამოიყურებოდა ნიჩბითა და ჭრელ გადასაფარებელში გახვეული დიდი ტვირთით.

– რაღაც ბოდვაა, – აღმოხდა მას.

„ეს როგორ? ხომ უნდა არსებობდეს რაღაც სამსახური ან სერვისი, რომელიც ასეთ საქმეებს აგვარებს, – ხმადაბლა მსჯელობდა. – მკვდარი ძალები და კატები სადღაც ხომ მიაქვთ. ალბათ, რაიმე ტელეფონი ან ინფორმაცია არსებობს... უბრალოდ, მე არ ვიცი“.

ანდრეიმ გაიხსენა სატელევიზიო რეპორტაჟები ძალლების საპარიკმახე-

როებზე, ძალლებისა და კატების სასტუმროებზე და კბილის ექიმებზეც კი. გაიხსენა ისიც, რომ ინგლისში, თუკი ტელევიზიას დაეჯერება, ძალლებს კბილებსაც კი უსვამენ. „რაღაც ამის მსგავსი ჩვენთანაც უნდა იყოს, სხვანაირად როგორ შეიძლება? უამრავი ძალლია! დიდი ძალლებიც!“ მაგრამ არასდროს სმენია ძალლების სასაფლაოებზე და აზრი გაუკრთა, ამ ბიზნესით რატომ არავინ დაინტერესდათ. ანდრეიმ მაშინვე გაიფიქრა, რომ ძალლების სასაფლაოები აუცილებლად იქნება, უბრალოდ, მათ შესახებ არ სმენია. ის არ ყოფილა ფეხბურთის თავგადამკვდარი გულშემატკივარი და არც ძალლების ნამდვილი მოყვარული. „სადღაც ხომ მიაქვთ მკვდარი ძალლები, სად მიაქვთ?!“ – განუწყეტლივ ფიქრობდა.

ანდრეი გრძელი, მაღალი სახლის გასწვრივ მიდიოდა. აქაურობა ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი, გაჩახჩახებული ფანჯრებისა და სადარბაზოების სინათლისგან იყო განათებული. საბავშვო მოედანთან ორი კაცი იდგა და ეწეოდა, მათ ფეხებთან კი ძალლები ინვნენ: გერმანული ნაგაზი და დოგი. როგორც ჩანს, კაცები მათთან ერთად სეირნობდნენ და მოსაწევად და სალაპბოდ გაჩერდნენ. შუალამე გადასული იყო, მაგრამ კვირადლე თენდებოდა და ასე უქმად დგომა და გაბოლება შეიძლებოდა. გერმანული ნაგაზი ანდრეის დანახვაზე ყეფით წამოხტა, სატარებელი თასმა უმალ დაიჭიმა და პატრონი კინალამ გადააყირავა.

– ფუ, ასტრა, ფუ! – დაიყვირა ძალლის პატრონმა, – მაპატიეთ, არ შეგეშინდეთ, – შეუძახა ანდრეის.

დოგიც წამოდგა და დაიყეფა.

– დუნია, დაჯექი, – უბრძანა მეორე კაცმა. – ვის ვუთხარი, დაჯექი!

დუნია დაჯდა, ასტრა კი დადუმდა. ანდრეიმ დუნია იცნო. ძალლების მოედანზე გრაფი დუნიას დანახვაზე წრიალს იწყებდა და რაღაცის მიღწევას

ცდილობდა. გრაფმა არ იცოდა არც „დანექი“, არც „დაჯექი“, არც „ფუ“, სამაგიეროდ, მშვენივრად იცოდა სიტყვა „სეირნობა“ და ამ სიტყვის გაგონება ძალიან ახარებდა. მისი სიხარული ისეთი ბობოქარი და გულწრფელი იყო, თითქოს ცხოვრებაში პირველად უნდა ესეირნა. წარმოუდგენელია, გრაფს მხოლოდ მოშარდვის გამო (თუნდაც აუტანლად ნდომებოდა) გამოეხატა ასეთი სიხარული. „რაღაცის ეიმედებოდა, ყოველ ჯერზე რაღაცის ეიმედებოდა“, – მუდამ ასე ფიქრობდა ანდრეი.

ანდრეი კაცებს არ მისალმებია, არც რჩევა უკითხავს და ჩქარი ნაბიჯით აუქცია მათ გვერდი. მკვდარი ძალლი ორივე ხელით მიჰქონდა და გრძნობდა, ტვირთი სულ უფრო მძიმდებოდა.

იგი მიდიოდა და ფიქრობდა: „რა უყყოთ, მართალია გრაფს პატრონის ბრძანებები არ ესმოდა, სამაგიეროდ, წვრთნებით ერთმანეთს არ ვაწამებდით. ისედაც ჭკვიანი იყო და კარგად იცოდა, რა შეიძლებოდა და რა არა“.

ანდრეის გაახსენდა, როგორ მათხოვრობდა გრაფი მაგიდასთან. თავს ანდრეის მუხლებზე ადებდა და თან თვალებში შესცეკროდა, თითქოს პირდაპირ სულში უყურებსო. სტუმრებს კი განმგმირავ მზერას ესროდა და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს პატრონები სცემდნენ და არასდროს აჭმევდნენ. ის დელფინის მაგვარ ხმებს გამოსცემდა. რაღა თქმა უნდა, თავს ვერავინ იკავებდა და ყველანი ანდრეისგან მალულად – ხოლო ანდრეი ყველასგან მალულად

– მაგიდიდან რაღაც-რაღაცებს ანვდიდნენ. კარგად აღზრდილი ძალლები ასე არ იქცევიან. ანდრეის მკვდარი ძალლი მიჰქონდა და თავის თავს ეუბნებოდა, რომ კარგს აკეთებდა, მკაცრად რომ არ ექცევოდა.

მან სახლს შემოუარა, პროსპექტზე, გზაჯვარედინთან გავიდა და უცებ მოისაზრა, სად იმყოფებოდა და საითკენ უნდა წასულიყო. პროსპექტი გადაკვე-

თა და ქუჩას გაუყვა. უფრო შორს კი კინოთეატრი და ცირკი იყო. განათებული გზაჯვარედინი ხმაურობდა. ანდრეი დაიბნა. საწინააღმდეგო მხარეს რამდენიმე ტაქსი და კიდევ რაღაც ავტომანქანები იდგნენ. პავილიონი ანათებდა. შუქნიშნები ციმციმებდნენ. პროსპექტზე გადმოკიდებული სარეკლამო პლაკატი კაშკაშებდა: ლამაზი სარეცხი მანქანიდან ძალიან მხიარული და სუფთა პინგვინები ხტებოდნენ. მანქანები ხმამაღალი ღმუჟილით მიქროდნენ.

ანდრეი შეკრულას ნიჩბით აწვებოდა და გულში იკრავდა. ჭრელი გადასაფრენებლის კიდე გამონაკვანძიდან თანდათან გამოცოცდა და ჩამოეშვა. იმაზე ჩაფიქრდა, თუ როგორ გამოიყურებოდა და სახე გაუოფლიანდა. იდგა და ფიქრობდა, პროსპექტი გადასასვლელზე გადაეკვეთა თუ არა. შუქნიშნანთან ორი მანქანა გაჩერდა: სატვირთო და რაღაც სპორტული, ხმაურიანი ძრავით. მანქანების ფარების შუქზე დიდი შეკრულათი და ნიჩბით გადასვლას ვერ ბედავდა. ანდრეი შეპრუნდა და პროსპექტს გასცილდა. სამასი მეტრი გაიარა და პროსპექტი მაშინ გადაირბინა, როცა მანქანები შორიახლოსაც კი არ მოჩანდნენ. მერე მაღაზიის ჩაბნელებული ეზო გადაკვეთა, სადაც ძველი პროდუქტები ყარდა. მერე კიდევ რომელი-ღაც ეზო გაიარა და როგორც იქნა, მოუნესრიგებულ პარკში შეაბიჯა. პარკი შემოსაზღვრული იყო დაუანგული რკინის მესერით, სადაც პატარა ჭიშკრით უნდა შესულიყავი. კართან დაფა ეკიდა: „ძალების სეირნობა აკრძალულია“, ანდრეიმ მწარედ ჩაიცინა. აქ გრაფთან ერთად არასდროს ყოფილა.

პარკში სიბნელე და ნესტი იყო. ანდრეი ბილიკით ხეივნისკენ მიდიოდა. იქ განმარტოებით და მერთალად ენთო კობრას მსგავსი ფარანი. შემხმარი ბალახი მაღლა ამოშვერილიყო. ალვის ხეები ირხეოდნენ და შრიალებდნენ, თუმცა ხეებს ნახევარი ფოთლებილა შერ-

ჩენოდათ. ჩამოცვენილი ფოთლები კი ბილიკა და ხეივანს ნესტიან, სრიალა აფსად გადაჰკვროდა.

ფარნის შუქზე ანდრეიმ ხეივნის ჭუჭყიან ასფალტზე შეაბიჯა და სკამს მიუახლოვდა. სკამზე ფოთლები მიკრულიყო და ზედ წვიმისგან დაუიებული გაზეთი ეგდო. შეკვრა სკამზე დადო, მთელი ტანით გაიზმორა და ამოსუნთქვისას პირიდან ორთქლი ამოუშვა.

ანდრეიმ თავი გააქნია. ღამით ქალაქში ადამიანი ტომრითა და ნიჩბით მიდის! ეს როგორ უნდა ახსნა? ეს ადამიანი კი ანდრეა! მსუქანი, წესიერად ჩაცმული, მოწიფული მამაკაცი.

ოდესალაც, ძალიან ადრე, მსუქანი, საყვარელი ბავშვი დღესასწაულებზე დათვს თამაშობდა. უფროსებს გული უჩუყდებოდათ, აღტაცებული ბებია ტაშს უკრავდა. მერე მიხვდა, „ბუთხუზასა“ და „მსუქანას“ მეგობრები უბოროტოდ და მხიარულად რომ ეძახდნენ, აღარ სიამოვნებდა. ის ძლიერი იყო, ბევრ თავის თანატოლზე ძლიერი, მეგობრებზეც და მოძულებზეც, მაგრამ ვერასდროს ირპენდა მათსავით სწრაფად და ხანგრძლივად. უკვე დიდობაში ყველაზე მოდურ ტანსაცმელსაც კი ვერ იხდენდა.

ანდრეიმ რამდენჯერმე სცადა გახდომა, ხან სერიოზულად, ხან ზერელედ. ამას სხვადასხვა მეთოდით აკეთებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ თუ გახდომა გინდა, საერთოდ არ უნდა ჭამო. ანდრეის ეს არ გამოუვიდა. ყოველი მცდელობა მსგავსი შინაგანი მონოლოგით მთავრდებოდა: „ასე, დილით ვჭამე ხაჭო, შუადღისას – წყალწყალა წვნიანი და საღამოს – ორი პომიდორი. სისულელეა“. ამ მონოლოგის შემდევ მაცივართან ღამის მსუნაგობა იწყებოდა. ყველაფერ ამაზე ხელი რამდენიმე წლის წინ ჩაიქნია და მოდური შარვლებისა და დახვეწილი სვიტერებისკენ აღარც კი გაუხედავს.

თუმცა, მუდამ მოწესრიგებულ ან-

დრეის, თავისი პატარა, მაგრამ, მისი აზრით, ლამაზი ხელები მოსწონდა. ის პრაქტიკულად იცვამდა და წითელი ფერები უყვარდა.

მას არ შეეძლო პროსპექტზე ნიჩბითა და ტომრით გავლა. ოდესლაც, უფროს კლასში რომ სწავლობდა, მამამ თითქმის ახალი პორტფელი აჩუქა. მან სიტყვები ვერ მოძებნა, რათა მამის-თვის აეხსნა, რომ ასეთი პორტფელით, ასეთი დიდი პორტფელით სკოლაში სიარული წარმოუდგენელია და არა უბრალოდ წარმოუდგენელი, ანდრეისათვის შეუძლებელიც. მამას ვერაფერი უთხრა და სკოლაში პორტფელით წავიდა, ყავისფერი, სერიოზული ტყავის პორტფელით, რომელიც სკოლის დამთავრებამდე ტანჯავდა.

ანდრეიმ აქეთ-იქით მიმოიხედა და ორმოს ამოსათხრელად პარკში ბევრი შესაფერისი ადგილი დალანდა. მან ნიჩაბი ჩაბდუჯა და შეკრულას შეხედა. შეეცადა, გზაჯვარედინზე რომ განიცადა, ის შეცპუნება და უნიათობა ჩაეხშო და სკამის უკან მდგარი ხისკენ გაემართა. ცდილობდა, შეუმჩნეველი ყოფილიყო, მაგრამ სინათლიდან გასვლა და სიბნელეში მუშაობა არ უნდოდა. ის ხის შავი ჩრდილის მხარეს დადგა. ფეხის დაბიჯებით მუშაობა არ გამოდიოდა, ხელებით ნიჩის მიწაში ჩასობა კი მის ძალებს აღემატებოდა. ანდრეიმ ბალასისა და ბელტების მოჭრა დაიწყო და მიხვდა, რომ ამ საქმეს მალე ვერ დაამთავრებდა. უცებ სინათლის კაშკაშა და მოძრავი სხივი დაეცა.

– მოქალაქე! აქ რას აკეთებთ? – ახალგაზრდული და ძალიან თავხედური ხმა შემოესმა.

ანდრეი შეკრთა და თვალი სინათლეს გაუსწორა. ფარნით პირდაპირ სახეში ანათებდნენ. მან ორი ქუდიანი სილუეტი გაარჩია და კიდევ – სინათლის სხივში შემოდგომაზეც კი აქტიურობაშენარჩუნებულმა ორმა მწერმა გაიფრინა.

– აქ მოდით! – ახლა სხვა ხმა შემოესმა და ერთი ქუდი შეირხა. – მოქალაქევ, აქ მოდით!

ანდრეი მათკენ წავიდა, თვალებში დაუნდობლად ანათებდნენ.

– გამარჯობა, – თქვა მან.

– საღამო მშვიდობისა, – უპასუხეს.

ორივე მილიციელი ახალგაზრდა და დაბალი ტანისა იყო. როდესაც ანდრეი მიუახლოვდათ, ნიჩაბს ძალიან მეტყველად დახედეს, მერე კი ისევ თვალებში მიაჩერდნენ. თუმცა ფარანი ჩააქრეს.

– რას ვაკეთებთ? – ჰკითხა მთლად ფერმკრთალმა, ჭორფლიანმა ბიჭმა. პარკის ფარნის შუქზე მისი თვალები უფერულად გამოიყურებოდა.

სანამ ანდრეი მათ მიუახლოვდებოდა, გაახსენდა, რომ თან არ ჰქონდა არც საბუთები და ეტყობა, არც ფული. ასევე აღიდგინა, რომ მართვის მოწმობა და მანქანის საბუთებიც სახლში დარჩა. ამის გამო წამიერად შეაცივა და გონებაში გაუელვა, კიდევ კარგი, ახლა საჭესთან არ ვზივარო...

– ასე... რას ვაკეთებთ? – გაიმეორა ჭორფლიანმა..

– განძს ვეძებთ? – ჰკითხა მეორე, მთლად გამხდარმა მილიციელმა, თანაც გაუღიმა. წინა ერთი კბილი ჩამოტეხილი ჰქონდა. – ხომ არ დაგეხმაროთ?

– არა, რას ამბობთ, რა განძი? იცით, აქ... – ანდრეის უნდა აეხსნა, მაგრამ ამ დროს რაცია, რომელიც გამხდარს ხელში ეჭირა, ხმამაღლა აშიშინდა. მილიციელმა შიგ რაღაც გაურკვევლად უპასუხა და რაციაც დადუმდა.

– რა? – ჩაეკითხა ჭორფლიანი.

– მე, თქვენ იცით... – კვლავ დაიწყო ანდრეიმ.

– შეიძლება თქვენი საბუთები ვნახოთ? – შეაწყვეტინა გამხდარმა.

ანდრეი არულად უხსნიდა, რომ საბუთები არ წამოუღია, რადგან აქვეცხოვრობს და თვალსაჩინოებისა და დამაჯერებლობისათვის ხელი თავისი სახლისკენ გაიქნია. იმავე წამს მიხ-

ვდა, რომ სულ სხვაგან მიანიშნა, ბოდიში მოიხადა და ახლა სხვა მხარეს მიუთითა. მილიციელებმა მისამართი ჰქითხეს. ანდრეიმ რატომლაც დაბნეულად და როგორლაც დაგვიანებით დაასახელა მისამართი. ოფლში გაიხვითქა და შეშინდა, კაცმა რომ თქვას, არც კი იცოდა, რისი ეშინოდა. მილიციელებმა მისამართი ისევ ჰქითხეს, გაიგეს სახელი, მამის სახელი, გვარი, წლოვანება და გამხდარმა ყველაფერი რაციაში გაიმეორა, რაციამ პასუხად დაიყიყინა და აშიშინდა.

— სათევზაოდ წასვლას ხომ არ აპირებ? — ჩაიცინა ჭორფლიანმა. — პარკში ჭიაყელების თხრა კარგი არ არის. აქ რა გვაქვს? — თქვა მან, ფარანი ჩართო და სკამზე შემოდგმულ შეკრულას მიანათა.

— მაპატიეთ, მესმის, რომ უცნაურად გამოიყურება, მაგრამ აქ ასეთი სიტუაციაა... — დაიწყო ანდრეიმ, მაგრამ კვლავ რაციამ შეაწყვეტინა.

გამხდარმა რაციის ხრიალს ყური მიუგდო და უპასუხა: „კეთილი!“, რაცია კვლავ დადუმდა.

— მოქალაქევ, ეს რა გაქვთ? — ძალიან მკაცრად იყითხა ჭორფლიანმა. — ნება იბოძეთ და აგვიხსენით, აქ რას აკეთებთ.

ანდრეიმ მთლად შეშინდა და დაბნეულად, გაუგებრად და როგორლაც ძალიან შორიდან დაიწყო ახსნა, რა მოხდა და როგორ.

— იქ რა გაქვს, ძალი?! — ჰქითხა გამხდარმა. — გვაჩვენეთ!

ანდრეი ლაპარაკს განაგრძობდა, თან თოკს ხსნიდა, წრიალებდა. როგორც იქნა, კვანძი გამოხსნა, შეკრულა ოდნავ გაშალა და გრაფის უკანა თათები და ხუჭუჭა წითური გვერდი გამოაჩინა.

— გასაგებია, საკმარისია, შეახვიეთ! — თქვა ჭორფლიანმა. — ესე იგი, ძალის აქ დამარხვა გინდოდათ? სწორად გაგიგეთ?

— უნდა დამემარხა, — მოკლედ უპასუხა ანდრეიმ.

— ა-ა-ა! თქვენ გესმით, რომ ეს პარკია? საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი, — უტიფარი ხმით თქვა გამხდარმა. — რა მოხდება, მკვდარი ძალლის დასამარხავად ყველა აქ რომ მოვიდეს, — სიტყვას „დასამარხავად“ რაღაც განსაკუთრებულად, გამქირდავად გაუსვა ხაზი. — მოიყვანეთ ძალლები, კატები, ზაზუნები! აქ რა იქნება? მოათრიეთ თქვენი კუები და აკვარიუმები! აქ, სხვათა შორის, ბავშვები სეირნობენ.

ანდრეიმ თავის მართლება და რაღაცის ახსნა დაიწყო, თან გრაფს ხელახლა ახვევდა. ის ეთანხმებოდა, ბოდიშობდა, თავს უქნევდა.

— წესით, უნდა დაგაჯარიმოთ და დაგაკავოთ, ანდრეი მიხაილოვიჩ, — განაგრძო გამხდარმა. — დაუყოვნებლივ შინ წადით, რომ მეტჯერ თვალი აღარ მოგრათ. გასაგებია? გეკითხებით, გასაგებია?

ანდრეიმ თქვა, რომ გაიგო და ძალლი ორივე ხელით ასწია. დაბალი ტანის მილიციელთა წინაშე ის მთლად გაოფლილი იდგა.

— ნიჩაბი წაიღეთ, თქვენი არაფერი გვინდა, — განაგრძო გამხდარმა.

— არ გინდათ ტრაგედიის გათამაშება! ჩვენ აქ, — მან გაურკვეველი უესტი გააკეთა, თითქოს მთელ ქალაქზე მიანიშნა, — ბევრი რამ გვინახავს.

— შინ წადით, — თქვა ჭორფლიანმა. — სოფელში მეც მყავდა ძალლი. ვიცი, ეს რაც არის, როდესაც საყვარელი ძალლი კვდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ადგილები დაბინძუროთ.

— მაპატიეთ, სად წავიღო? — უმწეოდ თქვა ანდრეიმ.

— სახლში! ვერ გაიგეთ? — მკვეთრად უპასუხა გამხდარმა. — იქ მოიფიქრეთ.

— იცით, — თქვა ჭორფლიანმა. — იქ ნაგვის საყრელი კონტეინერები დგას, მთელი პარკის ფოთლებსა და ნაგავს

ყრიან. იქ წაილეთ. საშიში არაფერია. მისთვის უკვე სულ ერთია. მერწმუნეთ.

ანდრეი მილიციელებს გამოემშვიდობა და სხვადასხვა გზით წავიდნენ. მითითებული მიმართულებით დაახლოებით ერთი წუთი მიდიოდა.

– თფუ! – ხმამაღლა გადააფურთხა.  
– თფუ, თფუ, თფუ, – ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა და დედის შეგინება მოუნდა. საზიზღრობა იყო, როგორლაც სასირცხვილო და მწარე... და კიდევ იგრძნო, რომ აუტანლად უნდოდა წყლის დალევა, აუტანლად!

ხეივნის ბოლოს სამი დიდი სანაგვე კონტეინერი იდგა. მათ გარშემო უამრავი სველი ქაღალდი, რაღაც დახეული პაკეტები და სხვა ათასი ხარახურა ეყარა. აშკარაა, ნაგვის მკვლევარებს აქაურობა საფუძვლიანად გადაექოთებინათ. ორ კონტეინერში ნაგავი ეყრა, მესამე კი ტოტებითა და ფოთლებით აევსოთ და მიუხედავად იმისა, რომ ნაწვიმარი იყო, კვამლი ამოდიოდა – ვიღაცის მიერ ფოთლებზე წაკიდებული ცეცხლი ბჟუტავდა.

ანდრეი ახლოს მივიდა. კვამლის მძაფრი სუნი და ამჟავებული რაღაც-რაღაცების სიმყრალე იდგა. მან ნაბიჯი უკან გადადგა და გაჩერდა. დაიღალა, გრაფი ძალიან დამძიმდა და საერთო აღარაფერი ჰქონდა ენერგიულ და მუდამ მხიარულ ძაღლთან. ანდრეი არ განძრეულა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, გრაფი სად გადაეგდო. სანაგვეში არ სურდა, საამისოდ ხელი არ დაემორჩილებოდა, ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა! კვამლს მძაფრი და მწარე სუნი ასდიოდა. წარმოიდგინა, როგორ გაიხრინებოდა და რა მყრალი სუნი აუვიდოდა ძაღლის ბეწვს. თუმცა მაინც კონტეინერისკენ გააბიჯა. უცებ თავის თავს უთხრა: „რატომ?“ მერე კი გაიფიქრა: „რატომ უნდა შევასრულო ის, რისი გაკეთებაც იმ ბიჭებმა მიბრძანეს? მე არ მსურს, იმათი დედაც!..“

შეტრიალდა და იქაურობას გასცილ-

და. პარკის გავლით მიდიოდა, თანაქალაქელი კოსმონავტების ძეგლის გვერდით. რაკეტას ჩახვეული ადამიანები ღამის პარკზე, ხეებზე და დაბალ ცაზე, საითკენაც ასე მიისწრაფოდნენ, კიდევ უფრო შავებად მოჩანდნენ.

ანდრეიმ პარკი გადაჭრა და იქიდან გამოსულს სატელევიზიო ანდა მთელი სიმაღლით წარმოუდგა. ლითონის მაღალი მესერი ზღუდავდა სუფთა და კარგად განათებულ მოედანს, რომლის შუაში მეტალის კონსტურქცია აღმართულიყო, სულ მაღლა და მაღლა რომ მიემართებოდა. ანდრეიმ თავი ასწია და წითელი ნათურები დაინახა, კიდევ უფრო მაღლა – დაბალი ცა, რომელიც მოწითალო ფერით მქრქალად იყო განათებული. ქალაქის ყველა ქარხნის, ფარნის, ჩაუმქრალი ფანჯრის შუქი მძიმე, დაბლა მცურავ შემოდგომის ღრუბლებში ირეკლებოდა.

– და რა, მთელი ღამე ასე უნდა ვიარო?! – ხმამაღლა, ისე რომ კბილები არ გაუხსნია, ანდრეიმ სადღაც იქ, ტელე-ანდის წითელ ნათურებს მიმართა.

წყლის დალევა ისე უნდოდა, შესაძლოა ცხოვრებაში ასე არასდროს მოსწყურებია. ანდრეიმ სატელევიზიო ცენტრს გვერდი აუარა, მყუდრო ქუჩაზე გავიდა და გზას გაუყვა. არავინ მოძრაობდა, მხოლოდ რამდენიმე მაღაზია და მორიგე აფთიაქი ანათებდა. ნიჩაბი და შეკრულა ხან ერთ ხელში გადაპექონდა, ხან მეორეში. ანდრეიმ ჯიბებები მოიჩერიკა და ხურდა ფული იპოვნა, მაგრამ მაღაზიები, რასაკვირველია დაკეტილი იყო. ავტობუსის გაჩერებასთან მდებარე ჯიხურიც დაეკეტათ. აფთიაქში მხოლოდ ღამის მომსახურებისთვის განკუთვნილი პატარა ფანჯარა ენთო. ანდრეის ისე სწყუროდა, რომ ალალბედზე დააკაკუნა. მართალია, მაშინვე არა, მაგრამ მაღევე თეთრხალათიანი დედაბერი გამოჩნდა, რომელსაც დიდი სათვალე ეკეთა. ქალმა ფანჯარა გამოაღო.

– გისმენთ, – თქვა მან ისე, რომ ჩან-

და, გასაწყრომად იყო გამზადებული.

– რაიმე დასალევი მომყიდეთ, – თქვა ანდრეიმ.

– შენ რა?! ეს აფთიაქია! სანამ მილიცია არ გამომიძახებია, აქედან მოშორდი.

– აბს უნდა დავაყოლო, – იცრუა ანდრეიმ. – ცუდად ვარ, დამეხმარეთ, გთხოვთ.

დედაბერმა ანდრეი ყურადღებით შეათვალიერა. კაცმა სახეზე შესაბამისი გამომეტყველების მიღებაც კი ვერ მოასწრო, რომ დედაბერს ხასიათი შეეცვალა:

– ო! მაპატიეთ, ახლავე. მხოლოდ წყალი გინდათ?

– მხოლოდ წყალი! სწრაფად, გთხოვთ!

დედაბერი შეძლებისდაგვარად სწრაფად წავიდა. ანდრეიმ გრაფი და ნიჩაბი ასფალტზე დაუშვა.

– აი, აიღეთ, ანადუღარია! – თქვა დედაბერმა და ანდრეის დიდი, თეთრი ფაიფურის ყვავილებიანი ფინჯანი გაუწოდა.

ანდრეიმ ფინჯანი გამოართვა, ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს პირში აბი ჩაიდო და თბილი წყალი დალია, რომელსაც ძველი ჩაიდნის გემო გაჰკრავდა.

– გმადღლობთ! მიხსენით! ახლა მომეშვება, – თქვა ანდრეიმ და ფინჯანი უკან დაუბრუნა.

– წევა გაქვთ? – ჰეითხა დედაბერმა. ანდრეიმ თავი დაუქნია. – მაპატიეთ, რომ თავიდანვე ვერ მივხვდი. აქ მთელი ღამე დადიან. ხან ლოთები მოდიან და სპირტს თხოულობენ, ხან ნარკომანები...

ანდრეიმ მოუსმინა, მადლობა გადაუხადა...

– ახლა გაცილებით კარგად ვარ, გმადღლობთ! – თქვა კაცმა, გრაფი ასია, შეტრიალდა და წავიდა.

„წყლის გულისათვის მთელი სპექტაკული გავითამაშე. მთელი სპექტაკ-

ლი... თფუი!!!“ – და გადააფურთხა.

ერთხანს კიდევ იარა, ავტობუსის მომდევნო გაჩერებამდე მივიდა და ცივ, სველ სკამზე ჩამოვდა. არაფერზე ფიქრობდა და პირდაპირ იყურებოდა. წვრილმა და ცივმა წვიმამ დაასხა, ის კი ისევ იჯდა. მერე საძაგელი აზრი მიეპარა: გრაფი გზისპირას ხომ არ მიაგდოს, ისე, თითქოს მანქანამ გაიტანა. მას მრავალჯერ უნახავს მანქანების გატანილი ძალები და ყოველთვის გულდასმით უქცევდა გვერდს. მკვდარი ძალები ქუჩიდან ყოველთვის ქრებოდნენ, ძალიან სწრაფად ქრებოდნენ, მაგრამ ეს აზრი, რომელიც რაღაც უცხოდ, ცივად და სამარცხვინოდ ეჩვენა, უარყო, ადგა და გზა განაგრძო.

ქალაქს ველარ ცნობდა. ანდრეის ესმოდა, რომ სახლიდან შორს წავიდა, მაგრამ ქალაქმა საცხოვრებელი გარემოს ნიშან-თვისებები დაკარგა. ის გაუჩერებლად მიდიოდა და უცებ მიხვდა, რომ ღიღინებდა, უფრო სწრაფად, სიმღერის ტექსტს ტუჩების უხმო მოძრაობით წარმოთქვამდა. ტექსტმა და თავად სიმღერამ გააოცა. აღარ ახსოვდა, უკანასკნელად ეს სიმღერა როდის მოისმინა, მხოლოდ ნაწყვეტს იმეორებდა.

ანდრეის სიმღერა უყვარდა და დარწმუნებული იყო, რომ სმენა და სასიამოვნო ხმა ჰქონდა. სიმღერა პატარა და მშვიდ კომპანიაში უყვარდა და არა ისე, ნასვამები ერთხმად, ხმის ჩახლეჩამდე რომ გაჰყვირიან. ის ასრულებდა სიმღერებს ძველი კინოფილმებიდან, ასევე რომანსებს და მის ნამღერზე ცრემლსაც კი ღვრიდნენ.

ახლა ანდრეი სიმღერის სიტყვებს ჩურჩულებდა, სიტყვები რაღაც მიუწვდომელი სახით მახსოვრობის წიაღში თავად იძებნებოდა. ის ჩურჩულებდა:

როდესაც აღარ გეყვარები, მე წავალ შორს.

მოაჯირიდან ჩამოსრიალებული, მოაჯირიდან ჩამოსრიალებული

ჩავეშვები ღამეში, შორს!  
ნაი-ნა-ნა-ნა-ნა-ნა,  
ნაი-ნა-ნა-ნა-ნა-ნა-ნა...

და ისევ თავიდან. მას გაახსენდა,  
რომ ამ სიმღერას ერთ დროს, დიდი  
ხნის წინ, ალა პუგაჩოვა მღეროდა. ეს  
სიმღერა მაინცადამაინც არ მოსწონდა,  
მაგრამ ახლა იმაზე გაოცდა, რაღა ეს  
ნაწყვეტი ამეცვიატაო. სიტყვები შექ-  
მნილ სიტუაციას ზუსტად მიესადაგე-  
ბოდა...

მთლად დაიქანცა. გრაფისა და ნიჩ-  
ბის ტარებაზე ხელები უარს ამბობ-  
დნენ. ხანგამოშვებით შეკრულას ხან  
ერთ მხარზე მოიგდებდა, ხან მეორეზე  
და ასე მიდიოდა.

როდესაც რაღაც მშენებლობის  
გრძელ, ყრუ კედელს მიადგა, ანდრე-  
იმ გაიფიქრა, მძიმე ტვირთი გალავნის  
იქით ხომ არ გადავაგდოო. ამით ყვე-  
ლაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ ამ  
აზრთან ბრძოლისას კედელზე მინაწერი  
წაიკითხა: „საცხოვრებელი სახლის მშე-  
ნებლობას აწარმოებს (ესა და ეს) ორ-  
განიზაცია“. წარწერის გვერდით კიდევ  
ერთი მინაწერი იყო: „ყურადღება: ტე-  
რიტორიას ძალები იცავენ“. ანდრეიმ  
წაიკითხა, ჩაიცინა და თავი გააქნია.

სამშენებლო ტერიტორიაზე კარი  
ლია, უფრო ზუსტად, შელებული იყო.  
ანდრეი შევიდა და მიმოიხედა. მშენებ-  
ლობა ახლასან დაეწყოთ, მარჯვნივ  
სხვადასხვა ტექნიკა იდგა, მარცხნივ  
ჩაბნელებულფანჯრებიანი ვაგონი. ვა-  
გონის თავზე წვრილი ანძა აღმართუ-  
ლიყო და ზედ დამაგრებული ფარანი  
სამშენებლო მოედანს მოყვითალო შუ-  
ქით ანათებდა. ანდრეის პირდაპირ არ-  
ცით ისე ღრმა საძირკველში თეთრი  
ხიმინჯები ჩაესოთ. საძირკვლის შო-  
რეულ მხარეს წყალი იდგა. წყალი ბნელ  
ცას და ფარნის შუქს ირეკლავდა.

— ეჰე... ალლ-ო-ო!.. — დაიძახა ან-  
დრეიმ და მაშინვე მიხვდა, რომ იქ არავინ  
იყო და რომ საჭირო ადგილას მოხვდა.

ანდრეი საძირკვლისკენ გაემართა  
და იგრძნო, რომ თითოეულ ნაბიჯზე  
წუმპის ჭუჭყი ფეხსაცმელზე ეკვროდა.  
სახეც კი დაემანქა. ძალიან არასასია-  
მოვნო იყო კარგი, მუდამ სუფთა ბა-  
ტინკის ტალახში ჩაბიჯება.

ის ორმოს პირას დადგა. როცა იქნე-  
ბა, აქ სახლი აუცილებლად აშენდება.  
იქაურობა მოათვალიერა, საძირკვლის  
ყველაზე დამრეცი ნაპირი მონახა და  
სანამ იქამდე მიაღწევდა, კინალამ რამ-  
დენჯერმე დაეცა. კარგი იქნებოდა,  
სათვალე წამოელო, რომლითაც ან-  
დრეი სახლში ტელევიზორს უყურებდა  
და კითხულობდა. თვლიდა, რომ ნორ-  
მალური მხედველობა ჰქონდა, მაგრამ  
საღამოობით სახლში სათვალეს მაინც  
იკეთებდა. ნებისმიერ სათვალეში თავს  
კარიკატურას ამსგავსებდა ან კლასი-  
კური ლიტერატურის პერსონაჟს, ან  
თანამედროვე ფილმების ბოროტ მანი-  
აკს. ფეხსაცმლის ქვეშ ტალახი წელა-  
პუნობდა და სრიალებდა. ანდრეიმ ორ-  
მოს ფსკერამდე როგორლაც ჩაალნია და  
მიხვდა, რომ რაღაც განსაკუთრებული  
ადგილის შერჩევა საჭირო არ იყო.

გრაფი მინაში ჩასობილი ხიმინჯის  
ნაპირზე შემოდო და ცდილობდა სი-  
ნათლეს არ ჩამოფარებოდა. დაბლა  
იხედებოდა და ისე თხრიდა. მინა იყო  
თიხვანი, ბლანტი, თუმცა ადვილად  
ითხრებოდა. თხრიდა და თხრიდა. ან-  
დრეის არ უნდოდა, გრაფი ტალახის  
თხელი ფენით დაეფარა. რახან ასე-  
თი რთული და გრძელი გზა გამოიარა,  
სურდა, გრაფი რაც შეიძლება ღრმად  
დაემარხა. შარვალი, ფეხსაცმელი და  
ქურთუკის სახელოები ძალიან დაეს-  
ვარა. ნებისყოფის დაძაბვით ამას ყუ-  
რადღებას არ აქცევდა. ტალახის ქვეშ  
თიხა გამხმარი და მაგარი იყო. ანდრეი  
იძულებული გახდა, ამოთხრილი ორ-  
მოს ფსკერზე დამდგარიყო და მუშაობა  
ასე გაეგრძელებინა. დაახლოებით მუხ-  
ლამდე ჩააღრმავა და მიხვდა, რომ ეს  
საკმარისი იქნებოდა. ორმოდან ამოვი-

და და გადასაფარებელზე შემოჭერილი თოკის გახსნა დაიწყო.

— რას ვაკეთებ? რისთვის? — ჩუმად თქვა.

„თოკს გახსნა რად უნდა?“ — გაიფიქრა და მიხვდა, რომ ამას ანგარიშმი-უცემლად აკეთებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ გადასაფარებელი უკან წამოედო.

— თფური, შენი, — გადააფურთხა და შეიგინა.

ანდრეიმ შეკრულა აიღო, ჩაცუცქდა და ძალლი ორმოში ფრთხილად ჩაუშვა. ის იდგა პატარა, თითქმის მრგვალი საფლავის პირას და გონების დაძაბვით ცდილობდა, რომ ძალლთან ერთად ცხოვრების კარგი და ამაღლვებელი სცენები გაეხსენებინა. ანდრეის ესმოდა, რომ გრაფს უნდა გამომშვიდობებოდა და რაღაც რიტუალის შესრულება იყო საჭირო. ის გონების დაძაბვით იხსენებდა, თუ როგორი სასაცილო იყო პატარობისას გრაფი. როგორი თავდავინყებითა და პასუხისმგებლობით თხრიდა ეზოში ორმოს, როგორ უცურებდა თვალებში და დელფინის მსგავს ხმებს გამოსცემდა, როდესაც საჭმელს თხოულობდა.

ანდრეი ფიქრობდა, იხსენებდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ ყველაფერს ძალდატანებით აკეთებდა. ის მიხვდა, გრძნობების მართვა აღარ შეეძლო, თითქოს ეს გრძნობები მისი აღარა. აღარც ეს ქალაქია მისი და ძალლი, რომელსაც მარხავს, ასევე უკვე…

რატომდაც წამით იმ აზრმა გაუელვა, თუ რა დიდხანს ემსახურებოდათ ეს გადასაფარებელი და რამდენ პლატსა და პიკნიკზე იყო ნამყოფი. ანდრეი ორმოში ტალახსა და თიხას ყრიდა. მერე პატარა, ამობურცული ადგილი ნიჩბით მოასწორა და ფეხებით დატკეპნა.

— აბა, მეგობარო! გმადლობ, რომ

ჩვენთან ერთად ცხოვრობდი! ჩვენ გვიყვარდი, მაგრამ შენ ჩვენ უფრო ძლიერად გიყვარდით. მაპატიე, ყველაფრისათვის მაპატიე! მადლობა შენ, ჩემო ძალლო! მადლობა! — სიტყვებზე „ჩემო ძალლო“ ხმა აუთრთოლდა, თვალები კი ცრემლით აევსო. ანდრეიმ თავი ოდნავ დახარა, საძირკვლიდან ამოვიდა და იქაურობას სწრაფად გასცილდა.

ის სამშენებლო მოედნიდან ქუჩაზე გავიდა, ფეხსაცმელებზე მიკრული ტალახის მოსამორებლად ფეხები ასფალტზე ძლიერად დააბაკუნა და სახლში წავიდა. ანდრეი მიდიოდა და ჭუჭყიანი ხელები ჭუჭყიანი ქურთუკის ჯიბეებში ჰქონდა ჩაყოფილი. სწრაფად მიდიოდა. მერე გაიფიქრა, თუკი ხელები ჯიბეებში აქვს ჩაყოფილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ნიჩაბი მშენებლობაზე დარჩა. გაჩერდა, თავი მარცხნივ გადახარა. წარმოიდგინა, რომ უკან უნდა დაპრუნებულიყო, ისევ სამშენებლო მოედანზე შესულიყო და საძირკველში ჩასულიყო…

ანდრეიმ ჯიბიდან მარჯვენა ხელი ამოილო, ჩაიქნია და გზა განაგრძო.

ქალაქში რაღაც შეიცვალა. შენობებმა სხვა შეფერილობა მიიღო. სინათლეს არ მოუმატია, მაგრამ სახლები ახლა როგორლაც უფრო მკაფიოდ ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ფანჯარაში შუქი აღარ ენთო. არც მანქანები დაქროდნენ. ანდრეი მარტო მიდიოდა.

სიარულში ანდრეიმ თავი ასწია და გაჩერდა. მის ზემოთ, გაგლეჯილ ღრუბლებში დაინახა ის, რაც არას-დროს არ ენახა, თანაც ასე ცხადად. ღრუბლის ნაგლეჯებში მან დაინახა ცისკრის ვარსკვლავები. ძალინ ბევრი ვარსკვლავი, რომლებიც სულ მაღე უნდა გამქრალიყვნენ.

რუსულიდან თარგმნა  
აკაკი დაუშვილმა

Нино Құтателავе



### А Існы агәхъаагара

გასულ ნელს ჩვენი უურნალის №9-ში დაიბეჭდა ნინო ქუთათელაძის ნერილი „აფხაზეთის მონატრება“, რო-  
მელიც ამ მხარისა და ხალხის ჯემარიტი სიუვარული-  
თაა გაჯერებული. ამჯერად აფხაზ მკითხველს ვთავა-  
ზობთ ამ ტექსტის თარგმანს მის მშობლიურ ენაზე.

Хატыр зқәу сөғызцәа, игәхъаажәгома Аѣсны? Сара уи წყызырлагы избом амшыни, Ҷебелдатәи ашъхақәеи, аѣтаრқали, амандаринеи рыла ихფоу ақыҭақәа, Амагнолиатә алеени Ақәа, Афон өыш ақны азиа изсо иху амшынкызқәа, азхыгөөи ағадала, мацк арыбырахь инаау ахаҳә дуу33а ацъар, Ивертәи ашъха Симон Кантәи ихаъы, Карсттәи атыша, ажәйтә Гагра абульвар, Пицундатәи аныхабаатә ат3ы Қәымшәышәкәа, ақыр Պүеит аѣсшәа смахойжътеи – сара бара бзиа бызбоит –



еибаҳамхәеижътеи арт ажәа წвшЗакәа. Истахуп ишәсчәар, сара Аѣсны адагы, аѣсуаагы гәхъаазгоит, абри агәхъаагара иятәуп ҳәа ишәыпхъа3а ари ашәкәы. Истахуп аѣсуа алитетурата аклассик Баграт Шынкәба дысгәаласыршәар.

Хаტыр зқәу Баграт лассы сиқәшәалон Ақәа аѣыкә ақны, аха уи иацәажәара сзыгәабыумзт, ҳәарада уи ахымъадара Қалаан3а, аинтервиу имсхыр акун. Ирацәафны сдыршәон үс3ан, аинтервиу атара дақәшаха7хом, ақыр7цәа бзиа ибом...аха? дақәшаха7хит? Ағныка аа�ъара си7ит, имотацәагы сирдырит... Иахъагы дысгәалашәоит аблайш3а, азбаб хүчү деи6ка3а, уи имота, Гәйнда лыхъ3ын. Исыздыруам сара сахь ас еи6ш и6каз абзиара зааир6шыз...Сара сызпоетыз идырын - уи азы акузар... Ма иарғын саргы амхацьырцәа ирызкыз ацәыргакә7а ақны ҳахы7каз акузар? Уахъ, аѣсуа апоет Нели Ҷарба аа�ъара сыл7ит...Ма ҳа7тыр зқәу Нели ашәкәеи, ан7ам7акәеи ан7сиз7адгоз ларгы саргы ҳаблақәа ла7ыр3ыла иахъ7әыз акузар... Мамзаргы арыщареи, агәа7реи,

уи аилкаареи, ацәанырреи ауаа еиҳа иахъезаигәннатәуа иахаразыр...

Зны уи ихатәы қытә Ҷоңза Ҷлоу снанагит. Ҳатыр зкәу Баграт згәи аартыз айшема иакун. Аха зегыр реихаңза Ҷлоутәи айсабара сгәи иаахәеит, уаҳа уамашәа иубараны ићеи Қырттәила инхо ауафы?! Ҷлоу, аай, ғәшшәйк рыла еилацьуцияауб, арақа ғәшшәйк иласза ищәаҳәаны рөйирбесахуеит ажәғанпштәи, аетәеи, еиҳа ииашаны иаххәозар – аетәеи, ажәғанпштәи еиуеиňшым ацәиňштәирада... Усқан уақа ҳатыр зкәу Баграт иажәенираалагы сађхьеит, ари ақытә иазкыз, Ҷытрак аамыштахъ уи Арчыл Сулакаури ашәа азы еиශенгейт:

“Ҷлоу, Ҷлоу, арақа иңисит // арбысигара// рађхъатәи сара сажәенираала// сыйрагы ара ићоуп// Аиашазы арақа ииыз ажәенираалақәа рысба далаңгар Қалозма.

Баграт Шынкәба 1917 шынкәса лаптарамза 12 динит. Даараңза ибзианы идыруан айшәа, ақыртшәа, аурысшәа, адигъ быйшәеи, аублаа рбызшәеи. Аай ариapoети, ажәабжықәа зығуази маңара иакымзт, уи атоурыхтпаафи, абызшәа дырғи иаку. Айсуаа ртоурых атпаара амзыз ала уи аамтак азы Қарт дынхон. Уаантә иаауеит уи уамашәа иубаша игәалашәара... Иофициалымз ҳаицәажәарап аан, ҳатыр зкәу Баграт иаразнак игәалаиршәеит, уамашәагы избит, еиңилярап ала ауафу, амч змаз абзиабара алацәажәара даналага. Абзиабара алацәажәара ишыжәдьруа ала ауаа еизаигәннартәуеит иаразнак ала, избанзар уара ухатәы цәанырракәа даға азәи иутоит. Зегыр рађхъаза ҳатыр зкәу Баграт Константин Гамсахурдия дигәалаиршәеит. Изакытә ус дуу уи иќаитаз айсуаа рзы, адунеи зегыр ишалайртәаз айсуа жәлар рқазшыакәа, ртасқәа, ркультура... Нас дигәалаиршәеит Галактион ду, ақыртшәала дађхьеит зегыр ибзианы ирдүруа ажәенираала цәаҳәақәак: “Мшабзия Айсны, // амшын етәа, агәхъаагара шкәакәа...// Нас

иаразнак Гъаргъ Лонизе ипоезия ахъ диасит... Цәаҳәак игәалаиршәеит “Бзия ишшәбоз?!” иңасшьеит... Бзия ижәбодаз -с тааит, урысшәала сиаздаит, избанзар ҳаицәажәара урысшәала имғаңысуан. Нестан Леонизе – дымхәицзакәа атак сиит. Усқан ас еиңш сыкамзт, тађак, ауқы, сеңеартәарагы хазын, рађхъаза данызбаз сгәи җәэоз цысшьеит. Уи лыхазынара сартәит иаразнак. Гәнахарап атәгыры схәар ауп, мазала лыштыхъ сгыланы слыцын. Санылбалак, усқан акун сынлацәажәэоз. Ажәак лахәара сзыгәауамзт. Ҳатыр зкәу Гъаргъ лассы- лассы акрыфараз джађхъалон, зны- зынла иңиңкагы аађхъара хайтон. Ҳода (аай, ари ажәа уи ақыртшәала ихәит) Өнак зны сымч зегыр ааизызган ипхә лиапы саҳәеит.

Даанғылеит... Ҷытрак өитуамзт, абри ашъха еиңш иќаз ауафы, иблақәа айхара, агәбылра нырхылеит, иађхъака дыршуван абарта аќнытә. “Нас, анаңс икалеи ҳәа сиаздаит...” Уи атәи сара сеиха шәара еиҳа ибзианы ижәдьруеит ихәит- атак сиит, нас инацидеит, исеиңәаз жәдьроу?! - Нестан дақәшахатзар, сара мап скуам ихәеит, аха нас рыцхарала издырит, Нестан даға азәи бзия дылбон. Абас индәеит ари атоурых, аха сара иахъагы итабуп ҳәа ласхәоит усқан исымаз ацәанырразы, усқан жәйтә сарысыра аан исымаз.

Издыруада убри инаркны апоет изаанхит уамашәа иубаша ахатыр ақыртуа ахәса рахъ, Руставели амқаду аќны анеиааира агәхъаагара: “амра аеатәахит Мтатминда қадала, // ұымт айшәа анахәит ашъхакәа, // Шынкы Руставели амра уабылуан// Уажәи алашыцара амтәйжәафала ихнағоит// Ишәаз ашъабста еиңш ахәда шытъааны// Ахәса Ҷоңза ғышшәарчарала дрыхәађшвеит// ус сара ақәарч еиңш сааннакылоит// Иђагъо, иҳалалу урт րыншра//

Абри уамашәа иубаша ахъыс аниҳәа аамыштахъ жәенираалак сгәалашәеит, Баграт Шынкәба иаженираала хәыңы Григор Абашизе еитеигаз: Уахынла илашоу

амқаҳуаста дануп// Адәы - аштақә аарла иарлашоит,/Амза аўта акалт иалалит // Иňхашъаны аблакә атәахуан./Иражә, бара, ари аўхашъара ибылу// исхых акумзар сымала исылшом!/Истахуп ажәқә, ахы еиňш еихшәшәо,/Иатәасшоит амза ажәғантәи сыйшәмәа./

Баграт Шынкәба апразатә аўдамта хазынақә шимоугты, сара сеилкаара ақны уи алирикатә поетны даанхит. Апраза алаңәжәәра халагазар, исымхәар сышом, сара сзы ҹыдала аинтирес ду змоу ароман “Аңынтарах“. Уи 1974 шыкәса икыпхын, хышықәса рыла уи ақыртуа бызшә ахь еитаган. Уи еиталгейт ҳатыр зқәу, ахазына Җамар Чицавазе. Ароман епиграфс иацуp аинтирес ду змоу ҳара ағелымхара ззахуша аўсуа ажәапқа: “Зыпсадгыл зцәйиз, зегы ицәйизуент”. Иара угсты... Изустадаз аублаа? Аублаа ҳәа урт ачырқазцәа роуп ирыхъзызтаз, дара рхата рхы “атуаňхъаа” ҳәа азырхөон. Аублаа Амшын Еиқәа Кавказтә аյшыхә азиасқә Шахеи, Хостеи рыбжъара инхон. “Кавказтәи аибашъра ианалга аамышътах, аублаа изнымаалаз атагылазааша рұылеит ах инапхара, аублаа рұызацәа ирыдыргалеит: иахынхо атыпқәа, ашъхакәеи, ақада - амраташәара адәқәа ааныжыны иқәтүрә ма Трыкәтәылақа иқәтнү ицарап. Аублаа рұызацәа иқартаз азбара ұхъяка ипшумазт, иеемизт. 1864 шыкәсзы, рұызацәа ирыштапаны, Трыкәтәылақа ииасит. // Аїшатлакә еиňш иаанхаз, икарахаз аўсаатә ирылшом аицикәзапа, убас иалазуент аублаа амрагыларатәи еиуенішым атәылақәа рөы.” – ихаңәоит ироман аўхажәәи Баграт Шынкәба.

Ақәцара изакәи, еиќешоу атакырадгыл, уи ақыртцәа ратқыыс еиғыны издыруада?! Иахгәалахаршәап фереиданаа рыхтыс, мамзаргы Герет, ма Лазаа, ма иара Шәача ахатә... Абрақа иахъа иаххәар ҳалшоит, ақыртцәа зында инхом. Амилат маң

дара - дара еиҳа еилибакаауент, амилат дукәа атакырадгыл аинтирес ауп ирымоу рхатәи дұыл азырхаразы. Ижәдирұандаз шақа ибзианы еиликаауаз уи ҳатыр зқәу Шынкәба. Аублаа ҳанрылаңајәәоз, ииашаны уи исеиҳәеит зегы ерихаза ибрыгыз аўсуа, “Зегы реихаза ҳара шәара ҳайлышәкаауаз ауп”. Ари ажәа сара нағаза сыхшық ақны иаанхит. Аўсны аибашъра аамышътахъ Баграт Шынкәба инхара - интара саназдаа, Москва дынхойт ҳәа сархәйт. Аиаша шәасхәап даараذا дрыщасшоит ашәкәйфы, уи иѣстазаара зегы аўсуа акультура ахы дахагылан.

“Аңынтарах“ ақны адыгтәи алаку ҳзеитеиҳәоит ашәкәи афырхатда хада – Заурқан Золак: “зны ҳатак дынхон, абызшәақәа зегы идыруан: ажьеи, ашышкамси индыркны, өнек зны абна ахъ дцион, изымдыркәа ашышкамс дағрагылеит. Игәааз ашышкамс иқәааит:

“ - дызуытада ари бзиара злам, дахъгило дахәампшыкуа иныкәо?

Ари аниаҳа ахатә, ашышкамс инаргып иқәиртәеит уамашәа ибаны дахәаңшуан – шақа идуу ахы умей?

- Уи зсымуо сыхшық атәахра азы ауп.

- Ас еиňш аббазара па зумеи?
- Сыпсы зтоу акрыфара азы акузам, акрысфоит сыпсы тазарц азы.
- Шықәсык ала шақа уфар улшои?
- Шықәсык ақнұтқа рыцк ахыз сыйхоит.

- Нас иахбап шықәсык ахыз рыцк узхоо - иузымхоо, - ихәйт ахатә. Ашышкамс акулап интаиртәан ахыз рыцк таиршәйт.

Шықәсык ииасит, ахатә ашышкамс игәалашәеит, акәлап аиртит, ицьеишьеит, ашышкамс ахыз абжа акун иафаҳыз.

- Ахыз абжа ада зыумфей?
- Издыруада ани ахатә газа ус баша стакны сыймаз шықәсык акум

қышықеса сүгәламшәаргы қалоит. Убри ақнытә сарғы ари аңыра стәахит.- ахәйт ашышкамс.

Ари алаку ибзианы изысгәлалашәо, сара сыйстазаара ақны уи лассы исгәласыршәалон.”

Ижәдьруу изакәйтә ҳәоукәоу ирыдиҳәала ари алакә ? “Баша ирхәоит, пату змоу Шәарах, ауаңы ибышшәа ихаштыр алшоит ҳәа. Мап илшазом. Сара сан лхаштра зсылымшо еиңш. Хбышшәак здыруан санәаз, абрахъ угылар, амшын уахуаңшыратә, хара ҳақнытә - аублаа ҳақнҭә арԥарахъ, адыгцәа нхоит, армарахъ - аңсуаа, ҳарт еизаңгәаз аигәйлаңәа ҳақән, убри ақнытә абышшәа ҳамдырыр қаломзт.” Шәаргы еилшшәкауазар акухап, арт ажәакәа рыла ихайхәар иитахыз Баграт Шынқәба...Хаңгәйлаңәазар ҳбышшәақәаңы пату ropyкәхтәр ауп. Абышшәа иңдлү, игәакью феноменуп амилатқәа зегын рзы... Сара уи атәи еилыскааит, ақыртшәала сзымцәажәо, уи абышшәа здыруеит, шәарт шәгәыла ибышшәа иахышшәтахым азы ауп сзымцәажәо .

Исыздыруам шәаргынышәеилсиркаау, аха афакт фактуп - абзиабареи патуенкәттареи, абзиабареи - патуенкәттареи ахылтуеит. Иара усгын абыиабара ҳазыхынхәыр Баграт Шынқәба иажәенинраала ҳазынаңәа руакы, аитага шәйдизгалоит, ажәенинраала “Ашабара” ахьзуп: “ Абар арбаң абыжы гоит,/Аөы ашыапы аштабжы гоит ....,/ азбаб аңенцыр аалыртит дыч-чо// Алар ҳаңәхеаит -“Муриа умшын.”// Абар аңыуаңы агәашә даадгылт// Аөы ңыбара ашыапы адгылып итанаңшоит// Аңенцыр ақны азбаб длашешт // Арғыс мазалатә илаңш дыхнахеаит//Сан, сыхаара, мәсасык дааит// Азы истоит, азба дакуазар акухап...// Сыхаара, бнеини, аңы иззага,/ Аңсуаа аңы ауп ирыдыш-гало// Сан аңыуаңы агәарп дакәшоит// Шака инаалозеи аөы арыңорра// Диода

саб дихъзар,// Нас иқаңтари, иңсихәи!// - Акымзарак...Сара игәлаласыршәоит...// Иара ихатагы игәлалыршәаит,/ Ҳара ҳаңыны аңхъа абасцәкъа дангылаз// Икыркы шабабзба азы данаңәоз...”// Абзиабаратә алирика зегын акоуп ихазуп, даңа цәаныррак амоуп аңсуа апоезия ақны. Ара иубоит аламыс, апатуқәттара, ақыабзқәа, агәабзыра атаххара.

Баграт Шынқәба ипоезия ақны атып ду ааннакылоит апатриотратәи алирика, уи уамашәа ибатәим, избанзар амилат ҳәчү ахылт ажәа дахынхалоуп, ажәа, уи иара изы ҳазшаз иоуп, даңакы акузар қалазом...Истахуп исгәласыршәар уи ироман -ажәенинраала “Ашьха ашәа”, уака зегын еиларфатоуп, исахъашшароуп: ақәышра, аңсадгылып абзиабара, аңызара амч, абзиарду. Ариапоема ианыркыпх, иаразанк еитаган ақыртшәахъ, сыйгера зымго, ишәйлишоит шәара шәхата ари ароман шәаңхъар. 1967 шынқәсазы Баграт Шынқәба Аңсны амилаттә апоет ихыңз ианашын, хыкъ иарбоу ароман азы Аңсны ахәйнҭқарратә, Дырмит Гәлия ихыңз зхәу апремиа иатәашын.

Аңызареи, аешьареи амч азы сшәаңәажәон, ишәйдисгалоит Иракли Абашизе еитеигаз ажәенинраала “Шырда аамта”, хара ҳтәала уи “Мравалжамиер” аанагоит. Ҳәарада иззәастар стахуп, ари аамтазы, Иракли Абашизе Қырттәыла иреиңхазоу аилак ахантәаңы аниакәыз, Баграт Шынқәба Аңсны иреиңхазоу аилак ахантәиңи иакәын. Ишсаҳахъоу ала, урт еизгәакъаз аңызцәа ракәын....”Шырда аамта, Аешьцәа рыда,/ Икоума уи еиха иңәбәоу атәила ақны,/ Шәнүхәаңа ықаз!//Шырда аамта шәара шәзы!// Ҳара ҳтасқәа ишырхәо ала,/ Инасып ду амш шәымаз,/ Уи аныхәаңа ықаз,/ Уи шырда аамта амаз!” – абас икоум амажортә аинтонация, ҳәарада, аепоха адырга ауп, аха аңызареи, аешьареи ашьхуаа рзы уи наңаңатәи уасиатуп. Аңсуа литература аңымхара азахамур ҳтакызар (

аха избан аөлымхара зазаҳамуа, исзеил-  
кауам! ) Ақыртуа ашедеврқә ыргәра  
хгал ма... Акаки ма дахгәлахаршәеп  
“Абаззей”, Константин Гамсурдия  
“Амза амтарсра”, Лео Қиачели “Хақы  
Азба”, Шота Нишианизә “Аңсуа кон-  
тата”... Уаҳа ишәасхәарі?!

Баграт Шынқәба аус рацәаны иуан,  
иақитдон, еитеигон, иқуан атоурыхтә  
ттаарақәа, аполитикатә аматурагы  
нықәигон. Идыруан, аңаҳәа ахыагатә,  
иабалаго, иабантәоз аңсуаа рхақәитра.  
Уи шыақәнарбәеонт еиңдири ироман,  
атышхәтәантәи ироман “Ахаҳә еиқәфә”.  
Аха сара еитах истахуп исгәласыршәар  
“Аңынцәарах”. Абри аңдамта андәамта  
ақны Зауркан Золак бәйци - бәжьыц  
ирыңху ихатәи гәаанагарақәа аро-  
ман афырхатца Шәарах Куәзба иитоит,  
ианцданы: ”Хатыр зқәу Шәарах,  
икәыздаа аублаа абри ауп ирзаанхаз.  
Иғы уи Аңсныға.” Аңсуаа мачқ аанх-  
ны иқазар иаҳа хара иаҳуалуп, хара  
хабзазара аикәырхара адагы, уи хахъчар  
ауп, аублаа рұғызацәа аполитикатә ұхъақа  
аңшра зғыз ыңбара амшала атәым уаа  
хрылағит.

Уажәэ истахуп ҳатыр зқәу Баграт  
иңсы ахъ схы сырхар, уи хыхъынте

дхахуаңшуазар қалап, уи ихъаигоит ҳара  
хтагылаашиба: “Дад шәахгәалашәоит,  
лассы ҳшәылаңәажәоит!... Дад, уаҳ  
иқоу уалхымзааит шәара шәыңсы иаша!”  
атышхәтәаны ишәыдысгалоит ҳатыр  
зқәу Баграт иажәенираала “Аусиат” уи  
аңсуа бызшәа ақнитә даараза ибзианы,  
бзиабарала еитеигеит ақыртуа апоет  
Шота Нишианизә, Изакытә бзиаба-  
роу иааирпәуша апоет ажәенираала ақны  
Қырттәила ари акуақ хазына ахъ,

“Абрыг ичкүнцәа ахътәи уасиат  
рзаанижыит, // Ауасиат – ағәи ақны  
итырәеаны. // - Адунеи ақны инымтәо  
азы ауп, // аха, сыңкүнцәа изышуа  
аяа рацәақуп. // Азыхы, ауааңсыреи  
шәырхылаңш, уи итасны ишәымаз, //  
Азба иакуа амҹан азы ишәыржә. //  
Игәақуа азы иаңны ағәынра роуырц. //  
Сыңкәнцәа, ирығышәмымжын арыщәацәа  
азы. // Аңәғәрәа ассант азлагара ахахә, //  
Ирланааит, ирланааит ахаҳәкәа ахътәи  
ұшы. // аха ишәхамштааит зегы реиха  
иходу: // азыи, амцеи ҳаңацәа роуп... //

Ааи, зыңсадғыл зңәызбыз зегы  
иңәызует....





გიზო ზარნაძე

## არაფერი არც შობილა, არც იშვება არაფრიდან!

და მეც ვსწაპნი მურმანს ტაეპს  
ბარაქიან კალათიდან:  
„დაძინება მინდა, მაგრამ  
გაღვიძება აღარ მინდა!“

## არ გამოსდის მოსაწყენი ლექსი!

ზაზა ბიბილაშვილზე ვერ იტყვი, ისე  
რა პოეტია! კარგი ლექსიც არაერთი  
წამიკითხავს მისი, მაგრამ „ლიტერა-  
ტურული გაზეთის“ 2015 წლის პირველ  
ნომერში გამოქვეყნებული ლექსის წა-  
კითხვის შემდეგ რატომლაც კავახაძე-  
ჭანტურიასეული ინტონაციები (და – არა  
მარტო!) ამედევნა. დავიმოწმებ ერთ-ერთ  
სტროფს:

ბარეორი გადამდგარა ამ საქმეზე  
გადამდგარი,  
ვისაც უნდა ავი ენით ავეგდე  
და დავეთარსე, –  
რაკი ვიცი – ყველაფერი  
ზედმინევნით კარგად არი,  
მე რომ ვიცი, იმ შორეულ, იმ  
მშობლიურ პლანეტაზე!..

წავიკითხე და ჩემდა უნებურად, ხე-  
ლი წამცდა პაროდიაზე:

ყორლანაძე, გეხსომებათ, გა-  
დაფრინდა ქარაფიდან,  
„ქარაფიდან“, ავტორსავით,  
რითმა მიგირს, ფარად მინდა;  
წავიკითხე ზაზას ლექსი  
(პოეზია წამლად მინდა!),  
ხელში შემრჩა კოქტეილი  
ტაჭას, ვაჯას ალაფიდან!..  
ლექსის კითხვა მიყვარს, მარა  
ასეთების აღარ მინდა!

ჩემთვის და, მჯერა, არა მარტო ჩემ-  
თვის, საინტერესო პოეტმა, ვახტანგ ჯავა-  
ხაძემ, როგორც მის „ადნაგოდნიკს“, 2012  
წელს ჩინებულად გამოცემული „რჩეული“  
მისახსოვრა, დაბადების დღესთან დაკავ-  
შირებით. ალბათ, იმასთან დაკავშირე-  
ბითაც, რომ, კაი ხანია, იცის, მისი პოე-  
ზია მომწონს, („მომწონს“ არ მომწონს!)

– მისი პოეზიით რომ ვრწყულდები.

ვახტანგს არათუ არ სჩვევია (ასევე  
მისი „ადნაგოდნიკ“-ის, ტარიელ ჭანტუ-  
რიას არ იყოს), უბრალოდ, არ გამოსდის  
მოსაწყენი ლექსების თხზვა; თანაც, რაც  
უფრო ხშირ-ხშირად იკითხავთ, მით უფ-  
რო გაოცებთ, გიტაცებთ, თავის სტიქიაში  
გითრევთ და გესულგულებათ.

ჩემი დაკვირვებით, ადამიანი (ყო-  
ველ შემთხვევაში, ხელოვანი) რაც უფ-  
რო უახლოვდება „გაღმა ნაპირს“, მით  
უფრო ღვთისმოშიში და მომეტებულად  
სანტიმენტალურიც ხდება. იქნებ, ამის  
გამოც იყო, რომ ეგრევე მომნუსხა და

თავი დამაზეპირებინა (სიზმარში მყოფიც რომ გამაღვიძიძოთ, ზეპირად ვიტყვი!) უდროოდ წასული მეგობრების ხსოვნისადმი მიძღვნილმა ორმა სულისშემძვრელმა ლექსმა.

## ნოდარ ჩხეიძეს, ფილიპე ბერიძეს

ამაყებო! თქვენია დიდებული  
დიდუბე!  
არ იჩხუბოთ, თქვენ უკვე დიდები  
ხართ, დიდები!  
ვერც იჩხუბებთ, ჩამცხრალა  
ბედისწერა ვერანი!  
მაინც, გასაშველებლად  
მოვისწრაფვით ყველანი!

## ზურა კუხიანიძეს

მე რიკოთმა გზები გადამიტიხრა,  
შენ რა გიჭირს, ქუთაისში  
მიდიხარ!  
ქუთაისში არ მოუკლავთ  
ხოხობი,  
ქუთაისში ყველს ვწონიდით  
ოყობით,  
ვერთობოდით ავტო-  
მოტო-ველოთი  
და თბილისის მატარებელს  
ველოდით.  
შენ მიდიხარ, მიაბიჯებ  
ამაყად,  
ჩემზე მშვიდად დაიძინებ  
ამაღამ!  
იქ დაგხვდება შენი  
გადასახვევი,  
ჩემი ქვასაც კი არ ჰქვია სახელი...  
მე რიკოთმა გზები  
გადამიტიხრა,  
შენ რა გიჭირს, სამოთხეში  
მიდიხარ!

**ცნობისათვის:** ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილმა ლიტერატორებმა, ნოდარ ჩხეიძემ და ფილიპე

**ბერიძემ**, ერთხელ მართლაც იჩხუბეს, ხოლო დედაქალაქში გარდაცვლილი მეგობარი, **ზურა კუხიანიძე** პოეტმა ასეთი ლექსით გააცილა ქუთაისს.

ვახტანგ ჯავახაძეს ნაკლებად მზრუნველია საკუთარ თავზე და აკი ამიტომაც, მხოლოდ 80-ს მიღწეულს არგუნეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია!..

## აცხონოს ღმერთმა!

მესამეკურსელი, ჯიბეგახვრეტილი სტუდენტი ვარ. „პრიმას“ ვეწევი და, თუ შინ ვარ, „ბიროკებს“ ვინახავ, დიდხანს რომ მეყოს! ხანგამოშვებით ციცქა მინიატურებს მიბეჭდავს ხოლმე გაზეთ „თბილისის“ კულტურის განყოფილების გამგე, ჩინებული პიროვნება, ცხონებული დავით მელუხა. გამომიწერდა ორ ან სამ მანეთს და რომელიმე ძმაკაცთან ერთად, მიდიი, ველიამინოვზე, სახინკლეში!

ერთხელაც იყო, კითხულობს ბატონი დავითი ჩემს ხელნაწერს და უცებ მეკითხება – „კოლბოხი“ რა არისო. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. ნუთუ კოლბოხი არ იცას-მეთქი! და ვცადე, ამეხსნა: კოლბოხი, ანუ გამხმარი ტალახის ნატეხი-მეთქი! ჰოდა, აგრე დაწერე, გამხმარი ტალახიო! ხმას როგორ ამოვილებდი!..

ღმერთმა გაცხონოთ, ბატონო დავით, არაერთხელ მოგიგვრიათ ჩემთვის ასეთი სიამოვნება!

## ზრაგმენტი ოტიას წერილიდან რეზო ჭეიშვილზე

ახლახან გარდაცვლილ გამოჩენილ პროზაიკოსს, **რეზო ჭეიშვილს**, 50-ე წლის-თავზე, 1983 წლის 3 აპრილს, ასევე გამოჩენილი პროზაიკოსი, დრამატურგი და პოეტი **ოტია იოსელიანი** ასეთი წერილით გამოქამაურა (ფრაგმენტი): „გულდაგულ ველოდები ხოლმე „განთიადის“ ახალ ნომერს.

ეს „მეისტორიე“ მწერალი ჩვენს წინაპრებს იმისთანა ვაჟკაცობასა და სამშობლოს ერთგულებას აძრალებს, სირცხვილი დაგწვავს!.. ამ პეტრეს დარღი კი აქვს, მაგრამ მარტო თავის დედას დარდობს!.. პავლეს ნაბახუსევზე შეეპარება ხოლმე ბახუსის სევდა!..

ეს კია ჩვენებური, წაკითხვა თქვი, თორქმ, რაღაცას ქე გეტყვის!..

ეს, ცალი თვალით რომ იცრემლება, მეორეთი – იცინის!..

ეს იმას გვაყვედრის, ცოლ-შვილი მახვევია და რჩენა უნდაო!..

ეს გვეკითხება: კი მარა, რომ განყენინოთ, მერე თქვენც უნდა მანყენინოთო?..

და მეტი კი აღარაა ეს შენი უურნალი!

შენც იძულებული ხარ, თვიდან თვემდე ელოდო! კი დაელოდები, **რეზო ჭეიშვილისთანა** ნალდი შემოქმედის ლექსი, ნოველა, მოთხოვობა და რომანი სამ-ოთხ თვეში თუ მაინც გამოჩნდება!

ღმერთმა ნუ მოგვიშალოს შენი დრო-დადრო გამოჩენის იმედი, რეზო ჩემო!“.

## ოთია იოსელიანი

„რა ლექსია, ბიჭო, რა ლექსი! მასროლიე, რა იქნება!“

თუკი ჩემი კბილა ტარიელ ჭანტურია (რომელზეც ბატონმა ირაკლი აპაშიძე პირად საუბარში სატელევიზიო გადაცემის დაწყების წინ, 1981 წლის 12 ივნისს მითხრა: ტარიელი მეტად საინტერესო შემოქმედია. ყოველ შემთხვევაში, მის ლექსს გულგრილად გვერდს ვერ აუვლი, აუცილებლად წაგაკითხებს თავსი!) 90 წელს მიაღწევს და, თუკი მეც „აქეთ“ ვიქნები, გადაწყვეტილი მაქვს, მისივე ლექსით მივულოცო (მხოლოდ სუბიექტური პირის ნიშნებია საჩემოდ შეცვლილი!):

გიყვარს ქართულად, გძულს  
ქართულად, წუხხარ ქართულად!  
მღერი ქართულად! – მაღლობა  
ღმერთს – ნებადართულად!

შანსი გქონია – არ მოგირთხამს  
ფეხი თათრულად!  
ზიხარ და ფეხი ფეხზე გიდევს! –  
ესეც ქართულად!  
გთარგმნონ რუსულად! –  
კი ბატონო, – გთარგმნონ  
ფრანგულად!

მაგრამ შენ გიყვარს, შენ გძულს,  
შენ გნამს, შენ წერ ქართულად!  
ქართულად! დიახ! მას მერე კი, ვით  
გაბრალებენ,  
პაროდიულად, ორონიულ-  
ავანგარდულად!..  
შენ, ყოვლად ქართველს,  
ყველაფერი გიყვარს ქართული!..  
ამიტომაც ხარ ქართველებთან  
ნელგამართული!

...აუ, რა ლექსია, ბიჭო! მასროლიე, რა იქნება!..

## მიხა ხელაშვილის ლექსების გამო

საყოველთაოდაა ცნობილი **მიხა ხელაშვილის** უნატიფესი ლექსი – „ლექსო, ამოგთქომ“.

ბევრმა იგი ხალხურ ლექსად აიტაცა და როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგს ხელი წასცდა – თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ დედნისგან საკმაოდ განსხვავებული სიტყვებით შეცვალა ტაეპი.

ვიმეორებ, ბარე ორს დღესაც ხალხურ ლექსად ეგულება იგი, თუმცა ეს ბუნებრივიცაა: ძლიერ ლექსი, რომელიც უსადავესი სიტყვებითა და გამაოგნებელი უბრალოებით გამოირჩევა, ხშირად ხალხურად მიიჩნევენ და უკვირთ კიდევაც – აქამდე რომ არ იცნობდნენ!..

როდესაც სტილის სისადავესა და, ამავე დროს, საოცარ მელოდიურობაზე ვსაუბრობთ, უნებურად გვახსენდება ხოლმე პუშკინის „ზამთარი“:

Бурья мглою небо кроет,  
Вихры снежные крутия.  
Мშობლиურ ქართულში – დიდი გა-

**ლაკტიონის, ლვთაებრივი ანას, ლეონიძისა და სხვათა არაერთი შედევრი.** ამ „სხვათაშიც“ არაერთი და ორი ტაეპი გვახსენებს თავს. ვთქვათ, **ოთარ ჭილაძის „მამულს“:**

შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც,  
გულზე ახლო ხარ და ღმერთზე  
ზემოთ.

ჩემო ტანჯულო, ჩემო  
მტანჯველო,

დაულეველო მამულო ჩემო.

**ჯანსულ ჩარკვიანის – „ისეთ სიმღერას გიმღერებ, თვალს ცრემლი მოგედინოსა!..“**

**ბესიკ ხარანაულის – „რა გაახარებს დამშლელთა იმათი ცოდო-ბრალითა?“**

**მანანა ჩიტიშვილის – „ცხრაჯერ ჩავშალე ნაწნავი“...**

ასეთი ლექსები იტყუებს მეითხველს ფოლკლორულ ფოლიანტებში. იქ ხომ, ჩვენდა სასიქადულოდ, უამრავი თვალმარგალიტია, ვთქვათ, „ნეტავი იმ ეკლესიასა, სადაც შენ დაიმარხები“!..

ჰოდა, სათქმელს რომ დავუბრუნდეთ, მომეტებულად მიხა ხელაშვილის ლექსი განიცდის ხოლმე ინტერპოლაციურ შეტევებს.

მაგალითად, ზემოხსენებული ლექსის („ლექსო, ამოგთქომ“) დედანშია:

დედას ვუყვარვართ და დედა  
არ გვაგონდება შვილებსა,  
იმითა გვტანჯავს უფალი,  
ყოველთვის გვაცოდვილებსა.

ახლა ვნახოთ, როგორ გამოიყენება ეს სტროფი ინტერპოლატორის ხელში:

დედას ვუყვარვართ შვილები,  
დედა არ გვახსოვს შვილებსა,  
მიტომაც წუთისოფელი  
სულ მუდამ გვაცოდვილებსა.  
მოსასმენად, რა თქმა უნდა, ინტერპოლირებული ფრიად კეთილხმოვნად უდერს, მაგრამ მაინც მიუტევებელი საქ-

ციელია! ვის რა უფლება აქვს, თვითნებურად შეცვალოს ავტორის ტექსტი!..

სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით კამათსაც არაერთხელ შევსწრებივარ. ზოგს ერთი ვარიანტი მოსწონს, ზოგს – მეორე. მაგრამ, თუ გულდასმით წავიკითხავთ შესანიშნავი ლიტერატორის, ბატონ გიგი ხორნაულის რედაქტორობით გამოცემულ მიხა ხელაშვილის წიგნს – „ლექსო, ამოგთქომ“, ყველაფერს ნათელი მოეფინება.

საკამათო გახდა ხელაშვილის მეორე ლექსიც. ვინაიდან მცირე ზომისაა, მთლიანად შემოგთავაზებთ:

ცაზე მიდიან წერონი, მწერივადა,  
ჯარის-ჯარადა,  
ვერა ხედავთა, ტიველნო,  
ცრემლი ჩამამდის ღვარადა,  
ნადით, ნაიღეთ ამბავი, არცად  
დაჟარგოთ შარადა,  
უთხარით, ნუ დამივიწყებს,  
ქალას, ტურფასა ტანადა,  
ნეტავ, არ გაგონდებია? მე ხომ  
ვსულდგმულობ ძალადა!

აქ ვიეთნი საკამათოდ მიიჩნევენ „ტიველნოს“ ზოგი რას ამბობს, ზოგი – რას ამ სიტყვის მნიშვნელობის თაობაზე!..

ზოგი, მაგალითად, დარწმუნებულია, რომ „ტიველნო“ არის იგივე „ტიველნო“ (ტიველი, ოხერ-ტიალი).

თავს არ ვდებ, მაინცდამაინც ასეა-მეტე, მაგრამ გუმანი მეარნახობს, რომ ნამდვილად ასეა: ავტორი (ლირიკული გმირი) მიმართავს თანამეტივეებს: ტიველებო (ანუ ტიველნო), როს დაბრუნდებით, უამბეთ ჩემ შესახებ „ქალას, ტურფასა ტანადა“, ნეტავი, კვლავ თუ ვახსოვარო!..

წინდანინვე ვწირავ მადლობას, თუკი ვინმე საპირისპიროს დამიმტკიცებს!..

ერთი სიტყვით, ეს (და, არა მარტო ეს!) ორი ლექსი ბარე ორს ხალხურად მიაჩნია...  
ასეთია კარგი ლექსის ბედი...

## გული მიჰეონდა ყველასთან და ყველაფერთან!

ქრესტომათიული ალუზით დავიწყებ: არც მისი გული იშლიდა გულობას...

დრო იყო, ძალაც მოსდევდა და ღონეც!..

მავანზე იტყვიან ხოლმე, ყველაფერ გულთან მიჰეონდა.

**რენე კალანდიას** კი, პირიქით, გული მიჰეონდა ყველასთან და ყველაფერთან!

ყური მომიკრავს, **არცოუ** ისე მოხუცი ეთქმოდა და რამ მოუსწრაფაო სიცოცხლე!

დავესესხები დიდ **ივანე წიკლაურს:** სამოცდაცამეტ მოსვლამა გაზაფხულისამ, სთვლისამა!.. მშობელი კუთხის უსაშველოდ ნაღვლიანმა ჰანგებმა, სულის ჩადგმამდეც რომ უფაქიზებდა და უმახვილებდა ყურთასმენას!.. მეტაფორულ ნოსტალგიად ქცეულმა წარსულმა!.. ედგარ პოს ყორანივით მარად თავსდამფარფატე შიშმა („**მაგრამ, რაც უფრო მშვენიერი ხარ**“ ან „**ანდა არ იყო ასე ლამაზი!**“)... დაუოკებელმა წყურვილმა, არ გამორჩენოდა არც ერთი გენიოსის არც ერთი შედევრი!.. პერმანენტულმა საუბრებმა იმათ სულებთან, **გალაკტიონი** იქნებოდა, **უიტმენი** თუ ეზრა პაუნდი!..

უწუნებდნენ და უძრახავდნენ კიდევაც ბახუსთან გაშინაურებას, სიცოცხლეს ისწრაფავსო!.. თუმცალა კაციშვილმა არ უწყის – რა არის პოეტისათვის ნამდვილი სიცოცხლე!

თუ ჩამავალ მზეს გულის თვალითა და უმიზეზო სევდით არ აცილებდი ხოლმე, პირგაზაფხულზე ხიდან ხეზე ჩიტის გადაფრენას თუ არასოდეს მოუგრია უჩვეულო შვება ან ნამიანი ბალახი თუ მხოლოდ ფეხისგულებს გიგრილებდა და 80-ს მაინც გადაცილებულხარ, ჩათვალე, რომ დიდხანს კი არ გიცოცხლია. უბრალოდ, ნელ-ნელა კვდებოდი!.. (სენეკა).

ალბათ, არავის მოსვლია აზრად, ეკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის,

ჯორჯ ბაირონისთვის, ლადო ასათიანისთვის ან პუშკინისთვის – რას წარმოადგენს პოეტისათვის ნამდვილი სიცოცხლე, რადგან, ისე მსწრაფლ გალიეს წუთისოფელი, ეტყობა, თავადაც არ დაფიქრებულან ამაზე და, სხვათა შორის, არც ქარონისათვის მისაცემ ქრთამზე დაუჭერიათ თადარიგი!..

კაცთაგან დადგენილი ეთიკური ნორმები ყოველთვის ვერ ქმნიან იმ ჩარჩოს, რომელშიც ბედისწერით დაღვასმული „**Небесные**“ თავს კომფორტულად იგრძნობდნენ, რადგან მათთვის პირობითზე პირობითია ამქვეყნიური ყოფა-ცხოვრების ადათ-წესები და ზოგჯერ სიცოცხლის ტრფიალით კი არა, სიკვდილით უფრო არიან საღერღელაშლილნი და მისკენ მიმავალი გზაც უფრო ევარდისფერებათ.

თუ შევთანხმდებით (ან სხვარაგზაა!), რომ პოეტობა პროფესია კი არა, მართლაც ბედისწერაა, მაშინ ამ უკანასკნელისგანვე მონუსხულსა და ზვარაკად შეწირულს ნუდარ ვამუნათებთ და ნურც ვუკიშინებთ, რომ ალკოჰოლი, ისევე, როგორც ნიკოტინი, კლავს!..

ასე რომ, ჩვენ, მოკვდავთ, კეთილვინებოთ და დიდსულოვნად მივუტევოთ!..

მით უფრო, რომ თავად ისინი, „**ცით მოვლენილნი**“, ზოგჯერ ჩვენივე სიბრმავითა და სიყრუით შეძრნუნებულნი, უფალთან გვშეამდგომლობენ: შეუნდე, რამეთუ არ უწყიანო!.. და კი არ გვიბრაზდებიან, პირიქით, გვიბრალებენ სიყვარულისთვის!..

სიკვდილ-სიცოცხლის როკვა რენე-სათვის ის სტიქიონია, რომელშიაც თავს „**თავის უფლად**“ გრძნობს და შესთხოვს მამალმერთს, არ მოუსწრაფოს დღე ძეცთომილს, სინდისისაგან, როგორც ქიმერისაგან, განდგომილს! ხანგრძლივად ამყოფოს, რათა ცხადად იგრძნოს, რომ სიცოცხლე სასჯელად ექცა!.. „**გვედრი, უფალო! – აცოცხლე დიდხანს, ვინაც დაკარგა სინდისი – ვალი!**“ ან: „**ჯერ კი ითმინე, ტკივილო ჩემო, მიენდე სხივებს –**

**დამწვარ სტრიქონებს... სხვას, სხვას და-  
ვუთმოთ სიბერის გემო – სავარძლისა და  
გვირგვინის მქონეს!..“**

თუმცალა რენე არცთუ უასაკო გა-  
მოეთხოვა სანუთროს. შვიდი ათეული  
წელიწადი ბარე ორისთვის ღრმა მიხრნი-  
ლობის ასაკია, მაგრამ, ჩვენ თუ გვეცო-  
ტავება, ესეც ბუნებრივია, რადგან იგი  
იმდენად დროის წინმსწრები შემოქმედი  
იყო, სავარაუდოდაც კი ძნელია იმ თა-  
მასის წარმოსახვა, რომლის დაძლევაც  
მას, ბოლოდროინდელი პოეტური აღმო-  
ჩენების კვალდაკვალ, იოლად შეეძლო.

## **სიკვდილ-სიცოცხლის ზღაპარი**

დღევანდელ (2011 წლის 11 თებერ-  
ვლის) „ლიტერატურულ გაზეთში“ წავი-  
კითხე ბაჩანა პრეგვაძის „ჩანაწერები“.  
რაღა თქმა უნდა, დიდი ინტერესით!

აი ერთ-ერთი ბრნყინვალე ჩანაწერი.

სიკვდილი – უსიზმრო ძილია,  
სიცოცხლე – უძილო სიზმარი.

ჯერ იმან ჩამაფიქრა – რატომ სიკვდი-  
ლით დაიწყო და არა სიცოცხლით-მეთქი.  
მალევე მივხვდი, რატომაც: სიცოცხლე  
რომ ზღაპარია, იმდენად ტრივიალურად  
ჟღერს, რომ არ ღირდა ამით დაწყება.  
რასაკვირველია, უფრო ორიგინალურია,  
სიკვდილი რომ უსიზმრო ძილია!

მეორე ის, რომ, თუკი ოდესმე მო-  
ხერხდება ბატონი ბაჩანას „ჩანაწერე-  
ბის“ რუსულად თარგმნა და გამოცემა,  
მთარგმნელი ერთობ შეცდება, რადგან  
თარგმანი, გინდა-არ გინდა, ასეთ ოპ-  
ტიმალურ სახეს მიიღებს:

*Смерть – сон без сна,*

*Жизнь – сон без сна.*

გაიგებს, ვითომ, რუსულენოვანი  
მკითხველი – „О чём ратует автор?!

## **ჯო, რა ეყარა ტომარაში!**

დღეს ალმანახ „განთიადში“ ვკით-  
ხულობდი შესანიშნავი პოეტი ქალის,  
ცირა ყურაშვილის, ახალ ლექსებს.  
ჩემთან სტუმრად იყო ერთი მეგობა-  
რი მწერალი (გვარს არ დავასახელებ,  
ფიცხია და, ვიცი, ეწყინება!). ჩინებული  
პროზაკონსია, მაგრამ ერთმა დეტალმა  
დამაფიქრა: ეტყობა, მწერალმა ძირის-  
ძირობამდე უნდა იცოდეს მშობლიური  
ენა, თავის დიალექტებიანა!

ქალბატონი ცირას სტროფია (**„ეჭ-  
როგორ დადნი, ძებიაჩემო!“**):

ტარანს ხომ ვყიდდით?

– ვყიდდით, ხო, მარა...

და ნაჯაფ მხრებზე თქვენ

დღესაც განევთ

სიმინდის კაკლით სავსე ტომარა.

გადაირია მეგობარი, რანაირი ქარ-  
თულია, ჯო! ვერ გამიგია, ტომარაში  
კაკალი ეყარა თუ სიმინდიო!..

არადა, ავტორმა ძაანაც კარგად  
იცის, „მარცვალი“ რომაა ლიტერატუ-  
რული, მაგრამ იმერული კილოკავის  
კოლორიტსაც ვერ შელევია!

ბებიამისი თავის დღეში არ იტყოდა  
– სიმინდის მარცვალიო!

*Каცები – Каცურები,*

*პოეტები – ჩინებულები*

მიყვარს ნავდრალი მთები, მთები

*ნისლებჩახლართული,*

*კვნესით დახულ-დათესილი,*

*იარებით დაშაშრული,*

*როგორც გორგილაძის ლექსი,*

*დიდქართული, აჭარული...*

ჩინებული პოეტი, **ზურაბ გორგილა-  
ძე**, მთელი ცამეტი წლით უმცროსი იყო  
ფრიდონ ხალვაშზე, თუმცა წლოვანებას  
რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს,

როცა 26-26-ისანი იყვნენ ქართველი გენიალური ლადო ასათიანი და რუსულენოვანი გენიოსი, მიხაილ ლერმონტოვი!

ფრიდონს და ზურაბს ერთნაირად დიდი პოპულარობა ჰქონდათ მოხვეჭილი, მაგრამ პირველობისთვის სულაც არ ექიმებოდნენ ერთმანეთს.

პირიქით, ფრიდონის დიდკაცობაზე, უშურველობასა და გულქართულობაზე მშვენივრად მეტყველებს თუნდაც ზემოთ მოყვანილი მინიატურა.

დიდი კაცები იყვნენ ორივენი, დიდი ქართველები და გვარიანი პოეტები.

## პილიბრი

ვერლიბრი იგივე თავისუფალი ლექ-სიაო, – გვამცნობს უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

გასაგებია, რომ იგი, უპირველესად, თავისუფალია რითმისგან, მახვილის-გან, რიტმისგან, მაგრამ აზრისგანაც?!

როცა ვერლიბრზე ვფიქრობ, მომეტებულად, უხეირო ლექსის წამკითხავს, მეჩვენება, რომ ისაა კომპოზიტი:

**ვერ+ლიბრი.** „ვერ“ რომ უარყოფითი ნანილავია, ბავშვმაც კი უწყის, მაგრამ

„ლიბრი“ რაცაა, არც ეს უნდა იყოს ძნელი გასააზრებელი. პოდა, იმ უხეირო ლექსის წაკითხვისას პროტესტის გრძნობა მიჩნდება: რატომ ვერლიბრი?!

პირიქით, „კილიბრი“ უნდა ერქვას!

ეს უკვე მესამე ტერმინია, რომელთა დაკანონებაც უზომოდ გამახარებდა, კომხანა (კომუნისტური ხანა) და ფილოსოფიშინა („ლიტერატურშინას“ მხარდამხარ).

## შტრიხი ჯანსულ ჩარპიანის პორტრეტისათვის

ცნობილ ამერიკელ მწერალს, ამერიკული რომანტიზმის მამამთავარს, ვაშინგტონ ირვინს უბრძანებია: „ნამდვილი იუმორის შეუძლია სერიოზული სახის გამომეტყველება მაშინ, როცა ირგვლივ

სიცილისგან იხოცებიან, ხოლო ყალბი სახემოცინარია, როცა მსმენელები სერიოზულები რჩებიან“.

ეს სიტყვები ზედგამოჭრილია **ჯან-სულ ჩარკვიანზე**. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, როგორ ჰყვება იგი, ვთქვათ, ანეკდოტს ან, თუნდაც მოგონებებს სულმნათ **ნოდარ დუმბაძეზე**, უთუოდ დამემონმება. როცა ყველანი გულს იჯერებენ სიცილით, მხოლოდ მაშინ შეიძლება გაკრთეს ღიმილი მის სახეზე. ისიც, იშვიათ შემთხვევაში.

თუ იმასაც გავიხსენებთ, როგორ ვირტუოზულად კითხულობს იგი თავის „**ლამაზ სიკვდილს**“ თუ „**ბეთანია**“-ს, მგონია, რომ ჯანსულს სცენაზეც შეეძლო ედიდოსტატა.

## ერთ პილო ხორცად ვიყიდე!

გავიხსენოთ **იოსებ გრიშაშვილის** სევდიანი ლექსი, როდესაც ავტორ-მა გუშინ, შუადლით, ქუჩაში, ვანქთან, დამპალ ჰავაზე, წონით იყიდა ხუთი გირვანქა: **შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე!**

არანაკლებ „სახარბიელო“ ვითარებაა სადღეისოდაც.

ეს უკვე მე შევაკონინე: **ბიბლიოთეკის შევსებას რავა დავაკლებ მცდელობას – ერთ კილო ხორცად ვიყიდე მთელი ქართული მწერლობა!**

ალბათ, მოგეხსენებათ, რომ პროექტით – „**ახალი ქართული პროზა**“ – გამომცემლობა „გუმბათი“ 1 (ერთ) ლარად სცემს 1 (ერთ) ტომს გაზიეთ „**ახალთაობასთან**“ ერთად.

## მამის წერილები შვილს დაბადებამდე და მის მერვი

მამა იგივე ოტია იოსელიანია, შვილი – იგივე დაჩი.

ეს წერილები ახლა შენს ხელთაა, მკითხველო.

სხვისი წერილების კითხვა ცუდ ტონად რომ ითვლებაო! შესაძლოა, შეიცხადოთ.

წუ გაიოცებთ ძალიან, რადგან ამ წერილების ადრესატები ჩვენ-ჩვენი შვილებიც არიან.

ამიტომაც გამოდის ერთად აკინძული – ცალკე წიგნად.

ოტია იოსელიანი ერთობ პოპულარული მწერალი რომ არის, ამაში ლომის წილი, შესანიშნავ ნოველებთან და პიესა – „სანამ ურემი გადაბრუნდებასთან“ ერთად, „დაჩის ზღაპრებსაც“ უდევს, რომ აღარაფერი ვთქვათ ათამდე რომანსა, ამდენივე პიესასა თუ უამრავ მოთხრობაზე.

„ურემი“ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ოთხმოცხვე მეტ თეატრში იდგმებოდა ანშლაგებით, ხოლო „დაჩის ზღაპრები“, პროცენტულად, ყველა მის პროზაულ ნაწარმოებზე მეტი ტირაჟითაა გამოცემული.

პანაცეასავით იყო იმ გამომცემლობისათვის, რომელსაც გეგმის შესრულება გაუჭირდებოდა: გამოსცემდა გეგმის გარეშე „დაჩის ზღაპრებს“ და მორჩა!

იქნებ, ყველას არ მოეხსენებოდეს: დაჩი (იგივე აძესალომი) მწერლის უმცროსი შვილია (ამიტომაცაა დაჩი!). შუათანა მანია (იგივე მანანა), ხოლო მთლად უფროსი ბაჩია (იგივე რამაზი).

ჰოდა, სწორედ ესენი არიან „დაჩის ზღაპრების“ მთავარი პერსონაჟებიც.

„დაჩის ზღაპრების“ ერთგვარი გაგრძელებაა – ოლონდ არა ზღაპარი – მხატვრულ-პუბლიცისტური სახის ნოველების კრებულიც, ან უკვე თქვენი კუთვნილი „წერილები დაჩის“.

მოხდა ისე, რომ თქვენს მონა-მორჩილს, 70-იანი წლებიდან მოყოლებული, მწერალთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა და, ბუნებრივია, არაერთი ეპიზოდი მახსენდება.

ლამის სპარტანული აღზრდის გულმხურვალე მომხრე გახლდათ, თანაც, ქართველი ბავშვის სწორედაც რომ ქართველად აღზრდისა და ჩამოყალიბების მოწადინე.

ხშირად იცოდა თქმა: მე უკიდურესობების კაცი ვარ. თუ მძულს, ბოლომდე მძულს, თუ ვაფასებ ვინმეს, იმასაც – ბოლომდეო!..

შეღავათი, მომეტებულად, ბავშვის აღზრდაში, მისგან წარმოუდგენელი გახლდათ.

ვერაფრით ვერ ეგუებოდა დედიკოების გულისნამძებ ხვენა-მუდარას: ჩემი კაი ბიჭი, ეს ერთი ნაჭერი კარაქიანი პურიც და... ჩაგიშვებ ეზოში ბავშვებთან სათამაშოდო!..

„წუ ვზრდით ბავშვებს დონდლო, უზნარო და უფხო არსებებად, უინიცი-ატივო ქალაჩუნებად!“

რავა ტოლსტოივით ქადაგებ, ზუსტად ეგრე მსჯელობს ერთ სტატიაში, გავლენა აშკარაა-მეთქი, – შევბედე, ერთხელაც იყო.

– ლევი, აპა, რისი ლევი იქნებოდა, სხვანაირად ემსჯელა! ის გრაფი კი იყო, მარა გლეხეცაცის სულიც ედგა, მინის ყადრიც იცოდა და შრომის ფასიც.

დიდი მწერლის მხოლოდ სახელით მოხსენიება რაღაცნაირად მეხამუშა და წავეხუმრესავით: ისე, ლიოვადაც რომ მოგეხსენებინა, შენგან არ ეწყინებოდა, ცოცხალიც რომ ყოფილიყო.

– ჰო, მაგრამ... ლიოვას, ალბათ, შინაურებიც ვერ ეძახდნენ ხათრით, ენას ვერ მოუჩილიქავდნენ. სხვათა შორის, ვერც იმ ცხოველს, ქართულად „ლევ“-ი რასაც ნიშნავსო.

– ქართულად არის ის სტატია თარგმნილი? – მკითხა ბოლოს.

– არა, ქართულად სადაა!

– აპა, მაგრადი რუსულის ცოდნა ვინ მომაშავა! პურს რომ „ხლებ“ ქვია, ქე ვიცი, მარა, რომ მაპრუნებიო, ვერ ვიზამ.

ხუმრობდა, რასაკვირველია! ხუმრობა მისი სტიქია იყო!

ამიტომაც, მაინცადამაინც როდი სწევეოდა თავპატიუის გამოდება, როცა თამადობას სთხოვდნენ. თუმცა, სხვისთვის რომ შეესახელებინათ, სულ ერთია, ოტია იქნებოდა სუფრის ავანჩავანი.

ოტიას ისე ბუნებრივად გამოსდიოდა ერის სატკივარზე გულანთებული მსჯელობა და ლალადისი, რომ ყველაზე მორგებულად იმშვენებდა მისი ჭეშმარიტი მოჭირნახულის მანტიას.

უდავოდ შთამბეჭდავია ოტიას ნებისმიერი ტექსტი, მაგრამ შეუდარებლად შთამბეჭდავი გახლდათ მისი მეტყველების მანერა, ლოგიკური სინტაგმების კასკადი, ინტრანაციის არტისტული მიმოქცევანი, რომლითაც მსმენელი „მონუსტული“ ჰყავდა.

ვის-ვის და, ოტიას დიალაც ხელენიფებოდა ახალგაზრდობის დამოძღვრა – თუ როგორ უნდა ქცეულიყვნენ არა უბრალოდ ბიოლოგიურ არსებებად, არამედ ქვეყნის კაცებად!

ამიტომაც „ნერილები დაჩის“ უფრო ძლიერი ნაწარმოებია, საკმაოზე მეტად ძლიერიც, ვიდრე მაკარენკოების „პედაგოგიური პოემები“ თუ მისალკოვების საბავშვო პოეტური შტუდიები.

„ნერილები დაჩის“ – ესაა ნოველებად ჩამოგვირისტებული დიდაქტიკური შეგონებანი არა მხოლოდ მოზარდთათვის, არამედ მოზრდილთათვისაც „დიდად მარგი“.

სამაგალითოდ, გთავაზობთ ამონა-რიდს ერთ-ერთი ნერილიდან, რომელიც ასეა დასათაურებული – „თავისუფლების თაობაზე“ (ნიგნში სულ 77 ნერილია):

„მონა თუ იბრძვის, მონა არაა. დაპყრობა დამონებას არ ნიშნავს. დამპყრობელის მოძულეს და ურჩს, მონობა არ ეთქმის. მოძალადისადმი დათმობა, დაზავებაა მონობა. მპყრობელი რამდენად ლმობიერია, იმდენად საშიშია. რამდენად ეპრალები და გმზრუნველობს, იმდენად გამათხოვრებს და გაუძლურებს. რამდენად გაჭმევს და გასმევს, იმდენად გათვინიერებს, გიბ-

რიყვებს და მის დაკრულზე გაცეკვებს. თუ მის ენაზე გაჭიკიკებს, გამღერებს, – შენს ენას გაძრობს და გამუნჯებს. თუ ტაშს უკრავ და გუნდრუეს უკმევ, – გამდაბლებს და გაქვესკნელებს“.

დაჩი სანამ დაიბადებოდა, რამდენიმე წერილი უკვე გამზადებული მქონდა გონებაშიონ, – მითხრა ერთხელ.

– კი მაგრამ, რა იცოდი, ბიჭი რომ იბადებოდა? მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოდაში ექისკოპიები!

– ვიცოდი, ვიცოდი, ქეთომაც იცოდა, ბიჭი რომ ებადებოდა.

– ჰოდა, წინასწარ...

– კი, წინასწარ! საერთოდ, ნოველა იქნება თუ პიესა, მწერალმა წინასწარ უნდა იცოდეს თავიდან ბოლომდე. შეუძლებელია ნოველის ან პიესის დაწყება იმ იმედით, რომ წერისას ამბავი თვითონ გაიკალავს კვალს... და ა.შ. „ექვსი შინაპერა და ერთი მამაკაცი“ მეზუსტად ექვს დღეში დავწერე.

– გაოგნებული ვარ იმით, რაც ახლა შენ თქვი.

– რა ვთქვი ასეთი!

– ცნობილი რუსი დრამატურგი ევგენი შვარცი იგონებს ეპიზოდს, როცა მიხეილ ზოშჩენკო, უკვე „ზემოთ“ ავად გაკრიტიკებული და მწერალთა კავშირიდანაც გაძევებული, ისედაც იპოქონდრით არაეთგამოცლილი, სწვევია შვარცს და ზუსტად ეგ სიტყვები უთქვამს: პიესა მთლიანად ზუსტად უნდა იცოდე სავარაუდო მიზანსცენებიანად, სანამ კალამს ხელს მოჰკიდებდეო!

– ზოშჩენკო, რასაკვირველია, ასე იტყოდა! ის ზოშჩენკო იყო და ეთქმოდა! იქნებ, ჩვენებურსაც ეთქვა ვინმეს, მარა ვის ვკითხო, რუსთაველის არ იყოს, კაკაბაძეც მკვდარიაო“.

რამდენი ასეთი საუბარი მაგონდება...



ვაჟა ძიგუა

## კვაჭიზე აღზევება

ადგილის დედას იძულებით მოწყვეტილი სამაჩაბლოს დასი ოცდაექვსი გაუსაძლისი წელია დევნილობაში აგრძელებს მოღვაწეობას. სწორედ ამ ჭირთათმენის დროს იჩინა თავი ერთსულ და ერთხორც შედუღაბებული კოლექტივის საოცარმა მონოლითურობამ: „ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ქვითკირსა“-ო, რამდენი საუკუნის წინ დაგვმოძლვრა რუსთაველმა და 140 წლის ისტორიის მქონე ქედუხელმა თეატრმა ეს სიბრძნე ცხადად გვიქცია...

კვაჭი: „მამაჩემისგან გამიგია, ცხოვრების სიამტკბილობას შენც ისე უნდა გაჰყვე უკან, როგორც მშიერი მგელი ცხვრის დუმას მიჰყვებაო.“

ეს შეგონება მეოცე საუკუნის დიდი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის ნანარმოებიდან – „კვაჭი კვაჭანტირაძე“ – გამჭოლ ხაზად გასდევს ივანე მაჩაბლის სახელობის ცხინვალის პროფესიული დრამატული თეატრის სპექტაკლს, რომელიც ინსცენირების ავტორმა და რეჟისორმა, სახელმწიფო და სანდრო ახმეტელის პრემიების ლაურეატმა გორჩა კაპანაძემ ფარსის სახით წარმოგვიდგინა. საპრემიერო სპექტაკლი მიეძღვნა თეატრის დარსების 140-ე, საიუბილეო წელს.

ფარსი ფესვებით დაკავშირებულია ხალხურ თამაშობებსა და წეს-ჩვეულებებთან. ეს უნრი ალსაგესეა ბუფონიადით, მოვლენებისადმი ირონიული დამოკიდებულებით. იტალიური ფარსის პრინციპები საფუძვლად დაედო სახელგანთქმულ კომედია დელ'არტეს.

სწორედ ფარსულ ბუფონიადაზე დაყრდნობით გაიაზრა გორჩა კაპანაძემ რომანის სცენური ვერსია, სადაც სოციალური

სიმწვავე სრულად შენარჩუნდა, კომედიურ-გროტესკული ხერხების მახვილგონივრული გამოყენებით კი ფერადოვანი, პლასტიკური სანახაობა მივიღეთ.

მიხეილ ჯავახიშვილის გენიალურობა იმაშია, რომ გექმნებათ სრული ილუზია, თითქოს მან დღეს დაწერა ეს ნანარმოები. ვუყურებთ და ვუსმენთ კვაჭის, როგორც ჩვენს დღევანდელობაში ფესვგადგმულ მანკიერებათა სიმბოლოს, „ვტკბებით“ ადამიანთა გაცურების კვაჭისეული მეთოდის განუსაზღვრელი მასშტაბებით; ციცქანა საქართველო კვაჭის „უკიდეგანო აზროვნების“ გასაფურჩქნად ისევე ვიწროა, როგორც ჩიტის გალია არწივის მართვესთვის. „გაიმასქნების“ თანდაყოლილი ნიჭი დედის მუცლიდან დაჰყვა: „ბოვშის ესეთი ტირილი ჯერეთ არ გამიგია: სულ „მე-მეს“ იძახის, ეტყობა, სხვას აფერს შეარჩენს და ამ ქვეყანას დეიჩებებს“, – ეს სიტყვები ერთგვარი გასაღებია კვაჭის ხასიათის გამოსაძერწად და რეჟისორული ფანტაზიის გაღვივების კამერტონადაც უნდა მივიჩნიოთ.

რთული იყო მიხეილ ჯავახიშვილის ვრცელი რომანის ერთიან სცენურ ქარგაში მოქცევა. მწერლის მიერ დიდი ოს-

ტატობით შეთხზული ეპიზოდები როგორლაც მაპროვოცირებელი აღმოჩნდა გორჩა კაპანაძისთვის, როგორც ინსცენირების ავტორისთვის – რაღაცას უნდა შეელიო, სხვაგვარად არ გამოდის. ბუნებრივია, ასეთ ზღვა მასალასთან შეჭიდება დანაკარგების გარეშე შეუძლებელია. დამდგმელი ჯგუფი სიძნელებს ვერ გაექცეოდა, თუმცა მონაპოვარი აშკარად ჭარბობს დანაკარგს.

სპექტაკლის ექსპოზიციური ნაწილი უკიდურესად დამუხტულია, ვიტყოდი, კულმინაციურ პიკს უახლოვდება – ირგვლივ ყველაფერი აფორიაქებულია, ბორგავს, თითქოს დედამიწა აყირავდა, ყალყზე დგას, ავის მომასწავებელ ნაპერნკლებს აფრქვევს, მეორედ მოსვლაა?! ეს საშიროება ღმერთმა აგვაცილა, მაგრამ დაიბადა კვაჭი – სამყაროს განუმეორებელი ბინადარი. სიტუაციას განმუხტავს სილრმიდან ხელებზე თეთრქსოვილგადაფარებული ბავშვის მფარველი ანგელოზის ამოსვლა.

რეჟისორული ჩანაფიქრის საფუძველთა საფუძველი კვაჭის სახის გლობალური გააზრებაა. ყველაფერი ამ

„გმირის“ სრულყოფილად წარდგენას ექვემდებარება. სხვა პერსონაჟთა ქმედება კვაჭის იერსახის გამოქანდაკებას, მისი ავანტიურული ბუნების მონოლითურობის წარმოჩენას ემსახურება. მოქმედ პირთა სიმრავლე, მსახიობთა მიერ საინტერესოდ მიკვლეული ხასიათები, სიტყვა ანტურაჟი რომ არ ვიხმაროთ, კვაჭის პორტრეტის სისხლხორცეული შენაკადებია.

როგორც რეჟისორისთვის, ისე კვაჭის როლის შემსრულებლის, ცოტნებუბუტიასთვის ამოსავალი წერტილი უთუოდ იყო მწერლის მიერ იშვიათი მზერით დანახული, ქვეყნიურებას მოვლენილი საოცრების სულის სიღრმეში შეღწევა; „კვაჭი ჭკუიანთან ჭკუიანი იყო, დინჯთან – დინჯი, ხუმარასთან – ხუმარა, დარდიანთან – დარდიანი, ძლიერთან – მორჩილი, პირმოთნე, ქლესა, თავაზიანი და მოლიმარე. მაგრამ თუ საჭირო იყო, მას შეეძლო უხეშთან და ჭირვეულთან თავმდაბალი და მოქნილი ყოფილიყო, სუსტთან – კადნიერი, თავხედი, უინიანი; პირდაპირთან – ორგული, ფლიდი და ორპირი; მუხასთან –

– ლერნამი, ლერნამთან – მუხა; რკინასთან – ბამბა და ბამბასთან – რკინა“.

ამ ფრაზებს გორჩა კაპანაძე კვაჭის მამას – სილიბისტროს ათემევინებს, რაც სავსებით გამართლებულია. ამგვარ რეჟისორულ გააზრებაში ავტორის ჩართვა, რათქმა უნდა, სრულიად შეუსაბამო იქნებოდა.

კვაჭის ხასიათის კალეიდოსკოპურობა ცხადად გა-



მოსაჭივის ჯავახიშვილისეულ უზადოდ ჩამოქნილ პასაუში; „სადაც პირდაპირი გზა დაკეტილი იყო და სხვა ვინმე უკან იხევდა, იქ კვაჭი ხუთიოდე მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს იპოვნიდა; უკარო და უფანჯრო ოთხ კედელშიც რომ ჩავარდნილყო, ათიოდე ხვრელს აღმოაჩენდა და ცხრაკლიტურ ციხეში ისე შეძვრებოდა და და გამოძრებოდა, როგორც ნემსი – ბუმბულში“.

თქმა არ უნდა, კვაჭი საოცნებო როლია მსახიობისთვის. უთუოდ ბედმა გაულიმა ცოტნე ხუბუტიას, შესაძლებლობა რომ მიეცა აქტიორული ძალების მოსინჯვისა და მით უფრო უნდა უმადლოდეს ფორტუნას, პირველივე მცდელობით წარმატებას რომ მიაღწია. ეს ზოგადად, კონკრეტულად კი ჩვენ თვალწინ დაიბადა ხალასი ნიჭიერებით გამორჩეული პერსპექტიული მსახიობი, თუმცა ეს როდი ნიშნავს, თითქოს ცოტნეს თამაში უნაკლოა და საპრემიერო სპექტაკლშივე ყველაფერი გამოუვიდა. სახის სრულყოფისთვის ჯერ კი-დევ ბევრი მუშაობა მართებს და რამდენადაც გოჩა კაპანაძის პედაგოგიურ მოღვაწეობას ვიცნობ, დარწმუნებული ვარ რეჟისორისა და მსახიობის ინტენ-სიური ძიებები გაგრძელდება.

პირველი, რითიც ცოტნე ხუბუტი-ამ მიიპყრო ყურადღება, გახლავთ მისი ქარიზმატულობა. იგი უხდება სცენას, სცენურობა კი მსახიობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები კომპონენტია; არის ზედმინევნით პლასტიკური – ყოველი მისი მოძრაობა ორგანულადაა შერწყმული ზუსტად მისადაგებულ რიტმულ მონახაზთან, უბრალო უესტიც კი მუსიკალური აკორდის გაგრძელებად აღიქმება. ეს ის პრიორიტეტებია ცოტნე ხუბუტიას აქტიორული არსენალი-დან, რამაც მოგვხიბლა, მაგრამ კვაჭის სახის ცხოველმყოფელობისთვის მხოლოდ ეს ფერები არ კმარა. ბუნებრივია, ოსტატობა ერთი ხელის დაკვრით ვერ მიიღწევა, ამას ცხოვრებისეული დაკ-

ვირვება და თავდაუზოგავი შრომა განაპირობებს, ცოტნე ხუბუტიას ეს გზა გასავლელი აქვს. ამ ეტაპზე კი, ვიყოთ ობიექტურები, მას კვაჭის ურთულესი სახის სიღრმისეული წვდომისთვის ძალები არ ეყო – დაველოდოთ, გამოცდილება წლებს მოაქვს.

კვაჭი მაყურებელს თავს აწონებს შეძენილი მანერებით, ფსევდოთავა-დაზნაურული წარმომავლობის ნიჭი-ერი დემონსტრირებით; განა ყველას შესწევს უნარი, ფუყვე თავთავი სავსედ წარმოაჩინოს?.. ცოტნეს კვაჭის ეს იოლად გამოსდის.

კვაჭის ცხოვრების ფათერაკებით აღსავს გზა საჭადრაკო დაფაზე განვითარებული დაუნდობელი ბრძოლის ანალოგია. მრავალსვლიანი კომბინაციის გათვლით, ამ გზაზე მხოლოდ გამარჯვებისკენ მიმავალ ციცაბო ბილიკს მიუყვება კვაჭი და ცოტნე ხუბუტიას შესრულებაში, გარკვეული დოზით, დაგვაკლდა სწორედ ამ ფანტასტიკური ჩანაფიქრის განსახორციელებლად მის-ხალ-მისხალ, კრიალოსანივით ასხმული სახიერი დეტალები.

გოჩა კაპანაძე ის რეჟისორია, რომელიც ერთპიროვნულად (ზოგიერთების-გან განსხვავებით) არ იჩემებს სპექტაკლის ავტორობას. იგი თავის გარშემო შემოიკრებს ხოლმე საინტერესო სა-დადგმო ჯგუფს და ერთობლივი შეთან-ხმებული მუშაობით აღწევს შედეგს. „კვაჭი“ ამის ნათელი დადასტურებაა.

ისეთი აგებულების სპექტაკლში, როგორიც „კვაჭია“, უმნიშვნელოვანე-სი ფუნქცია ეკისრება პლასტიკას და ქორეოგრაფიას. დრამატული თეატრის ბევრი კარგი ქორეოგრაფის დასახელება შეიძლება, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამაოცა გოჩა კაპანაძის შეუცდომელმა ალლომ – მან არჩევანი ნინა მახათელზე შეაჩერა. ამ აუ-რაცხელ პლასტიკურ-ქორეოგრაფიულ პარტიტურაში ვერ შენიშნავთ ვერც ერთ თვითმიზნურ შტრიხს თუ ილეთს,

ქორეოგრაფის ფანტაზიით შეთხული თითოეული ნომერი თუ მოძრაობა პერსონაჟის ხასიათთან თანხვედრაშია, ავსებს და ხელს უწყობს სახის მრავალმხრივ წარმოჩენას. როგორი სიზუსტით აქვს მიკვლეული ნინა მახათელს სპექტაკლის ტემპო-რიტმი, შინაგანი დინამიკა, რომელსაც სპექტაკლის მონაწილეთა მეშვეობით აღწევს. თუნდაც კვაჭისა და მისი მეგობრების (ცოტნე მეტონიძე, რამაზ ხომასურიძე, რევაზ გიორგობიანი, თეიმურაზ ძონენიძე, ლევან საბაშვილი, გოგიტა კოხერეიძე) „მჩქეფარე“ შემოსვლა, რაც შამპანურის ამოფრქვევის ასოციაციებს ბადებს, უკვე ქმნის სანახაობითი თეატრის სათანადო განწყობას. შესანიშნავია რასპუტინის ქორეოგრაფიული დახასიათება, ოპერეტის სტილში დადგმული ლედი ჰარვეისა (თინათინ კომალაძე) და კვაჭის „სამიჯნურო“ ცეკვის ცეცხლოვანი ორნამენტები: რომელ ერთზე გავამახვილო ყურადღება!..

სცენოგრაფია ეკუთვნის ლომგულ მურუსიძეს, რომელთან ერთადაც გოჩა კაპანაძეს არაერთხელ მიუღწევია წარმატებისთვის. მწირი საშუალებებით (ამ ხერხს ლომგული ხშირად მიმართავს მიზერული სადადგომო თანხების არსებობის დროს) მიღწეულია ერთიანი მხატვრული სივრცე. ლაკონიზმი და სისადავე, საერთოდ, დამახასიათებელია ამ მხატვრის ხელნერისთვის, რაც მას სხვათაგან გამოარჩევს. ლომგულ მურუსიძის, როგორც სცენოგრაფის, პრიორიტეტს ყოველთვის წარმოადგენს თავისუფალი სამოქმედო მოედანი, რათა დეკორაციათა სიჭარბემ კი არ შებოჭოს მსახიობი, პირიქით, გაუფართოოს მას სამოძრაო არეალი. რამდენიმე თეჯირი და პირობითი მინიშნებები ერთგვარად ამთლიანებს კვაჭის ილუზორული სამყაროს ფანტასმაგორულობას.

უცილობელ მიღწევად მიმაჩნია ახალგაზრდა მხატვრის, ქეთევან ცი-

ციშვილის კოსტიუმები. მხატვარი ძირითადად ოთხ ფერში (შავი, თეთრი, რუხი, ალისფერი) მუშაობს და ქმნის განწყობილებათა ფართო სპექტრს. კვაჭიზმის და კვაჭიკოების საშიშროება მხატვრისეულმა ელეგანტურმა კოსტიუმებმა კიდევ უფრო მძაფრად შეგვაგრძნობინა. შავი ფრავი თუ სმოკინგი წითელი ატლასის სარჩულით ან, პირიქით, წითელი მოსასხამი შავი სარჩულით ხასიათთა ცვალებადობის აქცენტებს გამოკვეთს. ქეთევანის კოსტიუმები არა მხოლოდ ფერწერულად, შინაარსობრივადაც დატვირთულია.

წარმოდგენის ტონუსს დიდნილად განსაზღვრავს მუსიკალური მხარე. ისეთ აბობოქრებულ, „მღვრიე ტალღებით“ გაჯერებულ ნანარმოებში, როგორიცაა „კვაჭი“, მუსიკაც შესატყვისადაა შერჩეული: ბეთჰოვენი, ჩაიკოვსკი, მინინი, გია ყანჩელი და სანდრო თედიაშვილი – ეს ერთმანეთთან თითქმის შეუთავსებული სახელები, ერთსულოვნებით თანაარსებობენ, რაც მუსიკალურ გამფორმებელთა – გოჩა კაპანაძის და დალი დოიჯაშვილის დამსახურებაა.

რეჟისორმა თავი დაალწია რიტმული ზიგზაგების საშიშროებას. წარმოდგენაში ყველაფერი კარუსელივით ტრიალებს. კომპოზიციურად შეერწყლ მიზანსცენებს თან ახლავს პერსონაჟთა გამუდმებული ფაციფუცი: გარბი-გამორბიან, ეგზალტირებულად მოძრაობენ, თავიანთსავე სასიყვარულო გრძნობებს დასცინიან, მაგრამ ეს ხომ ფიქციაა, ერთიან გროტესკულ ფარსში განსხვაულებული!..

კვაჭის „სამიჯნურო თავგადასავალთა“ კორიანტელი უფრო შინაგანი ხედვით, მინიშნებებით აქვს მოტანილი რეჟისორს, სადაც პორნოგრაფიული „სურნელება“ არსად ილანდება. კომიკურ-სარკასტულ-ირონიული დამოკიდებულება უკიდურესად აშარქებს სასიყვარულო ხაზის მოჩვენებებით გახელებას. ასე მაგალითად, ლუკიდან,

რომელსაც მახვილგონივრულად იყენებს რეჟისორი, კვაჭის მორიგი დედლის, ქუთაისელი ბიცოლა ცვირის (ანა ხურციძე) ქვედა საცვალს გადმოისვრის, რაც „მომხდარის“ უეჭველობას ადასტურებს. ამგვარი დეტალების პიკანტური ჩართვა ამრავალფეროვნებს სპექტაკლის პალიტრას.

ფარსი თავისი არსით დაუნდობლად აშიშვლებს მოვლენებს. გორჩა კაპანაძე, უტრიირებისთვის, მუქი გროტესკული ფერების სიუხვით დასკინის სამყაროს მოუხელთებელი სადავეების დაუფლებისკენ ლტოლვას, კანონზომიერების ლოგიკიდან ამოგლეჯილ გაშმაგებას. ფარსული ჰიპერბოლა, რითიც გაჯერებულია წარმოდგენა, რეჟისორს წაჯახის უხეშ მოქნევამდე კი არ დაჰყავს,

თითქოს დარღვეულია ნიღბების გამოყენების ბალანსი, თუმცა ეს მართლაც ერთი შეხედვით!.. ორაზროვნება, წარმოდგენის პულსის იდუმალი ფეთქვა, რეალურ-ირეალური ატმოსფეროს შეგრძნება ესოდენ მეტყველი აქსესუარების გარეშე ძნელად მისაღწევი იქნებოდა. ასევე, სცენაზე განვითარებული მოვლენების განუყოფელი ატრიბუტია ბოლი, თუმცა ზოგიერთ ეპიზოდში მისი გამოყენება ხელს მიშლიდა. შეიძლება სუბიექტური ვიყო, მაგრამ რეჟისორს მაინც ვურჩევდი, ამ თვალსაზრისით გადახედოს თავის წამუშევარს.

კვაჭი ზეციდან ვერ ჩამოფრინდებოდა, იგი თავისი მშობლების და წინაპრების გენეტიკური ნაყოფია. ინსცენირებაში და შესაბამისად, სპექტაკლში



გამომსახველ საშუალებათა კონტრასტული საღებავების მსუბუქ ვოდევი-ლურ ხერხებთან თამამი შეზავებით, ის ჰარმონიულობის ბქეს უახლოვდება. ამ განწყობის მიღწევა ურთულესია – ოდნავი გადაცდომა უგემოვნების ზღვართან მიგვიყვანს, რაც ბალაგანის თეატრის ესთეტიკასთან დაგვაახლოვებს.

სპექტაკლში განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება ნიღბებს. ერთი შეხედვით,

კვაჭის აღმზრდელ-დამრიგებელთა სახეები (ისევე, როგორც სხვა პერსონაჟები) სქემატურობას ვერ აცდნენ, ეს გარდაუვალიც იყო, მაგრამ მსახიობებმა ვაჟა ციცილოშვილმა (სილიბისტრო კვაჭანტირაძე), დალი დოიჯაშვილმა (პუპი ჩიჩია,) მევლუდ სამადალაშვილმა (ხუხუ), ლია ბერიაშვილმა (ნოტიო) შესაძლებლობათა მაქსიმუმს მიაღწიეს, ტრაფარეტს რომ გავყვეთ, შეძლების-

დაგვარად შეასხეს ხორცი ამ კოლორიტულ პერსონაჟებს. თითოეულ მათგანს შესრულებაში შეაქვს ის აუცილებელი შტრიხი, რაც მაყურებელს არწმუნებს, რომ კვაჭის არაორდინარულ პირად ჩამოყალიბებაში მათი აღზრდის დიდი წვლილიცაა.

მარუსია ვოლკოვას და ლოხტინის ქვრივს მაკა გელაძე ასახიერებს. მსახიობმა შეძლო, განსხვავებული ფერები მოეძებნა ამ პერსონაჟთა გასაცოცხლებლად. რთულ ამოცანას თავი გაართვა გიორგი მთავრიშვილმა – რამდენიმე ფრაზაში გამოკვეთა აზნოურობის ფალსიფიცირებული სიგელ-გუჯრების გულუხვად გამცემი თაღლითი აშორდიას სახე. ეპრალი წყვილის, რებეკა და ისაკა იდელსონების გაშარუებული პერსონაჟები გაითამაშეს თამარ გოგიძემ და მამუკა პავლიაშვილმა. ვერას ორსახოვანი ხასიათი ექსპრესიული მუხტით წარმოგვიდგინა მადონა ტეხურმა.

ელენეს გახრწნილი სული და ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილით აღტყინება ხელშესახებად გვიჩვენა ლელა მახნიაშვილმა – ქალური მომხიბვლელობა მხოლოდ მაცდური ნიღაბია ელენეს მტაცებლური ბუნების შესაფუთად.

მსუყე გროტესკულ ფერებს მიმართავს გიორგი რევაზიშვილი რასპუტინის როლში. გალოთებული, როყიო, წმინდანის მანტიას ამოფარებული, გარყვნილების მორევში ჩაფლული რუსეთის მოძღვარი მხოლოდ პირად სიამტკილობაზე ფიქრობს. ის, განდიდების მანიით შეპყრობილი, ადვილად ებმება კვაჭისნაირთა ბადეში. მიამიტია? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ღვთისგან განდგომა სიცოცხლის ფასად უჯდება. გრიშკა რასპუტინის ხასიათის ამ ტრაგიკომიკურ გრადაციებს თანმიმდევრულად, პლასტიკურ-ქორეოგრაფიული ელასტიკურობით გადმოგვცემს მსახიობი.

სცენაზე განვითარებულ მოვლენათა

თანმდევია ნელი სალამაძის ხან ფრთიანი, ზოგჯერ კი უფრთო ანგელოზი. მისი ანტიპოდია ჯოჯოხეთის ბინადარი ეშხა (ციცო გიგაური).

იუმორნარევი სარკაზმით გამოირჩევა სოფლის ჭორიკანა ქალების (თინათინ კობალაძე), დალი დოიჯაშვილი, ლია ბერიაშვილი, თამარ გოგიძე, ანა ხურციძე) ეპიზოდური სცენა, რომელიც საკონცერტო ნომრის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა სპექტაკლის კონტექსტიდან არ არის ამოვარდნილი.

აქვე სიამოვნებით მინდა შევნიშნო, რომ ბოლო დროს ცხინვალის თეატრის დასის აქტიორული დონე საგრძნობლად ამაღლდა, რაც გოჩა კაპანაძის მუხლიაუხრელი შრომის შედეგია. სადლეისოდ თეატრის დასს ურთულესი დრამატურგიული ქმნილებების დაძლევის პერსპექტივა გაუჩინდა.

გვერდს ვერ ავუვლი თეატრის იმ თავდადებულ მუშაკებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს წარმოდგენის სიმწყობრეში: რეჟისორის თანაშემწეს ლელა როსტომაშვილს, მსატვრული განათების ავტორს შერმადინ ხაჯალიას, ხმის ოპერატორებს – თორნიკე კასრაძეს და ანატოლი სიხარულიძეს, კოსტიუმერ რუსუდან გელაძეს, რევენიზიტორ ნინო ბასიშვილს. ისინი არა მხოლოდ სპექტაკლის მზადების პროცესში იყვნენ აქტიორად ჩართულნი, პრემიერის შემდგომი, რიგითი წარმოდგენების ბედსაც განაგებენ. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ამ უჩინარ მონაწილეებს ვერ ამჩევენ ხოლმე.

ცხინვალის თეატრისთვის „კვაჭი“ მრავალმხრივ საყურადღებო მხატვრული ეტაპია. არ მინდა, სიტყვა „ლოზუნგი“ ვიხმარო, იგი უფრო სპექტაკლი-მოწოდებაა ადამიანების გამოსაფხილებლად. კვაჭიზმის აღზევება თანამედროვე სამყაროს ყველაზე საშიში სიმპტომია. კვაჭიკოები სარეველა ბა-

ლახივით მოედო ქვეყნიერებას. თუ საზოგადოება ერთიანი ძალისხმევით არ აღუდგება წინ ამ სინდრომის გაღვივების ყოველგვარ მცდელობას, მომავალს შავი სუდარა დაფარავს, – გვაფრთხილებს სპექტაკლი.

წარმოდგენის ერთ-ერთ ბოლო აკორდად რეჟისორი ილია ჭავჭავაძის

ლექსის უკვდავ სტრიქონებს უხმობს:  
აყვავებულა მდელო,  
აყვავებულა მთები,  
მამულო, საყვარელო,  
შენ როსლა აყვავდები?!.



## ალინა ქადაგიშვილი



### ლიტვა – შორეული და ახლობელი

ქართული სახლი ლიტვაში და მისი ღიასახლისი

2015 წლის ნოემბერში ლიტვაში, ქალაქ კაუნასში, „საქართველოს ხელოვნებისა და სურნელის სახლი“ გაიხსნა ახალგაზრდა ქართველი მხატვრის, გურამ ხეცურიანის პერსონალური გამოფენით. ჩვენი უურნალი დროულად გამოეხმაურა ამ სასიხარულო მოვლენას, რათა ორიოდ სიტყვით მაინც მოეთხრო ამ სახლსა და მის სიმპათიურ დიასახლისზე, კრისტინა ბარანაუსკაიტეზე, რომელსაც, თუმცა ქართული სისხლი არ ურევია, მაგრამ საქართველო მისი დედულეთია. თითქმის ყოველ ზაფხულს კრისტინა ოჯახის წევრებთან ერთად არდადეგებს თბილისში და დედის მშობლიურ სოფელში ატარებდა, ბორჯომის ხეობაში. მამით ლიტველი, დედით – ქართველი ბერძენი, ორი სამშობლოს შვილად გრძნობს თავს და ამით ამაყობს. თებერვლის თვეში შევძელი, ჩემი დიდი ხნის ოცნება ამესრულებინა და კრისტინას დახმარებით ლიტვას ვწვეოდი. თუ მანამდე შორიდან ვადევნებდი თვალს „სახლის“ ახალ ამბებს, ახლა იქ გაშინაურების საშუალებაც მომეცა.

კრისტინას წამოწყება საქართველოსა და ლიტვის მრავალწლიან მეგობრობას მიეღლვნა, რომლის განსახიერება-საც მისთვის, პირველ რიგში, ოჯახი

წარმოადგენდა. იმ წელს მის მშობლებს ოქროს ქორწილი უნდა აღენიშნათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მამა გარდაიცვალა, ვერ მოესწრო ქალიშვილის ჩანაფიქრის ხორცშესხმას.

ამასობაში წელიწადზე მეტი დრო გავიდა, „სახლს“ მუდმივი სტუმრები და გულშემატყივრები გამოუჩნდნენ. მის შესახებ წერენ ლიტვურ პრესაში, ამზადებენ სატელევიზიო გადაცემებს... კრისტინა ბარანაუსკაიტე ხელოვნებათმცოდნეა. თავდაპირველად მხოლოდ თანამედროვე ქართველი მხატვრების ლიტველებისთვის გაცნობას გეგმავდა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ ქვეყნის კულტურის, ხელოვნების შესაყვარებლად შესაბამისი გარემოს, კონტექსტის შექმნაა საჭირო. აქედან წარმოიშვა სახლის შექმნის იდეაც. ხშირად ეკითხებიან: რატომ სახლი და არა ცენტრი, საზოგადოება ან რაიმე ამდაგვარი? მასაც არ ბეზრდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. სახლი ხომ ის ადგილია, სადაც ყოველთვის მიგიხარია, სადაც მშვიდი და შინაურული გარემოა.

ამ მოკლე დროის განმავლობაში კრისტინამ, საკუთარი ძალებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოფენის მოწყობა შეძლო. გურამ ხეცურიანის ნამუშე-

ვრების გარდა, „საქართველოს ხელოვნებისა და სურნელის სახლში“ მისულმა სტუმრებმა იხილეს გიორგი ყვავილაშვილის ფოტოგამოფენა. გასული წლის დეკემბერში კრისტინას მიწვევით კაუნასში გაემგზავრნენ ნინო ჩაკვეტაძე და ბუბა არაბული, რათა თავიანთი ერთობლივი გამოფენის გახსნაში მიეღოთ მონაწილეობა. ამჟამად გამოფენილია რამუნია კერძოკაიტე-ვლასენკიენს მიერ საქართველოში გადაღებული ფოტოები, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევს. როცა ლიტველები იგებდნენ, რომ საქართველოდან ვიყავი, სრულიად განსხვავებულ კითხვებს მისვამდნენ, მაგალითად: უსაფრთხოა თუ არა საქართველოს მთიანი მხარის მონახულება და როგორ მზადდება სახელგანთქმული ჩურჩსელა?

სამზარეულო, მართლაც, ქვეყნის კულტურის ნაწილია, მისი სავიზიტო ბარათი. შეიძლება ძალიან დიდხანს ესაუბრო მავანს უცხო ქვეყანასა და ხალხზე, მაგრამ ის კერძები, რომლებსაც დააგემოვნებენ, შენს სათქმელს უფრო მეტ

სიცხადესა და დამაჯერებლობას შესძენს. დაახლოებით ასე მოხდა კრისტინას შემთხვევაში – მისი კულინარიული მასტერკლასები და დეგუსტაციები ლიტველი მეგობრებისთვის მომზადებული ნიგვზიანი ბადრიჯნითა და ხაჭაპურით დაიწყო. სუფრასთან დრო საინტერესოდ გადის, რადგან მასპინძელი სტუმრებს საქართველოზე უამბობს. საუპრის თემა მრავალფეროვანია. აქ შეიძლება გაეცნო აგრეთვე ქართულ მუსიკას და კინემატოგრაფიას საგანგებოდ მოწყობილ კინოსალამოებზე. ადამიანები ზოგჯერ ისე გაერთობიან საუბარში, რომ სახლში წასვლა საყრძნობლად უგვიანდებათ. ერთმა ქალბატონმა კრისტინას სუმრობით ასეთი კითხვაც კი დაუსვა: არ შეიძლება, რომ აქ საცხოვრებლად დავრჩეო?

დავაკვირდეთ, საით მიდის ჩვენი ცხოვრება: რაც უფრო „განვითარებულია“ ესა თუ ის საზოგადოება, მით ნაკლებ დროს უთმობს ხალხი ერთმანეთთან ურთიერთობას. ამის შემდეგ რატომძა გვაკვირვებს სხვადასხვა სახის დამამშ-



ვიდებელი აბების ასეთი პოპულარობა? დღეს მეგობრების შეხვედრა ფინჯან ყავაზე ლამის ფუფუნებად იქცა. ამავე დროს, გული იქით მიგვიწევს, სადაც ჩვენ მიმართ სითბოსა და ყურადღებას ავლენენ, დროს არ იშურებენ. „ევროპაში თანდათანობით იკარგება შინაურ პირობებში საჭმლის მომზადების კულტურა. მე მინდა, ქალები სამზარეულოში დავაპრუნო. გარდა ამისა, ერთად მომზადებულ საჭმელს ის ხიბლიც აქვს, რომ ხშირად უცნობ ადამიანებს ერთმანეთთან აახლოებს, ოჯახურ ატმოსფეროს ქმნის. სინაულით ვაცნობიერებ, რომ ლიტველებს საკუთარი ტრადიციები ავინუდებათ. როცა მათ თვალწინ ქართულ კერძებს ვამზადებ ან გატაცებით ვუხსნი, თუ რა ადგილი უკავია ეროვნულ სიმღერებსა და ცეკვებს თითოეული ქართველის ცხოვრებაში, ჩემი სტუმრები ლიტვური სამზარეულოსა თუ ფოლკლორის მნიშვნელობაზე იწყებენ დაფიქრებას, ბებიების რეცეპტებს იხსენებენ და ა.შ. მე ეს ძალიან მახარებს!“ – მეუბნება კრისტინა. – „პატივი ვცეთ სხვა ერების ღირებულებებს და ნუ დავივიწყებთ საკუთარს!“

### ზღაპარ იყო...

როცა ყოფა უსაშველოდ მძიმდება და მომავლის რწმენას კარგავ, ზღაპრებს უნდა მიმართო, გამოგონილ ამბებს, რომლებიც სიკეთესა და სიყვარულზე მოვითხოვობენ, დადებითი ენერგიით გვავსებენ, გვამსედებენ... კრისტინამ დაახლოებით ამ შინაარსის სათქმელი სხვა სიტყვებით მითხავ მეგობრულ საუბარში, მაგრამ საქართველოში დაბრუნებულს რატომდაც პირველად სწორედ ეს ამომიტივტივდა მეხსიერებაში. ალბათ, ძალიან შორს უნდა წახვიდე სამშობლოდან, რათა მისი ავ-კარგი უკეთ დაინახო. აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ სულ რაღაც ერთ კვირაში მომენატრებოდა თბილისის

ქუჩები, ქართული მეტყველება?..

ე. ი. ზღაპრები? რა თქმა უნდა! ვისაც სასწაულების არ სჯერა, ვერც ხედავს, თუ რა ჯადოსნური სამყაროთია გარშემორტყმული ყოველ ცისმარე დღეს, სადაც კვლავ ცოცხლობენ ძველი ლეგენდები და არქეტიპები. მაგალითად, ბოროტი და შურიანი დედინაცვლისა და გერის ამბავი, ყველა ქვეყნის მითოსურ აზროვნებას რომ შემორჩია, უსასრულოდ მეორდება დღესაც...

ბავშვობიდან მაინტერესებდა ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებიც მაშინ საბჭოეთის ფარგლებში ევროპული ცხოვრების წესის განსახიერებას წარმოადგენდა. განსაკუთრებით ამ ქვეყნების პეიზაჟსა და არქიტექტურას ვეტრფოდი, რაღაც იდუმალ, ზღაპრულ საბურველში გახვეული მესახებოდა, მიზიდავდა, როგორც შეიძლება სამხრეთს ჩრდილოეთი იზიდავდეს ანდა პირიქით... შემდეგ ეროვნული მოძრაობა დაიწყო.... საქართველომ და ლიტვამ განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს საპჭოთა იმპერიის დამხობაში. ცხადია, ამ მნიშვნელოვანმა გარემოებამ ეს ორი ქვეყანა ძალიან დაახლოება. მას შემდეგ ლამის ოცდათი წელი გავიდა, მაგრამ, როგორც ჩვენ, ისე ლიტველებს ეს მოვლენები დღესაც ნათლად ახსოვთ და, თუმცა, ჯერჯერობით უმთავრესად ჩვენი ჩრდილოელი მეგობრები გვსტუმრობენ, ვიმედოვნებ, რომ მალე ეს ტენდენცია შეიცვლება და ქართველებიც გაემგზავრებიან ამ ლამაზი ქვეყნის „დასალაშქრავად“, ოდესლაც დიდი ლიტვის სამთავრო რომ ერქვა.

ლიტვა ჩრდილოეთის ქვეყანაა, მკაცრი ჰავით, ბალტიის ზღვის სიახლოვე ამ ჰავას კიდევაც ანესტიანებს. ხშირად უთქვამს კრისტინას: „საქართველოში გაზაფხული ზოგჯერ თებერვალში დგება, მაშინ, როდესაც ჩვენთან მაისამდე ცივა. სამხრეთში ისედაც ხარობს ყველაფერი, ჩვენი მიწა კი ძნელად იძლევა მოსავალს. უდიდესი ძალისხმევის, მძიმე შრომის შედეგად თუ გაიტანდა გლეხი თავს“.

ასეთმა ცხოვრების პირობებმა, ბუნებრივია, გამოაბრძმედა ხალხის ხასიათი – შრომისმოყვარე, პრაქტიკული და დის-ციპლინირებული გახადა. სწორედ რომ კლიმატური პირობების გამო ლიტვურ ტრადიციულ კერძებს ერთი თავისებურება გააჩნია – იმდენად ხშირად იყენებენ კარტოფილს, რომ ბუნებრივად გიჩნდება კითხვა, რას მიირთმევდნენ ლიტველები, სანამ კარტოფილი ევროპაში მოხვდებოდა? ბლინები რომ ბლინებია, იმასაც მოხარშული კარტოფილისგან ამზადებენ, წვნიან კერძებში ხომ არ იქნება უიმისობა, ხოლო ლიტვური სამზარეულოს მძიმე არტილერია – ცეპელინები, რომლებსაც ეს სახელი (სავარაუდო) დირიჟაბლის გამო დაარქვეს, (მოყვანილობის მიხედვით), წინასწარი ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე არ უნდა მიირთვათ...

მახსოვს, ქალაქებით გავიდოდით თუ არა, მიუჩვეველს მაოცებდა დაბალი ჰორიზონტი, თანაბარი, გაშლილი სივრცე, შორს, თვალსაწინერში მთების არარსებობა. ზამთრის პეიზაჟს მსუბუქი ჯანღივით რაღაც გადაჰკვროდა. ვცდილობდი, არ შემემჩნია სიცივე, მით

უმეტეს, რომ ჩემი გულისხმიერი მას-პინძლები მამშვიდებდნენ, ეს რა არის, ახლა დათბა, შენ ადრე უნდა გენახაო და თუ საქართველო მთავორიანი ქვეყანაა, ლიტვა თავისი ტყეებით არის ცნობილი. ქვეყნის მთავარი მდინარეა „ნემანი“, ლიტვურად „ნამუნასი“, რომელიც ქვეყნის სამხრეთ ნაწილს ორად ჰყოფს და დასავლეთით მიედინება. მასთან დაკავშირებულია არაერთი ლეგენდა და გადმოცემა, ისტორიული თუ კულტურული ძეგლი.

### რაიგარდასის ველი

სამხრეთი ლიტვა, ძუკია, დაინავას მხარე... „დაინა“ ლიტვურად სიმღერას ნიშნავს. ამ სახელწოდების მართებულობას ყველა ირწმუნებს, ვინც დასავლეთით გაშლილ რაიგარდასის ველს იხილავს, სადაც წელა და უხმაუროდ მოედინება მდინარე „ნემანი“. ტყეებითა და ბუჩქნარით გარშემორტყმული ველი სწორი და ვრცელია (გაყინული ტბასავით). არაბუნებრივად გამოიყურება, თითქოს ვიღაცის მიერ იყოს შექმნილი. „ეს ველი, მართლაც, ჯადოსნურია“, – გვამცნობს ძუკიური



გადმოცემა. იქ, სადაც ახლა ქორფა ბალახი იზრდება, უხსოვარ დროს ტბა იყო, რომელიც მთელ ველს ფარავდა. ტბაში – კუნძული, კუნძულზე – მთა, ოლონდ ეს მთა ეშმაკებმა დადგეს, მასზე კი უზარმაზარი ლოდებით სა-სახლის მშენებლობა გააჩაღეს. ერთი ასეთი ლოდი ახლაც გდია სოფელ შვენ-დუბრეს სიახლოვეს. ამ ლოდით სა-სახლის მშენებლობა დამთავრდებოდა, მამალს რომ არ დაეყივლა და ეშმაკს ხელიდან არ გავარდნოდა.

ლიტვაში გატარებული ერთი კვირა ყველა ლირსშესანიშნაობის სანახავად, ცხადია, არ იქნებოდა საკმარისი. გული მწყდება, რომ ჩემი თვალით ვერ ვნახე რაიგარდასის ველი. ის, თურმე, ფოტოა-პარატს „გაურბის“, ტექნიკას არ ძალუდს, ალბეჭდოს მისი მომზუსხველი მშვენიერება, ფოტოთვალი ვერ „ხედავს“ იმას, რი-თაც ამ ადგილმა სახელი გაითქა. გენია-ლურმა ლიტველმა მხატვარმა, მიკალიუს კონსტანტინას ჩურლიონისმა, რომელიც წარმოშობით სწორედ სამხრეთ ძუკი-დან იყო, თავის შესანიშნავ ტრიპტიქში შეძლო, გადმოეცა რაიგარდასის ველის იდუმალება, ცივი და მშვიდი ტონებით, თავისებური ხელწერით გამოხეატა მისი არსი და რაღაც განსაკუთრებული მნიშ-ვნელობაც მიენიჭებინა.

სიტყვამ მოიტანა და ახლა მსურს, ლიტველების ფიროსმანზე გიამბოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტვური პრო-ფესიონალური მუსიკის ფუძემდებელზე, ხელოვანზე, რომელიც ისე ჰყვება „ლი-ტვური სულის მოთხოვბას“, როგორც არავინ ამქვეყნად და ამავდროულად, ზოგადსაკაცობრიო იდეალებით საზ-დოობს, ვარსკვლავებს ესაუბრება...

### ჩურლიონისის მისტიკური ნათება

ჩურლიონისის მუზეუმი კაუნასში... მხატვრის გადიდებული ფოტო ფერწე-რული ექსპოზიციის შესასვლელში... რა ძალიან ცოტაა მასში სხეულებრივი!

უკრავს მუსიკა, მისი მუსიკა... და მაინც სიჩუმეა. საკმარისია, აქ ფეხი შემოდგა, შენს თავს უკვე აღარ ეკუთვნი, უფრო სწორად, საკუთარ „მე“-ზე მაღლა დგე-ბი, იზრდები, როდესაც ხედავ, როგორ ხელენიფება ადამის ძეს მცირე მიწიერ საზომზე უარის თქმა და კოსმიური მასშ-ტაბებით აზროვნება. მავანი იტყვის, ჩურლიონისის ფერწერა მისივე მუსი-კაა, ფერში გამოხატული. იქნებ, ასეცაა. ყოველ შემთხვევაში, მან სწორედ ასე დაინტ ხატვა – ერთ მშვენიერ დღეს მუსიკამ, რომელსაც ის ქმნიდა, სავსე-ბით ხილული სახე მიიღო. ჩურლიონისმა ვერ შეძლო მუსიკალური განათლების დასრულება და ნახევრად თვითნასწავლი მხატვარი იყო, მაგრამ განა ამ მშრალ ფაქტს შეუძლია მისხალი მაინც მოაკლოს მის მიერ მხატვრობის განვითარებაში შეტანილ უდიდეს წვლილს? და განა ეს ხელს შეგვიშლის (ან ოდესმე შეუშლია) ხელოვნებით ტებობაში?

ჩურლიონისის ნამუშევრებმა იმთა-ვითვე მომაჯადოვა, ერთი სურათიდან მეორეზე გადავდიოდი და შთაბეჭ-დილება სულ უფრო ძლიერდებოდა! კრისტინა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ამ მუზეუმში მუშაობდა, გზადაგზა მიყვებოდა მხატვრის შესახებ: „ძალიან მგრძნობიარე და სათუთი სულის ადა-მიანი იყო. ეს გამომსახველობითი სა-შუალებების არჩევანშიც გამოიხატა: უმთავრესად მუშაობდა პასტელში, რომელიც მის პოეტურ ბუნებას შეე-საბამებოდა. შეხედე, მისი ადრეული ნამუშევრების ეს სერია სიკვდილის თემას მიეძღვნა და საკმაოდ დამთრ-გუნველად მოქმედებს, არა?“ დიახ, შე-მაძრწუნებლადაც კი. ახლა წარმოიდ-გინეთ ჩურლიონისის მდგომარეობა, როდესაც პეტერბურგში გამართულ პერსონალურ გამოფენაზე სწორედ ამ სერიასთან დაკავშირებით დაახლოებით ასეთი კითხვა დაუსვეს: რატომ ხატავთ სასიკვდილო პროცესიას და კუბოებს, არ ჯობდა, ნატურმორტი დაგეხატათ?

დავდიოდი დარბაზში და ამეკვიატა ფიქრი, რომ ეს სამყარო საიდანლაც მეცნობოდა, ვიღაცას მახსენებდა, მაგრამ ჩემმა მეხსიერებამ არც ერთი მხატვრის და არც მუსიკოსის სახელი არ „ამოაგდო“... „ნიკოლა ტესლა!“ – ვთქვი ბოლოს. ორივენი პატარა ქვეყნის შვილები იყვნენ, ჩურლიონისის სამშობლო რუსეთის იმპერიის საზღვრებში იყო მოქცეული, ხოლო სერბმა ნიკოლა ტესლამ ბავშვობა და სიყრმე ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში გაატარა. ცხადია, ამან გარკვეულწილად იმოქმედა მათი მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. მათი უმთავრესი მსგავსება კი ისაა, რომ უხილავ სამყაროს ახადეს ფარდა, მომავლით ცხოვრობდნენ და არა აწმყოთი. ჩურლიონისმა თავისი ხელოვნებითა და მუსიკით იგივე გააკეთა, რაც ტესლამ მეცნიერული კვლევებით. ხილვები, ცხადში ნანახი სიზმრები, სიმბოლოები – ორიოდ სიტყვით ასე შეიძლება დაახასიათო ლიტველი მხატვრის ფერწერული ნამუშევრები, რომელთა დიდ ნანილს, სამწუხაროდ, სარესტავრაციო სამუშაოები დასჭირდა, რადგან, მოგეხსენებათ, პასტელი ფაქტი მასალაა.

ჩურლიონისის მხატვრობა თავად მას ჰგავს. ესაა სულის ზეობა, გამარჯვება ყოველივე მატერიალურზე. მისი შემოქმედება უფრო მისტიკურია და თუ მას მაინც გააჩნია რელიგიურობის ელემენტები, მაშინ ეს რაღაც უნივერსალური რელიგიაა, რომელიც ღმერთის შესახებ განსხვავებულ მოძღვრებათა სინთეზით იქმნება. გრჩება შთაბეჭდილება, რომ ის საგნებს კი არ ხატავს, არამედ მათ იდეებს, ეთერულ სხეულებს. მაგალითად, ავიღოთ მისი პეიზაჟები. განავინმეს შეუძლია თქვას, რომ რაომე ამის მსგავსი ოდესმე უნახავს? ამავდროულად, ისინი საგანთა და მოვლენათა არსს გამოხატავენ, პლატონის მოძღვრებას თუ მოვიშველიებთ, უშუალოდ იდეების სამყაროს ასახვენ და არა მათ ანარეკლებს, ჩრდილებს რეალური სამყაროს სახით.

ეს არაადამიანური, ზეადამიანური განზომილება, რომლის შემეცნებასაც ჩურლიონისმა მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მიუძღვნა, დამთვალიერებელზე, ცოტა არ იყოს, დამთრგუნველადაც მოქმედებს, იმდენად არ ჰგავს, იმდენად აღემატება ჩვეულ სამგანზომილებიან ყოფას. მართალია, მხატვრის მიერ შექმნილი სამყარო უსაზღვროდ გხიბლავს და გიზიდავს, ისწრაფვი კიდეც მისკენ, მაგრამ ცხადში ვერასოდეს მოიხელთებ, მხოლოდ გუმანით იგრძნობ, რომ ბავშვობაში ნანას სიზმრებს გახსენებს... ამ შეუსაბამობას, უთუოდ, თავად ავტორიც განიცდიდა. ვფიქრობ, აქედანაა მის ქმნილებებში ის ნათელი სევდა თუ სევდიანი ნათელი, რაც ყველასგან გამოარჩევს.

პასტელის ჩამქრალი, ვიტყოდი, ფერმკრთალი ტონები იმ ტკივილზე მოგვითხრობს, მოუღწევლისკენ სწრაფვას რომ ახლავს. მისი შემოქმედებაც ამიტომა ერთდროულად ასეთი ოპტიმისტური და დეპრესიული. მხატვრის საყვარელი ფერები: ყვითელი, მწვანე და ცისფერი მშობლიური ლიტვის ფერებია, მისი ტყით, ზღვითა და ქარვით ნასაზრდოები. როგორც უკვე ვთქვით, ეს მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანი ერთდროულად ძალიან ახლოს იდგა საკუთარ ხალხთან...

გამოფენის თვალიერებისას ერთსურათთან შევჩერდი. მასზე გამოსახულია ერთმანეთის პირისპირ პროფილში მდგარი ორი გვირგვინოსანი მეფე. პორტრეტებს თითქმის ვერ შეხვდებით ჩურლიონისთან. კაცმა რომ თქვას, ამ ნანარმოებსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს პორტრეტული გამოსახულება, იმდენად სქემატური და ზოგადია მეფეების სახეები, ჭეშმარიტად ზღაპრული მეფეები არიან, მაგრამ აღნიშნული სურათი სხვა რამითაც გამოირჩევა.

„ჩურლიონისას არ უყვარდა თავისი შემოქმედების განმარტება. ეს გახლავთ

ერთადერთი ნამუშევარი, რომელიც მან ახსნა, – მეუბნება მუზეუმის თანამშრომელი. – აი, რა გვიამბო მხატვარმა: ორი ქვეყნის ორი ხელმწიფე ღამით უღრან ტყეში მიდიოდა. უეცრად მათ შენიშნეს, რომ შორს რაღაც ანათებდა. როცა ახლოს მივიდნენ და დააკვირდნენ, ნახეს, რომ უბრალო ლიტვური ქახი ბრნეინავდა. მაშინ სასიამოვნოდ გაოცებულმა ბუმბერაზებმა ხელში ფრთხილად აიღეს და დალოცეს ლიტველი გლეხის სახლკარი, რათა უკუნითი უკუნისამდე არ მოჰკლებოდა ნათელი...“

### **დრუსკინინკაი**

დრუსკინინკაი ლიტვის უკიდურეს სამხრეთში, პოლონეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს. უკვე მე-18 საუკუნეში ამ ადგილმა სახელი გაითქვა თავისი სამკურნალო წყაროებით. 1837 წელს რუსეთის მეფის მთავრობამ დრუსკინინკაი საკურორტო ადგილად აქცია. აქაური მაცხოვრებლებისა და დამსკენებლებისთვის დიდი მნიშვნ-

– ვარშავა, რომელიც აქედან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით გადიოდა.

დღეს დრუსკინინკაი ლიტვის ყველაზე უფრო პოპულარული და კეთილმოწყობილი საკურორტო ქალაქია, რომელიც ამაყობს თავისი წარსულით. აქ, ყავრით გადახურულ პატარა სახლში, კონსტანტინას ჩურლიონისის დიდი ოჯახი ცხოვრობდა; აქ გაატარა ლიტველმა გენიოსმა ბავშვობა. მერეც, ვარშავაში, ლაიპციგსა თუ პეტერბურგში მყოფს გული ყოველთვის აქეთ მოუწევდა, მშობლიური ნემანის ნაპირებზე. დაბრუნებული აქ პოულობდა სიმშვიდესა და შთაგონებას: მწვანე მინდვრებზე, ტყეში, უკიდეგანო ცის ქვეშ... მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა, სხვაგან ბედნიერი არ ყოფილა. სამშობლოსგან შორს მყოფს სული ეხუთებოდა და ხშირად ავადმყოფობდა. „მას ისევე ესაჭიროებოდა აქაური ჰაერი, როგორც ზღვის ფრინველს მარილიანი ქარის ქროლა“.

სიცოცხლის ბოლო წლებში ჩურლიონისი როგორც კომპოზიტორი თავდაუზოგავად მუშაობდა, და ამავდროულად



ელობა ჰქონდა 1862 წელს გახსნილ სარკინიგზო მაგისტრალს პეტერბურგი

ხატავდა; აგრეთვე კერძოდ ასწავლიდა მუსიკას, წერდა სტატიებს კულტურასა

და ხელოვნებაზე და პარალელურად თეატრალურ დეკორაციებზეც მუშაობდა. ამან საბოლოოდ შეარყია მისი ისედაც სუსტი ჯანმრთელობა. სულიერ აშლილობას ფილტვების ანთებაც თან დაერთო და 35 წლის ჩურლიონისი გარდაიცვალა სამშობლოსგან მოშორებით, პოლონეთში, ისე, რომ თავისი პანანინა ქალიშვილი ერთხელაც არ უნახავს.

## კაუნასი

ლიტვის სიდიდით მეორე ქალაქი – კაუნასი – მდინარეების: ნემანისა და ვილიის, ლიტვურად – ნიარისის გადაკვეთის ადგილას დაარსებულა. ნემანი მას ორ ნაწილად ყოფს, თუმცა ძევლი ქალაქი და მისი ლირსშესანიშნაობები, უმთავრესად, მარჯვენა ნაწილშია თავმყრილი. მე-14 საუკუნის ჯვაროსნების ქრონიკებში არაერთხელაა მოხსენიებული ციხესიმაგრე, რომელიც ამ ქალაქს იცავდა და რომელმაც მრავალრიცხვან იერიშებს გაუძლო, სანამ კაუნასი საბოლოოდ დანებდებოდა.

ქალაქში უამრავი ეკლესია და ტაძრია, უმთავრესად კათოლიკური. ვილნიუსისგან განსხვავებით, რომელიც უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს, კაუნასმა გაცილებით ნაკლებად განიცადა რუსული კულტურის გავლენა (საქმე ეხება მართლმადიდებლურ ეკლესიებსა და ზოგადად, არქიტექტურას). ძველი კაუნასი, უმთავრესად, ორსართულიანი სახლებისგან შედგება. ვრცელ, მართკუთხა მოედანზე ყელი მოულერებია ქალაქის რატუშას, რომელსაც ფერისა და სილამაზის გამო „თეთრი გედი“ შეარქვეს. კაუნასის რატუშა, თავად ლიტველების აზრით, „უდავოდ ყველაზე დახვეწილი შენობაა არა მხოლოდ კაუნასში, არამედ მთელ ლიტვაშიც“. ის ამ ადგილას ჯერ კიდევ მე-15 საუკუნიდან იდგა, იმ დროიდან, როდესაც ქალაქს თვითმმართველობის უფლება მიენიჭა, თუმცა ამის შემდეგ, მე-16 საუკუნეში, აქ ხელახლა

ააგეს გოთიკური შენობა, რომელიც მე-17 საუკუნეში რენესანსის სტილში გადაკეთდა და დაემატა კოშკი. ამის შემდეგ „თეთრმა გედმა“ კიდევ ორჯერ იცვალა იერი დროის მოთხოვნების შესაბამისად. დღევანდელი რატუშის გარეგნული სახე მე-19 საუკუნით თარიღდება და კლასიციზმის სტილშია გადაწყვეტილი.

1919-1940 წლებში კაუნასი ლიტვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დროებითი დედაქალაქი იყო. ამ პერიოდში ის საგრძნობლად გაიზარდა, განვითარდა და მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად იქცა. მის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს არტდეკოს სტილში აგებული უამრავი შენობა, რომლებსაც იუნესკოს გადაწყვეტილებით, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი უნდა მიენიჭოს. 16 თებერვალს, კაუნასში მყოფმა შევიტყვე, რომ ამ დღეს ლიტველები დამოუკიდებლობის დღეს ზემობდნენ, რომელიც სწორედ 1919 წელს აღდგენილ სახელმწიფოებრიობას უკავშირდებოდა.

კაუნასიდან დაახლოებით ერთი და იმავე დაშორებით მდებარე ორი ადგილი მოვინახულეთ – ბირშტონასი და პაჟაისლიისი. ქალაქში უფრო თბილოდა და მდინარე ნემანი მხოლოდ ნაპირებთან იყო ოდნავ მოყინული, ხოლო ბირშტონასი, რომელიც კაუნასიდან არც ისე შორსაა, მთლიანად მოყინულიყო და ფოტოზე თოვლით დაფარული ზეგანი გეგონებათ, რომელსაც გრძელი მწვანე არშიასავით ტყე აკრავს. ბირშტონასი თავისი სამკურნალო წყლებითა და ტყე-პარკებით არის განთქმული. გოთიკური არქიტექტურული სტილით აგებული ტაძარი დაკეტილი დაგვხვდა. კრისტინამ ამიხსნა, რომ ტაძრის ეზოში ჩადგმული ხის ჯვარი, რომელსაც სახურავი ეფარა, ლიტვური ხელოვნების თვითმყოფად ნიმუშს წარმოადგენს, უფრო მეტადაც, ვიდრე გოთიკური ანდა ბაროკოს სტი-

ლის ტაძრები. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ლიტველი ავტორის მიერ რუსულად დაწერილ და 1979 წელს გამოცემულ წიგნში „მოგზაურობა ლიტვაში ნემანის გაყოლებით“ ლიტვური ჯვრების შესახებ საგულისხმო ინფორმაცია აღმოვაჩინე.

### ლიტვური ხის ჯვრები – მცირე ხუროთმოძღვრების ძეგლები

ლიტვაში, უმთავრესად, ქალაქებარეთ, ეკლესიების ეზოებში, გზაჯვარედინებსა თუ გზისპირებზე, ხის ჯვრები დაგას. ჩვეულებრივ, ეს ჯვრები წმინდანების სახელზეა აღმართული, შეთქმული. ქვეყნის ერთ-ერთ კუთხეში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ეს ჯვრები ისე მომრავლებულა, რომ, თვითმხილველი ქსენდის სიტყვებით, ყოველ რამდენიმე ათეულ ნაბიჯზე შეიძლებოდა მათი ხილვა. კათოლიკური ეკლესია ამაში წარმართობის გადმონაშთს ხედავდა და არცთუ უმიზეზოდ. ღვთისმსახურები ამბობდნენ, რომ სოფლად, გზებსა თუ ტყეებში დადგმული ჯვრები ერთგვარი ხის კერპებია, რომლებსაც წმინდანების სახელით ნათლავენ. ტაძრებს, ცხადია, არქიტექტორები აგებდნენ, ხშირად მოწვეული სპეციალისტებიც და მათში სათანადოდ ვერ ჰპოვა ასახვა ეროვნულმა, ხალხურმა შემოქმედებამ. მაშინ, როდესაც ჯვრებს უბრალო ადამიანები ქმნიდნენ, რომლებიც ქრისტიანულ დოგმატებზე უკეთ ხეზე კვეთის საუკუნოვან ტრადიციებსა და ფოლკლორს იცნობდნენ. ხის ჯვრები, ჩვეულებრივ, ადამიანის სიმაღლისაა ან უფრო მაღალი. უმთავრესად, სახურავით ბოლოვდება, რომელშიც ჯვარცმა მოთავსებული, ოღონდ, ზოგჯერ იმდენადა დახუნძლული სხვადასხვა გეომეტრიული ფორმითა თუ მორთულობით, რომ ჯვრის მოყვანილობას კარგავს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლიტვამ ევროპაში ყველაზე გვიან მიიღო ქრისტიანობა, რომელიც აქ მხოლოდ მე-14 საუკუნის ბო-

ლოდან იწყებს გავრცელებას. თვით ამის შემდეგაც კი ძალიან დიდხანს შემორჩენენ ამ ქვეყანაში მოუნათლავი ადამიანები, რომლებიც წარმართულ ტრადიციებს აგრძელებდნენ – აღმერთებდნენ მზეს, გველთევზებს და სხვ. ძველი ლიტველების ყოფისთვის დამახასიათებელი ორნამენტები, როგორებიცაა ფოთლები, ტოტები, გველები, მზე, მთვარე თუ ვარსკვლავები ხელოვნების წინარეისტორიულ პერიოდს მიეკუთვნება. ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოყოფა დეკორის საკუთრივ ქრისტიანული ელემენტები – როგორებიცაა, ჯვარცმა და მისგან გამოსული სხივები, შარავანდედი, წამების იარაღები თუ სამკუთხედში მოთავსებული ყოვლისმხედველი თვალი. ასეთი მცირე ხუროთმოძღვრების ნიმუშები ლიტვაში იმდენად ბევრია, რომ მათ შეკედლებას ვერც ერთი მუზეუმი ვერ შეძლებდა. ჯობს იქვე დარჩინენ, სადაც ხალხმა აღმართა, – ასეთია მკვლევართა აზრი. ლიტვაში ე. წ. „ჯვრების გორაც“ კი არსებობს – საკმაოდ უჩვეულო სანახაობაა – მორებისგან შეკრული ხიდი ჯვრების „ტყეს“ შუაზე კვეთს.

ლიტვური ხალხური შემოქმედების მცოდნე, პ. გალაუნეცი მიიჩინებს, რომ ხის ჯვრები ქრისტიანობამდელი კულტურული ტრადიციის ერთგვარი გაგრძელებაა. ისინი გვიამბობენ ქვეყნის შორეულ წარსულზე, უძველეს კულტებზე. „ესაა ლიტველი ხალხის სულის მოთხოვბა, ისეთივე დიადი და იდუმალებით მოცული, როგორც მათი უღრანი ტყეები“. როდესაც ჯვრებს ახლოს ეცნობი, მათ ფორმებსა და სიმბოლიკას სწავლობ, წარმოსახვაში ჩნდება სხვადასხვა მისტიკური სახეები.

### სევდიანი პაჟაისლისი

თებერვლის ერთ წაცრისფერ დღეს პაჟაისლისის სამონასტრო კომპლექსს ვენვიეთ, კაუნასის მახლობლად. დამთვალიერებელთაგან მხოლოდ ჩვენ

ვიყავით, სრულ სიჩუმეს მხოლოდ ჩვენი საუბარი არღვევდა. შორიდანვე გამოჩნდა ულამაზესი ბაროკოული ტაძრის კონტურები. საინტერესოა მონასტრის დაარსების ისტორია. ახალგაზრდა ლიტველი არისტოკრატი პაცი, იგივე პაცესი (მომავალში დიდი ლიტვის სამთავროს კანცლერი) განათლებას იტალიის ქალაქ პერუჯაში ეუფლებოდა. ქალაქიდან არც ისე შორს, ბენედიქტელების მონასტრი იყო, რომლებიც საკუთარ თავს კამალდულის უწოდებდნენ (იმ ადგილის სახელწოდების მიხედვით – კამპი დი მალდოლი). პაცესი შეხვდა ბერებს, რომლებსაც სიჩუმის აღთქმა ჰქონდათ დადებული და აღტაცებული იყო მათი მკაცრი წესდებით, თუმცა მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ, უკვე ლიტვის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან დიდებულად ქცეულმა პაცესმა პრძანა, რომ ამ ადგილას, ნებანის მარჯვენა ნაპირზე, ბენედიქტელ-კამალდულების მონასტრის მშენებლობა დაწყოთ. ამის შემდეგ აქ იტალიელი ბერები და-სახლდნენ. ეს ამბავი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა.

ამ ორდენის მიერ აგებული ყველა მონასტრის დაგეგმარება მკაცრი სიმეტრიით გამოიჩინა, მთავარი ვერტიკალური და ჰორიზონტური ლენტების დომინირებით. ტაძარი კი ყოველთვის არქიტექტურული ანსამბლის შუაგულში, შიგ ცენტრში უნდა მდებარეობდეს. პაუზაისლისის შემთხვევაშიც ასეა. გვიანი ბაროკოს ხანის ეს ელეგანტური, ოდნავ ვიწრო ტაძრის ფასადი თითქოს სიმაღლეშია წასული...

მონასტრის ტერიტორია საკმაოდ ვრცელია. ჩვენ თვალწინ იშლება ლიტვის ისტორიის ფურცლები: აქ ნაპოლეონის ჯარებიც ყოფილან, რუსეთის იმპერიის სალდათებიც და გერმანელი ნაციისტებიც, შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ მონასტრის შენობა-ნაგებობანი სულიერად დაავადებულთა სამკურნალო ადგილად აქცია. 1992 წელს პაუზაისლისი

საბოლოოდ დაუბრუნდა წმიდა კაზიმირის სახელობის ლიტვური კონგრეგაციის მონაზვნებს, ტაძარი ეკურთხა და წირვა აღესრულა.

2007 წელს ჩატარებული მონასტრის საფუძვლიანი რესტავრაციისა და კეთილმოწყობის შემდეგ ერთ-ერთ შენობაში ექსპოზიცია და საგანმანათლებლო კლასია მოწყობილი, მეორეში კი თითქმის ათი წელია, მოქმედებს პაუზაისლისის კულტურისა და ტურიზმის ცენტრი. მონასტრის ისტორიის მოთხოვნა თანამედროვე, ინტერაქტიული მეთოდით მიმდინარეობს და ერთნაირად საინტერესო უნდა იყოს ბავშვებისა და უფროსებისთვის, თუმცა, კვლავ ტაძარს დაუბრუნდეთ. მისი არქიტექტურული ლირსებების გარდა, ყურადღებას იქცევს იტალიელი მხატვრების მიერ შექმნილი შიდა დეკორი. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს კამალდულების ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ბერებმა მეორე მსოფლიო ომის დროს აქედან წაიღეს, სხვა საეკლესიო ქონებასთან ერთად, რათა გერმანელ დამპყობლებს ხელში არ ჩავარდნოდათ. ტაძარი მიედღვნა ელისაბედისგან მარიამის მონასტულებას და ამიტომ მრავალრიცხოვან ფრესკებს შორის ხშირად შეხვდებით ღვთისმშობლის ცხოვრებისა და ამაღლების სცენებს.

ცხადია, ბაროკოული ტაძრის მშენებელი ანსამბლის კომპოზიცია და საინტერესო გამოფენა ვერავის დატოვებს გულგრილს, მაგრამ ჩემთვის პაუზაისლისი ყველაზე მეტად ერთი ოჯახის სევდიან ამბავს დაუკავშირდა, პაცესის იჯახის ამბავს.

ლიტვის კანცლერმა მონასტრის მშენებლობა 1667 წელს დაიწყო. თავად ტაძრის აგებას მხოლოდ შვიდი წელიწადი დასჭირდა, მაგრამ საბოლოო მოწყობასა და მოხატვას ძალიან დიდი დრო დაეთმო და საბოლოოდ 1712 წელს დასრულდა. თავად პაცესი ამას ვეღარ მოესწრო. მონასტრის მარჯვენავ და მარცხნივ, ვრცელ ეზოში, ორ უძველეს

ჭას ნახავთ. თითოეულის გარშემო სამი დიდი ხე დგას. შეუძლებელია, ამ სანახა-აობამ გულში ნაღველი არ გაგიჩინოთ. პაცესასა და მის მეუღლეს ერთადერთი შვილი მისცემიათ, გოგონამ მხოლოდ რვა დღე იცოცხლა. ამიტომაც მათი სულების მოსახსენიებლად ეს ხეები დაურგავთ, ჭის, სიმბოლურად უკვდავ-ების წყაროს გარშემო.

### **ძველი ვილნიუსი (დასკვნის მაგიერ)**

ალბათ, ძალიან შორს უნდა წახვიდე სამშობლოდან, რათა მისი ავკარგი უკეთ დაინახო. აბა, რას წარმოვიდგენ-დი, რომ სულ რაღაც ერთ კვირაში მო-მენატრებოდა თბილისის ქუჩები, ქარ-თული მეტყველება...

მე და კრისტინამ ვილნიუსის ქუჩებში სეირნობა ბოლო დღისთვის მოვიტოვეთ, გემრიელ ლუკმად. ჩვენი მარშრუტი გო-თიკურ სტილში აგებულ ყვითელი აგუ-რის ულამაზეს შენობასთან დაინყო და იქვე დამთავრდა. გედიმინასის გამზირი, ვილნიუსის საკათედრო ტაძარი, ლიტ-ველი მთავრების სასახლე, პრეზიდენტის რეზიდენცია და ვილნიუსის უნივერსი-ტეტი (რომელიც ერთ-ერთი უძველესია მთელს აღმოსავლეთ ევროპაში) თავიანთი გრანდიოზული მასშტაბებით კონტრასტს ქმნის ძველი ვილნიუსის ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებთან. გოთიკა, რენესანსი, ბაროკო და კლასიციზმი – ეს გასეირნება ევროპული არქიტექტურის ისტორიის ფურცლებზე მოზაურობას ჰგავდა. ტკ-ბილეულის მაღაზიაში შესული ბავშვივით ხარბად იყურები გარშემო: – რა არის ეს ლამაზი შენობა მარცხნივ? – ეროვნული ფილარმონია. – ეს რა ეკლესია, სულ პირდაპირ? – ეს წმიდა კაზიმირის სახე-ლობის ტაძარია. სწორედ ამ ადგილას იყრის თავს რამდენიმე ქრისტიანული საკულტო ნაგებობა, რომლებიც ერთ-მანეთს ტოლს არ უდებენ სიძველესა და მოხდენილობაში. იქვე, სულ რაღაც

ორიოდე კვირის წინ გახსნილ პანაწინა კაფეში ლიტვურ „ნაპოლეონს“ გვთავა-ზობენ, არც გარეგნულად და არც გემოთი რომ არა ჰგავს ჩვენსას – კიდევ ერთი შთაბეჭდილება მოგონებათა ყულაბაში. ძველი ვილნიუსის ქუჩებში რამდენიმე საათს დავდიოდით, გზადაგზა სიცივეს ვემალებოდით კაფეებში, ქარვის წაკე-თობათა მაღაზიებსა და არტსალონებში. ღამის განათების შუქზე ყველაფერს ოდნავ არარეალური იერი დაჳკრავდა. მართლმადიდებლური ეკლესია ლიტვური ეროვნული მოტივებით... საკუთარ თავს გამოვატყდი იმაში, რომ სეირნობისას ვილნიუსს უნებურად ჩემს თბილისს ვადარებდი...

უკვე ღამდებოდა, როცა წმიდა ანას ეკლესიას მივუახლოვდით, გვიანი გოთი-კური არქიტექტურის შედევრს, რომელიც ხუთასი წლის მანძილზე თითქმის არ შეცვლილა. ვფიქრობდი, რა უნდა ყოფი-ლიყო წითელი აგურით ნაგები ეკლესიის მშენებელის საიდუმლო. დაახლოებით ასე ვმსჯელობდი: წარმოიდგინე, რომ ის ცოცხალი არსებაა. ვის მიამსგავსებდი? უეცრად ეკლესია მორცხვად თავდახრილ ნატიფ ქალწულად წარმომიდგა. ეს ახლა, თორებ მის გვერდით მყოფს ამაზე არ მიფიქრია. 1812 წელს, ვილნიუსში შეს-ვლის შემდეგ, მასზე უთქვამს ნაპოლეონს – პარიზში ხელისგულზე დადებულს ჩა-ვიტანდიო. შეყვარებული იმპერატორი... ეკლესიაში რომ შევედით, რამდენიმე წუ-თით ქადაგებას დავესწარით. როგორც კრისტინამ ამისსანა, ქსენი სიყვარულის უნარზე საუბრობდა: ნუ დაველოდებით, რომ შეგვიყვარონ, იმისთვის, რომ ჩვენ გვიყვარდეს. სიყვარულს არ სჭირდება მოლოდინები. ის უპირობოდ გასცემს და სანაცვლოდ არაფერს მოითხოვს. ეკლე-სიაში ბევრი ხალხი იყო: მოხუცები და ახალგაზრდები, მშობლები და პატარა ბავშვები... გული გამითბა.



ISSN 1987-5762

